

78  
967/3

საქართველოს  
ბიბლიოთეკა

178/3

# საბჭოთა სამართალი

64

საქართველოს კვლევითი კომისიის გამომცემლობა

1967

1



# საბჭოთა სამართალი

## N<sup>o</sup> 1

იანვარი—თებერვალი

1967 წელი

გამოცემის XIV წელი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, პროკურატურისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის ორგანო  
**ო რ თ ვ ი უ რ ი ქ ე რ ნ ა ლ ი**

### შინაარსი

ვ. მაისურაძე — ხალხი და მართლმსაჯულება	3
პ. მუხენიერაძე — სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადები	7
ა. შუშანაშვილი — საზოგადოებრივი ბრალმდებელი და საზოგადოებრივი დამცველი	19

### კომენტარები ახალ კანონმდებლობაზე

ა. კობახიძე — დაუმთავრებელი სახლის ყიდვა-გაყიდვა	29
ვ. გეწაძე — საბჭოთა საოჯახო სამართლის ისტორიისათვის საქართველოში	38

### დისკუსია, კოლემიკა, რეპლიკა

ბ. ბარათაშვილი — ადვოკატის მოვალეობისა და ავტორიტეტის შესახებ	45
ნ. კეგელიაშვილი — კიდევ ერთხელ ენის სიწმინდის დაცვის შესახებ	56
ვ. ნადარეიშვილი — საჯარო სასჯელები გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში	60

### მოგონებანი

ა. ბურთიკაშვილი — იოსებ ბარათაშვილი	69
-------------------------------------	----

### მოწინავეთა პორტრეტები

ზ. მესხენგისერი — იუსტიციის ვეტერანი	73
ბ. ჩეჩელაშვილი — 36 წელი პროკურატურის ორგანოებში	75

### დანაშაულის კვალდაკვალ

ო. მგელაძე — მკვლელობა ზღვისპირა ქალაქში	76
--	----

### მოთხრობა

გვეტაძე — ნაპრალი	79
ვორმაცია	89
იოგრაფია	93
პოლოგი	96

607.01



## СОДЕРЖАНИЕ

В. Майсурадзе — Народ и правосудие . . . . .	3
П. Мшвениерадзе — Сроки давности уголовного преследования . . . . .	7
А. Шушавашвили — Общественный обвинитель и общественный защитник . . . . .	19

### КОММЕНТАРИИ К НОВОМУ ЗАКОНОДАТЕЛЬСТВУ

А. Кобахидзе — Купля-продажа незаконченного строения . . . . .	29
В. Гецадзе — К истории развития советского семейного права в Грузии . . . . .	38

### ДИСКУССИЯ, ПОЛЕМИКА, РЕПЛИКА

Б. Бараташвили — Об обязанности и авторитете адвоката . . . . .	45
Н. Кевлишвили — Еще раз о соблюдении чистоты языка . . . . .	56
Г. Надарейшвили — Публичные наказания в позднесредневековой Грузии . . . . .	60

### ВОСПОМИНАНИЯ

А. Буртикашвили — Иосиф Бараташвили . . . . .	69
---	----

### ПОРТРЕТЫ ПЕРЕДОВЫХ

З. Месенгисери — Ветеран юстиции . . . . .	73
Б. Чечелашвили — 36 лет в органах прокуратуры . . . . .	75

### ПО СЛЕДАМ ПРЕСТУПЛЕНИЯ

О. Мгеладзе — Убийство в приморском городе . . . . .	76
--	----

### РАССКАЗ

Ш. Гветадзе — Трещина . . . . .	79
Информация . . . . .	88
Библиография . . . . .	93
Некролог . . . . .	96

#### სარედაქციო კოლეგია

შტ. № 629  
ტირაჟი 5500  
შე 06591

ო. კაციტაძე (მთ. რედაქტორი), გ. აბაშმაძე,  
ო. ბაკურაძე, ბ. ბარათაშვილი, პ. ბერძენიშვილი,  
თ. დადიანი, გ. ინწკირველი, მ. ლომაძე,  
გ. მაისურაძე, თ. წერეთელი, ს. ჯორბენაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ათარბეგოვის ქ. № 32. ტელეფონი—9-09-62

გადაეცა წარმოებას 15/II-67 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 14/IV-67 წ. ანაწყოების ზომა 7×12; ქალაქის ზომა 70×108; პირობით ფორმათა რაოდენობა 8,2; ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 6.

საქ. კვ ცვ-ის გამოცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინს ქ. № 14  
Полиграфкомбинат издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.

## ხალხი და მართლმსაჯულება

### 3. მაისურაძე,

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე

კანონიერების განმტკიცება, საბჭოთა მართლმსაჯულების წინაშე მდგომი ამოცანების სწორად გადაწყვეტა ყოველთვის იყო და იქნება პარტიული და საბჭოთა ორგანოების მზრუნველობის და ყურადღების ცენტრში.

საბჭოთა ხელისუფლების ჯერ კიდევ პირველ დღეებში გამოქვეყნდა დეკრეტი სასამართლოს შესახებ, ვ. ი. ლენინის მიერ ხელმოწერილი 1917 წლის 24 ნოემბერს. მასში მითითებული იყო აუცილებლობა ფართო საზოგადოების მონაწილეობისა მართლმსაჯულების განხორციელების საქმეში. აღნიშნულმა დეკრეტმა გააუქმა მეფის რუსეთის მანამდე არსებული სასამართლო უწყება და მყარი საფუძველი ჩაუყარა საბჭოთა სასამართლოს. დეკრეტმა პირდაპირ დაადგინა, რომ ადგილობრივ სახალხო სასამართლოებში საქმეს წყვეტს შემადგენლობა, რომელშიც შედის მუდმივი ადგილობრივი მოსამართლე და ორი მსაჯული. დეკრეტის მე-2 მუხლში მითითებული იყო, რომ მსაჯულები მოწვეული უნდა ყოფილიყვნენ ყოველ სესიაზე განსაკუთრებული საებით, რომლებსაც ადგენდნენ მოსამართლეები და ამტკიცებდნენ მშრომელთა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოები.

მართლმსაჯულების ორგანოები მჭიდროდ უნდა იყონ დაკავშირებული საზოგადოებრიობასთან და ფართოდ ჩააბან იგი სასამართლო საქმიანობაში. მისი მონაწილეობა და მხარდაჭერა სასამართლო ორგანოების საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების პირობაა.

სსრ კავშირში მართლმსაჯულების გატარების საქმეში მონაწილეობს მშრომელთა ფართო მასა—60 ეროვნების ნახევარ მილიონამდე სახალხო მსაჯული, რომელთა შორის ნახევარი ქალებია. მართო ჩვენს რესპუბლიკაში არჩეულია 11.096 სახალხო მსაჯული. ეს ნათელი დადასტურებაა იმისა, თუ როგორ ხორციელდება ვ. ი. ლენინის ზემოხსენებული ბრძნული მითითება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 28 დეკემბრის ბრძანებულებით, იმის გამო, რომ საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულების უფლებამოსილების ვადა მთავრდება მიმდინარე წლის თებერვალში აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დებუტატების აღმასკომმა, რაიონულმა და საქალაქო აღმასკომებმა მიმდინარე წლის თებერვალში უნდა ჩატარონ საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულების არჩევნები.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა თავის მხრივ 1966 წლის 30 დეკემბერს მიიღო დადგენილება საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულების არჩევნების ჩატარებისათვის მზადების შესახებ.



საქართველოს სსრ კონსტიტუციის 123 მუხლისა და საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების კანონის 24 მუხლის საფუძველზე რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების მსაჯულებს ირჩევენ მუშათა, მოსამსახურეთა და გლეხთა საერთო კრებებზე მათი სამუშაო ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, სამხედრო მოსამსახურეთა საერთო კრებებზე, სამხედრო ნაწილებში ღია კენჭისყრით 2 წლის ვადით.

სახალხო მსაჯულთა ასარჩევად საერთო კრებებს იწვევენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მშრომელთა საზოგადოებრიობა. ამომრჩეველთა რაოდენობა 100 კაცზე ნაკლები არ უნდა იყოს. იმ შემთხვევაში თუ ამომრჩეველთა რიცხვი 100 კაცზე ნაკლებია, არჩევნები მოხდება სხვა საწარმოების, დაწესებულებების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამხედრო ქვედანაყოფების კოლექტივებთან ან დასახლებულ პუნქტებში მცხოვრებ ამომრჩევლებთან ერთად.

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნების საერთო კრება უფლებამოსილად ითვლება, თუ მასში მონაწილეობს იმ ამომრჩეველთა უმრავლესობა, რომლებიც მუშაობენ ამ საწარმოში, დაწესებულებაში, კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში.

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს სახალხო მსაჯულთა არჩევნებში მონაწილეობას იღებს ყველა მოქალაქე, რომელსაც შესრულებელი აქვს 18 წელი.

სახალხო მსაჯულად შეიძლება არჩეულ იქნას სსრ კავშირის ყველა მოქალაქე, რომელსაც აქვს საარჩევნო უფლება და არჩევნების დღისათვის შეუსრულდა 25 წელი.

მართლმსაჯულების განხორციელებისას სახალხო მსაჯულებს დიდი უფლებები აქვთ. მაგალითად, საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების კანონის მე-17 მუხლში ჩაწერილია, რომ „სასამართლოში თავიანთი მოვალეობის შესრულების დროს სახალხო მსაჯულები სარგებლობენ მოსამართლის ყველა უფლებით“.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლით დაკანონებულია, რომ „...სახალხო მსაჯულები სარგებლობენ სამსჯავრო სხდომის თავმჯდომარის თანაბარი უფლებებით ყველა იმ საკითხის გადაჭრაში, რომელიც წარმოიშობა საქმის განხილვისა და განაჩენის დადგენის დროს“.

საქმის განხილვისას სახალხო მსაჯული თუ არ ეთანხმება მოსამართლის გადაწყვეტილებას ან განაჩენს, უფლება აქვს დაწეროს განსაკუთრებული აზრი.

სახალხო მსაჯულთა მოღვაწეობა სასამართლოს საქმიანობაში არ ისახლება სისხლისა და სამოქალაქო საქმეთა განხილვაში მხოლოდ მონაწილეობით. ისინი მოწოდებული არიან ასევე აქტიური მონაწილეობა მიიღონ საქმის სრულყოფილად განხილვისათვის მომზადებაში. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა თავისი 1962 წლის 14 მაისის დადგენილებით რეკომენდაცია მისცა სასამართლოებს მხარი დაუჭირონ, გაავრცელონ სახალხო მსაჯულებთან მუშაობის ახალი ფორმები და მეთოდები, უზრუნველყონ მათი აქტიური მონაწილეობა სასამართლოს ორგანოების მუშაობის, მართლწესრიგის განმტკიცებისა და დანაშაულობასთან ბრძოლის საქმეში.

ეს მუშაობა ყველაზე ეფექტური ჩანს იქ, სადაც შექმნილია სახალხო მსაჯულთა საბჭოები. მოვიყვანთ მაგალითს, თუ როგორ მუშაობს ერთი სახალხო სასამართლოს სახალხო მსაჯულთა საბჭო.

ქ. თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოსთან (თავმჯდომარე ო. ლლონტი) არსებული სახალხო მსაჯულთა საბჭო სწორად წარმართავს თავის საქმიანობას. ცნობილია, რომ ეს მუშათა რაიონია და აქ მართლმსაჯულების განხორციელებაში საზოგადოებრიობისა და აქტივის ჩაბმას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. სწორედ აქეთკენ არის მიმართული სახალხო მსაჯულთა საბჭოს (თავმჯდომარე ა. არეშიძე) მუშაობა. სახალხო მსაჯულთა საბჭოსთან არსებობს სექციები, რომლებიც ამოწმებენ ქონების უქონლობის აქტებს ისეთი კატეგორიის საქმეებზე, როგორც არის სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დატაცება, მითვისება, გაფლანგვა ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, სწავლობენ მთხოვნელთა საჩივრების კანონიერებას. მაგალითად, თვით ა. არეშიძემ შეამოწმა მოქალაქეების დ. ცხვრებოვისა და კ. გუჩმაზაშვილის საქმეები.

განსაკუთრებით საინტერესოა, რომ სახალხო მსაჯულთა საბჭოს წევრები სისტემატურად ამოწმებენ, თუ როგორ შრომით საქმიანობას ეწევიან და რა ღონისძიებას ახორციელებენ ის კოლექტივები და ორგანიზაციები, რომლებსაც სასამართლოს განაჩენით აღსაზრდელად და გამოსასწორებლად გადაეცათ ცალკეული მსჯავრდებული პირები. მაგალითად, სახალხო მსაჯულთა საბჭოს წევრთა შემოწმებით დადგინდა, რომ მძღოლი კ. ტეგეტაშვილი, რომელიც აღსაზრდელად და გამოსასწორებლად გადაეცა № 2656 ავტოკოლონის ადმინისტრაციას, დადებითად ხასიათდება, შემჩნეული არ არის რაიმე ცუდ საქმიანობაში. ასევე კარგად ხასიათდება მილიციის არასაუწყებო დაცვის ბრიგადირი ვ. მარტიაშვილი, რომელსაც ადმინისტრაციამ მადლობაც კი გამოუცხადა. იგივე ითქმის მე-5 ავტოსატრანსპორტო კანტორის მძღოლ ა. ლაშქარაშვილზე.

ცუდად როდი მუშაობს ქ. თბილისის პირველი მაისის სახალხო სასამართლოსთან (თავმჯდომარე ო. ისაკაძე) არსებული სახალხო მსაჯულთა საბჭო.

რესპუბლიკაში ცოტა როდი გვყავს ისეთი სახალხო მსაჯული, რომელიც თავის შრომით საქმიანობას კარგად უხამებს სასამართლოს საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას. ერთ-ერთი მათგანია სოციალისტური შრომის გმირი, ქობულეთის რაიონის სოფელ ალაშბრის კოლმეურნეობის წევრი, პერსონალური პენსიონერი დ. ნიჟარაძე.

სოფელში მეზობლებს ან ნათესავებს შორის თუ რაიმე წალაპარაკება ან სამოქალაქო დავა მოხდა, სანამ სახალხო სასამართლოში დავას აღძრავდნენ, აუცილებლად დ. ნიჟარაძეს კითხავენ რჩევა-დარიგებას. ვინ იცის, რამდენი ადამიანი შეურიგებია ერთმანეთთან და სწორად გადაუწყვეტია საკითხი, რის შემდეგ არც ერთ მხარეს აზრადაც არ მოსვლია მიემართა სასამართლოსათვის.

ასევე დიდი პატივისცემით სარგებლობს ბათუმის რაიონის სოფელ ახალშენში ცნობილი მეჩაიე სოციალისტური შრომის გმირი, სახალხო მსაჯული მ. პარასკევოპულო, რომლის მართალი და ჭკვიანი სიტყვისა ყველას სჯერა სოფელში.

თუ ამჟამად აჭარის ასს რესპუბლიკაში გასულ წელთან შედარებით საკმაოდ გაუმჯობესდა სასამართლო ორგანოების მუშაობა, ამ საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი სახალხო მსაჯულებსაც მიუძღვით. ესენი არიან: ბათუმის რაიონის სოფელ თხილნარის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ს. ზაქარიაძე, ბათუმის გემთსაშენებელი ქარხნის მუშაკი ს. სიხარულიძე, ბათუმის მექანიკუ-

რი ქარხნის ტექნიკური განყოფილების უფროსი ე. კაკაბაძე, ბათუმის რაიონის სოფელ ლედვას საქმიანობის უზენის ექიმის თანაშემწე ნ. ანანიძე და სხვანი.

ქალაქ სოხუმის ელექტროხელსაწყოების ქარხნის მუშაკი, სახალხო მსაჯული შ. არშვა, ქალაქის სახალხო სასამართლოსთან არსებული სახალხო მსაჯულთა საბჭოს წევრია. დაქირებულ მოვალეობას იგი ყოველთვის კეთილსინდისიერად ასრულებს, აქტიურ მონაწილეობას იღებს სასამართლოს საქმიანობაში.

თავიანთ სამუშაო უზნებზე ავტორიტეტით სარგებლობენ და კანონიერების განმტკიცების საქმეში აქტიურად მონაწილეობენ სახალხო მსაჯულები — გუდაუთის რაიონის საშუალო სკოლის მასწავლებელი, ეროვნებით პოლონელი კ. ტარდავა, სოხუმის აერობორტის ინჟინერი ვ. იურტაევი, გულრიფშის საავადმყოფოს მედიცინის და ო. შონია, ოჩამჩირელი აგრონომი მ. ზარანდია და სხვები.

ქ. ცხინვალში ყველა იცნობს რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს დ. მანიევს, რომელიც ამჟამად პენსიაზეა გასული. მას არც ახლა გაუწყვეტია კავშირი საყვარელ თეატრთან და ამავე დროს კეთილსინდისიერად ასრულებს სახალხო მსაჯულის მოვალეობას.

სახალხო მსაჯულები ქ. ცხინვალის სატყეო კომბინატის მუშა ხ. მამისთვალოვი, ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის ინსტრუმენტების და საქესპერიმენტო სამქროს უფროსი ვ. ივანოვი, პლასტმასის ქარხნის სამრეწველო განყოფილების ინჟინერი გ. კაკაბაძე, საქვაჭრობის მუშაკი ნ. სარვაძე, № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკის მუშაკი ნ. დანდუროვი პასუხისმგებლობით ეკიდებიან მსაჯულის მოვალეობას. სამსჯავრო სხდომის გასვლამდე სწავლობენ საქმეს, ანალიზს უკეთებენ მას და ამოწმებენ, რამდენად სწორად აქვს წარდგენილი სამართალში მიცემულს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლი.

იმის მაგალითებიც არის, რომ სახალხო მსაჯული არ ასრულებს ამომრჩეველთა ნდობას, თავს არიდებს სასამართლო პროცესში მონაწილეობას. ზოგიერთ სახალხო სასამართლოში კი უგულვებელყოფილია სახალხო მსაჯულთა საბჭოს მუშაობის როლი და მნიშვნელობა. მაგალითად, გარდაბნის, საჩხერის, სამტრედიის, ფოთის სახალხო სასამართლოებში ჯერ კიდევ სრულად არ აფასებენ სახალხო მსაჯულთა მუშაობის მნიშვნელობას, რის გამო ზემოთ დასახელებულ ქალაქებსა და რაიონებში ამ მხრივ ჯერ კიდევ არასახარბიელო მდგომარეობაა.

ცხადია, სახალხო მსაჯულებად არჩეული არიან მოწინავე ადამიანები, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისინი არ საჭიროებდნენ საჭირო დახმარებას.

თებერვალში ჩვენს რესპუბლიკაში არჩეული უნდა იქნას 11000-მდე სახალხო მსაჯული. ეს კა დიდ ამოცანებს გვისახავს, რადგან სახალხო მსაჯულთა კარგად, გულისხმიერად შერჩევა ერთ-ერთი ძირითადი პირობაა სასამართლო ორგანოების სწორი მუშაობისა სოციალისტური მართლმსაჯულების განხორციელების საქმეში.

# სისხლისსამართლებრივი ღვაწლის ხანდაზმულობის პაღები



## 3. მუხვნიერაჰმ

1. კანონმდებლობაში ხანდაზმულობის შესახებ მნიშვნელოვანი მოვლენა იყო „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლები“ მიღება. „საფუძვლების“ 41-ე და 42-ე მუხლები ხანდაზმულობის ვადების განსაზღვრის დროს იმავე პრინციპებს ემყარებიან, რასაც წინათ მოქმედი კანონმდებლობა, კერძოდ ხანდაზმულობის ვადები იმაზეა პირდაპირ დამოკიდებული თუ რა სიმძიმის დანაშაულია ჩადენილი. „საფუძვლების“ 41-ე მუხლი, რომელშიც ლაპარაკია სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობაზე, ამ ვადებს სამ კატეგორიად ყოფს.

ხანდაზმულობის ვადა — სამი წელი დაწესებულია დანაშაულისათვის, რისთვისაც კანონით შეიძლება დაინიშნოს თავისუფლების აღკვეთა ვადით არაუმეტეს ორი წლისა ან სასჯელი, რომელიც დაკავშირებული არ არის თავისუფლების აღკვეთასთან.

ხანდაზმულობის ხუთწლიანი ვადა დაწესებულია დანაშაულისათვის, რისთვისაც კანონით შეიძლება დაინიშნოს თავისუფლების აღკვეთა ვადით არაუმეტეს ხუთი წლისა.

ხანდაზმულობის ათწლიანი ვადა მოიცავს ყველა დანაშაულს, რისთვისაც კანონით შეიძლება დაინიშნოს უფრო მკაცრი სასჯელი, ვიდრე თავისუფლების აღკვეთა ხუთი წლის ვადით.

ამასთან ერთად, „საფუძვლები“ უფლებას ანიჭებს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობას დააწესოს უფრო შემცირებული ხანდაზმულობის ვადები ცალკეული დანაშაულისათვის, რაც გამოყენებულ იქნა კიდევ ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის მიერ.

სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ამ დიფერენცირებული ვადების გარდა, საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა იცნობს აგრეთვე სხვა სახის ხანდაზმულობას, რომელიც ითვალისწინებს უფრო ხანგრძლივ ვადას სისხლისსამართლებრივი დევნის შესაწყვეტად. ამ ხანდაზმულობის არსი იმაში მდგომარეობს, რომ პირი არ შეიძლება მიცემულ იქნეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში, თუ დანაშაულის ჩადენის დღიდან გავიდა თხუთმეტი წელი, მიუხედავად ჩადენილი დანაშაულის ხასიათისა.

ამრიგად, „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების“ 41-ე მუხლისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების მიხედვით დანაშაულის ჩადენის დღიდან დენას იწყებს ხანდაზმულობის ორი სახე: 1. სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობა, და 2. მსჯავრის დადების ხანდაზმულობა. თუმცა კანონში პირდაპირ მითითებული არ არის, რომ თხუთმეტწლიანი ხანდაზმულობა ეს მსჯავრის დადების ხანდაზმულობაა, მაგრამ ხანდაზმულობის ეს სახე სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში მიჩნეულია მსჯავრის დადების ხანდაზმულობად. საფუძველი ხანდაზმულობის ორივე ამ სახისათვის ერთიანი იგივეა, გამოყენება კი სხვადასხვანაირად ხდება. სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობისათვის კანონი ადგენს წესებს, რომლის მიხედვითაც იგი გამოიყენება იმ პირთა მიმართ, რომლებიც დანაშაულის ჩადენის შემდეგ თავს არიდებენ სასამართლოსა და გამოძიებას.

მსჯავრის დადების ხანდაზმულობის გამოყენების დროს, კანონი აწესებს

მხოლოდ ერთ მოთხოვნას, კერძოდ, დანაშაულის ჩადენიდან გასული უნდა იქნას 15 წელი, იმ პირობით, რომ ამ სახის ხანდაზმულობა წყდება ყოველი ახალი დანაშაულის ჩადენით.

აქედან გამომდინარე ჩანს, რომ კანონმდებლის მიდგომა ერთნაირი არ არის იმ პირებისადმი, რომლებიც დანაშაულის ჩადენის შემდეგ არ ემალებიან გამოძიებასა და სასამართლოს და იმ პირებისადმი, რომლებიც ემალებიან გამოძიებასა და სასამართლოს. პირველთა მიმართ კანონი აწესებს ხანდაზმულობის დიფერენცირებულ ვადებს. ეს ვადები პირდაპირ დამოკიდებულია პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეზე, ხოლო იმ პირების მიმართ, რომლებიც ემალებიან გამოძიებასა და სასამართლოს, გამოიყენება მხოლოდ 15 წლიანი ხანდაზმულობა, იმისდა მიუხედავად, თუ რა დანაშაული აქვთ მათ ჩადენილი. ამიტომ, მანამდე სანამ გადაწყდება, თუ ხანდაზმულობის რომელი სახე უნდა იქნას გამოყენებული დამნაშავე პირის მიმართ, უნდა დადგინდეს, ემალებოდა თუ არა იგი გამოძიებას ან სასამართლოს<sup>1</sup>, თუ ემალებოდა, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ვინაიდან ასეთი პირებისათვის კანონი აწესებს მხოლოდ ერთ ვადას — 15 წელს.

ჩვენის აზრით, გაუმართლებელია, რომ არ არის დაწესებული ხანდაზმულობის დიფერენცირებული ვადები იმ პირთა მიმართ, რომლებიც ემალებიან გამოძიებასა და სასამართლოს. კანონი ამ მხრივ ერთნაირად უდგება იმ პირს, რომელმაც ჩაიდინა შედარებით უმნიშვნელო დანაშაული, რისთვისაც დაწესებულია მსუბუქი სასჯელი და იმასაც, ვინც ჩაიდინა მძიმე დანაშაული, რისთვისაც გათვალისწინებულია სასჯელის მკაცრი ზომა.

ამ მხრივ სწორად იქცევა ზოგიერთი ქვეყნის სისხლის სამართლის კანონმდებლობა, რომელიც აწესებს ხანდაზმულობის დიფერენცირებულ ვადებს ამ კატეგორიის დამნაშავეთა მიმართაც. ასე მაგალითად, იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით ამ კატეგორიის პირთა მიმართ ხანდაზმულობის ვადები დიდდება ორჯერ, იმათთან შედარებით ვინც არ ემალება გამოძიებასა და სასამართლოს.

ზემონათქვამის შესაბამისად, ჩვენის აზრით, მიზანშეწონილი იქნებოდა „სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების“ 41-ე მუხლის მე-4 ნაწილი შემდეგნაირად ჩამოყალიბებულიყო:

„თუ პირი, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული, ემალება გამოძიებასა და სასამართლოს, ამ მუხლის I ნაწილში აღნიშნული ვადები ორჯეცდება...“.

ხანდაზმულობის ვადების საკითხში, ჩვენის აზრით, ადგილი აქვს სხვა ნაკლოვანებებსაც, რაც იმაში მდგომარეობს, რომ „საფუძვლების“ 41-ე მუხლში დარღვეულია თანაფარდობის პრინციპი ხანდაზმულობის ვადასა და მოსალოდნელ სასჯელს შორის. ხანდაზმულობის ვადა ხანგრძლივობის მიხედვით ჩვეულებრივ ყოველთვის უფრო დიდია იმ სასჯელთან შედარებით, რომელიც შეიძლება დაინიშნოს გარკვეული კონკრეტული დანაშაულისათვის. იშვიათად ხანდაზმულობის ვადისა და მოსალოდნელი სასჯე-

1. მხედველობაში გვაქვს ხანდაზმულობის ვადის ხანგრძლივობა და არა საკითხის პროცესუალური მხარე, ვინაიდან „საფუძვლების“ 41-ე მუხლში ნათქვამია, რომ იმ დანაშაულისათვის, რომლისთვისაც კანონით გათვალისწინებულია სიკვდილით დასჯა, ხანდაზმულობის საკითხს წყვეტს სასამართლო და ამ შემთხვევაში დანაშაულის სიმძიმეს რა თქმა უნდა აქვს მნიშვნელობა.

ლის ხანგრძლივობა ერთნაირია. ასე (მაგალითად, თუ „საფუძვლების“ 41-ე მუხლში ხანდაზმულობის ვადები პირველ ორ კატეგორიაზე პასუხობენ მოთხოვნებს, რაც აუცილებელია ხანდაზმულობის ვადასა და მოსალოდნელ სასჯელს შორის ერთგვარი პროპორციის დასაწესებლად, ბოლო კატეგორიის მიმართ, სადაც ლაპარაკია ხანდაზმულობის ათწლიან ვადაზე, საჭირო პროპორცია დარღვეულია.

ხანდაზმულობის ვადის ხანგრძლივობის თვალსაზრისით მოქმედი კანონმდებლობის ნაკლია ისიც, რომ ჩვენის აზრით კანონი არ ითვალისწინებს ხანდაზმულობის შეღავათიან ვადებს არასრულწლოვანებისათვის. ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 55-ე მუხლი, რომლითაც კანონით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადები სანახევროდ მცირდება, თუ დანაშაული ჩადენილია არასრულწლოვანის მიერ.

არასრულწლოვან დამნაშავეებისათვის შეღავათიანი ხანდაზმულობის ვადების შემოღება სავსებით შეესაბამება იმ ამოცანებს, რომლებიც დგას სისხლის სამართალში ხანდაზმულობის ინსტიტუტის წინაშე.

ამიტომ ჩვენ წინადადებას ვაყენებთ „საფუძვლების“ 41-ე მუხლს დაემატოს მე-6 ნაწილი: „ამ მუხლით დაწესებული ხანდაზმულობის ვადები სანახევროდ მცირდება, თუ დანაშაული ჩადენილია არასრულწლოვანის მიერ“.

2. საბჭოთა სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში ერთგვარად სადავოდ იქცა საკითხი იმის შესახებ, თუ რა უნდა იყოს ხანდაზმულობის ვადის გამოთვლის საფუძველი — ის სასჯელი, რაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კანონით მოცემული დანაშაულის შემადგენლობისათვის, თუ სასჯელი, რაც შეუფარდა სასამართლომ პირს კონკრეტული დანაშაულის ჩადენისათვის. „საფუძვლების“ 41-ე მუხლი ამ საკითხზე გარკვეულ პასუხს იძლევა: საზომია სასჯელი, რომელიც შეიძლება დამნაშავეს დაენიშნოს კანონით, ე. ი. აღებულია სასჯელის მაქსიმუმი, რასაც კანონი ითვალისწინებს ამ დანაშაულისათვის.

საბჭოთა სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში ამ საკითხზე გამოითქვა შეხედულება, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც ხანდაზმულობას იყენებენ საგამომძიებლო ორგანოები, უნდა გამოვიდეთ სასჯელის მაქსიმალური ზომის პრინციპიდან, ხოლო თუ ხანდაზმულობას იყენებს სასამართლო, მაშინ „სასამართლო უნდა გამოვიდეს არა სასჯელის უმაღლესი ზღვარიდან, რაც გათვალისწინებულია იმ მუხლის საჩქიით, რითაც დაკვალიფიცირებულია პირის დანაშაული, არამედ სასჯელის იმ ზომიდან რომელსაც განსაზღვრავს სასამართლო მოცემული დანაშაულისათვის, მისი საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის გათვალისწინებით.“<sup>2</sup>

ამ შეხედულებას მისი ავტორი იმით ასაბუთებდა, რომ დანაშაულს, რომელიც შეიცავს ერთ და იმავე შემადგენლობას, შესაძლოა ახასიათებდეს საზოგადოებრივი საშიშროების სხვადასხვა ხარისხი და ამიტომ არ იქნება სამართლიანი პირების მიმართ, რომლებმაც ჩაიდინეს სხვადასხვა სიმძიმის დანაშაული, გამოყენებულ იქნას ხანდაზმულობის ერთნაირი ვადები.<sup>3</sup>

ამ შეხედულებას არ შეიძლება დავეთანხმოთ. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლებს 41-ე

<sup>2</sup> იხ. А. Д. Соловьев, «Вопросы применения наказания по советскому уголовному праву» М., 1958, стр. 186.

<sup>3</sup> იქვე გვ. 185—186.

მუხლში<sup>4</sup> ლაპარაკია სწორედ იმ სასჯელზე, რომელიც შეიძლება მოცემული იქნას დანაშაულისათვის დანიშნოს კანონით. რაც შეეხება სამართლიანობის პრინციპს, რაზედაც ლაპარაკობს ა. დ. სოლოვიოვი, მისი შეხედულების გაზიარება სწორედ სამართლიანობის საწინააღმდეგო იქნებოდა, რადგან შეიქმნებოდა ისეთი ვითარება, როდესაც ერთსა და იმავე პირს ერთი და იგივე დანაშაულისათვის წინასწარ და სამსჯავრო გამოძიებაში შემთხვევით გარემოებათა გამო შეიძლება შეეფარდოთ ხანდაზმულობის სხვადასხვა ვადა. ამიტომ ჩვენ ვეთანხმებით საბჭოთა კრიმინალისტიკის უმრავლესობას, რომლებიც თვლიან, რომ ხანდაზმულობის ვადა პირდაპირ დამოკიდებულია არა ინდივიდუალურ სასჯელზე, არამედ მოცემული კატეგორიის დანაშაულზე და შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარემოებები, რომლებიც არ ცვლიან ქმედობის კვალიფიკაციას ხანდაზმულობის ვადაზე გავლენას არ ახდენენ<sup>5</sup>.

ერთგვარ სიძნელესთან არის დაკავშირებული ხანდაზმულობის შეფარდება მოკვლევის ორგანოებში, როდესაც საქმე აღძრულია ფაქტთან დაკავშირებით და დამანაშავე პირი გამოძიებისათვის უცნობია. ეს პირი შეიძლება არ ემალეოდეს გამოძიებასა და სასამართლოს, მაგრამ გამოძიებისათვის მაინც უცნობი იყოს, ამიტომ ის შეზღუდვები, რომლებსაც ითვალისწინებს „საფუძვლების“ 41-ე მუხლი მასზე არ უნდა გავრცელდეს.

ხანდაზმულობის ვადების შეფარდების სადავო საკითხების განხილვის შედეგად ჩვენ მივიდით იმ დასკვნამდე, რომ ხანდაზმულობის ვადაზე გავლენას ახდენს მხოლოდ შეცვლა სასჯელისა, რომელიც დაკავშირებულია დანაშაულის კვალიფიკაციის შეცვლასთან. მაგრამ ხშირად სასჯელის შეცვლა იმ გარემოებაზეა დამოკიდებული, რომლებიც კანონით დამამძიმებლად ან შემამსუბუქებლად ითვლებიან. „საფუძვლების“ 41-ე მუხლში და მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამის მუხლებში ნათქვამია, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობა დამოკიდებულია იმ სასჯელზე, რაც გათვალისწინებულია კანონით ამ დანაშაულისათვის. ამგვარად, ზოგადი გარემოებანი, რომლებიც არ ცვლიან დანაშაულის კვალიფიკაციას და ცვლიან მხოლოდ სასჯელს კანონით დადგენილ ფარგლებში, ხანდაზმულობის ვადაზე გავლენას არ ახდენენ.

ხანდაზმულობის ვადების გამოთვლის ზემოთქმული წესები ვრცელდება მხოლოდ დამთავრებულ დანაშაულზე. პრაქტიკაში შეიძლება აუცილებელი გახდეს ხანდაზმულობის შეფარდება არა მარტო დამთავრებული დანაშაულისათვის, არამედ აგრეთვე დანაშაულის მცდელობისათვის, ან დანაშაულის მომზადებისათვის. როგორ წყდება ხანდაზმულობის საკითხი დანაშაულის მომზადების ან მცდელობის დროს? „საფუძვლების“ მე-15 მუხლის თანახმად „დანაშაულისათვის მზადებისა და დანაშაულის მცდელობისათვის სასჯელი დანიშნება იმ კანონით, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ამ დანაშაულისათვის. სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს დამანაშავის მიერ ჩადენილი მოქმედების საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათსა და ხარისხს, დანაშაუ-

<sup>4</sup> ა. დ. სოლოვიოვმა თავის ნაშრომი გამოაქვეყნა „საფუძვლების“ მიღებამდე, მაგრამ ამ საკითხში „საფუძვლების“ არ განსხვავდება მის წინ მოქმედი კანონმდებლობისაგან, რომელიც ლაპარაკობდა რა სასჯელზე, რომელიც ემუქრებოდა პირს დანაშაულისათვის, მხედველობაში ჰქონდა კანონით დანიშნული სასჯელი. ამის შესახებ იხ. «Советское уголовное право». Общая часть, М., 1952, стр. 391.

<sup>5</sup> იხ. Научно-практический комментарий к Основам уголовного законодательства Союза ССР и союзных республик. Изд. 2, 1961, стр. 165., Комментарий к уголовному кодексу РСФСР, изд. Ленинград.

ლებრივი განზრახვის განხორციელების ხარისხს და მიზეზებს, რომელთა გამო დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი“.

როგორც ამ მუხლის შინაარსიდან ჩანს, კანონი აუცილებლად არ თვლის სასჯელის შემსუბუქებას დანაშაულის მზადებისა და მცდელობისათვის. ამიტომ ხანდაზმულობის ვადა დანაშაულის მომზადებისა და მცდელობისათვის ისეთივე იქნება, როგორც დამთავრებული დანაშაულისათვის. აქაც გარემოებები, რომლებსაც მნიშვნელოვანი როლი აქვთ მიკუთვნებული სასჯელის დანიშვნისას, ქმედობის კვალიფიკაციის შეცვლის გარეშე, ხანდაზმულობაზე არავითარ გავლენას არ ახდენენ. ეს წესი ვრცელდება ხანდაზმულობის ვადის გამოთვლისას ცალკეულ თანამონაწილეთა მიმართაც, რადგან „საფუძვლების“ მე-17 მუხლი მოითხოვს, რომ „სასამართლომ სასჯელის დანიშვნის დროს გაითვალისწინოს დანაშაულის ჩადენაში ყოველი თანამონაწილის მონაწილეობის ხარისხი და ხასიათი“. ამიტომ, ვინაიდან კანონით დადგენილ სასჯელის ზომაზე შეიძლება გავლენას ახდენდეს მხოლოდ თანამონაწილეობის ხარისხი, ხანდაზმულობის ვადა ერთნაირი იქნება როგორც ამსრულებლის, ისე წამქეხებლის, ორგანიზატორისა და დამხმარესათვის. საკითხის ასეთი გადაწყვეტა იმითაა გამოწვეული, რომ კანონით ხანდაზმულობას წყვეტს არა მარტო სასამართლო. იმის გამო, რომ ხანდაზმულობის შეფარდება შეუძლია გამოძიების ორგანოსაც, ამ უკანასკნელისათვის იმ უფლების მინიჭება, რომ თავისი შეხედულებით გადაწყვიტოს სასჯელის ზომის საკითხი დანაშაულის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებათა გათვალისწინებით, იქამდე მიგვიყვანდა, რომ მივიანიჭებდით მას იმ უფლებებს, რასაც კანონი არ ითვალისწინებს. ხანდაზმულობის საკითხის შეფარდებისას სუბიექტურ მიდგომას კრძალავს „საფუძვლების“ 41-ე მუხლი, რომლის მიხედვით ხანდაზმულობის ვადა თანაზომიერი უნდა იყოს იმ სასჯელისა, რაც გათვალისწინებულია კანონით და არა იმისა, რასაც დანიშნავს სასამართლო. ამით კანონმდებელი აწესებს ხანდაზმულობის საერთო საზომს როგორც სასამართლო, ისე გამოძიების ორგანოებისათვის.

ცნობილია, რომ ხანდაზმულობის ვადის დამთავრება პირს ათავისუფლებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან. მაგრამ როგორ მოვიქცეთ, თუ ხანდაზმულობის ვადის დასრულებამდე დარჩენილია რამდენიმე დღე, ამსუბუქებს თუ არა ეს დამნაშავის მდგომარეობას<sup>6</sup>.

თუ საკითხს ფორმალური მხრივ განვიხილავთ, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ ამ შემთხვევაში ხანდაზმულობა არ უნდა შევეფარდოთ. მოქმედი კანონმდებლობა გამოდის ზოგადი დებულებიდან, რომლის თანახმად ხანდაზმულობის ვადა განიხილება, როგორც ერთიანი, განუყოფელი და მისი შეფარდება შესაძლებელია მხოლოდ ამ ვადის მთლიანად გასვლის შემდეგ და ერთი დღეც თუ აკლია ვადის გასვლას, მისი შეფარდება არ შეიძლება. ასეთი გადაწყვეტა საკითხისა წინააღმდეგობას არ იწვევს, ვინაიდან ხშირად ამა თუ იმ უფლების მოპოვება დამოკიდებულია ფორმალურად გარკვეული დროის გასვლასთან.

6. სისხლის სამართლებრივ ლიტერატურაში ამ საკითხზე გამოითქვა შეხედულება, რომ თუ არ გავიდა ხანდაზმულობის სრული ვადა ამან მაინც უნდა შეამსუბუქოს დამნაშავის პასუხისმგებლობა. ამ შეხედულებას იზიარებდენ მე-19 საუკუნის კრიმინალისტები, რუსი კრიმინალისტებიდან ა. ლოხვიციკი. ა. ლოხვიციკი მოითხოვდა კანონში გათვალისწინებული ყოფილიყო სასჯელის პროგრესიული შემცირება ვასული ხანდაზმულობის ვადის მიხედვით (იხ. А. Лохвицкий. Курс русского уголовного права», С. Петербург, 1867, стр. 272). დღეისათვის მოქმედ კანონმდებლობიდან მხოლოდ მცირე ნაწილმა გაიზიარა ეს პრინციპი.



3. ხანდაზმულობის ვადების სწორად გამოთვლისათვის აუცილებელია ვადის დასაწყისის დასაზღვრად გინდეს ხანდაზმულობის ვადის დაწყების მომენტი. „საფუძვლების“ 41-ე მუხლში პირდაპირ არის ნათქვამი: „პირი არ შეიძლება მიცემულ იქნეს პასუხისგებაში თუ მის მიერ დანაშაულის ჩადენის დღიდან გავიდა შემდეგი ვადები“. მაშასადამე ხანდაზმულობის ვადის დასაწყისად ითვლება ის დღე, როდესაც ჩადენილია დანაშაული.

ერთგვარ სიძნელესთან არის დაკავშირებული საკითხი, რომელი მომენტიდან უნდა გამოვითვალოთ ხანდაზმულობის ვადები ისეთ დანაშაულზე, რომელთა შემადგენლობისათვის აუცილებელია გარკვეული შედეგის დადგომა: ქმედობის ჩადენის თუ შედეგის დადგომის მომენტიდან. ამ საკითხს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რადგან ზოგჯერ შედეგი შეიძლება დადგეს ქმედობის ჩადენიდან დიდი ხნის გავლის შემდეგ.

ის კრიმინალისტები, რომლებიც დანაშაულის ჩადენის მომენტად თვლიან შედეგის დადგომას, ბუნებრივია, ამ დროიდანვე იწყებენ ხანდაზმულობის ვადის გამოთვლას. რუსულ რევოლუციამდელ ლიტერატურაში ამ თვალსაზრისზე იდგა პროფ. ნ. ს. ტაგანცევი<sup>7</sup>.

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებულია სხვა თვალსაზრისი. კერძოდ, დანაშაულის ჩადენის მომენტად ითვლება არა შედეგის დადგომის დრო, არამედ საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ჩადენის დრო, რომელიც კონკრეტული დანაშაულის ობიექტურ მხარეს ქმნის. ამ შეხედულებას საფუძვლად უდევს ის, რომ სისხლის სამართალი მიმართულია პიროვნებისაკენ და მოითხოვს მისგან თავი შეიკავოს გარკვეული ნებითი ქმედობისაგან. ეს ქმედობა პირის დანაშაულებრივი ნების განხორციელებაა და განსაზღვრავს მის საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათს და ამიტომ შედეგი არ წარმოადგენს რა ქმედობის ელემენტს, შესაძლოა დროში ჩამორჩებოდეს მას<sup>8</sup>. აქედან თანმიმდევრულად გამომდინარეობს, რომ ხანდაზმულობის დენა იწყება თვით ქმედობის ჩადენის მომენტიდან.

უმოქმედობის შემთხვევაში ხანდაზმულობის დენა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც პირს უნდა შეესრულებინა შესაფერისი მოქმედება.

გარკვეულ სიძნელესთან არის დაკავშირებული იმ დღის დადგენა, რომლიდანაც გამოითვლება ხანდაზმულობის ვადა დენადი და განგრძობადი დანაშაულისათვის. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა 1929 წლის 4 მარტის დადგენილებაში — „დენადი და განგრძობადი დანაშაულის დროს ხანდაზმულობისა და ამნისტიის შეფარდების შესახებ“ — მიუთითა, რომ განგრძობად დანაშაულად უნდა ჩაითვალოს „დანაშაული, რომელიც შედგება ერთგვაროვანი დანაშაულებრივი ქმედობებიდან, რომელიც მიმართულია ერთი მიზნისაკენ და თავისი ერთობლიობით შეადგენს ერთ დანაშაულს“<sup>9</sup>.

განგრძობადი დანაშაული იქნება მავალითად ქურდობა, თუ ის რამდენჯერმეა ჩადენილი ერთი და იმავე პირის მიერ ერთი ადვილიდან, მაგრამ სხვადასხვა დროს. ამ დროს დიდი მნიშვნელობა აქვს ხანდაზმულობის ვადის დაწყების მომენტის

<sup>7</sup> იხ. Н. С. Таганцев, Русское уголовное право, Лекций, 1902, стр. 1435.

<sup>8</sup> იხ. М. И. Блум, Вопросы действия советского уголовного закона во времени. «Ученые записки Латвийского гос. университета им. П. Стучки, 1962, стр. 14—19.

<sup>9</sup> იხ. «Сборник постановлений Пленума Верховного Суда СССР 1924—1963» М., 1964, стр. 189.

დადგენას. რა მომენტიდან უნდა გამოითვალოს ხანდაზმულობა? ქურდობის თითოეული თუ საბოლოო აქტიდან?

ზოგიერთი კრიმინალისტი ფიქრობს, რომ რამდენადაც ყოველი ცალკეული დანაშაულებრივი აქტი, რომელიც შედის განგრძობად დანაშაულში, თავისთავად დამთავრებული დანაშაულებრივი ქმედობაა, ამდენად ხანდაზმულობის ვადა უნდა გამოთვლილ იქნას ყოველი ცალკე აღებული დანაშაულიდან. ასეთ თვალსაზრისზე იდგა მაგალითად რევოლუციამდელი რუსი კრიმინალისტი ვ. საბლერი.

ამას ჩვენ არ შეგვიძლია დავეთანხმოთ. მიუხედავად იმისა, რომ განგრძობადი დანაშაული გარეგნულად შედგება დამოუკიდებელი, თითქოსდა დაქსაქსული დანაშაულებრივი ქმედობებისგან, ერთობა მიზნისა, რასაც ისახავს დანაშავე, ობიექტისა და საგნისა, დანაშაულებრივი აქტების იგივეობა და ა. შ. ისე შინაგანად აკავშირებენ ამ დანაშაულებრივ ქმედობებს, რომ იურიდიულად ისინი მთლიანად განიხილება როგორც ერთი დანაშაული. მაგრამ ამ შემთხვევაში დანაშაული დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს იმ უკანასკნელი ქმედობის დამთავრების შემდეგ, რომელიც შედის ამ ერთიან დანაშაულში და ამგვარად ამ მომენტიდან უნდა წარმოებდეს დანაშაულის ხანდაზმულობის ვადის გამოთვლა. ეს შეხედულება დამკვიდრებულია საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში და სასამართლო პრაქტიკაში. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს 1929 წლის 4 მარტის დადგენილებაში პირდაპირ მითითებულია, რომ „ხანდაზმულობის ვადები განგრძობადი დანაშაულის მიმართ გამოითვლება განგრძობადი დანაშაულის შემადგენელი უკანასკნელი დანაშაულებრივი ქმედობის მომენტიდან“<sup>10</sup>.

ანალოგიურად უნდა გადაწყდეს საკითხი დენადი დანაშაულის დროსაც. დენადი დანაშაული თავისი ბუნებით ძალიან გავს განგრძობად დანაშაულს. ეს მსგავსება იმაშია, რომ ეს ქმედობა კი არ ამოიწურება ერთი აქტით, არამედ ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივად გრძელდება. უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა 1929 წლის 4 მარტს დენადი დანაშაული განსაზღვრა, როგორც ისეთი ქმედობა, რომელიც გამოიხატება დანაშაულებრივი მდგომარეობის განუწყვეტლივ განხორციელებასა ან ხანგრძლივად იმ მოქმედების შეუსრულებლობაში, რასაც კანონი სისხლისსამართლებრივი წესით ემუქრება<sup>11</sup>.

პლენუმის ეს განმარტება გააკრიტიკა ვ. ნ. კულრიავეცემა. მას მიახნია, რომ „ყოველი დენადი დანაშაული იწყება აქტიური დანაშაულებრივი ქმედობის აქტით (ჯარის ნაწილის თვითნებურად დატოვება, იარაღის უნებართვოდ შექმნა, საპატრიმრო ადგილებიდან გაქცევა, ბანდაში შესვლა), ან დანაშაულებრივი უმოქმედობის აქტით შევებულების შემდეგ (სამხედრო მომსახურის გამოუცხადებლობა ნაწილში), რომელიც დამთავრებულ შემადგენლობად განიხილება, მაგრამ ამ დანაშაულთა ხანგრძლივობა განისაზღვრება არა პირველადი აქტით, არამედ შემდგომი უმოქმედობით, (დებურტირობა, იარაღის უნებართვოდ შენახვა, შეიარაღებულ ბანდაში მონაწილეობა), რომელიც დამნაშავის დაკავებამდე გრძელდება.

ამ შეხედულებასთან ახლოს დგას განმარტება, რაც განვითარებულია სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1963 წლის 14 მარტის დადგენილებაში, რომელმაც შეცვალა ზემოთ მითითებულ 1929 წლის 4 მარტის დადგენი-

<sup>10</sup> იქვე გვ. 190.

<sup>11</sup> В. Н. Кудрявцев, Объективная сторона преступления, Госюриздат, М., 1960, стр. 94



ლებს ზოგიერთი დებულება, პლენუმმა დენადი დანაშაული განსაზღვრა, როგორც „მოქმედება ან უმოქმედობა, რომელსაც თან ახლავს ხანგრძლივად შეუსრულებლობა მოვალეობისა, რასაც პირს აკისრებს კანონი სისხლისსამართლებრივი დევნის მუქარით“<sup>12</sup>.

ამ განმარტების შესაბამისად დენადი დანაშაული შედგება ორი ნაწილისაგან: 1. დანაშაულებრივი ქმედობისაგან, რაც ჩადენილია დადებითი მოქმედებით და არღვევს ამკრძალავ ნორმას და 2. დანაშაულებრივი უმოქმედობისაგან, რაც არღვევს ბრძანებით ნორმას. უმოქმედობის ელემენტებში ასეთი დეტალის შეტანა, ვფიქრობთ, მეტად სადავოა. ჩვენს მიერ ჩამოთვლილი ყველა დელიქტი არღვევს, მხოლოდ ამკრძალავ ნორმას და გამოყენებული საშუალების ხასიათით ან თვით მოქმედებით (ბანდაში ყოფნა) უკვე დამთავრებული დანაშაულია პირველი აქტის მომენტშივე, რომელიც ხანგრძლივად გრძელდება დროში.

ასევე იარაღის უკანონოდ შენახვა იმიტომ კი არ ითვლება დენად დანაშაულად, რომ იგი იწყება იარაღის უკანონოდ შექენით, ე. ი. მოქმედებით და შემდეგ გამოიხატება უმოქმედობაში, არამედ იმიტომ, რომ კანონმდებელი დანაშაულად თვლის უკვე თვით იარაღის შენახვას, რადგან იარაღის შენახვა დროში განუწყვეტელია. ასეთ დანაშაულს დენადად ვთვლით. იარაღის უკანონოდ შენახვის დროს პირველი აქტი — იარაღის შექენა—შეიძლება იყოს უკანონოც, თუ მაგალითად პირი მოიპარავს იარაღს და კანონიერიც თუ მან იარაღი შემთხვევით იპოვა. პირველ შემთხვევაში გვაქვს ორი დანაშაული — ქურდობა და იარაღის უკანონოდ შენახვა, ხოლო მეორე შემთხვევაში — მხოლოდ იარაღის უკანონოდ შენახვა. დენადი დანაშაულისათვის მნიშვნელოვანი და აუცილებელია ის მომენტი, რომ „განუწყვეტლივ ხორციელდებოდეს ქმედობა, რომელიც კანონის მიხედვით დანაშაულებრივად ითვლება“<sup>13</sup>.

პროფ. ვ. ნ. კულრიავეცის თვალსაზრისის გაზიარება მიგვიყვანდა იქამდე, რომ დენადად ჩაითვლებოდა ძალიან ბევრი დანაშაული, მაგალითად, ქონების გატაცება, რადგან აქაც პირველი აქტი — ქონების გატაცება გამოიხატება აქტიურ მოქმედებაში, ხოლო შემდეგ უმოქმედობაში: გამტაცებელი უმოქმედობს, არ სპობს უკანონოდ დაუფლებულ ნივთებს, ან არ უბრუნებს მას თავის პატრონს. სინამდვილეში, თუ პირი ჩაიდენს ქურდობას და შემდეგ ხანგრძლივი დროის მანძილზე ინახავს მოპარულ ნივთებს, აქ არა გვაქვს დენადი დანაშაული. ქურდობის შემადგენლობა ამოიწურება ქონების გატაცებით, ხოლო ყველა შემდგომი აქტი არ შედის ქურდობის შემადგენლობაში.

დენადი დანაშაულის დაყოფა აქტიურ მოქმედებად და უმოქმედობად, როგორც ამას აკეთებს ვ. ნ. კულრიავეცი, უსაფუძვლოა, თუნდაც იმიტომ, რომ ამ ავტორისვე აღიარებით მოყვანილ მაგალითებში კანონმდებელი დანაშაულებრივად თვლის თვით ქმედობას, ხოლო მომდევნო ქცევას პირისა, რომელიც უკანონოდ ინახავს იარაღს, ან უკანონოდ აღუკვეთს სხვა პირს თავისუფლებას, განიხილავს, როგორც ამ მოქმედების ნაწილს და არა უმოქმედობას.

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში საყოველთაოდ მიღებულია აზრი, რომ გაქცევა — დენადი დანაშაულია, თუმცა პლენუმის არც ერთი ზემოთ მითითებული დადგენილება მას არ იხსენიებს. ჩვენის აზრით, ეს დანაშაული დე-

<sup>12</sup> იხ. Сборник постановлений Пленума Верховного суда СССР 1924—1963. М., 1964, стр. 189.

<sup>13</sup> ვ. ტყემელიაძე, პასუხისმგებლობა დანაშაულის ერთობლიობისათვის, თბილისი, 1965, 33-44.

ნადად არ შეიძლება ჩაითვალოს. საბატიმროდან გაქცევა ორი აქტისგან შედგება. პირველია უფრო აქტიური მოქმედება, თავისუფლების აკვეთის ადგილის დატოვება და მეორე გარეგნულად უფრო ნაკლებად გამოხატული მოქმედება — მართლმსაჯულებისაგან თავის დაღწევა. პირველი მოქმედება მეორეს ტოლფასოვანი არ არის. თუ პირველს შეიძლება ვუწოდოთ გაქცევა, მეორეა სასჯელისაგან თავის არიდება. კანონმდებელი დანაშაულებრივად თვლის გაქცევას, ხოლო სასჯელისაგან თავის არიდებას არ თვლის დანაშაულად. თუ გავიზიარებთ იმ აზრს, რომ გაქცევა დენადი დანაშაულია, მაშინ ანალიზი ამ დანაშაულის ობიექტური მხარისა, ხანდაზმულობის ვადის შეფარდებასთან დაკავშირებით აბსურდამდე მიგვიყვანს. ასე მაგალითად, დენადი დანაშაული შეიძლება შეწყდეს როგორც ხელისუფლების ორგანოს ჩარევით, ისე თვით პირის მოქმედებით. (პირი თუ გამოვიდა ბანდიდან, გაათავისუფლა უკანონოდ თავისუფლებააღკვეთილი პირი, გადაადგო ან დააბრუნა უკანონოდ შენახული იარაღი და ა. შ.), ასეთ შემთხვევაში იქნება შესაძლებლობა პირი განთავისუფლდეს ხანდაზმულობით, ვინაიდან მის მსჯავრდებამდე შეიძლება გავიდეს განსაზღვრული დრო. პირიქით, თუ გაქცევას ჩავთვლით დენად დანაშაულად, მისი შეწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ აღიარებით პირის გამოცხადების ან მოკვლევის ორგანოების მიერ მისი დაკავების შემდეგ. განა შეიძლება ასეთ შემთხვევაში ხანდაზმულობაზე ლაპარაკი? ამგვარად, გამოდის, თითქოს ხანდაზმულობა არ შეიძლება გამოყენებული იქნას გაქცევის დროს. მაგრამ ასეთ შეზღუდვას სისხლის სამართალი არ იცნობს და პრაქტიკაშიც არაერთხელ შეუფარდებიათ ხანდაზმულობა ასეთ დანაშაულზეთა მიმართ. ამიტომ გაქცევა დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს თვით გაქცევის მომენტიდან და დანაშაულის ხანდაზმულობის ვადის გამოთვლაც უნდა მოხდეს საერთო წესით.

ნიშანდობლივია, რომ საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში ასეთი აზრი გამოთქვა პროფ. ვ. ნ. კულდრიავეცმა. მისი შეხედულებით, გაქცევის თვით ფაქტი საზოგადოებრივად საშიში ქმედობაა და იმსახურებს სასჯელს, მაგრამ არ არის იმის აუცილებლობა, რომ „გაქცეულ პირს დააკისრო იურიდიული მოვალეობა დაუბრუნდეს საბატიმროს და განიხილო ამ მოვალეობის შეუსრულებლობა, როგორც საზოგადოებრივად საშიში და სისხლისსამართლებრივი წესით დასასჯელი მოქმედება“<sup>14</sup>.

თავისებურებით ხასიათდება ხანდაზმულობის ვადის დაწყების მომენტის დადგენა დეზერტირობის დროს. საერთოდ, თვლიან, რომ დეზერტირობა გრძელდება იმ მომენტამდე, სანამ პირი გამოცხადდება აღიარებით ან სანამ იგი არ იქნება დაკავებული ხელისუფლების ორგანოების მიერ. ამგვარად, დეზერტირობის დროსაც ხანდაზმულობის საკითხი არ დგება. პროფ. ვ. ნ. კულდრიავეცი წინადადებას აყენებს შემდეგნაირად იქნეს ვადაწყვეტილი ეს საკითხი: „დეზერტირობა (ვაწვევისაგან თავის არიდება) დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს კერძოდ, იმ დროს, როცა ამ დანაშაულის სუბიექტი ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით უვარგისია სამხედრო დანაშაულისათვის. ეს არ გამორიცხავს მის პასუხისმგებლობას ქმედობისათვის, მაგრამ ამ მომენტიდან უნდა იქნას გამოთვლილი ჩადენილი დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი ხანდაზმულობის ვადა“<sup>15</sup>. საკითხის ასეთი გადაწყვეტა ჩვენ სავსებით მისაღებად მიგვაჩნია.

<sup>14</sup> В. Н. Кудрявцев, цит. раб., стр. 96.

<sup>15</sup> იქვე 83-95.

ვფიქრობთ, ასევე უნდა გადაწყდეს აღნიშნული საკითხი დანაშაულის მზადებისა და მცდელობის დროს.

სადავოდ შეიძლება მიჩნეულ იქნას ხანდაზმულობის ვადების დაწყების დღე თანამონაწილეობის დროს. რა უნდა ჩაითვალოს ამ დღედ, ამსრულებლის მიერ ჩადენილი ქმედობა, თუ ცალკეული თანამონაწილის მიერ შესრულებული შესაბამისი აქტი?

ვინაიდან დანაშაულის ყოველი მონაწილე ასრულებს გარკვეული ქმედობის შემადგენლობას, ამიტომ თვითეული თანამონაწილისათვის დენას იწყებს ხანდაზმულობის დამოუკიდებელი ვადა.

გარკვეული სიძნელეები გვხვდება ხანდაზმულობის შეფარდებაში განუცხადებლობის დროსაც. ვინაიდან განუცხადებლობა ითვლება დენად დანაშაულად, ამიტომ ხანდაზმულობის ვადის დენის დასაწყისს მომენტად ჩაითვლება დღე, როდესაც პირმა განუცხადა ხელისუფლების ორგანოებს მისთვის ცნობილი დანაშაული, ანდა ხელისუფლების ორგანოებმა თვით დაადგინეს განუცხადებელი ფაქტი. ასეთ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს, რომ ამსრულებლის მიმართ ხანდაზმულობის ვადა გავიდა და იგი აღარ უნდა იქნეს მიცემული სისხლისსამართლის პასუხისგებაში, ხოლო განუცხადებლობაში დამნაშავე პირის მიმართ იგი ჯერ არ იყოს დაწყებული ან გასული იყოს ხანდაზმულობის ვადის ნაწილი. სწორი იქნებოდა, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც გავიდა ხანდაზმულობის ვადა, ამსრულებლის მიმართ, იგი გასულად ჩაითვალოს პირისათვის, რომელსაც ბრალი ედება განუცხადებლობაში. ეს გამომდინარეობს არა მარტო სამართლიანობის მოსაზრებიდან, არამედ შემდეგიდანაც: რამდენადაც ძირითადი დანაშაული დაფარულია ხანდაზმულობით და აღარ წარმოადგენს სისხლის სამართლის წესით დასასჯელ მოქმედებას, იხსნება იმის მოვალეობაც, რომ ამის შესახებ აცნობო ხელისუფლების ორგანოებს.

ხანდაზმულობის ვადის სწორი განსაზღვრის საკითხი დამოკიდებულია არა მარტო ხანდაზმულობის ვადის დაწყების მომენტის ზუსტ განსაზღვრებაზე; არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს ხანდაზმულობის ვადის უკანასკნელი დღის დადგენასაც. თუ ხანდაზმულობის დაწყების მომენტი ზუსტად ფორმულირებულია „საფუძვლების“ 41-ე მუხლსა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამის მუხლებში, ეს არ შეიძლება ითქვას, ხანდაზმულობის ვადის უკანასკნელ მომენტზე. ზუსტად რას თვლის კანონმდებელი უკანასკნელ დღედ და როდის წყდება ხანდაზმულობის დენა. ეს ხარვეზი ქმნის გარკვეულ სიძნელეებს ხანდაზმულობის გამოყენებისას.

თანმიმდევრობით განვიხილოთ, თუ კონკრეტულად რაში გამოიხატება ეს სიძნელეები.

როგორც აღვნიშნეთ, „საფუძვლების“ 41-ე მუხლის თანახმად, დანაშაულის ჩადენის დღიდან დენას იწყებს ორი სახის ხანდაზმულობა. ხანდაზმულობის პირველი სახეა ე. წ. სისხლისსამართლებრივი დენის ხანდაზმულობა იმ პირებისათვის, ვინც არ ემალება სასამართლოს და გამოძიებას.

მეორე სახეა ხანდაზმულობა იმ პირებისათვის, რომლებიც ემალებიან სასამართლოს და გამოძიებას.

დანაშაულის ჩამდენ პირებისათვის ერთდროულად დენას იწყებს ორივე ხანდაზმულობა. თუ პირი დანაშაულის ჩადენისთანავე ემალება გამოძიებასა და სასამართლოს, პირველი სახის ხანდაზმულობის დენა დროებით, სანამ პირი იმა-

ლება, წყდება და ხელახლა გაგრძელდება დამნაშავეის დაკავების ან მისი აღიარებით გამოცხადების მომენტიდან.

ხანდაზმულობის მეორე სახისთვის ამ გარემოებებს მნიშვნელობა არა აქვს და მისი დენა გრძელდება. პრაქტიკაში ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც პირი, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული, რისთვისაც კანონი ითვალისწინებს 5 წლიანი ხანდაზმულობის ვადას, დააბათიმრეს 4½ წლის შემდეგ. იგი შეეცდება ყოველგვარი ხრიკებით გააჭიანუროს გამოძიება და ამით ხელს შეუწყობს თავის განთავისუფლებას სასჯელისაგან იმის გამო, რომ ხანდაზმულობის ვადა მის მიმართ მიმდინარეობს დაკავების შემდეგაც.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ხანდაზმულობის ვადა გამოითვლება რსფსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის მიხედვით — დანაშაულის ჩადენის მომენტიდან ბრალდების წარდგენის მომენტამდე<sup>16</sup>. ასეთივე თვალსაზრისისაა ი. გალპერინი. მისი აზრით, ხანდაზმულობის საბოლოო ვადად უნდა ჩაითვალოს პირის მიმართ ბრალდების წაყენების მომენტი. ამ მომენტიდან ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერდება, თუნდაც ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე რამდენიმე დღე იყოს დაჩინილი. გამოძიებელს საკმარისი მასალაც რომ ქონდეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემად, მაგრამ ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე თუ უმნიშვნელო დროა დარჩენილი, მაშინ იგი გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდება: მას არ ეცოდინება, გააგრძელოს საქმის გამოძიება. რომელიც უნდა შეწყდეს ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, თუ არ უნდა იმოქმედოს და დაელოდოს ხანდაზმულობის ვადის გასვლას საქმის შესაწყვეტად. ამიტომ ი. გალპერინი შემდეგ დასკვნამდე მიდის: „ბრალდების წარდგენის ფაქტი ნიშნავს, რომ ხანდაზმულობის მიმდინარეობის ვადა წყდება და პირი, რომელიც ბრალეულია დანაშაულის ჩადენაში, მიცემული უნდა იქნეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში“<sup>17</sup>.

საკითხის ასეთი გადაწყვეტა არ შეესაბამება სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების საფუძვლების 41-ე მუხლის შინაარსს.

სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების საფუძვლების მე-5 მუხლის შესაბამისად ხანდაზმულობის საკითხის შეფარდება ხდება შემდეგნაირად: თუ ხანდაზმულობის ვადა გასულია სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მომენტამდე, სისხლის სამართლის საქმე არ აღიძვრება. თუ ხანდაზმულობის ვადა გავიდა წინასწარი გამოძიების მომენტში, მაშინ საქმეს წარმოებით წყვეტს გამოძიებელი ან პირი, რომელიც აწარმოებს გამოძიებას. ხანდაზმულობის ვადა შეიძლება გავიდეს აგრეთვე სასამართლო განხილვის მომენტშიც; ასეთ შემთხვევაში საქმის განხილვა ბოლომდე მიყავთ და თუ პირი ცნობილი იქნა დამნაშა-

16 იხ. Комментарий УПК РСФСР к стр. 5., научно-практический комментарий УК РСФСР, об. часть, Свердловск, 1961, стр. 182.

17 И. Гальперин, Как исчислять срок давности привлечения к уголовной ответственности, «Советская Юстиция» № 9 1966, стр. 8.

ვედ ინკრინინირებულ დანაშაულში, გამოტანილ უნდა იქნას გამამტყუნებელი განაჩენი და პირი თავისუფლდება სასჯელისაგან.

დაბოლოს, თუ ხანდაზმულობის ვადა გავიდა გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემდეგ და მის კანონიერ ძალაში შესვლამდე, პირი უნდა განთავისუფლდეს ზემდგომი სასამართლოს მიერ.

ჩვენი აზრით, საჭიროა კანონით ზუსტად იყოს დადგენილი სისხლის სამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის როგორც დაწყების, ისე დამთავრების მომენტი.

ისევე როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის, ასევე მსჯავრის დადების ხანდაზმულობის ვადის დასაწყისად უნდა ჩაითვალოს დანაშაულის ჩადენის დღე, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნის ვადის ხანდაზმულობის დამთავრების მომენტიდან — პირის მიცემა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში. ბრალდების სახით მსჯავრის დადების ხანდაზმულობის დროს კი — განაჩენის გამოტანის დღე.

# საზოგადოებრივი ბრალდებადი და საზოგადოებრივი დამცვედი

ბ. ზუზანაშვილი,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

პარტიის XXIII ყრილობამ ერთხელ კიდევ გაუსვა ხაზი იმ საპროგრამოდებულულებას, რომ სოციალისტური დემოკრატიის ყოველმხრივი განვითარება და ყველა მოქალაქის მონაწილეობა სახელმწიფო საქმეების მართვა-გამგეობაში წარმოადგენს კომუნისმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში საბჭოთა სახელმწიფოებრიობის განვითარების მთავარ მიმართულებას. საბჭოთა სასამართლოს, ისევე როგორც ყველა სახელმწიფო ორგანოს მთელი მოღვაწეობა ემყარება მის საქმიანობაში მშრომელი მასების ფართოდ მონაწილეობის პრინციპს. ვ. ი. ლენინი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა სასამართლოს საქმიანობაში ფართო საზოგადოებრიობის ჩაბმას. „მოქალაქეებმა ყველამ უკლებლივ უნდა მიიღონ მონაწილეობა ჩვენი ქვეყნის სასამართლოსა და მართვა-გამგეობაში და ჩვენთვის მნიშვნელოვანია უკლებლივ ყველა მშრომელის ჩაბმა სახელმწიფოს მართვაში“.<sup>1</sup>

საბჭოთა მართლმსაჯულების განხორციელებაში საზოგადოებრიობის ჩაბმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფორმას წარმოადგენს სისხლის სამართლის საქმეთა სამსჯავრო განხილვაში საზოგადოებრივი ბრალმდებლისა და საზოგადოებრივი დამცველის მონაწილეობა. როგორც სკკპ პროგრამა მიუთითებს, საზოგადოებრივი ბრალმდებლისა და დამცველის მონაწილეობა საბჭოთა მართლმსაჯულების დემოკრატიული საფუძველია, რომელიც შემდგომში კიდევ უფრო უნდა განვითარდეს და სრულყოფილი გახდეს.<sup>2</sup>

საზოგადოებრივი ბრალმდებლისა და საზოგადოებრივი დამცველის ინსტიტუტი აღმოცენდა საბჭოთა სასამართლოს შექმნისთანავე და განვლო განვითარების დიდი გზა. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართალწარმოების 1958 წლის საფუძველებმა და მის შესაბამისად მიღებულმა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებმა მნიშვნელოვნად გააფართოვეს საზოგადოებრივი ბრალმდებლისა და დამცველის უფლებები, განსაზღვრეს და განამტკიცეს მათი პროცესუალური მდგომარეობა.

საქმის განხილვაში საზოგადოებრივი ბრალმდებლისა და დამცველის მონაწილეობამ ფართო გავრცელება ჰპოვა პრაქტიკაში. ამჟამად თითქმის ყოველი მეოთხე საქმე იხილება საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობით. ამასთან საზოგადოებრივი ბრალმდებლისა და დამცველის საქმეში მონაწილეობის შესახებ ახალი კანონმდებლობის გამოყენებამ თეორიაში და პრაქტიკაში წამოჭრა მრავალი სადავო საკითხი. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი.

**1. საზოგადოებრივი ბრალმდებლისა და საზოგადოებრივი დამცველის გამოყოფის წესი.** კანონის თანახმად (სისხლის სამართალწარმოების საფუძველების

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 27, გვ. 148.

<sup>2</sup> საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, თბ., 1961, გვ. 117.

41-ე მუხლი, საქართველოს სსრ სსსკ 251-ე მუხლი) საზოგადოებრივი ბრალმდებელი და დამცველი სამსჯავრო განხილვაში მონაწილეობენ როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. მაშასადამე, მათი გამოყოფისა და სასამართლოში წარგზავნის უფლება აქვს ყველა სახის საზოგადოებრივ ორგანიზაციას: პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ, კოოპერატიულ, სპორტულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.<sup>3</sup>

საკანონმდებლო წესით განსაზღვრული არ არის და არც არის აუცილებელი იმის განსაზღვრა, თუ კონკრეტულად რომელ საქმეზე შეუძლია ამა თუ იმ საზოგადოებრივ ორგანიზაციას თავის წარმომადგენლის გამოყოფა. ჩვენის აზრით, საქმის განხილვაში მიზანშეწონილია იმ საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლის მონაწილეობა, რომელსაც რაიმე უშუალო კავშირი აქვს განსახილველ საქმესთან. მაგალითად, სამართალში მიცემული, ან დაზარალებული არის ამ საზოგადოებრივი ორგანიზაციის წევრი, მუშაობს ან ცხოვრობს მის სამოქმედო ტერიტორიაზე, დანაშაულმა ხელყო საზოგადოებრივი ორგანიზაციის ღირსება და ა. შ.

ზოგიერთი სასამართლო იმისათვის, რომ გაზარდოს საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობით განხილულ საქმეთა რიცხვი, სამსჯავრო განხილვაში მონაწილეობის მისაღებად უშვებს ისეთი ორგანიზაციის წარმომადგენელს, რომელსაც მოცემულ საქმესთან არავითარი კავშირი არა აქვს, თუ, რასაკვირველია, არ გამოვალთ მხოლოდ იმ ზოგადი პრევენციიდან, რომ საერთოდ ყოველი დანაშაული ზიანს აყენებს ჩვენს სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ წყობილებას, ხელყოფს ყველა საბჭოთა ორგანიზაციის, დაწესებულებისა და მოქალაქის ინტერესებს.

სასამართლო პროცესზე საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლის მონაწილეობის ძირითადი მიზანია ის, რომ დაეხმაროს, ხელი შეუწყოს სასამართლოს საქმის ფაქტური გარემოებების სრულად და ყოველმხრივად გამოკვლევაში, დანაშაულისა და სამართალში მიცემულის პიროვნების სწორად შეფასებაში, დამნაშავეისათვის სამართლიანი სასჯელის განსაზღვრაში. ბუნებრივია, რომ ასეთი როლის შესრულება შეუძლია მხოლოდ იმ ორგანიზაციის წარმომადგენელს, რომელიც იცნობს საქმის ვითარებას ან თავისი საქმიანობის ხასიათის მიხედვით შეუძლია ღრმად შეაფასოს მოცემული დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროება.

პრაქტიკის გაცნობა გვიჩვენებს, რომ სასამართლო განხილვაში იმ ორგანიზაციის წარმომადგენლის მონაწილეობა, რომელსაც განსახილველ საქმესთან არავითარი კავშირი არ გააჩნია, ატარებს ფორმალურ ხასიათს და არავითარი სარგებლობა არ მოაქვს არც სასამართლოსათვის და არც პროცესზე დამსწრე საზოგადოებისათვის. საილუსტრაციოდ მოვიტანთ ერთ მაგალითს: 1965 წლის ივნისში თბილისის კიროვის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლომ

<sup>3</sup> თუმცა „საფუძვლების“ 41-ე მუხლში სპეციალურად არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ საზოგადოებრივი ბრალმდებლისა და დამცველის გამოყოფის უფლება აქვთ მშრომელთა კოლექტივებსაც, მაგრამ მათი წარმომადგენლების დაშვება პროცესში სრულებითაც არ ეწინააღმდეგება კანონს. ამა თუ იმ საწარმოს ან დაწესებულების კოლექტივის წევრები, როგორც წესი, გაერთიანებული არიან საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, ხოლო საზოგადოებრივი ორგანიზაციის წევრები წარმომადგენენ მშრომელთა კოლექტივის (იხ. ამის შესახებ К. Ф. Гуценко. Общественное обвинение и общественная защита. «Формы участия общественности в борьбе с преступностью». М. 1963, стр. 167—168).

საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის კლუბში განიხილა ფოსტალიონ ჩ-ს საქმე, რომელსაც ბრალად ედებოდა პენსიონერებზე გასაცემი თანხის მითვისება. სასამართლოს თხოვნის საფუძველზე საქმეში საზოგადოებრივ ბრალმდებლად გამოვიდა კომბინატის წარმომადგენელი ვ. საქმის განხილვაში მთელი მისი „მონაწილეობა“ გამოიხატა იმაში, რომ პროცესის დასასრულს სასამართლოს სთხოვა „დამნაშავე დაესაჯა კანონის ფარგლებში“.

საზოგადოებრივი ბრალმდებლისა და საზოგადოებრივი დამცველის კანდიდატურის წამოყენება და საქმეში მონაწილეობისათვის დაშვების შესახებ შუამდგომლობის აღძვრა, როგორც წესი, ხდება საზოგადოებრივი ორგანიზაციის ან მშრომელთა კოლექტივის საერთო კრებაზე. აღნიშნული საკითხის საერთო კრებაზე განხილვას აქვს უდიდესი აღმზრდელი მნიშვნელობა. საკითხის საერთო კრებაზე განხილვა აკავშირებს კოლექტივს, ქმნის სოციალისტური კანონიერების დარღვევათა წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის ატმოსფეროს, უზრუნველყოფს კონკრეტული საქმის ირგვლივ ერთიანი საზოგადოებრივი აზრის შემუშავებას, სასამართლო განხილვაში მონაწილეობის მისაღებად ღირსეული კანდიდატურის გამოყოფას და წარგზავნას.

საზოგადოებრივი ბრალმდებლისა და დამცველის გამოყოფის უფლება აქვს არამარტო საზოგადოებრივი ორგანიზაციის საერთო კრებას, არამედ ამ ორგანიზაციის არჩევით ხელმძღვანელ ორგანოსაც (პროფკომს, კოლმეურნეობის გამგეობას, პარტიული ორგანიზაციის ბიუროს და ა. შ.). ამის შესახებ პირდაპირ არის მითითებული თურქმენეთისა (მუხ. 257) და ტაჯიკეთის (მუხ. 250) სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში. სისხლის სამართალწარმოების საფუძვლებში და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სსს კოდექსებში სპეციალურად არაფერია ნათქვამი საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ საზოგადოებრივი ბრალმდებლისა და დამცველის გამოყოფის უფლების შესახებ. პრაქტიკაში იყო შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი სასამართლო საქმეში მონაწილეობის მისაღებად არ უშვებდა საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელს იმის გამო, რომ იგი გამოყოფილი იყო არა ორგანიზაციის საერთო კრების, არამედ წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ.<sup>4</sup> სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა ერთ-ერთ თავის დადგენილებაში განმარტა, რომ ასეთი პრაქტიკა მცდარია და ემყარება საზოგადოებრივი ორგანიზაციის ცნების არასწორ გაგებას. „კანონი — ნათქვამია პლენუმის დადგენილებაში — არ შეიცავს მითითებას იმის შესახებ, თითქოს საზოგადოებრივ ორგანიზაციას წარმოადგენდეს მხოლოდ ამ ორგანიზაციის წევრთა საერთო კრება. მშრომელთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების არჩევით ორგანოებს შეუძლიათ წარმოადგინონ და წარმოადგენენ კიდევ ამა თუ იმ საზოგადოებრივ ორგანიზაციას.“<sup>5</sup>

მაშასადამე, საზოგადოებრივ ბრალმდებლად ან დამცველად დაშვების შესახებ შუამდგომლობის განხილვის საფუძველს წარმოადგენს საზოგადოებრივი

<sup>4</sup> ზოგიერთი ავტორი ამართლებდა ასეთ პრაქტიკას და ამტკიცებდა, რომ რადგანაც საზოგადოებრივი ბრალმდებელი და დამცველი საზოგადოებრიობის წარმომადგენლებია, ამიტომ მათი გამოყოფა მხოლოდ ორგანიზაციის საერთო კრებას შეუძლიათ. იხ. მაგალითად: Л. А. Громов. Участие общественности в борьбе с преступностью и некоторые процессуальные вопросы. «Советское государство и право», 1960, № 9, стр. 88; П. П. Якимов. Общественный обвинитель и общественный защитник. М. 1962, стр. 24.

<sup>5</sup> «Бюллетень Верховного Суда СССР», 1962, № 5, стр. 29—30.



ორგანიზაციის (მშრომელთა კოლექტივის) საერთო კრებისა და მისი ხელმძღვანელი ორგანოს კოლექციური გადაწყვეტილება.

დაუშვებელია საზოგადოებრივი ბრალმდებლისა და დამცველის გამოყოფა ადმინისტრაციული წესით, საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ხელმძღვანელის ერთპიროვნული განკარგულებით. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1960 წლის 26 მარტის დადგენილებაში მითითებულია, რომ „საზოგადოებრივი ბრალმდებლისა და საზოგადოებრივი დამცველის დაშვება საწარმოს ან დაწესებულების ადმინისტრაციის შუამდგომლობის საფუძველზე, ეწინააღმდეგება კანონს“.<sup>6</sup>

პლენუმის ამ სახელმძღვანელო მითითების მიუხედავად პრაქტიკაში ჯერ კიდევ ხშირია ადმინისტრაციული წესით გამოყოფილი პირების პროცესში მონაწილეობის შემთხვევები. 1965 წელს ასეთი წესით გამოყოფილი პირები მონაწილეობდნენ თბილისის ლენინის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოში 21 საქმეზე, ოქტომბრის რაიონის სახალხო სასამართლოში — 19 საქმეზე, კიროვის რაიონის სახალხო სასამართლოში — 16 საქმეზე და ა. შ.

აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციის მიერ საზოგადოებრივი ბრალმდებლისა და დამცველის გამოყოფა, როგორც წესი, ხდება უშუალოდ სასამართლოების ინიციატივითა და თაოსნობით. საქმე იმაშია, რომ ზოგი მოსამართლე ბრალმდებლის სამართალში მიცემის დროს ადგენს საქმის მოსმენას საზოგადოებრიობის წარმომადგენლის მონაწილეობით, თუმცა ამის შესახებ არავითარი შუამდგომლობა არ არსებობს, შემდეგ ამ დადგენილებას უგზავნის სათანადო ორგანიზაციას და სთხოვს მის შესრულებას. ასე, მაგალითად, თბილისის კიროვის სახელობის რაიონის სახალხო მოსამართლემ 1964 წლის აპრილში სამართალში მისცა ს., რომელსაც ბრალად ედებოდა სოციალისტური საკუთრების დატაცება. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივ ორგანიზაციისა და კოლექტივს არავითარი შუამდგომლობა არ აღუძრავს, მოსამართლემ დაადგინა საქმის მოსმენა საზოგადოებრივი ბრალმდებლის მონაწილეობით და ადგილზე გასვლით. ეს დადგენილება სათანადო წინადადებით გაეგზავნა კოლექტივს, სადაც სამართალში მიცემული მუშაობდა. როდესაც საქმის მოსმენის დღეს საზოგადოებრივი ბრალმდებელი არ გამოცხადდა, სასამართლომ გადადო საქმის მოსმენა და მოსამართლემ აღნიშნული კოლექტივის დირექტორს გაუგზავნა შემდეგი შინაარსის წერილი: „იმის გამო რომ თქვენ ვერ უზრუნველყავით პროცესის ჩასატარებლად ოთახის მომზადება და საზოგადოებრივი ბრალმდებლის გამოცხადება, პროცესი გადაიდო. გთხოვთ მიიღოთ ზომები, რომ შემდგომში ასეთი რამ აღარ განმეორდეს“.

გასაგებია, რომ საქმის განხილვაში საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა ასეთი წესით „ჩაბმა“ ფორმალურად ზრდის სტატისტიკურ მაჩვენებლებს, არსებითად კი საზოგადოებრიობის თვალში ახდენს ამ ინსტიტუტის კომპრომიტაციას.

**2. საზოგადოებრივი ბრალმდებლისა და საზოგადოებრივი დამცველის საქმეში მონაწილეობისათვის დაშვების წესი.** სისხლის სამართალწარმოების საფუძველების 41-ე მუხლი, რომელიც უცვლელად არის გადატანილი მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში, ადგენს, რომ მშრომელთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები შეიძლება დაშვე-

<sup>6</sup> «Бюллетень Верховного Суда СССР», 1960 г. № 3, стр. 10.

ბულ იქნან სასამართლო განხილვაში მონაწილეობისათვის, როგორც საზოგადოებრივი ბრალმდებელი ან დამცველი მხოლოდ სასამართლოს განჩინებით. მაშასადამე, მოსამართლეს არ შეუძლია აღნიშნულ საკითხზე მიიღოს ერთპიროვნული გადაწყვეტილება.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლის დაშვების საკითხი, რომ მხოლოდ სასამართლო განხილვის სტადიაზე ისმებოდეს ამ საკითხის გადაწყვეტის პროცესუალური წესი არავითარ სირთულეს არ შექმნიდა, რადგანაც სასამართლო განხილვის დროს წამოჭრილი ყველა საკითხი წყდება კოლევიალურად, სასამართლოს მიერ. მაგრამ საზოგადოებრივ ბრალმდებლად ან დამცველად დაშვების საკითხი შეიძლება აღიძრას სამართალში მიცემის სტადიაზე, ამჟამად კი სამართალში მიცემის საკითხი, როგორც წესი წყდება მოსამართლის მიერ ერთპიროვნულად. როგორ მოიქცეს მოსამართლე თუ საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ სასამართლო განხილვამდე აღძრა შუამდგომლობა საზოგადოებრივ ბრალმდებლად ან დამცველად თავის წარმომადგენლის დაშვების შესახებ, ხოლო სამართალში მიცემა კი ხორციელდება ერთპიროვნულად? გასაგებია, რომ მოსამართლე აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად განმწესრიგებელ სხდომას ვერ მოიწვევს, რადგანაც საქმის განმწესრიგებელ სხდომაზე შეტანის საფუძველზე ამომწურავად არის განსაზღვრული კანონით.<sup>7</sup> ასევე არ შეუძლია მოსამართლეს განუხილველად დატოვოს საზოგადოებრივ ბრალმდებლად ან დამცველად დაშვების შესახებ აღძრული შუამდგომლობა. საქართველოს სსრ სსსკ 228-ე მუხლის ძალით, ბრალდებულის სამართალში მიცემის შესახებ საკითხის გადაწყვეტისას მოსამართლე ან სასამართლო განმწესრიგებელ სხდომაზე ვალდებულია განიხილოს შემოსული შუამდგომლობა საქმეში მონაწილეობისათვის დაშვების შესახებ. უფრო მეტიც, საქართველოს სსრ სსსკ 231-ე მუხლის თანახმად, თუ მიჩნეული იქნება, რომ არსებობს საკმარისი საფუძველი ბრალდებულის სამართალში მისაცემად, მოსამართლემ ერთპიროვნულად ან სასამართლომ განმწესრიგებელ სხდომაზე სხვა საკითხებთან ერთად უნდა გადაწყვიტოს აგრეთვე საზოგადოებრივი ორგანიზაციების შუამდგომლობა, საზოგადოებრივი ბრალმდებლისა და საზოგადოებრივი დამცველის დაშვების შესახებ.

ანალოგიური ნორმა მოცემულია რსფსრ-ს (228 მუხლი), უკრაინის სსრ (253 მუხლი), აზერბაიჯანის სსრ (246 მუხლი) და უზბეკეთის სსრ (219 მუხლი) სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში.<sup>8</sup>

ძნელი არ არის იმის შემჩნევა, რომ აღნიშნული კოდექსები შეიცავენ წინააღმდეგობას: ერთის მხრივ, მოითხოვენ, საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა დაშვებას სასამართლოს განჩინებით, ხოლო მეორეს მხრივ, ავალდებულებენ მოსამართლეს ეს საკითხი გადაწყვიტოს სამართალში მიცემისა და საქმის სამსჯავრო სხდომაზე განსახილველად მომზადებასთან დაკავშირებით.

ლიტერატურაში აღნიშნული წინააღმდეგობა წყდება შემდეგნაირად: მო-

<sup>7</sup> საქმე განხილული უნდა იქნეს სასამართლოს განმწესრიგებელ სხდომაზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლე არ ეთანხმება საბრალდებო დასკვნას, აგრეთვე როცა საჭიროა ბრალდებულის მიმართ შერჩეული აღმკვეთი ღონისძიების შეცვლა (საქართველოს სსრ სსსკ 222 მუხ.).

<sup>8</sup> სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები სამართალში მიცემის დროს საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა დაშვების შესახებ შუამდგომლობის გადაწყვეტის უფლებას ანიჭებენ მხოლოდ განმწესრიგებელ სხდომას (მოლდავეთის სსრ სსსკ 199 მუხლი, ესტონეთის სსრ სსსკ 192 მუხლი და სხვ.).

სამართლის დადგენილება საზოგადოებრივ ბრალმდებლად და დამცველად დაშვების შესახებ ატარებს წინასწარ ხასიათს. საკითხი საბოლოოდ უნდა გადაწყვიტოს სასამართლომ სამსჯავრო განხილვის მოსამზადებელ ნაწილში.<sup>9</sup>

რასაკვირველია, შეიძლება ამ შეხედულების წინააღმდეგ დავა თუნდაც იმ უდავო არგუმენტით, რომ სისხლის სამართლის პროცესი წინასწარი ხასიათის არავითარ გადაწყვეტილებებს არ იცნობს, მაგრამ შექმნილი მდგომარეობიდან უკეთესი გამოსავალი ძნელია მოინახოს ვიდრე კანონმდებლობაში სათანადო კორექტივები არ იქნება შეტანილი.

მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლის დადგენილება საზოგადოებრივ ბრალმდებლად ან დამცველად დაშვების შესახებ წინასწარი ხასიათისაა, მას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. დადგენილება წარმოადგენს იმის საფუძველს, რომ საზოგადოებრივ ორგანიზაციას დროულად ეცნობოს შუამდგომლობის განხილვის შედეგი, საქმის მოსმენის დრო, ადგილი, საზოგადოებრივ ბრალმდებლად და დამცველად გამოყოფილ პირებს შესაძლებლობა მიეცეთ გაეცნონ საქმის მასალებს და საერთოდ მიღებული იქნეს ყველა ზომები, რაც აუცილებელია საზოგადოებრივი ბრალდებისა და დაცვის ფუნქციების რეალურად განხორციელებისათვის.

აღასანიშნავია, რომ პრაქტიკაც ამ მიმართულებით მიდის. მოსამართლეები, როგორც წესი, სამართალში მიცემისას წყვეტენ საზოგადოებრივ ბრალმდებლად და დამცველად დაშვების შესახებ შემოსულ შუამდგომლობას. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თავიანთ გადაწყვეტილებას ხშირად საბოლოოდ თვლიან და სამსჯავრო განხილვის დროს სასამართლოს წინაშე აღარ აყენებენ ამ საკითხს განსახილველად; ეს კი არ არის სწორი და ეწინააღმდეგება მოქმედი კანონის მოთხოვნას. საერთოდ, ჩვენ იმის მომხრე ვართ, რომ კანონში შეტანილი იქნას ცვლილება და მოსამართლეს უფლება მიეცეს ერთპიროვნულად გადაწყვიტოს აღნიშნული საკითხი, მითუმეტეს, რომ ამჟამად მოსამართლეები ერთპიროვნულად წყვეტენ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს როგორცაა: ბრალდებულის სამართალში მიცემა, პროკურორის მონაწილეობა, დამცველის დანიშვნა და ა. შ. მაგრამ ვიდრე კანონი არ შეცვლილა საჭიროა მისი ზუსტად და გაუხსრელად დაცვა.

რაც შეეხება საზოგადოებრივ ბრალმდებლად ან დამცველად დაშვების შესახებ აღძრულ შუამდგომლობაზე უარის თქმას, ამის საფუძველი შეიძლება იყოს შუამდგომლობის აღმძვრელი ორგანოს არაკომპეტენტურობა, გამოყოფილი პირების ან მათი ნათესავების საქმის შედეგით პირადი დაინტერესება, შუამდგომლობის შესახებ სათანადო დოკუმენტების წარმოუდგენლობა და სხვ. დაუშვებელია შუამდგომლობაზე უარის თქმა იმ მოტივით, რომ საქმე არ არის დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობის, ბრალდებული არ იმსახურებს საზოგადოებრივი დამცველისაგან დაცვას და ა. შ.

**3. საზოგადოებრივი ბრალმდებლისა და საზოგადოებრივი დამცველის პროცესუალური მდგომარეობა.** საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა პროცესუალური მდგომარეობა განისაზღვრება მათი საქმიანობის მარეგულირებელი

<sup>9</sup> იხ. Л. И. Ураков. Общественное обвинение и общественная защита, М., 1964, стр. 88; В. И. Шинд. Решение в стадии предания суду некоторых вопросов, связанных с задачей предупреждения преступлений. «Вопросы криминалистики», 1962, № 6—7, стр. 136—137; «Научно-практический комментарий к уголовному процессуальному кодексу РСФСР», М., 1965, стр. 326.

ნორმებით და საქმეში მონაწილეობის მისაღებად უფლებამოსილების მიღების თავისებურებებით.

საზოგადოებრივი ბრალმდებელი და საზოგადოებრივი დამცველი წარმოადგენენ პროცესუალური ურთიერთობის სუბიექტებს და მათი, როგორც პროცესის მონაწილეთა ყველა უფლება—მოვალეობა რეგლამენტირებულია კანონით. საქართველოს სსრ სსსკ 236-ე და 251-ე მუხლების თანახმად, საზოგადოებრივ ბრალმდებელს და საზოგადოებრივ დამცველს უფლება აქვთ გაეცნონ საქმის ყველა მასალას, მონაწილეობა მიიღონ დამამტკიცებელი საბუთების გამოკვლევაში, წარადგინონ ახალი მტკიცებულებანი, აღძრან შუამდგომლობანი და განაცხადონ აცილება, მონაწილეობა მიიღონ სასამართლო კამათში. საზოგადოებრივ ბრალმდებელს უფლება აქვს მოახსენოს სასამართლოს თავისი აზრი იმის შესახებ, თუ რამდენად დამტკიცებულია ბრალდება, რამდენად საშიშია სამართალში მიცემული და მის მიერ ჩადენილი ქმედობა. საზოგადოებრივ ბრალმდებელს შეუძლია გამოთქვას მოსაზრებანი სამართალში მიცემულის მიმართ სისხლის სამართლის კანონისა და სასჯელის ზომების შეფარდების შესახებ და საქმის სხვა საკითხებზე. მას უფლება აქვს უარი თქვას ბრალდებაზე, თუ სასამართლო გამოძიების მონაცემები იძლევიან ამისათვის საფუძველს. საზოგადოებრივი დამცველი უფლებამოსილია მოახსენოს სასამართლოს აზრი ბრალდების შემამსუბუქებელი ან სამართალში მიცემულის გამამართლებელი გარემოებების შესახებ. ასევე სამართალში მიცემულისათვის სასჯელის შემსუბუქების, პირობითი მსჯავრის ან სასჯელისაგან განთავისუფლების და იმ საზოგადოებრივი ორგანიზაციის ან მშრომელთა კოლექტივის თავდებობაში გადაცემის შესახებ, რომლის სახელითაც საზოგადოებრივი დამცველი გამოდის.

როგორც მოტანილი ნორმების ანალიზი გვიჩვენებს, საზოგადოებრივი ბრალმდებელი და დამცველი მტკიცების პროცესში სარგებლობენ პროცესის ყველა სხვა მონაწილეთა თანაბარი უფლებებით, წარმოადგენენ სამსჯავრო განხილვის დამოუკიდებელ და სრულუფლებიან მონაწილეებს.

საზოგადოებრივი ბრალმდებლისა და საზოგადოებრივი დამცველის პროცესუალური საქმიანობა თავისი შინაარსით და მიმართულებით უახლოვდება პროკურორისა და ადვოკატის საქმიანობას. საზოგადოებრივი ბრალმდებელი, ისევე როგორც პროკურორი, ანხორციელებს ბრალდების ფუნქციას, ამხელს სამართალში მიცემულს დანაშაულის ჩადენაში. საზოგადოებრივი დამცველი კი, ისევე როგორც ადვოკატი, წარმოადგენს დაცვის ფუნქციის სუბიექტს, ედავება წარდგენილ ბრალდებას, ხელს უწყობს ბრალდების შემამსუბუქებელი და სამართალში მიცემულის გამამართლებელი გარემოებების დადგენას.

საზოგადოებრივი ბრალმდებლისა და დამცველის, ისევე როგორც პროკურორისა და ადვოკატის, საერთო პროცესუალურ ამოცანას წარმოადგენს დაზმარება გაუწიონ სასამართლოს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენასა და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებაში.

პროცესუალური საქმიანობის მიმართულებისა და საერთო ამოცანების ერთიანობის მიუხედავად, საზოგადოებრივობის წარმომადგენელთა პროცესუალური მდგომარეობა არსებითად განსხვავდება პროკურორისა და ადვოკატის მდგომარეობისაგან. პროკურორი სახელმწიფო ორგანოს წარმომადგენელია და ბრალდებას ანხორციელებს სახელმწიფოს სახელით. სისხლის სამართლის პროცესში კანონიერების ზუსტად და განუხრელად დაცვაზე ზედამხედველობის გაწევა პროკურორის სამსახურებრივი მოვალეობაა, რომლის რეალიზაციის ერთ-



ერთ ფორმას სწორედ ბრალდების ფუნქციის განხორციელება წარმოადგენს. პროკურორი თავის უფლებამოსილებას ანხორციელებს ყოველგვარი ორგანოსა და თანამდებობის პირისაგან დამოუკიდებლად, ემორჩილება მხოლოდ კანონს და ხელმძღვანელობს გენერალური პროკურორის მითითებით. ადვოკატი იმ პროფესიონალური ორგანოს წარმომადგენელია, რომლის სპეციალურ დანიშნულებას წარმოადგენს მოქალაქეებისათვის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის იურიდიული დახმარების გაწევა. ადვოკატი პროცესში მონაწილეობს ბრალდებულთან შეთანხმებით, იცავს მის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.

საზოგადოებრივი ბრალმდებელი და დამცველი სამსჯავრო განხილვაში მონაწილეობას იღებენ საზოგადოებრივი ორგანიზაციების დავალებითა და სახელით, გამოხატავენ ამ ორგანიზაციის ინტერესებს, ასრულებენ მის ნებას. საზოგადოებრივ ორგანიზაციას შეუძლია საქმის განხილვის ყველა მომენტში უკან გაიწვიოს თავისი წარმომადგენელი და ეს ვერ დააბრკოლებს საქმის ბოლომდე განხილვას. საზოგადოებრიობის წარმომადგენელმა უნდა განხორციელოს სწორედ ის ფუნქცია, რომელიც მას მარწმუნებელი ორგანიზაციისაგან აქვს დავალებული. ამიტომ დაუშვებელია, რომ პირმა, რომელიც საზოგადოებრივ ბრალმდებლად არის გამოყოფილი, პროცესზე დაიკავოს დამცველის პოზიცია, ხოლო საზოგადოებრივ დამცველად გამოყოფილმა მხარი დაუჭიროს ბრალდებას. რასაკვირველია, თუ სამსჯავრო გამოძიების შედეგად საზოგადოებრივი ბრალმდებელი მივა იმ დასკვნამდე, რომ სამართალში მიცემულისადმი წარდგენილი ბრალდება უსაფუძვლოა, მას შეუძლია საზოგადოებრივ ორგანიზაციასთან შეთანხმების გარეშე უარი თქვას ბრალდებაზე. ვფიქრობთ, რომ საზოგადოებრივი დამცველიც უფლებამოსილია უარი თქვას დაცვაზე. კანონი მხოლოდ ადვოკატს უკრძალავს უარი განაცხადოს დაცვაზე მას შემდეგ, რაც მან ეს იკისრა (სისხლის სამართალწარმოების საფუძვლების 23-ე მუხლი, საქართველოს სსრ სსსკ 46-ე მუხლი). საზოგადოებრივი დამცველის მიმართ კანონი ასეთ აკრძალვას არ ითვალისწინებს. ძნელია დავეთანხმოთ იმ ავტორებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ საზოგადოებრივი დამცველის მიერ დაცვაზე უარის თქმა წარმოადგენს საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესების დარღვევას და ამცირებს პროცესის აღმზრდელობით ეფექტს.<sup>10</sup> საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესების არავითარი დარღვევა არ იქნება და პროცესის აღმზრდელობითი ეფექტი უფრო ამაღლდება თუ, მაგალითად, საზოგადოებრივი დამცველი, პროცესის მსვლელობაში დარწმუნდება რა, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაცია არა სწორად ყოფილა ინფორმირებული და სამართალში მიცემულს გაცილებით მძიმე დანაშაულობანი ქონია ჩადენილი, საჯაროდ უარს განაცხადებს დაცვაზე.<sup>11</sup>

საზოგადოებრივი ბრალმდებელი და დამცველი მხოლოდ იმისათვის კი არ მონაწილეობენ პროცესში, რომ სასამართლოს აცნობონ ბრალდებულის შესახებ კოლექტივის აზრი. ეს რომ ასე იყოს მათი მონაწილეობაც არ იქნებოდა საჭირო, რადგანაც სასამართლო მათ გარეშეც მოახერხებდა კოლექტივის აზრის გაგებას. საქმეში მონაწილეობის მისაღებად დაშვების შემდეგ საზოგადოებრივი

<sup>10</sup> იხ. მაგალითად, М. Понедельков. Практические вопросы участия общественности в правосудии. «Советская юстиция», 1960, № 2, стр. 9. Я. О. Мотовилов-Кер. Общественность в борьбе с преступностью. Кемерово, 1961, стр. 59.

<sup>11</sup> ამის შესახებ სწორად მიუთითებს ვ. სავიცი. იხ. Сб: «Демократические основы советского социалистического правосудия», М., 1965, стр. 366.

ბრალმდებელი და დამცველი წარმოდგენენ პროცესის დამოუკიდებელ სუბიექტებს და შეუძლიათ თავიანთი უფლებამოსილება განკარგონ ისე, როგორც ამას უკარნახებთ საქმის მსვლელობის შედეგად შექმნილი შინაგანი რწმენა.

**4. საზოგადოებრივი ბრალმდებლისა და საზოგადოებრივი დამცველის მონაწილეობა საკასაციო ინსტანციის სასამართლოში.** აქვს თუ არა უფლება სასამართლოს განხილვაში მონაწილე საზოგადოებრიობის წარმომადგენელს გასაჩივროს სასამართლოს განაჩენი და მონაწილეობა მიიღოს საქმის საკასაციო განხილვაში?

სისხლის სამართალწარმოების საფუძვლების 44-ე მუხლის (საქართველოს სსრ სსსკ 337-ე მუხლი) თანახმად, სასამართლოს განაჩენის საკასაციო წესით გასაჩივრების უფლება აქვთ: სამართალში მიცემულს, მის დამცველს და კანონიერ წარმომადგენელს, სასამართლოს მიერ გამართლებულ პირს, დაზარალებულს, სამოქალაქო მოსარჩელეს, სამოქალაქო მოპასუხეს და მათ კანონიერ წარმომადგენლებს. პროკურორი მოვალეა საკასაციო წესით გააპროტესტოს ყოველი უკანონო და დაუსაბუთებელი განაჩენი.

როგორც ვხედავთ, კანონი განაჩენის გაპროტესტების სუბიექტად თვლის მხოლოდ პროკურორს, სახელმწიფო ბრალმდებელს. საზოგადოებრივ ბრალმდებელს რომ კანონი არ ანიჭებს განაჩენის გაპროტესტების უფლებას ეს არავითარ ეჭვს არ უნდა იწვევდეს და არც იწვევს. რაც შეეხება საზოგადოებრივი დამცველის უფლებას განაჩენის გასაჩივრების შესახებ ამ საკითხმა დიდი დავა გამოიწვია როგორც თეორიაში, ასევე პრაქტიკაში. ავტორთა ერთი ჯგუფის მტკიცებით, საფუძვლების 44-ე მუხლში და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების შესაბამის მუხლებში ლაპარაკია გასაჩივრების უფლებაზე ადვოკატის მიერ. ამიტომ საზოგადოებრივი დამცველის საკასაციო საჩივრის მიღება და საქმის საკასაციო განხილვაში დაშვება, ეწინააღმდეგება კანონს.<sup>12</sup> ავტორთა მეორე ჯგუფი კი, პირიქით, ამტკიცებს, რომ რადგანაც მოქმედი კანონმდებლობა განაჩენის გასაჩივრების უფლებას ანიჭებს საერთოდ სამართალში მიცემულის დამცველს და გაპროტესტების სუბიექტის მსგავსად სპეციალურად არ მიუთითებს ადვოკატზე, ამიტომ განაჩენის გასაჩივრებისა და საკასაციო განხილვაში მონაწილეობის უფლება აქვს ყველა დამცველს, მათ შორის საზოგადოებრივ დამცველსაც.<sup>13</sup>

სხვადასხვანაირად წყდება აღნიშნული საკითხი პრაქტიკაშიც. ზოგი ზემდგომი სასამართლო იღებს საზოგადოებრივი დამცველის საჩივარს და თვლის მას საქმის საკასაციო წესით გადასინჯვის საბაზად, ხოლო ზოგი კი არა.

ჩვენს აზრით, მოქმედი კანონმდებლობის ანალიზი არ იძლევა საფუძველს უარყოფით საზოგადოებრივი დამცველის მიერ განაჩენის გასაჩივრების უფლება. სისხლის სამართალწარმოების საფუძვლების 22-ე მუხლი (საქართველოს სსრ სსსკ 43-ე მუხლი) ადგენს, რომ „დამცველის სახით დაიშვებიან ადვოკატები, პროფესიული კავშირებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმო-

<sup>12</sup> იხ. მაგალითად, А. Лиезде. Общественное обвинение и общественная защита. «Ученые записки Латв. гос. ун-та», т. 44, вып. 4, Рига, 1962 г. стр. 114—115; К. И. Иоаннесян. О правах и процессуальном положении общественного обвинителя и общественного защитника. «Советское государство и право», 1962, № 10, стр. 126—129.

<sup>13</sup> იხ. მაგალითად, И. Д. Перлов. Общественное обвинение и общественная защита в советском уголовном процессе. «Ученые записки ВЮОН», вып. 11, 1961, стр. 154—158; К. Ф. Гущенко. დასახ. ნაშრ; გვ. 195—196.



მადგენლები“. ესე იგი, საფუძვლების მიხედვით, ტერმინი „დამცველი“ აღნიშნავს არა მარტო ადვოკატს, არამედ საზოგადოებრივ დამცველსაც. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში, როგორც წესი, ადვოკატი და საზოგადოებრივი დამცველი აღინიშნება საერთო ტერმინით „დამცველი“ (იხ. მაგალითად, საქართველოს სსრ სსსკ 262, 279, 282 მუხლები). ხოლო იქ სადაც განსხვავებაა ადვოკატსა და საზოგადოებრივი დამცველის უფლება-მოვალეობებში, კანონში ლაპარაკია ცალკე ადვოკატზე და ცალკე საზოგადოებრივ დამცველზე (საქართველოს სსრ სსსკ 270, 274 მუხლები). მაშასადამე, კანონმდებელი განაჩენის გასაჩივრების უფლებას, რომ მხოლოდ ადვოკატს ანიჭებდეს, იგი ბოლომდე თანმიმდევრული იქნებოდა და განაჩენის გასაჩივრების სუბიექტად საერთოდ დამცველს კი არ დაასახელებდა, არამედ მხოლოდ ადვოკატს. ხოლო თუ საკითხს განვიხილავთ სამართალში მიცემულის ინტერესების თვალსაზრისით, და სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ ყოველი საკანონმდებლო კოლიზია, ეჭვს გარეშეა, რომ საზოგადოებრივი დამცველის მონაწილეობა საკასაციო ინსტანციაში წარმოადგენს სამართალში მიცემულის კანონიერი ინტერესების დაცვის გარანტიას.

რაც შეეხება საზოგადოებრივ ბრალმდებელს, მიზანშეწონილი და ლოგიკური იქნება, თუ მასაც მიეცემა განაჩენის გაპროტესტებისა და საქმის საკასაციო განხილვაში მონაწილეობის უფლება. მართლაც არაფრით არ შეიძლება იმის გამართლება, რომ პროცესის ყველა მონაწილეთაგან მხოლოდ საზოგადოებრივი ბრალმდებელი იყოს მოკლებული უფლებას თავისი უთანხმოება განაჩენთან გახადოს ზემდგომი სასამართლოს მსჯელობის საგნად.

მართალია საზოგადოებრივ ბრალმდებელს, თუ იგი არ ეთანხმება სასამართლოს განაჩენს, შეუძლია პროკურორის წინაშე აღძრას შუამდგომლობა და მისი საშუალებით მიაღწიოს განაჩენის გაპროტესტებას, მაგრამ თუ უშუალოდ მას ექნება ზემდგომ სასამართლოში თავისი პოზიციის დაცვის შესაძლებლობა ეს კიდევ უფრო განამტკიცებს მის პროცესუალურ დამოუკიდებლობასა და თანაბარ უფლებიანობას.

## დაუთავკიბელი სახლის ყიდვა-გაყიდვა

ა. კომახიძე

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის ახალმა კოდექსმა მთელი რიგი დაზუსტებანი შეიტანა სასაქონლო-ფულადი ფორმის გამოყენებით გაპირობებული ქონებრივი ურთიერთობების მოწესრიგების საქმეში.

კომუნისტურ მშენებლობაში სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის გამოყენება განისაზღვრება მეურნეობის სოციალისტური სისტემით და მიზნად ისახავს კომუნისმის გაშლილი მშენებლობის პერიოდის ეკონომიკის განმტკიცებას, მოქალაქეთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების უზრუნველყოფას. იგი გულისხმობს გაცვლითი, ყიდვა-გაყიდვის ურთიერთობის არსებობას, რაც მიმართულია მშრომელთა მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისაკენ. ადრე მოქმედი კოდექსი, როგორც სხვა, ისე ამ უკანასკნელ სფეროშიც შეიცავდა თავისებურ ვაკუუმს, რაც ქმნიდა ერთგვარ სიძნელეს და მოითხოვდა მიმდინარე კანონმდებლობის მოშველიებას.

ერთ-ერთ ასეთ ურთიერთობას მიეკუთვნება დაუთავკიბელი სახლის ყიდვა-გაყიდვა. პრაქტიკაში საკმაოდ ხშირად იყო შემთხვევები,<sup>1</sup> როცა ინდივიდუალურ ბინათმშენებელს აღარ შეეძლო გაეგრძელებინა სახლის მშენებლობა და საჭირო ხდებოდა მასზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთის და მის მიერ წამოწყებული ობიექტის სხვაზე გადაცემა. გარდა ამისა, ზოგჯერ სასამართლოების წინაშე ისმებოდა სადავო საკითხი დაუთავკიბელი ნაგებობიდან წილის გამოყოფის შესახებ, როცა ეს ნაგებობა ეკუთვნოდა ერთად რამდენიმე პირს ან მეუღლეებს. ეს საკითხი მოწესრიგებული არ იყო ადრე მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსებით. ჩვენი რესპუბლიკის სინამდვილეში აღნიშნული ურთიერთობა რეგულირდებოდა სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ დებულებითა და მთავრობის დადგენილებებით. სხვა მდგომარეობას ჰქონდა ადგილი რსფსრ სინამდვილეში.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსმა გაითვალისწინა რა რეალური მდგომარეობა, არ დატოვა ხარვეზი და სპეციალური მუხლით მოაწესრიგა ეს საკითხი. სახელდობრ, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 240-ე მუხლში ნათქვამია: „სახლი, რომელსაც მოქალაქე აშენებს, მისი მშენებლობის დამთავრებამდე არ შეიძლება გასხვისებული იქნეს სხვა პირზე მშრომელთა დებუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ნებართვის გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სახლი იყიდება მასკლად“.

დაუთავკიბელი სახლი ყიდვა-გაყიდვის ისეთი ობიექტია, რომელსაც აქვს თავისი დანიშნულება, თავისებური მიზანი. იგი ემსახურება მოქალაქეთა საბინაო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ინტერესებს და ისევე, როგორც საერთოდ საცხოვრებელი სახლი და პირადი საკუთრების სხვა ობიექტები, არ უნდა

<sup>1</sup> იხ. **В. Данков**, Договор купли-продажи незаконченного дома, сб: «Социалистическая законность». 1956 г., № 8, гл. 66.

იქნას გამოყენებული არადანიშნულებისამებრ. მისი ვასხვისების დროს არ უნდა დაიფაროს მიწის ნაკვეთით სპეკულაცია. ამას განსაკუთრებულად გაუსვა ხაზი სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა 1962 წლის 31 ივლისის დადგენილებაში.

ამიტომ დაუშთავრებელი სახლის ყიდვა-გაყიდვისას მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ ვინაა ხელშეკრულების მონაწილე, რა მიზანს ისახავს ეს გარიგება, ხომ არ იმალება მასში გამდიდრებისადმი მისწრაფება, მიწის ნაკვეთის ყიდვა-გაყიდვა.

ვინ არიან ამ ხელშეკრულების სუბიექტები? დასახელებული მუხლის ადეკვატური შინაარსიდან ჩანს, რომ ერთი მხარე, კერძოდ გამყიდველი აუცილებლად არის მოქალაქე, რომელიც პირად საკუთრების უფლებით აშენებს საცხოვრებელ სახლს. რაც შეეხება მეორე მხარეს, მყიდველს, ის შეიძლება იყოს, როგორც მოქალაქე, ისე იურიდიული პირი, რამდენადაც მუხლის ტექსტში ნათქვამია „სხვა პირზე“, რაც გულისხმობს, როგორც მოქალაქეს, ისე ორგანიზაციას. კანონმდებელი არ ითვალისწინებს დაუშთავრებელი სახლის ვასხვისებას იურიდიული პირების მიერ. ჩვენის აზრით, ასეთი შეზღუდვა არ არის გამართლებული. რამდენადაც პრაქტიკაში შესაძლოა, იშვიათად მაგრამ მაინც, წარმოიშვას შემთხვევა და სახელმწიფო, კოოპერაციულ თუ საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ ვასხვისოს მცირე მოცულობის დაუშთავრებელი შენობა, რომელიც შეიძლება შეიძინოს მოქალაქემ პირად საკუთრებაში.

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს 1949 წლის ინსტრუქციით „მოქალაქეებზე ერთიდან ხუთ ოთახამდე ჩათვლით ერთი და ორ სართულიანი საცხოვრებელი სახლების მიყიდვის წესის შესახებ“<sup>2</sup> სახელმწიფო ორგანიზაციებს უფლება აქვთ მიყიდონ მოქალაქეებს საცხოვრებელი სახლები. ამდენად არ შეიძლება გამორიცხული იქნას ორგანიზაციების მიერ დაუშთავრებელი სახლის ვასხვისება.

საკითხის უფრო ზუსტად გარკვევისათვის საჭიროა განვსაზღვროთ თუ რა იგულისხმება „დაუშთავრებელ სახლში“ და როდის შეიძლება წარმოიშვას მისი ვასხვისების შემთხვევები.

დაუშთავრებელი სახლი არ არის საცხოვრებელი სახლი, რომელიც პირადი საკუთრების უფლებით ეკუთვნის პირს. ის ჯერ კიდევ არ არის საცხოვრებლად ვარგისი და ამიტომ მასზე, როგორც საცხოვრებელ სახლზე, პირადი საკუთრების უფლება არ არის წარმოშობილი. დაუშთავრებელი სახლი არის მშენებლობის ობიექტი, რომელსაც მოქალაქე აშენებს მისთვის მუდმივ საარგებლობაში მიმავრებულ მიწის ნაკვეთზე, რომელიც შენდება, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის დაშთავრებული, გამოუყენებელია საცხოვრებლად და მოითხოვს შემდგომ დასრულებას.

მართალია, დაუშთავრებელ მშენებლობას არ შეიძლება ვუწოდოთ საცხოვრებელი სახლი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის ნაგებობა არ არის. ჩვენის აზრით საცხოვრებელი სახლი და ნაგებობა ერთი და იგივე არ არის. „ნაგებობის“ ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ უფრო ფართო ცნება და არა მხოლოდ დაშთავრებული საცხოვრებელი სახლი. ამიტომ არაზუსტად მიგვაჩნია იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის ი. ლ. ბრაუდეს აზრი იმის შესახებ, რომ „დაუშთავ-

<sup>2</sup> იხ. «Жилищные законы». М. 1958 г. стр. 187.

რებელი მშენებლობა ნაგებობა არ არის<sup>3</sup>... რომ ვიდრე სახლის მშენებლობა არ არის დაუმთავრებული და ექსპლოატაციაში გადაცემული, ის სამართლებრივი ობიექტი არ არის<sup>4</sup>. ვფიქრობთ, დაუმთავრებელი მშენებლობა, სახლი, რომელიც ჯერ კიდევ არ არის საცხოვრებლად ვარგისი, უნდა ჩაითვალოს ნაგებობად და მით უმეტეს სამართლის ობიექტად. სხვა საკითხია, რომ ის (დაუმთავრებელი სახლი) არ არის საცხოვრებელი სახლი და მასზე, როგორც ასეთზე არ არის წარმოშობილი პირადი საკუთრების უფლება. ამის შესახებ სწორად შენიშნავს თვით ი. ლ. ბრაუდე: „არის მიწის ნაკვეთის მთლიანი სარგებლობის უფლება, რომელიც გადაცემულია მშენებლობისათვის და არის პირადი საკუთრების უფლება სამშენებლო მასალებზე, დეტალებზე, კონსტრუქციებზე, მაგრამ არ არის საკუთრების უფლება საცხოვრებელ სახლზე“<sup>5</sup>.

იმისათვის, რომ სახლი დაუმთავრებულად ჩაითვალოს და მასზე წარმოიშვას პირადი საკუთრების უფლება, საჭიროა რომ ის ცნოს საცხოვრებლად ვარგისად მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის მიერ დანიშნულმა კომისიამ და მიიღოს იგი ექსპლოატაციაში სპეციალური აქტით. აქტის შედგენის დროს წარმოებს შენობის შეფასება, შესრულებულ სამუშაოთა მოცულობისა და სახლის საღებავი ღირებულების დადგენა. ამ აქტს ამტკიცებს შესაბამისი საბჭოს აღმასკომი, რომლის შემდეგ მშენებელი სახლმფლობელობის რეგისტრაციას ახდენს კომუნალური მეურნეობის ორგანოში. სახლმფლობელობის რეგისტრაციასთან ერთად ცალკე უნდა მოხდეს რეგისტრაცია მიწის ნაკვეთისა, რომელიც მოქალაქეებს მიცემული აქვთ სარგებლობაში.

თუ დაუმთავრებელი სახლის მაქსიმალური საზღვარია მისი საცხოვრებლად ვარგისიანობა და ამის ქვევით შენობა ითვლება დაუმთავრებლად, უნდა დადგინდეს აგრეთვე მისი მინიმალური საზღვარი, განისაზღვროს თუ რა დონის შემდეგ შეიძლება ჩაითვალოს მშენებლობის ობიექტი დაუმთავრებელ სახლად და როდის შეიძლება დაისვას საკითხი მის გასხვისებაზე. 1949 წლამდე, სანამ აღნაგობის უფლება გაუქმდებოდა, ძველ კოდექსებში მითითებული იყო, რომ მშენებლობის გასხვისება შეიძლებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესრულებული იყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს 30 პროცენტი. ამჟამად ეს ნორმა, როგორც ცნობილია, ძალადაკარგულია და ეს სპეციალურად არ არის მითითებული რომელიმე სამართლებრივ ნორმაში. ჩვენ მივგაჩნია, რომ როცა საქმე გვაქვს კაპიტალურ, ქვის ნაგებობასთან, ამ შემთხვევაში სახლის სამუშაოების მოცულობა შესრულებული უნდა იყოს 20 პროცენტით მაინც, ხოლო როცა სხვისდება ხის ნაგებობა ადგილზე დატოვებით ის უნდა იყოს დახურული მაინც, სხვანაირად მისი გაყიდვა უნდა მოხდეს მხოლოდ ადგილიდან აღებით, ე. ი. მასალად.

დაუმთავრებელ სახლს არ შეიძლება მიეკუთვნოს სახლი, რომელიც პირადი საკუთრებით აქვთ მოქალაქეებს, მაგრამ დაზიანების ან სიძველის გამო უვარგისია საცხოვრებლად, მოითხოვს კაპიტალურ შეკეთებას. ის ითვლება, ჩვეულებრივ საცხოვრებელ სახლად და მისი გასხვისებისას არსებული დეფექტები გათვალისწინებული იქნება მხოლოდ შეფასების დროს.

<sup>3</sup> И. Л. Брауде, Право на строение и сделки по строениям, М. 1954 г. стр. 23.

<sup>4</sup> Научный комментарий судебной практики за 1956—1957 годы, госюр. М. 1959, стр. 24.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 24.



რა შემთხვევაში შეიძლება გამართლდეს იურიდიულად დაუმთავრებელი სახლის ყიდვა-გაყიდვა? მხოლოდ შემდეგ გარემოებებში:

1. როცა მოქალაქეს, რომელიც აშენებს სახლს, ფაქტიურად აღარ შეუძლია მისი დამთავრება. ასეთი შემთხვევებია ავადმყოფობა, სხვა ადგილზე სამუშაოდ და საცხოვრებლად გადასვლა, ეკონომიური მდგომარეობის გაუარესება, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა და სხვ;

2. როცა სახეზე გვაქვს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 105-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევები. მართალია, ამ მუხლში ლაპარაკია პირად საკუთრებაში ერთზე მეტი სახლის (ან სახლის ნაწილის) არსებობაზე და მის იურიდიულ შედეგებზე, მაგრამ ეს უნდა გავრცელდეს იმ შემთხვევებზე, როცა მოქალაქეს ან ერთად მცხოვრებ მეუღლეებსა და მათ არასრულწლოვან შვილებს კანონით დაშვებული საფუძვლით აღმოაჩნდებათ საცხოვრებელი სახლი პირად საკუთრებაში და იმავდროულად მშენებლობის პროცესში მყოფი დაუმთავრებელი სახლი. ამ შემთხვევაში პირს უფლება აქვს დაიტოვოს ერთ-ერთი მათგანი, ხოლო დანარჩენი კი გაასხვისოს ერთი წლის განმავლობაში.

იგივე 105-ე მუხლის მე-6 ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე დაუმთავრებელი სახლი არ ექვემდებარება სავალდებულო გასხვისებას, თუ ის ეკუთვნის მოქალაქეს, რომელსაც პირადი საკუთრების უფლებით აქვს სახლი საკუთრობით, საავარაკო ადგილზე და სოფლად, რომელსაც იყენებს დასასვენებლად, ან თვით ეს დაუმთავრებელი სახლი მდებარეობს ასეთ დასასვენებელ ადგილზე და ამის გარდა მესაკუთრეს არა აქვს ერთზე მეტი საცხოვრებელი სახლი პირადი საკუთრების უფლებით;

3. როცა სახლის მშენებლობას აწარმოებს რამდენიმე პირი, მათ შორის მეუღლეები, საერთო საკუთრების უფლებით და აუცილებელია რომელიმე მათგანის წილის გამოყოფა.

მხოლოდ დასახელებული მიზეზების არსებობისას, მათი საფუძვლიანად შესწავლის დროს შეიძლება დაისვას საკითხი დაუმთავრებელი სახლის ყიდვა-გაყიდვაზე, სხვანაირად აკრძალულია დაუმთავრებელი სახლის გასხვისება. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო 1958 წლის 23 აპრილის დადგენილებაში განსაკუთრებულად უსვამს ამას ხაზს. დადგენილების მე-6 მუხლში პირდაპირაა ნათქვამი: „დაწესდეს, რომ ვიდრე სავსებით არ დამთავრდება ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობა და მშრომელთა დეპუტატებს ადგილობრივი საბჭოს კომისია არ სცნობს მას ექსპლუატაციისათვის გამოსადეგად, მენაშენეს უფლება არა აქვს გაყიდოს მოუთავებელი სახლი ან მისი ნაწილი აღმასკომის ნებადაურთველად. აღმასკომმა, ყოველ ცალკე შემთხვევაში, უნდა გამოარკვიოს ყველა გარემოება, რამაც შენობის გაყიდვის აუცილებლობა გამოიწვია და მხოლოდ საპატიო მიზეზის დროს (ავადმყოფობა, სხვა რაიონში გადასვლა და სხვა) შეუძლია მისცეს დაწყებული მშენებლობის გაყიდვის ნებართვა“.

დაუმთავრებელი სახლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება მოითხოვს ყველა იმ პირობების არსებობას, რაც ჩვეულებრივ საცხოვრებელი სახლის ყიდვა-გაყიდვის დროს არის სავალდებულო. სახელდობრ, აუცილებლად უნდა იქნას დაცული საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 104-ე მუხლით გათვალისწინებული წესები.

კოდექსის 104-ე მუხლი საცხოვრებელი სახლის მყიდველს უწესებს საცხოვრებელი და დამხმარე ფართობის ზღვრულ ოდენობას (60 კვ. მეტრი სა-

ცხოვრებელი და 40 კვ. მეტრი დამხმარე ფართობი). ეს უნდა გავრცელდეს დაუმთავრებელ სახლზეც. სახლი შეიძლება დაუმთავრებელი არ იყო, მაგრამ თუ მისი ზღვრული ფართობი დაწესებულ ნორმას აღემატება, ის ჩაითვლება თვითნებურ, უპროექტო მშენებლობად და მისი გასხვისება არ შეიძლება.

გამყიდველს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 238-ე მუხლის მიხედვით უფლება არა აქვს სამი წლის მანძილზე გაყიდოს ერთ სახლზე ან სახლის ნაწილზე მეტი, გარდა 105-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობა დაიშვება მხოლოდ ტიპიური პროექტის მიხედვით, არქიტექტურული ნორმებისა და წესების დაცვით. კოდექსის 107-ე მუხლის 1-ლი ნაწილი მიუთითებს: „მოქალაქეს, რომელმაც სათანადო ნებართვის ან დადგენილი წესით დამტკიცებული პროექტის გარეშე, ანდა ძირითადი სამშენებლო ნორმებისა და წესების უხეში დარღვევით აიშენა საცხოვრებელი სახლი (აგარაკი) ან სახლის (აგარაკის) ნაწილი, უფლება არა აქვს განკარგოს — გაყიდოს, გააქირაოს და სხვ. ეს სახლი (აგარაკი) ან სახლის (აგარაკის) ნაწილი“. თვითნებური, უნებართვო მშენებლობისათვის გათვალისწინებულია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა (სსკ 221-ე მუხლი), ხოლო სახლი, რომელიც პროექტის გვერდის ავლით, არქიტექტურული ნორმების დარღვევით შენდება, სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება ჩამოერთვას უსასყიდლოდ და ჩაირიცხოს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს ფონდში. ცხადია, ზედმეტია ლაპარაკი მისი გასხვისების უფლებაზე.

არქიტექტურული ნორმების დარღვევის განხილვისას მხედველობაში არ მიიღება ოთახებისა და სართულების რაოდენობა. რსფსრ უმაღლესი სასამართლოს ნოტარიატის განყოფილებამ ორენბურგის ოლქის მედნოგორსკის სანოტარო კანტორის ნოტარიუსის შეკითხვაზე უპასუხა, რომ სამოქალაქო სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსების სამოქმედოდ შემოღების შემდეგ ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის უვადო სარგებლობაში მიწის ნაკვეთის გადაცემისა და საცხოვრებელი სახლის გასხვისების ხელშეკრულებების დამოწმების დროს მხედველობაში არ მიიღება აშაშენებელი და გასასხვისებელი სახლის ოთახებისა და სართულების რაოდენობა.<sup>6</sup>

დაუმთავრებელი სახლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დადებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საფინანსო ორგანოების ნებართვას. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წლის 31 ივლისის დადგენილებაში მითითებულია: „სასამართლოებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის დაკრედიტების წესდებათა შესაბამისად, სესხის მიმღებს სესხის გადახდამდე უფლება არა აქვს გაყიდოს ან სხვას გადასცეს სესხის ანგარიშზე აგებული ან კაპიტალურად შეკეთებული ნაგებობა თუ ნება არ დართო ბანკმა ან საწარმომ (ორგანიზაციამ), როცა სესხი გაცემულია მშენებლობის სამუშაო ადგილის მიხედვით“. ე. ი. როცა პირი სახლის მშენებლობას აწარმოებს სესხის საშუალებით. მისი გასხვისება არ შეიძლება სესხის მიმცემი ორგანოს ნებართვის გარეშე.

მაშასადამე, დაუმთავრებელი სახლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დადებისას გათვალისწინებული და მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ყველა ის მოთხოვნა, რასაც კანონმდებლობა ადგენს საერთოდ საცხოვრებელი სახლის ყიდვა-გაყიდვისათვის.

<sup>6</sup> Советская юстиция, № 5, 1965 г. стр. 31.

ამასთან ერთად ჩვენი კანონმდებლობა იჩინეს სიზუსტეს და ადგენს განსაკუთრებულ წესს, რომელიც სავალდებულოა დაუმთავრებელი სახლის ყიდვა-გაყიდვისას. ეს წესი, თანახმად 240-ე მუხლისა მდგომარეობს რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ ნებართვის გაცემამდე. 1955 წლამდე, საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ დებულების მიღებამდე, რაიონული(საქალაქო) საბჭოს აღმასკომის ნებართვა საჭირო იყო არა მარტო დაუმთავრებელი, არამედ დამთავრებული სახლის ყიდვა-გაყიდვისთვისაც. 1955 წლიდან კი ქალაქებსა და დაბებში მდებარე საცხოვრებელი სახლი, რომელიც ექსპლოატაციაში იყო გადაცემული, სხვისდებოდა ნოტარიალური წესით, კომუნალური მეურნეობის ორგანოში შემდგომი რეგისტრაციით, მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის ნებართვის გარეშე. სოფლად კი საცხოვრებელი სახლის ადგილიდან აუღებლად გასხვისებისათვის საჭირო იყო კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების თანხმობა, მიუხედავად იმისა, დამთავრებული იყო იგი თუ დაუმთავრებელი.

ახალმა კოდექსმა რეალურად ასახა ყიდვა-გაყიდვის ეს ურთიერთობა და დააკანონა, რომ სახლი, რომელსაც მოქალაქე აშენებს, მშენებლობის დამთავრებამდე არ შეიძლება გასხვისდეს მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასკომის ნებართვის გარეშე. რაიონული (ქალაქის) საბჭოს აღმასკომი საფუძვლიანად შეისწავლის მდგომარეობას, გამოარკვევს, ჯერ ერთი, მიზეზს, თუ რატომ ყიდის მოქალაქე დაუმთავრებელ ობიექტს. რამ გამოიწვია შენობის დაუმთავრებლობა და მეორეც იმას, თუ ვინ ყიდულობს მას, რას წარმოადგენს მყიდველის პიროვნება, აქვს თუ არა მას უფლება მოცემულ პირობებში შეიძინოს ეს ობიექტი. ამბროლაურის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა განიხილა გ. ფ. დავლიანიძის განცხადება მშენებლობის გასხვისების ნებართვის მიცემის შესახებ და გაითვალისწინა რა მისი ეკონომიური მდგომარეობა, ნება დართო მიეყიდა საცხოვრებელი სახლი დაუმთავრებლად ბ. ა. მურუსიძისათვის.

რაიონული (ქალაქის) საბჭოს აღმასკომს, მას შემდეგ რაც განიხილავს საქმის ყველა მხარეს და მიზანშეწონილად მიიჩნევს დაუმთავრებელი ნაგებობის გასხვისებას, გამოაქვს გადაწყვეტილება, რომელშიც მიუთითებს, რომ ნება დაერთოს ერთ მხარეს გაყიდოს მშენებლობაში მყოფი ობიექტი, ხოლო მეორე მხარეს გადაეცეს სარგებლობაში მიწის ნაკვეთი, რომელზეც ნაგებობა მდებარეობს. აღმასკომის დადგენილების საფუძველზე კომუნალური მეურნეობის ტექნიკური მოახდენს მშენებლობის ღირებულების შეფასებას.

ხელისუფლების ორგანოების მონაწილეობა ასეთი იურიდიული მოქმედების შესრულებაში შემთხვევითი არ არის, იგი გამომდინარეობს მიწის ნაციონალიზაციის პრინციპიდან და მიმართულია მიწებით სპეკულაციის აღკვეთისაკენ. ქ. ქუთაისში ქ. ა. ხაჯალიამ და მისმა ძმებმა გ. ი. დათიაშვილმა გ. ა. გიორგაძისაგან ქალაქის საბჭოს გვერდის ავლით ფაქტიურად იყიდეს მიწის ნაკვეთი, რომელზეც აიშენეს ახალი საცხოვრებელი სახლი. ქალაქის საბჭომ ეს საკითხი გახადა საგამომძიებლო ჯა სასამართლო ორგანოების მსჯელობის საგანი. სახალხო სასამართლოს 1965 წლის 9 აპრილის განაჩენით ქ. ა. ხაჯალიას ჩამოართვა უკანონოდ აშენებული სახლი.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ აღმასკომის ნებართვა საჭიროა მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როცა მშენებლობა დამთავრებული არ არის, ხოლო სახლი

დამთავრებულია, საცხოვრებლად ვარგისია და ამის შესახებ გაცემულია ცნობა ტექნიკურს მიერ, მისი გასხვისების ხელშეკრულების დადების დროს საჭირო არაა აღმასკომის ნებართვა. აუცილებელია მხოლოდ ხელშეკრულების რეგისტრაცია კომუნალური მეურნეობის კომბინატის ტექნიკურში.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის ახალი კოდექსის მიღებამდე, როცა სხვისდებოდა კოლმეურნეობაზე მიმაგრებულ მიწაზე არსებული სახლი, საჭირო იყო კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების დადგენილება იმის შესახებ, რომ შენობის შემქმნს გადაეცა სარგებლობაში მიწის ნაკვეთი. სამოქალაქო სამართლის ახალი კოდექსის 239-ე მუხლი ამ გარემოებას არ გამოკვეთს განსაკუთრებულად. მის მეორე ნაწილში ნათქვამია: „სოფელში მდებარე საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება უნდა იქნეს დადებული წერილობით და რეგისტრირებული უნდა იქნეს მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოში არა უგვიანეს სამი თვისა ხელშეკრულების დადების დღიდან“. როგორც ჩანს კოდექსი სპეციალურად არ ითვალისწინებს კოლმეურნეობის მიწაზე არსებული სახლის გასხვისების შემთხვევას. ამ მუხლის გრამატიკული ანალიზის მიხედვით უნდა ვიფიქროთ, რომ 239-ე მუხლის მე-2 ნაწილი შეეხება სოფლად სახლის მასალად გაყიდვას და არა ადგილზე დატოვებით გასხვისებას. უმჯობესი იქნებოდა თუ კანონმდებელი გაითვალისწინებდა ამ შემთხვევასაც და უფრო ზუსტად მოგვცემდა ამ საკითხის სამართლებრივ რეგულირებას. ამჟამად კი კვლავ ძალაში რჩება სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ დებულების 36-ე მუხლის მესამე ნაწილი და თუ სოფლად სახლი იყიდება ადგილიდან აუღებლად, აუცილებელია კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების დადგენილება მყიდველზე მიწის ნაკვეთის სარგებლობაში გადაცემის შესახებ. გარდა ამისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის აპრილის დადგენილების „საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის დებულების დამატების შესახებ“ თანახმად საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიაზე არსებული მოქალაქეთა კუთვნილი შენობების გასხვისებისას საჭიროა საბჭოთა მეურნეობის დირექციის თანხმობა იმის შესახებ, რომ შენობის შემქმნს გადაეცეს სარგებლობაში მიწის ნაკვეთი.

სხვანაირად უნდა გადაწყდეს საკითხი სოფლად დაუმთავრებელი სახლის ყიდვა-გაყიდვისას. იმდენად რამდენადაც კოდექსმა სპეციალურად გამოყო დაუმთავრებელი სახლის გასხვისება და ცალკე მუხლი მიუძღვნა მას, რომელიც კატეგორიულად მოითხოვს სახლის დამთავრებამდე გასხვისებისათვის რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასკომის ნებართვას, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მოთხოვნა შეეხება დაუმთავრებელი სახლის გასხვისებას, როგორც ქალაქად და დაბაში, ისე სოფლად. საქმე ისაა, რომ დაუმთავრებელი სახლის გასხვისების ქვეშ ხშირად იმალება გარიგების ნამდვილი ხასიათი, მიწის ნაკვეთის ყიდვა-გაყიდვა, ამიტომ ასეთი შემთხვევების დროს, იქნება ეს ქალაქად თუ სოფლად, ქალაქის ფონდის თუ კოლმეურნეობის ან საბჭოთა მეურნეობის მიწაზე, ყოველთვის საქმეში უნდა ჩაერიოს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო ან რაიონული საბჭოს აღმასკომი, რათა თავიდან იქნას აცილებული მახინჯი, ჩვენი საზოგადოებისათვის შეუფერებელი მოვლენები. ე. ი. სოფლად კოლმეურნეობაზე და საბჭოთა მეურნეობაზე მიმაგრებულ მიწაზე არსებული დაუმთავრებელი სახლის გაყიდვისათვის საკმარისი არ არის მარტო კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების დადგენილება და საბჭოთა მეურნეობის დირექციის თანხმობა მყიდველზე მიწის ნაკვეთის სარგებლობაში გადაცემის შესახებ. გარდა



ამისა საჭიროა რაიონული (ქალაქის) საბჭოს აღმასკომმა იმისცეს მხარეებზე ბარათვა დაუმთავრებელი ნაგებობის ყიდვა-გაყიდვაზე.

დაუმთავრებელი სახლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებისაგან უნდა განვასხვავოთ სახლის მასალად გასხვისება. მასალად სახლის გაყიდვა ნიშნავს, როცა სახლი იყიდება ადგილიდან ადებით. ასეთი შენობის გასხვისების დროს მხედველობაში მიიღება ყველა ის გარემოება, რაც საერთოდ საცხოვრებელი სახლის, მათ შორის დაუმთავრებელი სახლის ყიდვა-გაყიდვისას მხოლოდ საჭირო არ არის მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასკომის ნებართვა, არც კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების დადგენილება და საბჭოთა მეურნეობის დირექციის თანხმობა მიწის ნაკვეთის სარგებლობაში გადაცემაზე. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 240-ე მუხლში ნეგატური ფორმით, მაგრამ სპეციალურად არის მითითებული ამის შესახებ.

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ დაუმთავრებელი სახლის გასხვისების ერთ-ერთი საფუძველი შეიძლება იყოს საერთო საკუთრებაში მყოფი ობიექტის თანამესაკუთრის მოთხოვნა თავის წილზე. არის შემთხვევები, როცა მშენებლობის მონაწილეთა შორის წარმოიშობა დავა დაუმთავრებელი სახლის გამოყიდვის შესახებ და დანტერესებული მხარე მიმართავს სასამართლოს. ამ შემთხვევაში საქმე სასამართლოს ქვემდებარეა და მან უნდა გადაწყვიტოს წილის გამოყოფის საკითხი. საჭიროა მხოლოდ სასამართლომ საქმეში მესამე პირის სახით ჩაახდას ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის კომუნალური მეურნეობის ორგანო. ზოგიერთი ავტორი გამოთქვამს შეხედულებას, რომ ასეთი დავების გადაწყვეტის დროს კომუნალური განყოფილება წინააღმდეგეც, რომ წავიდეს დაუმთავრებელი შენობიდან წილის გამოყოფისა, სასამართლომ მიიწვინა უნდა მოახდინოს ასეთი გამოყოფა.<sup>7</sup> ცხადია, ყოველი ასეთი შემთხვევისათვის საერთო წესის დადგენა, დაუინებოთ იმის მოთხოვნა, რომ კომუნალური მეურნეობის ორგანოს წინააღმდეგობის მიუხედავად სასამართლომ მოახდინოს დაუმთავრებელი ობიექტიდან წილის გამოყოფა, არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს. მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ასეთი გამოყოფა აუცილებელია და როცა არ ხერხდება დაუმთავრებელი ნაგებობიდან წილის ნატურით გამოყოფა, შესაძლებელია დაისვას საკითხი შენობის გასხვისების შესახებ. აქვე შევნიშნავთ, რომ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 116-ე მუხლის თანახმად დაუმთავრებელი შენობის თანამესაკუთრეს აქვს უპირატესი შესყიდვის უფლება იმის გათვალისწინებით, რომ ეს არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს იგივე კოდექსის 104-ე მუხლის მოთხოვნებს.

ნათქვამიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ:

1. დაუმთავრებელი სახლი, ე. ი. სახლი, რომელიც ჯერ კიდევ არ არის ვარგისი საცხოვრებლად და რომელიც ექსპლოატაციაში არ მიუღია აღმასკომის მიერ სპეციალურად დანიშნულ კომისიას, გასხვისდება ყველა იმ წესებისა და მოთხოვნების დაცვით, რაც საერთოდ დადგენილია საცხოვრებელი სახლის ყიდვა-გაყიდვისათვის. გარდა ამისა ეს მოქმედება დამატებით მოითხოვს განსაკუთრებულ წესს, რაც გამოიხატება იმაში, რომ აუცილებელია ამაზე საქალაქო ან რაიონული საბჭოს აღმასკომის ნებართვა.

<sup>7</sup> З. А. Федотовская, Право личной собственности на жилой дом, М., 1963 г. стр. 27.

2. ეს წესი შეეხება, როგორც ქალაქად, ისე სოფლად მდებარე ობიექტს, თუ ის იყიდება ადგილიდან აუღებლად.

3. თუ სახლი საცხოვრებლად გამოსაყენებელია და ის მიღებულია ექსპლუატაციაში აღმასკომის კომისიის მიერ, მისი ყიდვა-გაყიდვა ქალაქსა და დაბაში წარმოებს ჩვეულებრივი სანოტარო წესით, ხელშეკრულების კომუნალური მეურნეობის ორგანოში რეგისტრაციით, რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის ნებართვის გარეშე, ხოლო სოფლად კომმუნურნეობის წევრთა საერთო კრების ან საბჭოთა მეურნეობის დირექციის თანხმობით მყიდველზე მიწის ნაკვეთის სარგებლობაში გადაცემის შესახებ.

4. როცა დაუმთავრებელი სახლი იყიდება მასალად, ე. ი. ადგილიდან აღებთ, ამ შემთხვევაშიც ხელშეკრულება ფორმდება ჩვეულებრივი სანოტარო წესით და საჭირო არ არის მშრომელთა დებუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასკომის ნებართვა.

ასეთივე წესების დაცვას მოითხოვს დაუმთავრებელი სახლის ჩუქება, გაცვლა და მემკვიდრეობით გადაცემა.

---



უბადრუკი ბატონობა, რომ ვერ შესძლო შეეცვალა დამსობილი მეფის ხელისუფლების სამარცხვინო კანონმდებლობა.

ერთადერთი ცვლილება მეფისდროინდელ კანონმდებლობაში, რომელიც დამფუძნებელმა კრებამ შეიტანა 1919 წლის 30 მაისს, ის იყო, რომ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ძალადაკარგულად გამოაცხადა რუსეთის იმპერიის სამოქალაქო კანონთა კრებულის მე-X ტომის 1 ნაწილის მე-9 მუხლი და სისხლის სამართლის დებულების 1165-ე მუხლი, რომლებიც სამხედრო და სამოქალაქო სამსახურში მყოფ პირთ უკრძალავდა დაქორწინებას მათი უფროსების წერილობითი ნებართვის გარეშე და აწესებდა სასჯელს ამ წესის დარღვევისათვის.

1920 წ. 3 დეკემბერს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო კანონი „სამოქალაქო მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის შესახებ“, რომელიც კანონის ძალაში შესვლის დღიდან კრძალავდა დაბადების, სიკვდილისა და ქორწინების ფაქტის საეკლესიო წესებით შესრულებას. მაგრამ ეს კანონი უდღეური აღმოჩნდა და ძალაში არ შესულა.

1920 წლის 22 — 30 დეკემბერს საქართველოს „დემოკრატიული“ რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროსთან არსებული კომისიის სხდომებზე მიმდინარებდა ქორწინება — განქორწინების კანონის პროექტის განხილვა საკათალიკო საბჭოს წარმომადგენლის — კაპანაძის მონაწილეობით.

ეს უკანასკნელი მკაცრად აფრთხილებდა კომისიას, რომ საქართველოში ქორწინების სეკულარიზაციას მოელოდა გარდუვალი მარცხი, რომ იგი მოახდენდა „ისეთ გარდატეხას ხალხის ფსიქიკაში და ზნეობრივ ანარქიას ქვეყანაში, რომ გამოიწვევდა სახელმწიფოს დაცემას“.<sup>3</sup>

მენშევიკების მიერ შემუშავებულ პროექტს „დღის სინათლე“ არ ღირსებია.<sup>4</sup>

1921 წლის 25 თებერვალმა ბენდიერი ფურცელი გადაშალა ქართველი ხალხის ისტორიაში. საქართველოში გაიმარჯვა სოციალისტურმა რევოლუციამ, დასაბამი მიეცა ქართველი ხალხის თავისუფლების დიად ერას.

ანხორციელებდა რა სოციალურ გარდაქმნებს საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებამ რსფსრ-ს მსგავსად რადიკალური ღონისძიებანი გაატარა ახალი, სოციალისტური საოჯახო ურთიერთობის შესაქმნელად. ამ საქმეში უდიდესი როლი ითამაშა საბჭოთა საქართველოს საოჯახო სამართალმა, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა საქართველოს სსრ რეკომის 1921 წლის 28 აპრილის № 28 დეკრეტმა „მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების შესახებ“.

ბუნებრივია, რომ ახალგაზრდა საბჭოთა საქართველოს საოჯახო კანონმდებლობას ძირითადად იგივე პრინციპები ჰქონდა, რაც რსფსრ საოჯახო კანონმდებლობას. საქართველოს სსრ რეკომის 1929 წლის 28 აპრილის დეკრეტს ემჩნევა რსფსრ 1918 წლის 16 სექტემბრის „მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების, საქორწინო, საო-

3 საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური არქივი, ფონდი 142, საქმე 658, ფ. 49.

4 დამახასიათებელია, რომ მენშევიკების მიერ შემუშავებული ქორწინება-განქორწინების კანონის პროექტი ქორწინებიდან გამოდინარე მოვალეობათა უხეშ დარღვევას, უპატიოსნო და გარყვნილ ყოფაცხოვრებას მხოლოდ მაშინ მიიჩნევდა განქორწინების საფუძველად, თუ ამით ცოლ-ქმრული დამოკიდებულება ისე ღრმად იყო შერყეული, რომ შეუძლებელი იყო ქორწინების განგრძობა. უკეთეს განქორწინება ცოლის მიზეზით ხდებოდა, ქმარს უფლება ჰქონდა აეკრძალა ცოლისათვის მისი გვარის ტარება. გაჭირვებულ და შრომისუუნარო მეუღლეს მეორე მეუღლისაგან სარჩოს მიღების უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში ჰქონდა თუ იგი „უდანაშაულო“ იყო. არასრულწლოვანთა დაქორწინებისათვის პროექტი საჭიროდ მიიჩნეოდა მშობელთა თანხმობას, მათი უთანხმოების შემთხვევაში კი უპირატესობას ანიჭებდა მამის ნება-სურვილს. პროექტით დამკვიდრებული იყო მრავალცოლიანობა მუსულმანებისათვის. საქართველოში მცხოვრებ მუსულმან მამაკაცებს უფლება ჰქონდათ ერთდროულად 3 ცოლიდან 4 ცოლი.

ჯახო და სამეურვეო სამართლის კანონთა კოდექსის“ ძლიერი გავლენა, თუმცა ამასთანავე მას ჰქონდა თავისი სპეციფიკურობაც.

დეკრეტი „მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების შესახებ“ შედგება 143 მუხლისაგან და დაყოფილია 3 კარად. პირველი კარი ეხება მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების წარმოების წესს. დეკრეტმა ძალადაკარგულად გამოაცხადა მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების წარმოების საეკლესიო წესი და დაადგინა, რომ ამიერიდან „მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტებს აწარმოებენ მხოლოდ საერო დაწესებულებანი“. მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების სახელმწიფოებრივი რეგულირების დაკანონებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, იგი სრულიად შეესაბამებოდა სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფის პრინციპს. ჯერ კიდევ საქართველოს სსრ რევკომის 1921 წლის 15 აპრილის დეკრეტში „სახელმწიფოსაგან ეკლესიისა და ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფის შესახებ“ მითითებული იყო, რომ „სამოქალაქო მდგომარეობის აქტებს მხოლოდ სამოქალაქო მმართველობის ორგანოები ასრულებენ“. 28 აპრილის დეკრეტმა კიდევ მეტად განამტკიცა ეს რევოლუციური მნიშვნელობის ღონისძიება.

ადგილობრივი დაწესებულებანი, რომელთაც დეკრეტი ანიჭებდა მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების წარმოების უფლებას, არსდებოდნენ თემის, მაზრის და ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტების შინაგანი მმართველობის ორგანოებთან, ხოლო ცენტრალური — შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან.

მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოებს უფლება ეძლეოდათ რეგისტრაციაში გაეტარებიათ: მოქალაქეთა დაბადება, გარდაცვალება, უგზო-უკვლოდ დაკარგვა, ქორწინება-განქორწინება, გვარისა და მეტსახელის გამოცვლა და სხვა. დეკრეტით რეგლამენტირებული იყო მმაჩის ორგანოთა კომპეტენცია, სტრუქტურა და მუშაობის წესი. კანონი კრძალავდა მოქა-

ლაქეობრივი მდგომარეობის აქტების რაიმე ცვლილების შეტანას სასამართლო წესის გარეშე.

დეკრეტის მეორე კარი მიძღვნილია ქორწინება — განქორწინების საკითხისადმი. დეკრეტი საქართველოს ტერიტორიაზე იურიდიულ ნულად აცხადებდა საეკლესიო ქორწინებას და სავალდებულოდ თვლიდა ქორწინების სამოქალაქო წესს. მე-40 მუხლში აღნიშნული იყო, რომ „ქორწინება სწარმოებს საჯაროდ მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ადგილობრივ განყოფილებასთან საგანგებოდ დანიშნულ შენობაში“. ამიერიდან საეკლესიო ქორწინება აღარ წარმოშობდა არავითარ უფლება-მოვალეობას, მოიხსნა ქორწინების ყველა რელიგიური დაბრკოლება, გაუქმდა ქრისტიანული ეკლესიის საძაგელი უფლება — ადამიანური ბედნიერება მოესპოთ ათასობით სასულიერო პირისათვის. დეკრეტის 73-75 მუხლებით ქორწინებისათვის დაბრკოლებად არ ითვლებოდა მექორწინეთა სარწმუნოების სხვადასხვაობა, მონაზვნობა, მღვდლობა, მთავარ დიაკვნობა, არ ეკრძალებოდა დაქორწინება იმ პირს, რომელსაც დადებული ჰქონდა უქორწინობის აღთქმა, თუნდაც ეს პირი სასულიერო წოდებისა ყოფილიყო. დეკრეტს არ ჰქონდა უკუქცევითი ძალა, იგი კანონიერად ცნობდა ყველა იმ საეკლესიო ქორწინებას, რომელიც შესრულებული იყო დეკრეტის გამოცემამდე.

აპრილის დეკრეტი დაწვრილებით არეგულირებდა ქორწინების პირობებს. კანონი მტკიცედ იცავდა ისეთ დემოკრატიულ პრინციპებს, როგორცაა ქორწინების თავისუფლება და ნებაყოფლობა, ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებები ქორწინებაში; დეკრეტში ხაზგასმით იყო მითითებული, რომ ქორწინება არის თანასწორუფლებიან მოქალაქეთა ნებაყოფლობითი კავშირი, რომ „ქორწინების შესრულება შესაძლებელია მხოლოდ მექორწინეთა თანხმობით“.

ქორწინების აუცილებელ პირობად ითვლებოდა მექორწინეთა ფიზიკური და სუ-

ლიერი ჯანმრთელობა. აღსანიშნავია, რომ განსხვავებით რსფსრ 1918 წლის საოჯახო კოდექსისა, რომელიც ქორწინების პირობად მიიჩნედა მექორწინეთა სულიერ ჯანმრთელობას, საქართველოს სსრ 1921 წლის დეკრეტი ორ სხვადასხვა მუხლში (48 და 69 მუხ.) სულიერ ჯანმრთელობასთან ერთად ქორწინების აუცილებელ პირობად თვლიდა მექორწინეთა ფიზიკურ ჯანმრთელობასაც.

ისევე როგორც რსფსრ 1918 წლის საოჯახო კოდექსი, საქართველოს სსრ 1921 წლის აპრილის დეკრეტიც საკანონმდებლო წესით განამტკიცებდა მონოგამიას, მაგრამ 1918 წლის კოდექსისაგან განსხვავებით 81-ე მუხლი დეკრეტისა დანაშაულად თვლიდა ერთდროულად ორ ქორწინებაში ყოფნას და ასეთი ქმედობისათვის აწესებდა სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

კანონი კრძალავდა არასრულწლოვანთა დაქორწინებას. საქორწინო ასაკის მინიმუმად დეკრეტი ადგენდა ქალისათვის 15 წელს, ვაჟისათვის 17 წელს. (რსფსრ კანონმდებლობით საქორწინო ასაკი ქალისათვის განისაზღვრებოდა — 16 წლით, ვაჟისათვის კი 18 წლით). როგორც ცნობილია, რევოლუციამდე მეფის რუსეთის კანონმდებლობით ამიერკავკასიის მცხოვრებლებისათვის დადგენილი იყო ძალზე დაბალი საქორწინო ასაკი: ქალისათვის 13, ხოლო ვაჟისათვის 15 წელი. ეს წესი უცვლელი დარჩა მენშევიკების ბატონობის დროსაც.

საქორწინო ასაკის დარღვევას შედეგად მოსდევდა ქორწინების ბათილობა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა დავა აღიძვროდა მეუღლეთა საქორწინო ასაკის შესრულების შემდეგ ან როდესაც ქორწინებას შედეგად მოჰყვებოდა ქალის ორსულობა, ან ბავშვის დაბადება. საბჭოთა კანონი მტკიცედ იცავდა დედისა და ბავშვის ინტერესებს.

ქორწინების დამაბრკოლებელ მიზეზად ითვლებოდა მექორწინეთა სისხლითი ნათესაობა. აკრძალული იყო ქორწინება დაძმებსა და გერებს შორის, აღმავალი და დად-

მაგალი შტოს ნათესავთა შორის (დედაშვილებს, ბიძაშვილებს და სხვათა შორის).

დეკრეტი ბათილად თვლიდა ყველა კანონსაწინააღმდეგო ქორწინებას. ძალდატანებით შესრულებული ქორწინება არ წარმოშობდა არავითარ იურიდიულ შედეგებს. ბათილი იყო ისეთი ქორწინებაც, როდესაც ერთ-ერთი მექორწინეთაგანი იმყოფებოდა სხვა კანონიერ ქორწინებაში და ეს უკანასკნელი არ იყო გაუქმებული. 79-ე მუხლი ითვალისწინებდა ისეთი ქორწინების გაბათილებას, რომლის შესრულების დროს მექორწინენი ან ერთ-ერთი მათგანი იმყოფებოდა შეურაცხად მდგომარეობაში.

საქმე ქორწინების ბათილობის შესახებ ექვემდებარებოდა მხოლოდ სახალხო სასამართლოს. სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების ძალაში შესვლისთანავე ქორწინება გაუქმებულად ითვლებოდა დღიდან მისი შესრულებისა. კანონი ნებას რთავდა იმ პირთ, რომელთა ქორწინებაც გაუქმებული იყო, ხელმეორედ დაქორწინებულ იყვნენ საერთო წესების მიხედვით.

საქართველოს სსრ 1921 წლის 28 აპრილის დეკრეტმა რევოლუციური გარდატეხა მოახდინა განქორწინების სფეროში. დეკრეტმა რეალურად განახორციელა საბჭოთა მოქალაქის უფლება — დაერღვია ისეთი ქორწინება, რომელიც ეწინააღმდეგებოდა მეუღლეთა და შვილების კანონიერ ინტერესებს. მაგრამ კანონი ამასთან განქორწინების თავისუფლებაში სულაც არ გულისხმობდა ოჯახის თვითნებურად და ქარაფშუტულად დანგრევის თავისუფლებას. საბჭოთა სახელმწიფო ყოველთვის წინააღმდეგი იყო განქორწინებისა სერიოზული საფუძვლის გარეშე.

განქორწინების საფუძვლად კანონი მიიჩნევდა მეუღლეთა ან ერთ-ერთი მათგანის სურვილს. საკითხს განქორწინების შესახებ იხილავდა როგორც სასამართლო, ასევე მმართველი ორგანო. 59-ე მუხლის თანახმად მმართველი ორგანო აწარმოებდა განქორწინების საქმეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ორივე მხარე განქორწინების მომხრე იყო. მეუღლეთა უთანხმოების შემთხვევაში გან-

ქორწინების საკითხს წყვეტდა სახალხო სასამართლო. განქორწინების საქმეთა განხილვის ასეთი წესი უდავოდ გამართლებული იყო იმ პერიოდისათვის. იგი ერთის მხრივ ხელმისაწვდომს ხდიდა განქორწინებას, როცა იგი აუცილებლობით იყო გამოწვეული, მეორეს მხრივ აწესებდა მკაცრ სახელმწიფო კონტროლს ოჯახის ბოროტული დანგრევის წინააღმდეგ.

გარდა განქორწინებისა კანონი ითვალისწინებდა ქორწინების მოსპობის ისეთ შემთხვევებს, რაც შედეგად მოსდევდა ერთ-ერთი მეუღლის სიკვდილს ან გარდაცვალებულად გამოცხადებას.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დეკრეტის მიერ დადგენილ წესს მარტოხელა დედისა და ქორწინების გარეშე გაჩენილ ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ. დეკრეტმა საგსებით გაათანაბრა ქორწინების გარეშე გაჩენილი ბავშვები და მარტოხელა დედები რეგისტრირებულ ქორწინებაში გაჩენილ ბავშვებთან და მათ დედებთან. დეკრეტი აწესრიგებდა ქორწინების გარეშე გაჩენილი ბავშვის მამობის დადგენის წესს: ქორწინების გარეშე ფეხმძიმე ქალს უფლება ჰქონდა მშობიარობამდე 3 თვით ადრე მმარში გაეტარებია თავისი მდგომარეობა, მიეთითებია ბავშვის მამის ვინაობა და საცხოვრებელი ადგილი. უკეთუ დედის მიერ განცხადების შეტანიდან ორი კვირის განმავლობაში მამად დასახელებული პიროვნება უარყოფდა ბავშვის მამობას, საკითხს გადაწყვეტდა სახალხო სასამართლო.

28 აპრილის დეკრეტი მეუღლეებს თანაბარ უფლებებს ანიჭებდა. თითოეულ მათგანს ქორწინების რეგისტრაციის დროს, ან მის შემდეგ შეეძლო შეენარჩუნებია თავისი გვარი, აერჩია მეუღლის ან შეერთებული გვარი. მეუღლეებს სურვილისამებრ შეეძლოთ აერჩიათ საცხოვრებელი ადგილი და ჰქონოდათ სხვადასხვა მოქალაქეობა. ქორწინება არ ქმნიდა მეუღლეთა ქონების გაერთიანებას; ნებადართული იყო მეუღლეთა შორის ყოველგვარი კანონიერი ხელშეკრულების დადება, უკეთუ იგი არ უღუდავდა

მათ ქონებრივ უფლებებს. დეკრეტის 95-ე მუხლში მითითებული იყო, რომ „მეუღლეთა შორის შეთანხმებას, რომელიც მიმართულია ქმრის ან ცოლის ქონებრივი უფლების შემცირებისაკენ არა აქვს ძალა და არ არის საგალდებულო როგორც მესამე პირისათვის ისე ცოლ-ქმრისათვის, რომელთაც უფლება ეძლევათ ყოველთვის უარი განაცხადონ ასრულებაზე“.

კანონი იცავდა გაჭირვებული და შრომისუუნარო მეუღლის ინტერესებს, უფლებას აძლევდა მას მოეთხოვა სარჩო შრომისუნარიანი და შეძლებული მეუღლისაგან; კანონის ეს მოთხოვნა ძალაში რჩებოდა განქორწინების შემდეგაც, სანამ არ შეიცვლებოდა პირობა, რომლის მიხედვითაც გაჭირვებული და შრომისუუნარო მეუღლე სარჩოს იღებდა. დეკრეტის 102-ე მუხლის თანახმად დარჩენილ მეუღლეს უფლება ჰქონდა მიეღო გარდაცვლილი მეუღლის ქონება, თუ იგი არ აღემატებოდა 10.000 მანეთს.

მესამე კარში დეკრეტი აწესრიგებდა ურთიერთობას მშობელთა, შვილთა და ნათესავთა შორის.

ოჯახის საფუძვლად კანონი თვლიდა ნამდვილ შთამომავლობას, ამასთანავე იგი არ ანსხვავებდა ნათესაობას, რომელსაც ქმნის ქორწინება იმ ნათესაობისაგან, რომელსაც ქმნის ქორწინების გარეშე კავშირი. დეკრეტის 104-ე მუხლის შენიშვნაში ერთხელ კიდევ იყო ხაზგასმული, რომ „ბავშვები თანასწორნი არიან ყველა უფლებებში მიუხედავად იმისა, ჩამომავლობენ ისინი დაქორწინებულ თუ უქორწინო მშობელთაგან“. კანონის ამ წესს ჰქონდა უკუქცევითი ძალა, იგი ვრცელდებოდა იმ ბავშვებზედაც, რომელნიც დაბადებულნი იყვნენ ქორწინების გარეშე ამ კანონის გამოქვეყნებამდე. ბავშვები იწერებოდნენ მშობლების გვარზე. ბავშვებს, რომელთა მშობლების ქორწინება არ იყო რეგისტრირებული, უფლება ჰქონდათ ეტარებინათ მამის, დედის ან შეერთებული გვარი. განქორწინების ან ქორწინების ბათილად ცნობის შემთხვევაში მშობელთა შეთანხმებაზე იყო დამოკი-

დებული, რომელ გვარზე უნდა დაწერილიყვნენ ბავშვები. უკეთუ მშობლები სხვადასხვა სახელმწიფოს მოქალაქენი იყვნენ, საკითხი ბავშვების მოქალაქეობის შესახებ უნდა გადაწყვეტილიყო მშობელთა წინასწარი შეთანხმებით, ქორწინების რეგისტრაციის დროს სათანადო განცხადების საფუძველზე. კანონი აწესებდა, რომ მშობელთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში ბავშვები ითვლებოდნენ საქართველოს სსრ მოქალაქეებად, ხოლო სრულწლოვანების მიღწევისას მათ უფლება ეძლეოდათ გამოეთქვათ სურვილი მეორე მშობლის მოქალაქეობის მიღებისა. მშობელთა უფლება შვილებზე ვრცელდებოდა ვაჟისათვის 17 წლამდე, ქალისათვის კი 15 წლამდე ე. ი. მათი საქორწინო ასაკის დადგომამდე.

ქალისა და მამაკაცის უფლებრივმა თანასწორობამ თავისი გამოხატულება ჰპოვა შვილების მიმართ მშობელთა უფლება-მოვალეობებში. აპრილის დეკრეტი განსაკუთრებით ამახვილებდა ყურადღებას იმაზე, რომ მშობლები ერთად ანხორციელებენ თავიანთ უფლებას შვილებზე, რომ ყველა ზომა შვილების მიმართ მიიღება მშობელთა ურთიერთშეთანხმებით. ამასთანავე კანონი მიუთითებდა, რომ მშობელთა უფლება შვილებზე უნდა განხორციელდეს მათი სწორად აღზრდის ინტერესებისათვის. დეკრეტის 117-ე მუხლში აღნიშნულია, რომ „მშობლები მოვალენი არიან იზრუნონ თავიანთ მცირეწლოვან შვილებზე, მათ აღზრდაზე და მომზადებაზე სასარგებლო მოღვაწეობისათვის“. მშობლიური უფლების ბოროტად გამოყენება იწვევდა მის ჩამორთმევას. საბჭოთა კანონი უფლებას არ აძლევდა უდირს მშობელს განეგრძო არასრულწლოვანი ბავშვის აღზრდა.

მშობელთა მოვალეობაში შედიოდა შვილების პირადი და ქონებრივი ინტერესების დაცვა. კანონი კრძალავდა 16-17 წლის ბავშვებისათვის მშობელთა მიერ შრომის ხელშეკრულების დადებას ბავშვის დაუკითხავად. მშობლები მოვალენი იყვნენ ეზრუნათ ბავშვის სწავლა-განათლებაზე, ერჩინათ არასრულწლოვანი და შრომისუუნარო შვი-

ლები განქორწინების შემთხვევაშიც, აგრეთვე იმ დროს როცა ქორწინება გაბათილებული იყო. შვილების რჩენის ვალდებულება მშობლებს ეკისრებოდათ თანაბრად, ამასთანავე კანონი ანგარიშს უწევდა მეუღლეთა ქონებრივ მდგომარეობას.

შვილებს არ ჰქონდათ უფლება მშობლების ქონებაზე, ისევე როგორც მშობლებს შვილების ქონებაზე.

შრომისუნარიანი და სრულწლოვანი შვილები ვალდებული იყვნენ ერჩინათ თავიანთი გაჭირვებული და შრომისუუნარო მშობლები იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ დებულოდნენ საზრდოს სახელმწიფო დახმარების სახით. შვილები ითვლებოდნენ მშობელთა და მშობლები შვილთა მემკვიდრეებად. მათ უფლება ჰქონდათ მემკვიდრეობით მიეღოთ ქონება, რომელიც არ აღემატებოდა 10.000 მანეთს.

დეკრეტი უყურადღებოდ არ ტოვებდა გაჭირვებულ და შრომისუუნარო ნათესავებს. 132-ე მუხლი უფლებას ანიჭებდა პირდაპირი ხაზის აღმავალი და დაღმავალი შტოს ნათესაობას, აგრეთვე ძმებსა და დებს გაჭირვებისა და შრომისუუნარობის შემთხვევაში მოეთხოვათ სარჩო თავიანთი შეძლებული ნათესავებისაგან. რეგისტრირებული ქორწინებით წარმოშობილ ნათესაობას კანონი ათანაბრებდა არარეგისტრირებულ ქორწინებით წარმოშობილ ნათესაობასთან. დეკრეტის 133-ე მუხლში მითითებული იყო, რომ პირდაპირი ხაზის აღმავალი ან დაღმავალი შტოს ნათესავებს უფლება აქვთ მიიღონ სარჩო შეძლებული ნათესავებისაგან მხოლოდ იმ შემთხვევაში, „თუ გაჭირვებულ ნათესავთ არ ძალუძთ მიიღონ სარჩო მეუღლისაგან, შვილთაგან ან მშობელთაგან იმის გამო, რომ ეს უკანასკნელნი ან არ იმყოფებიან ან და თვითონ ხელმოკლენი არიან“.

დეკრეტის ბოლო თავი აწესრიგებდა შვილად აყვანის წესს. 142-ე მუხლი შვილად აყვანილს, ოჯახში შვილად მიღებულს და მათ შთამომავლობას უფლებრივად სავსებით ათანაბრებდა შვილად ამყვანის სისხლით ნათესავებთან. უნდა აღინიშნოს, რომ

მსგავსად რსფსრ კანონმდებლობისა შვილად აყვანის ინსტიტუტმა 1921 წლის 28 აპრილის დეკრეტშიც ვერ ჰპოვა სათანადო განვითარება, პირიქით მომავლისათვის კანონმა აკრძალა შვილად აყვანის პრაქტიკა. დეკრეტის 143-ე მუხლში აღნიშნული იყო, რომ ამიერიდან შვილად აყვანა არ წარმოშობდა არავითარ იურიდიულ შედეგებს შვილად ამყვანთა და აყვანილთათვის. დეკრეტის ამ ნორმას ჰქონდა ცხოვრებისეული გამართლება. იმ პერიოდში, როცა გააფთრებული კლასობრივი ბრძოლა წარმოებდა დამსობილ ექსპლოატატორულ ელემენტებსა და ახალ სოციალისტურ წყობას შორის, შვილად აყვანის ინსტიტუტს ხშირად იყენებდნენ კლასობრივი მტრის მიერ არასრულწლოვანთა ექსპლოატაციის ნიღბად. ამან

განაპირობა ის, რომ საბჭოთა სახელმწიფოში გარკვეული დროით გააუქმა შვილად აყვანის ინსტიტუტი.

დეკრეტის ხარვეზს წარმოადგენდა ის, რომ განსხვავებით რსფსრ 1918 წლის საოჯახო კოდექსისა მასში არაფერი იყო ნათქვამი მეურვეობისა და მზრუნველობის ინსტიტუტის შესახებ.

1921 წლის 28 აპრილის დეკრეტი ფაქტიურად იყო საქართველოს სსრ პირველი საოჯახო კოდექსი<sup>5</sup>. იგი კოდექსის უფლებით მოქმედებდა საქართველოში 1930 წლამდე. თავისი რევოლუციური მნიშვნელობით 1921 წლის დეკრეტი წარმოადგენდა ისტორიულ დოკუმენტს. მან უდიდესი წვლილი შეიტანა ქართული სოციალისტური ოჯახის შექმნაში.

5 ს. ჯორბენაძე, საბჭოთა საოჯახო სამართალი, 1957 წ. გვ. 112.



# დისკუსია, კომუნიკაცია, რეკლამა

## აქრონომის მოვადეობისა და აქრონომიის შესახებ

ბ. ბარათაშვილი

ქუთაისის „საბჭოთა სამართლის“ 1966 წლის მე-5 ნომერში დაბეჭდილია ახ. გ. ხარატიშვილის სტატია „ადვოკატის ავტორიტეტის საკითხისათვის“. ჩემის აზრით, სტატია არსებითად ემსახურება მხოლოდ ერთ გარკვეულ ამოცანას, სახელდობრ იმის დამტკიცებას, რომ ადვოკატურას საერთოდ და კერძოდ ადვოკატს არასოდეს არ შეიძლება ჰქონდეს არამც თუ მაღალი ავტორიტეტი, არამედ ავტორიტეტის რაიმე ნასახიცი. ამის პირველი მიზეზი, თურმე, ის არის, რომ ადვოკატს უხდება დამნაშავეების—მკვლელების, ქურდების, ხულიგნების, მოძალადეების და სხვათა დაცვა, რის გამოც, როგორც ავტორი აღნიშნავს, „საზოგადოება განზე გაუდგა ადვოკატურას და გაკიცხა მათი საქმიანობა“. მეორე და მთავარი მიზეზი კი ისაა, რომ ადვოკატს, როგორც ახ. გ. ხარატიშვილი წერს, სასამართლო პროცესზე უხდება კანონით მასზე დაკისრებული მოვალეობის გამო „ობიექტური ჭეშმარიტების უარყოფა, რაც ბუნებრივად წარმოშობს საზოგადოების უარყოფით დამოკიდებულებას ამ პროფესიისადმი“.

თუ სწორია ახ. გ. ხარატიშვილის დებულება და ადვოკატს მართლაც მასზე დაკისრებული მოვალეობის გამო უხდება ჭეშმარიტებისა და სამართლის წინააღმდეგ ბრძოლა, მაშინ ცხადია, რომ იგი ვერასოდეს ვერ მოიპოვებს ავტორიტეტს და მუდამ გარემოცული იქნება საზოგადოების ზიზღით და სამართლიანი გულისწყრომით.

ადვოკატის პირდაპირ მოვალეობას წარმოადგენს ბრალდებულის, სამარ-

თალში მიცემულის დაცვა, რა მიზეზ ბრალდებაც არ უნდა ქონდეს მას წყენებული და ეს იმიტომ, რომ სწორედ სამართალში მიცემულთ, მათ შორის მკვლელობის, ძარცვის, ქურდობის, ხულიგნობის და სხვა დანაშაულთა ჩადენაში ბრალდებულთ აქვთ მინიჭებული კანონით, სსრ კავშირის კონსტიტუციით დაცვის უფლება. ჩვენს პირობებში თუ ასეთი უფლების განხორციელება იწვევს საზოგადოების აღშფოთებას, მის „განზე განდგომას ადვოკატურისაგან“, მაშინ ეს კონსტიტუციური მუხლი მოძველებულად უნდა ჩაითვალოს და დაისვას საკითხი როგორც ამ მუხლის, ისე საბჭოთა დაცვის ინსტიტუტის გაუქმების შესახებ. მაშინ სწორი იქნებოდა ა. ფადეევის ნაწარმოების „ახალგაზრდა გვარდიის“ ერთ-ერთი პერსონაჟის ყორა არუთინიანცის აზრი — «А все таки глупо, например быть «защитником в нашем суде».

ახ. გ. ხარატიშვილიც არსებითად ასე აყენებს საკითხს, როდესაც მოითხოვს დაცვის ინსტიტუტის „გასახელმწიფოებრიობას ან საზოგადოებრივ საწყისეზზე გადაყვანას ან კიდევ რაღაც სხვა ვაზას“. ჯერ-ჯერობით კი ბრალდებულისა და სამართალში მიცემულისათვის მინიჭებული დაცვის უფლება დაცულია საბჭოთა კანონის მთელი ძალით, ვინაიდან მხოლოდ ამ უფლების განუხრელი განხორციელებით შეიძლება კანონიერი და სამართლიანი განაჩენის დადგენა საქმეზე. ადვოკატი კი ის პირია, ვინც ეხმარება ბრალდებულსა და სამართალში მიცემულს განახორციელოს თავი-

სი უფლებები და ადვოკატის ავტორიტეტი მით უფრო მაღალი იქნება, რაც უფრო გაბედულად, სინდისიერად, საქმის ღრმა ცოდნით განახორციელებს იგი ამ მეტად საპასუხისმგებლო მოვალეობას.

მეტად უცნაურია გ. ხარატიშვილის მეორე დებულება, რომელიც შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული სტატიაში: „ბრალდებული მკაცრი სასჯელის მიშით თავს დამნაშავედ არცნობს, უარყოფს ბრალდებას და აყენებს სრულიად უსაფუძვლო ვერსიას, რომლის დაჭერებაც არ შეიძლება. ადვოკატი კი, როგორც წესი, მიყვება ბრალდებულის ამ დაუჭერებელ ვერსიას და გამამტყუნებელი ფაქტების გვერდის ავლით მოითხოვს ბრალდებულის გამართლებას. ასეთია მოვალეობა ადვოკატისა“.

ადვოკატის შესახებ ბევრი თქმულა დაწერილა. ავიც და კარგიც; დავა ადვოკატის პროცესუალური მოვალეობის, ეგრეთწოდებული დაცვითი პოზიციის სისწორის შესახებ საუკუნეთა მანძილზე მიმდინარეობს და დღესაც გრძელდება, მაგრამ საბჭოთა იურისტებიდან ჯერ არავის მსგავსი რამ არც უთქვამს, არც დაუწერია. ხშირად უსაყვედურებდნენ ამა თუ იმ ადვოკატს, რომ მისი დაცვითი პოზიცია კონკრეტულ საქმეზე არ იყო სწორი, რომ მან შესცოდა კანონის, საზოგადოებრივი სინდისის, სამართლიანობის წინაშე, მაგრამ ჯერ არავის არ უთქვამს, რომ ადვოკატი კანონით დაკისრებული მოვალეობა აიძულებს ილაპარაკოს სიცრუე, გვერდი აუაროს გამამტყუნებელ ფაქტებს, უარყოს სიმართლე და ჭეშმარიტება, რომ ასეთი მოქმედება გამოწვეულია „ადვოკატის პროფესიული მოვალეობით“.

ამის შემდეგ საკვებით გასაგებად ხარატიშვილის მსჯელობა ადვოკატის დაბალ ავტორიტეტზე. რა თქმა უნდა, თუ ადვოკატის პროფესიული მოვალეობა, რაც კანონით არის განსაზღვრული — ეს არის სიცრუის ლაპარაკი, უსიცივილო და უტიფარი ბრძოლა ჭეშმარიტებისა და სიმართლის წინააღმდეგ, მის ავტორიტეტზე ლაპარაკიც ზედმეტია. საინტერესოა, რომელ კანონში ამოიკითხა მსგავსი რამ ამ სტრიქონების ავტორმა?

ადვოკატის მოვალეობას განსაზღვრავს საქართველოს სსრ სსსკ 46-ე მუხლი და საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის დებულება. ამ კანონით და დებულებით კი ადვოკატს ევალება დაიცვას ბრალდებულის კანონიერი ინტერესები, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მითითებული ხერხებითა და საშუალებებით, ე. ი. საბჭოთა კანონთან შესაბამისობით, სოციალისტური კანონიერების ურყევად დაცვით. მას ევალება ხელი შეუწყოს სასამართლოს სწორედ სიმართლისა და ჭეშმარიტების დადგენაში და თუ ადვოკატი შეგნებულად არღვევს ამ მოთხოვნას, შეგნებულად ჩქმალავს სიმართლესა და ჭეშმარიტებას იგი დალატობს თავის პროფესიულ მოვალეობას.

ამხ. გ. ხარატიშვილი მიუთითებს რა იმ გარემოებაზე, რომ ადვოკატსა და კლიენტს შორის იდება ორმხრივი ხელშეკრულება, რომლის ძალითაც კლიენტი უხდის ადვოკატს შრომის გასამრჯელოს, ამტკიცებს, თითქოს ამ ხელშეკრულების ძალით ადვოკატი ვალდებულია ყველა პირობებში გაჰყვეს ბრალდებულის, სამართალში მიცემულის ვერსიას, და არად ჩააგდოს არც სიმართლე და არც ჭეშმარიტება, რომ თითქოს ადვოკატის ასეთი პოზიცია განსაზღვრულ იქნა ცნობილ საბჭოთა იურისტების მიერ ახლო წარსულში ადვოკატის პროფესიული მოვალეობის შესახებ ჩატარებულ დისკუსიის დროს.

საქართველო  
საბჭოთა კავშირი

არც ერთ ცნობილ საბჭოთა იურისტს არ უთქვამს მსგავსი რამ, არ განუსაზღვრავს ამდაგვარად ადვოკატის პროფესიული მოვალეობა, არც ერთ მათგანს არ უმტიციებია, რომ ორმხრივი ხელშეკრულება ადვოკატსა და კლიენტს შორის დამცველს აქცევს კლიენტის მონად, მის ბრმა იარაღად, რომ ადვოკატს შეუძლია გამოიყენოს კანონსაწინააღმდეგო ხერხი და საშუალება დამნაშავეს გასამართლებლად.

მსგავსი რამ არ უთქვამთ არამცთუ საბჭოთა იურისტებს, არამედ მეფისდროინდელი იურისტების უმრავლესობაც კი სპსტიკად ვმობდა ადვოკატის ყოველგვარ გადახრას მისი პირდაპირი მოვალეობისაგან. პროფ. ვლადიმეროვი, რომელიც ადვოკატს თვლიდა ნამდვილ მებრძოლად, მეომრად თავის ასპარეზზე, მიუთითებდა: „არ არსებობს დანაშაული, რომლის დაცვაც არ შეიძლებოდა სსსამართლოში. მაგრამ დაცვაში საჭიროა ზომიერება, რასაც განსაზღვრავს პატიოსნება, ნამუსიანობა და პატივისცემა მართლმსაჯულებისადმი. უამისოდ, რასაც ზნეობა გვიკარნახებს, დაცვა იქცევა საზოგადოებრივი ზნეობის გახრწნის გულშემზარავ საშუალებად“...<sup>1</sup>

ეს ტირადა მიმართულია იმათ წინააღმდეგ, ვინც ამტიციებდა, რომ რაკი ადვოკატი დაქირავებულია კლიენტის მიერ, იგი სულით და ხორციით უნდა მიეყიდოს დამქირავებელს. ასეთი შეხედულება ადვოკატის მოვალეობის შესახებ ყველაზე მკაფიოდ გამოხატა ინგლისის XIX საუკუნის ცნობილმა იურისტმა ბრუმმა. მისი აზრით ადვოკატმა, ბრალდებულის ინტერესებიდან გამომდინარე, „უნდა გამიჯნოს თავისი ვალი

სამშობლოს წინაშე ადვოკატის მოვალეობისაგან. იგი ვალდებულია იაროს წინ, უგულებელყოს თავისი მოქმედების მოსალოდნელი შედეგები მაშინაც კი, თუ მისდა საუბედუროდ, ბედმა მისი კლიენტის ინტერესები დაუპირისპირა სამშობლოს კეთილდღეობას“<sup>2</sup>.

აი ფორმულა წამოყენებული იმ პირობის მიერ, რომელთა აზრით ადვოკატი აბსოლუტურად არაფრით არ არის შეზღუდული კლიენტის დაცვის მხრივ.

რაც შეეხება საბჭოთა იურისტებს, ისინი მუდამ იცავდნენ იმ აზრს, რომ არც კანონი, არც პროცესუალური მოვალეობა არ აიძულებს ადვოკატს ბრმად გაჰყვეს ბრალდებულის ვერსიას, რომ, პირიქით, სისხლის სამართლის პროცესში ადვოკატი დამოუკიდებელი მხარეა. ზოგიერთი მათგანი ადვოკატის პროცესუალური მოვალეობის განსაზღვრის საკითხში ისე შორს მიდიოდა, რომ დამცველს უწოდებდა. „სსსამართლოს თანაშემწეს“ (პროფ. ჩელცოვი)<sup>3</sup>, „მოლაპარაკე მოსამართლეს“ (პროფ. რახუნოვი)<sup>4</sup>, „მართლმსაჯულების თანაშემწეს“ (პროფ. სტროგოვიჩი)<sup>5</sup>.

მასასადამე, თუ შეიძლება გამოითქვას ამ საკითხში რაიმე საყვედური საბჭოთა იურისტების მიმართ არა იმ მხრივ, რომ ადვოკატი მათი აზრით ყველა შემთხვევაში კლიენტის ნება-სურვილს უნდა ასრულებდეს, არამედ იმ მიმართებით, რომ ისინი უპირატეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ და ანიჭებენ სისხლის სამართლის პროცესში ადვოკატის მიერ საზოგადოებრივი, სახელმწიფოებრივი ფუნქციის შესრულებას.

ამხ. გ. ხარატიშვილი თავის წერილში აღნიშნავს: „პროფ. სტროგოვიჩი სწორია, როდესაც ადვოკატს სთვლის

<sup>1</sup> Проф. Владимиров, «Учение об уголовных доказательствах» 1882 г. 33. 249.  
<sup>2</sup> ციტატა მოყვანილია რ. გარისის წიგნიდან «Школа адвокатуры», 1911 г. 33. 168.  
<sup>3</sup> Проф. Чельцов, «Адвокат в советском уголовном процессе», 1954, 33. 53.  
<sup>4</sup> Проф. Рахунов, «Социалистическая законность», 1957, 33. 84.  
<sup>5</sup> Проф. Строгович, «Процессуальные положения и процессуальные функции защитника», 1948, 33. 27.



ბრალდებულის წარმომადგენლად სისხლის სამართლის პროცესში“ და ფიქრობს, რომ სტროგოვიჩის აზრით ამ წარმომადგენლობით ამოიწურება ადვოკატის მთელი უფლება — მოვალეობა სისხლის სამართლის პროცესში. პროფ. სტროგოვიჩი კი ამავე დროს აღნიშნავს: „მაგრამ დამცველს ეკუთვნის დამოუკიდებელი პროცესუალური უფლებებიც. იგი არის არა მარტო სამართალში მიცემულის წარმომადგენელი, არამედ თვითონაც მხარეა... სწორედ ამიტომ დამცველი მთლიანად როდია შეზღუდული კლიენტის პოზიციით, არამედ დამოუკიდებლად განსაზღვრავს თავისი მოქმედების ხაზს, თავის პოზიციას საქმეში“.<sup>6</sup>

დამცველის გარკვეულ დამოუკიდებლობაზე ლაპარაკობს აგრეთვე პროფ. პერლოვიც, როდესაც მიუთითებს: „დაცვა საბჭოთა სასამართლოში საზოგადოებრივი ფუნქციაა, მას დიდი სახელმწიფო მნიშვნელობა აქვს. დაცვას არ შეუძლია დაივიწყოს საზოგადოების, სახელმწიფოს ინტერესები“.<sup>7</sup>

მოკლედ, ცნობილ თუ ნაკლებად ცნობილ საბჭოთა იურისტებს შორის არ მოიპოვება არც ერთი ადამიანი, რომელიც მისდევდეს ბრუმის მოსაზრებას და ამტკიცებდეს, თითქოს ადვოკატისათვის არსებობს მხოლოდ კლიენტი და თუ ამას მოითხოვს კლიენტის ინტერესები უნდა გასწიროს საზოგადოების და სამშობლოს ინტერესებიც კი, არ მოიპოვება ადამიანი, რომელიც ამტკიცებდეს, როგორც ამას ფიქრობს ან. გ. ხარატიშვილი, რომ ადვოკატი ყველა პირობებში ვალდებულია გაჰყვეს ბრალდებულის თუ სამართალში მიცემულის ვერსიას უცვლელად და განუხრელად.

მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ დამცვე-

ლი აბსოლუტურად შეუზღუდველთავეის მოქმედებაში, შეუძლია ანგარიში არ გაუწიოს კლიენტს და თუ საჭიროდ ცნობს, მოევილინოს მას ბრალმდებლად. დამცველი იცავს ბრალდებულს, სამართალში მიცემულს, ეს არის მისი პროცესუალური მოვალეობა, ამას ავალებს მას საზოგადოება, სახელმწიფო, კანონი. სწორედ ამ თავისი პროცესუალური მოვალეობის კეთილსინდისიერი შესრულებით შეუძლია მას დახმარება გაუწიოს სასამართლოს ჭეშმარიტების დადგენაში. ადვოკატს არ შეუძლია მძაფრად დაუპირისპირდეს კლიენტს, ზურგი შეაქციოს მის მოთხოვნებს, მის პოზიციას.

ამბობენ ასეთი კოლიზია, ასეთი კონფლიქტი ან არ არსებობს, ან ისე იშვიათია, რომ მას არ შეუძლია შეაფერხოს დამცველის ძირითადი პროცესუალური ფუნქციის შესრულება — კლიენტის ინტერესების დაცვა. ეს რა თქმა უნდა, არ არის საკითხის გადაწყვეტა, ეს ნიშნავს მხოლოდ სიძნელის წინაშე ფარ-ხმალის დაყრას, თავის შეფარებას ჩრდილში, ამ საკითხში ერთგვარი უმწეობის გამოძევაგენებას. ჩვენ არ უარყყოფთ, რომ ასეთი კონფლიქტი არის. ზოგჯერ ასეთი კოლიზიის, კონფლიქტის წარმოშობა დამცველის მიზებითაც ხდება, როდესაც ის გულდასმით არ ეცნობა საქმეს, რის გამოც არ შესწევს უნარი ღრმა და სწორი ანალიზი გაუკეთოს საქმეში წარმოდგენილ მასალებს. იშვიათი როდია ისეთი შემთხვევა, როდესაც თითქოს ყველაფერი ლაპარაკობს ბრალდებულის წინააღმდეგ, მას ამხილებენ სხვა ბრალდებულთა განმარტებანი, მოწმეთა ჩვენებები, ნივთიერი მტკიცებანი, ექსპერტების დასკვნები და ა. შ., მას მიუხავეს კიდევ მკაცრი სასჯელი, მაგრამ ვავიდა დრო და აღმოჩნდა, რომ დაშვებულ იქნა სა-

<sup>6</sup> Проф. **Строгович**, «Процессуальное положение и процессуальные функции защитника» მოთავსებულია წიგნში: «Защита по уголовным делам», 1948, გვ. 29.

<sup>7</sup> Проф. **Перлов**, «Судебные прения и последнее слово подсудимого в советском уголовном праве», 1957, გვ. 119.

ბედისწერო შეცდომა — დაისაჯა უდანაშაულო ადამიანი. ასეთი შემთხვევები არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული ჩვენი პრესის, მათ შორის „პრავდისა“ და „იზვესტიის“ ფურცლებზე. ამის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს კილაძის საქმე, რომელსაც იცავდა ადვოკატი ა. გელოვანი<sup>8</sup>. კილაძეს ბრალად ედებოდა მოქ. არუთინოვის მკვლელობა და მიესაჯა 17 წლით თავისუფლების აღკვეთა. ერთის შეხედვით თითქოს ყველაფერი ამხილებდა კილაძეს არუთინოვის მკვლელობაში, წინასწარი გამოძიების გარკვეულ მომენტში მან თავის ხელით დაწერილი განცხადებითაც კი დაადასტურა თავისი დანაშაული. მაგრამ გავიდა დრო, გამოძიებამ აღმოაჩინა არუთინოვის ნამდვილი მკვლელები, ხოლო კილაძე გამართლებულ იქნა. ადვოკატი გელოვანი სასამართლოში ამტკიცებდა კილაძის უდანაშაულობას.

თუ ვაყვებით ამხ. გ. ხარატიშვილის მოსაზრებებს, ადვოკატ გელოვანს შექმნილ ვითარებაში უნდა ერწმუნებია კილაძის ბრალი და ხელი აეღო მის დაცვაზე, ანდა ზოგიერთთა აზრის მიხედვით ეცნო მკვლელობის ფაქტი, ე. ი. მოქცეულიყო ისე როგორც მოიქცა კუბიშვილის ოლქის ადვოკატთა კოლეგიის წევრი ნემიროვი, როდესაც სამხედრო ტრიბუნალში ერთ-ერთი მოქალაქის ბრალდების საქმის განხილვის დროს მხარი დაუჭირა პროკურორს, რომელიც მოითხოვდა სამართალში მიცემულის დახვრეტას. ტრიბუნალს ადვოკატის ასეთი საქციელი კი არ მოუწონებია და ხოტბა კი არ შეუსხამს ადვოკატისათვის იმის გამო, რომ მან უგულვებლყო თავისი მოწოდება, თავისი პროცესუალური მოვალეობა და ამაღლდა „ქეშმარიტების“ მწვერვალამდე, არამედ გამოიტანა კერძო განჩინება, რომლითაც სას-

ტიკად გაიციხა ნემიროვი შეუფერებელი საქციელისათვის.<sup>9</sup>

ადვოკატი გელოვანი კი სულ სხვაგვარად მოიქცა და არა იმიტომ, რომ ბრმად ვაჰყვა თავისი კლიენტის მიერ სასამართლოში წამოყენებულ უდანაშაულობის ვერსიას, არამედ საქმის მასალების ზედმიწევნით შესწავლამ, დამამტკიცებელი საბუთების ღრმა იურიდიულმა ანალიზმა, საქმის ირგვლივ შექმნილი ფსიქოლოგიური ვითარების გარკვევამ საშუალება მისცა მას შეემუშაებინა სწორი დაცვითი პოზიცია.

ეს მაგალითი ჩვენ მოვიყვანეთ იმის ნათელსაყოფად, რომ ხშირად კონფლიქტი ადვოკატსა და კლიენტს შორის ადვოკატის ნაკლებუნარიანობის, სუსტი მომზადების, საქმისადმი ზერელე დამოკიდებულების, მასალების სუსტი ანალიზის შედეგია.

მაგრამ დამცველსა და კლიენტს შორის გარკვეულ შემთხვევაში მაინც შეიძლება წარმოიშვას კონფლიქტი და ამის მაგალითები პრაქტიკაში მოგვეპოვება კიდევ.

როგორ უნდა მოიქცეს დამცველი ასეთ შემთხვევაში? ამხ. გ. ხარატიშვილის მოსაზრებით გამოსავალი აქ მხოლოდ ერთია — დამცველი ჩაყენებულ უნდა იქნეს პროკურორის თანაბარ უფლებრივ მდგომარეობაში.

თუ სამართალში მიცემულს სამსჯავრო გამოძიებით არ დაუდასტურდა ბრალდება და პროკურორს უფლება აქვს მოუხსნას მას ეს ბრალდება, მოითხოვოს მისი გამართლება. რატომ არის, კითხულობს ამხ. გ. ხარატიშვილი, ადვოკატი იმდენად შეზღუდული კანონით, რომ მას არა აქვს უფლება უარი განაცხადოს კლიენტის დაცვაზე, როდესაც სამართალში მიცემულის ბრალი უდავო ხდება, ის კი ჯიუტად ამტკიცებს თავის უდანაშაულობას? სწორედ ამის

<sup>8</sup> ადვ. ა. გელოვანის სიტყვა მოთავსებულია კრებულში „ქართველ ადვოკატთა სამოსამართლო სიტყვები“, 1963 წ. გვ. 25-72.

<sup>9</sup> Н. Чегунова, «Право на защиту», «Литературная газета», № 111, 1966 г.



გამო ადვოკატს უფლება უნდა მიეცეს ასეთ შემთხვევაში ხელი აიღოს სამართალში მიცემულის დაცვაზეო, — აცხადებს გ. ხარატიშვილი. სწორედ იმ პირობებს, რომლებიც ამდაგვარად აყენებენ საკითხს, უპასუხებს პროფ. სტროგოვიჩი: „ძნელი არ არის იმის ნათელყოფა, რომ ასეთი მსჯელობა მხოლოდ სოფიზმია.

ბრალის დადება უდანაშაულო ადამიანისათვის არ შეიძლება, დაუშვებელია, უკანონოა, ხოლო დაცვა შეიძლება დამნაშავისაც, ოღონდ დაცვის ხერხები უნდა იყოს კანონიერი“.<sup>10</sup>

აი რატომ არ შეიძლება ამ საკითხში ერთნაირ უფლებებრივ, პროცესუალურ მდგომარეობაში იქნენ ჩაყენებულნი პროკურორი და დამცველი.

არ არის სწორი გ. ხარატიშვილი, როდესაც ამტკიცებს, რომ კანონი ავალებს ადვოკატს „გამოეთიშოს ფართო საზოგადოების განწყობილებას და თავის რწმენის წინააღმდეგ დაიცვას ბრალდებულის ყოვლად გაუმართლებელი საქციელი“. მიეცით ადვოკატს საშუალება ასეთ პირობებში ხელი აიღოს სამართალში მიცემულის დაცვაზე და ყოველგვარი კონფლიქტი მოიხსნებაო, — ასეთია გ. ხარატიშვილის მსჯელობის აზრი.

ჯერ ერთი, „ადვოკატის რწმენა“ ოღონდაც ვერ გამოდგება ბრალდებულის თუ სამართალში მიცემულის დამნაშავეობის უტყუარ საზომად. ასეთი „რწმენა“ ადვოკატს შეიძლება შეექმნას იმის გამო, რომ იგი კარგად არ იცნობს საკითხს, არ არის დახელოვნებული საქმის ვარემოებათა გამოძიებაში, ვერ ახერხებს საქმის მასალების სწორად გააზრებას და შეფასებას. მეორეც, „ადვოკატის რწმენა“ შეიძლება კეთილსინდისიერი შეცდომის ნაყოფიც იყოს. განა არ სცდება ზოგიერთ შემთხვევაში გამოძიებელი, პროკურორი, სასამართ-

ლო ბრალდებულის თუ სამართალში მიცემულის ბრალის დადგენის საკითხში? მაშ რატომ უნდა ვიფიქროთ, რომ „ადვოკატის რწმენა“ თვალშეუდგამი ჭეშმარიტების მლალდებელია.

ბრალდებულის დამნაშავეობის საზომად არც „საზოგადოების განწყობილება“ გამოდგება. ეს განწყობილება ხშირად იმის შედეგია, რომ საზოგადოება არ არის სწორად ინფორმირებული, მისთვის არ არის ცნობილი საქმის ნამდვილი ვითარება და იგი არც შეიძლება დაწვრილებით იცნობდეს საქმის ყველა დეტალს. სასამართლო საქმის განხილვისას და განაჩენის დადგენისას ხელმძღვანელობს საქმის კონკრეტული მასალებით, ბრალისა თუ უდანაშაულობის დამამტკიცებელი საბუთებით და მთელი მასალების შეფასების შედეგად ადგენს განაჩენს, უდავოდ ხელმძღვანელობს რა ამასთან ერთად არა „საზოგადოების განწყობილებით“, არამედ საზოგადოების, სახელმწიფოს ინტერესებით. ვფიქრობთ ყველასათვის გასაგებია, რომ „საზოგადოების განწყობილება“ ამა თუ იმ კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით და „საზოგადოებრივი ინტერესები“ სულ სხვადასხვა ცნებებია.

და განა საქმეს — ადვოკატსა და ბრალდებულს შორის კონფლიქტის მოხსნას შევლის გ. ხარატიშვილის ის საშუალება, რომელსაც იგი გვთავაზობს — დამცველთა ინსტიტუტის „გასახელმწიფოებრიობა“, მის საზოგადოებრივ საწყისებზე გადაყვანა და ა. შ.? ხომ არ ფიქრობს ამხ. გ. ხარატიშვილი, რომ რაკი დამცველი სახელმწიფო მოსამსახურე გახდება ანდა დაცვის მოვალეობა დაეკისრებათ მოქალაქეებს საზოგადოებრივ საწყისებზე, იგი მოეგვინება ბრალდებულს ხან დამცველად, როდესაც შეექმნება „რწმენა“ მის უდანაშაულობაში, ხან კი ბრალდებულად, როდ-

<sup>10</sup> Проф. Строгович, «Процессуальное положение и процессуальные функции защитника», წიგნი: «Защита по уголовным делам», გვ. 35.



საც შეექმნება „რწმენა“ მისი უდანაშაულობის შესახებ? უდანაშაულო კაცს დამცველი არ სჭირდება, ხოლო თუ ადვოკატი მოვალე გახდება დაიცვას ბრალდებული მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მას შეექმნება „რწმენა“ მისი უდანაშაულობის შესახებ, როდესაც მისი უდანაშაულობა ნათელი გახდება სამსჯავრო გამოძიებით, მაშინ ადვოკატი სრულიად ზედმეტი ფიგურა იქნება პროცესში, ვინაიდან იმ ბრალდებულს, ვისი უდანაშაულობაც დამტკიცდება სამსჯავრო გამოძიების დროს, იცავს პროკურორიც და სასამართლოც.

მაშ როგორ უნდა გადაწყდეს მინც საკითხი, როდესაც სახეზეა ნამდვილი და სერიოზული კონფლიქტი ადვოკატსა და ბრალდებულს შორის? ქმნის თუ არა ეს გამოუვალ მდგომარეობას და აიძულებს თუ არა ადვოკატს იმოქმედოს თავისი სინდისის, საზოგადოებრივი მორალის, კანონის მოთხოვნათა წინააღმდეგ? არავითარ შემთხვევაში!

ადვოკატს არა აქვს უფლება უარი თქვას კლიენტის დაცვაზე, უკეთეს მან ასეთი იკისრა. მაგრამ ბრალდებულს, სამართალში მიცემულს უფლება აქვს უარი თქვას დაცვაზე წინასწარ გამოძიების და სამსჯავრო გამოძიების ყოველ მომენტში. ასეთი უფლება მას მინიჭებული აქვს სსსკ 45-ე მუხლით. სამართალში მიცემული თვითონ არის მხარე პროცესში და კანონის ძალით თვითონვე შეუძლია განახორციელოს თავისი დაცვის უფლება. ადვოკატს არა აქვს უფლება თავზე მოახვიოს ბრალდებულს, სამართალში მიცემულს წინასწარი გამოძიების თუ სამსჯავრო გამოძიების შედეგად შემუშავებული თავისი დაცვითი პოზიცია, მაგრამ იგი ვალდებულია გააცნოს ეს პოზიცია სამართალში მიცემულს და თუ კი მათი პოზიციები მკვეთრად, შეუთრგებლად უპირისპირდება ერთმანეთს ბრალდებულს თუ სამართალში მიცემულს უფლება აქვს უარი თქვას ადვო-

კატის მომსახურებაზე. ამ შემთხვევაში დამცველი კი არ დალატობს თავის მოვალეობას, ის უარს კი არ ამბობს დაცვაზე, პირიქით, იგი ყველა ვითარებაში, ყოველგვარ პირობებში იცავს კლიენტის ინტერესებს, მაგრამ იცავს მის კანონიერ ინტერესებს, კანონით განსაზღვრული ხერხებითა და საშუალებით, რომლის უკუგდება მას არ შეუძლია. ადვოკატს არ შეუძლია შეადგინოს თავისი დაცვითი პოზიცია კლიენტის კარნახით, არაფრად ჩაადგოს წინასწარი გამოძიების და სამსჯავრო გამოძიების მასალები. დაცვითი პოზიცია მუშავდება მთელი ამ მასალების გაზრებისა და გაანალიზების შედეგად. ადვოკატს ევალება კლიენტის ინტერესების დაცვა, მაგრამ არავის არ შეუძლია მიანიჭოს სამართალში მიცემულს თუ ბრალდებულს უფლება სულ ერთიანად შებოჭოს დამცველი, გადააქციოს იგი კლიენტის უსიტყვო მსახურად, ამოქმედოს თავისი კარნახით, ის გახდეს ადვოკატის დაცვითი პოზიციის განმსაზღვრელიც და მისი დაცვითი სიტყვის ავტორიც.

ამხ. გ. ხარატიშვილი სულ სხვაგვარად აყენებს საკითხს. ის მოითხოვს, რომ თვით ადვოკატს, კლიენტისაგან სრულიად დამოუკიდებლად, მიენიჭოს უფლება ხელი აიღოს კლიენტის დაცვაზე გარკვეულ პირობებში, თუნდაც ეს უკანასკნელი თანახმა იყოს ადვოკატის დაცვითი პოზიციის, თუნდაც ადვოკატი არ მიჰყვებოდეს მის გამამართლებელ ვერსიას. გ. ხარატიშვილი ამტკიცებს, რომ არსებობენ ისეთი საზიზღარი დამნაშავეები, რომელთა დაცვა ყოველად შეუძლებელია, რომელთა მიმართ აბსოლუტურად გამორიცხულია საშეღავათო გარემოებანიც კი და ამის საილუსტრაციოდ მას მოჰყავს ორი მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან. ოდითგანვე ცნობილია, რომ დაცვა ყველაზე მეტად სწორედ მაშინ არის საჭირო, როდესაც საქმე განსაკუთრებით მძიმეა. სწორედ ასეთ საქმესთან დაკავშირებით შეუძლია დამ-



ცველს გაუწიოს უდიდესი დახმარება სასამართლოს ჭეშმარიტების დადგენაში. გ. სკრეპოვამ მოკლა საკუთარი 6 წლის შვილი მხოლოდ იმისათვის, რომ თავისუფლად მიეღო საყვარელი ბინაში, გვიამბობს გ. ხარატიშვილი და აღმოფთვებული დასძენს, განა არსებობს რაიმე საშეღავათო გარემოება ასეთ შემთხვევაში, განა შეიძლება რაიმე ზომით დაცვა ასეთი მხეცისათ.

თქმა არ უნდა, საზიზღარი დანაშაულია!

მაგრამ მაინც საჭიროდ იქნა ცნობილი ამ საქმის საჯაროდ განხილვა პროკურორის მონაწილეობით იმისათვის, რომ დადგენილიყო ამ დანაშაულის ვითარება, გამოჩვენებულიყო რა მიზეზით, რა მოტივით ჩაიდინა ეს დანაშაული სკრეპოვამ, ხომ არ გაუხდია იგი იძულებული ასე მოქცეულიყო საყვარელს და, მამასადამე, ხომ არ მიუძღვის საყვარელსაც ბრალი ამ დანაშაულში, რას წარმოადგენს თავისთავად სამართალში მიცემულის პიროვნება, არის თუ არა იგი ფსიქიურად სრულფასოვანი და სხვა მრავალი საკითხი. განა ამ საკითხების დაზუსტება არ მოითხოვდა დამცველის აქტიურ მონაწილეობას პროცესში და ამ საკითხების გამოუჩვენებლად განა შეიძლებოდა სწორი, კანონიერი განაჩენის გამოტანა! შეიძლება სასამართლომ არ მიიღოს ადვოკატის მიერ დასახელებული საშეღავათო გარემოებანი ამა თუ იმ საქმეზე, ამ საქმის სიმძიმის გამო, მაგრამ შეუძლია კი ადვოკატს არ მოიხსენიოს საშეღავათო გარემოებანი თუნდაც ასეთ საქმეზე ან თუნდაც თვით სასამართლომ არ უნდა გამოიკვილოს ასეთი საშეღავათო გარემოებანი? გ. ხარატიშვილი აღფრთოვანებულია პლევაკოს მიერ კაცის მკვლელ ბერტენიევის დაცვით. რატომ? შეიძლება აქ საშეღავათო ის არის, რომ ეს მკვლელია „რომანიულ“ ნიადაგზე მოხდა. მაგრამ სკრეპოვამაც ხომ მკვლელია, რა თქმა უნდა, შეუღარებლად უფრო აღმამფთვებელი, ჩაიდი-

ნა „რომანიულ“ ნიადაგზე? შეიძლება აქ მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მკვლელი ბერტენიევი არისტოკრატი და ნატიფი ფსიქიკის ადამიანი იყო, სკრეპოვა კი მუშა, ან იმას, რომ ბერტენიევის იცავდა ბრწყინვალე ადვოკატი პლევაკო, სკრეპოვას კი ვიღაც „უჩინარი“ ადვოკატი.

საინტერესოა გ. ხარატიშვილის მოსაზრება მე-19 საუკუნის მოწინავე ადვოკატების მუშაობის „ხალი სტილის“ შესახებ. იგი აღფრთოვანებულია იმით, რომ ამ ადვოკატებმა თავი დაანებეს „საქმის იურიდიულ ანალიზს, ფორმალურ მტკიცებათა განმარტებას“ და გადავიდნენ „საქმის ფსიქოლოგიურ ანალიზზე.“ გ. ხარატიშვილი სცდება, როდესაც ფიქრობს, რომ XIX საუკუნის იურისტებმა უკუაგდეს იურიდიული მიდგომა საქმისადმი, მასალების იურიდიული ანალიზი, ე. ი. ის, რაც შეადგენს იურისტის პირდაპირ მოვალეობას და გადავიდნენ შიშველ „ფსიქოლოგიურ დაცვაზე“ ანუ როგორც გ. ხარატიშვილი ამბობს „ფსიქოლოგიურ ანალიზზე“. ხსენებული იურისტების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი თანაბარი ოსტატობით ფლობდნენ როგორც იურიდიულ ისე ფსიქოლოგიურ ანალიზს და მოხერხებულად უხამებდნენ ერთმანეთს ორივე ამ „სტილს“.

გ. ხარატიშვილი მეტსაც ამბობს. ამ ადვოკატებმა ისეთ მხატვრულ შემოქმედებით სიმალეზე აიყვანეს დაცვა, რომ მწერლებმა: ტურგენევმა, ტოლსტოიმ, დოსტოევსკიმ, ჩეხოვმა, აკაკი წერეთელმა, ვაჟა-ფშაველამ და სხვებმა ამ ადვოკატებში დაინახეს თავიანთი პროფესიის მეტოქე და სხვადასხვა პოზიციებიდან დაუწყეს მათ კრიტიკა.

მე პირადად დიდად ვაფასებ გასული საუკუნის ადვოკატთა მოღვაწეობას, მაგრამ არ შემიძლია გავიზიან-

საქართველოს  
საბჭოთაო

რო ის შეხედულება, თითქოს მათმა შემოქმედებითა სტილმა, მათმა პოპულარობამ შეაძრწუნა მსოფლიო ლიტერატურის კორიფეები — ტოლსტოი, დოსტოევსკი, ჩეხოვი, ნეკრასოვი, ვაჟა და აკაკი და ადავსო ისინი შურით და გესლით მათდამი.

საერთოდ გ. ხარატიშვილი დაწვრილებით ჩამოთვლის თავის სტატიამი სხვადასხვა მწერალთა უარყოფით აზრებს და გამოთქმებს ადვოკატებისადმი და ამას იგი აკეთებს იმ დებულების დასამტკიცებლად, რომ „ადვოკატი სამწუხაროდ არ სარგებლობს ისეთი მაღალი ავტორიტეტით, როგორც ექიმი, ინჟინერი“ და ა. შ. ამხ. ხარატიშვილს ამოღებული აქვს მწერლების ნაწარმოებებიდან ის ადგილები, რომლებიც ეხებიან ადვოკატს და არას ამბობს იმის შესახებ, რომ ამ ნაწარმოებში აუგად მოხსენებული არიან სხვა პროფესიის წარმომადგენლებიც.

მაგალითად, ნეკრასოვის იმავე ლექსში, სადაც უარყოფითად არის მოხსენებული ადვოკატი, ნათქვამია:

«На Литейном такое есть здание,  
Где виновного ждет наказание,  
А невинен — отпустят домой,  
Снявши ушамом помой.  
Я там был. Не последнее бедствие.  
Должну Вам, судебное следствие —  
Юный пристав меня истерзал;  
Прокурор «поседевший во бдении,  
Так копался моем поведении,  
Что с наскучи в истерику впал».

ეს კი ნიშნავს, რომ ნეკრასოვი აუგად იხსენიებს შეფისდროინდელ სასამართლოს მთლიანად — თავისი მოსამართლით, პრისტავით, პროკურორითა და დამცველით.

მოჰყავს რა ცრცელი ამონაწერი აკაკის პიესიდან „კინტო“, გ. ხარატიშვილი განმარტავს — „აკაკი წერეთელმა

ადვოკატის თეორიული და იდეური მომზადებისათვის საკმარისად ჩასთავალა ვაზნების კითხვაო“. ხარატიშვილის მიერ მოყვანილ ამონაწერში ვკითხულობთ:

„აღმასხანა — რატომ, ბატონო? ვისაც კი გულისყური ემარჯვება იმდენს კიდევ ისწავლის, რომ ვაზნებში წეროს და წიგნები გამოსცეს“...

ნიშნავს თუ არა ეს, რომ აღმასხანას პირით აკაკიმ თავს ლაფი დაასხა ყურნალისტებს, პუბლიცისტებს და მწერლებს, ე. ი. მათ შორის საკუთარ თავსაც და შეიძლება თუ არა საერთოდ მწერალთა მოთხრობების პერსონაჟების ყოველი ნათქვამი ჩავთვალოთ ამ მოთხრობათა ავტორების მრწამსად?

იმავე დოსტოევსკის, რომლის ერთ-ერთი გამოთქმაც ადვოკატის შესახებ გ. ხარატიშვილს მოჰყავს თავის წერილში, კარგად ესმოდა თუ რა დიდ როლს ასრულებს ადვოკატი სწორედ უმძიმესი საქმეების გარჩევის დროს, ლაპარაკობს რა გარკვეული კატეგორიის საქმეებზე, დოსტოევსკი წერს:

«Подавляющая совокупность фактов против подсудимого и в то же время ни одного факта, выдерживающего критику, если рассматривать его одиночно самого по себе».

ამ შემთხვევაში დამცველის როლი, დოსტოევსკის აზრით შემდეგში გამოიხატება: «Разбить эту страшную совокупность фактов и выставить недоказанность и фантастичность каждого обвиняемого факта в отдельности»<sup>11</sup>.

როგორც ჩანს, დოსტოევსკის გაცილებით უფრო კარგად სცოდნია ადვოკატის პროცესუალური მოვალეობა და მისი ამოცანა საერთოდ, ვიდრე მრავალ იურისტს, რომლებიც ბრალდებულის დაცვის თუ არ დაცვის საკითხს სწყვეტენ მათში აღძრული

<sup>11</sup> Ф. М. Достоевский, Полное собрание сочинений, т. XIII, стр. 262.

ეჭვებისა და განწყობილების მიხედვით.

დოსტოევსკიმ თავის რომანში „ძმები კარამაზოვები“ შესანიშნავად დავგვიხატა დიმიტრი კარამაზოვის გასამართლების პროცესი, მისი დამცველი ფიქტიუკოვიჩი, რომელმაც უკუაგდო რა ფაქტების იურიდიული ანალიზი, მოიმარჯვა გ. ხარატიშვილის მიერ რეკომენდებული „ფსიქოლოგიური ანალიზი“, რითაც მეტად სავალალო მდგომარეობაში ჩააგდო თავისი კლიენტი, ხოლო სასამართლომ პროკურორის „ბრწყინვალე“ სიტყვის შემდეგ დასაჯა უდანაშაულო ადამიანი — დიმიტრი კარამაზოვი. გ. ხარატიშვილის რჩევის თანახმად დიმიტრი კარამაზოვის დამცველს არ უნდა წარმოეთქვა არც იურიდიული და არც ფსიქოლოგიური სიტყვა, მას უარი უნდა განეცხადებია მის დაცვაზე, რადგან საქმის ყველა გარემოება, როგორც დოსტოევსკი ადასტურებს, მის წინააღმდეგ მეტყველებდა და ამხილებდა საკუთარი მამის მკვლელობაში. საზიზღარი მკვლელობაა, საზიზღარი დანაშაული!

მაგრამ როგორც ხედავთ დოსტოევსკი არ ეთანხმება გ. ხარატიშვილის მოსაზრებას. დოსტოევსკის მიაჩნია, რომ სწორედ ასეთი მძიმე და რთული საქმე მოითხოვს ადვოკატის მონაწილეობას მასში, მის გამჭრიახობას და გამბედაობას.

დოსტოევსკი რომ დიდად აფასებდა საერთოდ პროკურორისა და ადვოკატის როლს ეს ჩანს მისი ნათქვამიდან: «Трибуна наших новых судов это решительная нравственная школа для нашего общества»<sup>12</sup>.

გ. ხარატიშვილი თავის წერილში

მიუთითებს: ლ. ტოლსტოიმ ერთ-ერთ თავის ნაწარმოებში ადვოკატს „დურაჩოკი“ უწოდაო. კი მაგრამ იმავე ტოლსტოიმ თავის წერილში მეჭიქრისკისადმი კიდევ უფრო უარყოფითად მოხსენია ჟურნალისტები: «Газетная и журнальная деятельность есть умственная бордель, из которого возврата не бывает»<sup>13</sup>.

იგივე ტოლსტოი მეტად მწვავედ ჰკილავს კრიტიკოს ლიტერატორებს, მაგრამ განა ეს იძლევა საფუძველს ჟურნალისტების, პუბლიცისტების, კრიტიკოსების დამცირებისათვის, მათი მიწასთან გასწორებისათვის, ავტორიტეტის შებღალვისათვის და განა საერთოდ თუნდაც დიდი ადამიანების მიერ შემთხვევით, გარკვეული განწყობილების გამო წამოსროლილი გამკიცხავი გამოთქმები შეიძლება გამოყენებულ იქნას ამა თუ იმ პროფესიის მუშაკთა დამცირებისა და დასამარებისათვის.

ამა თუ იმ პროფესიის მუშაკთა ავტორიტეტი რომ დამოკიდებული იყოს მათ მიმართ გამოთქმულ საყვედურებზე და უარყოფით აზრებზე, მაშინ არც ერთი პროფესია არ იქნებოდა ავტორიტეტის შარავანდედით მოსილი. იმდენი გამკილავი, უარყოფითი აზრი, რამდენიც გამოთქმულია მედიცინის მუშაკების მიმართ, მათ შორის ტოლსტოის მიერაც, არც ერთი პროფესიის მუშაკის მიმართ არ გამოთქმულა, მაგრამ ამის გამო აზრად არავის მოსვლია მედიცინის მუშაკების გაკიცხვა ან მათ დაბალ ავტორიტეტზე ლაპარაკი.

<sup>12</sup> Ф. М. Достоевский, Полное собрание сочинений, т. X, стр. 190.

<sup>13</sup> Л. Н. Толстой, О литературе, статьи, письма, дневники, 1955 г. стр. 135.

ადვოკატს უხდება დაცვა დამნაშავეებისა ყველა პროფესიის მუშაკთა წრიდან, მაგრამ არავის არ დაუყენებია ამის გამო საკითხი ინჟინერთა, აგრონომთა, მედიკთა და სხვათა პროფესიის უავტორიტეტობის ან დაბალი ავტორიტეტის შესახებ.

მე სავსებით ვეთანხმები გ. ხარატი-

შვილს, რომ ადვოკატთა შემადგენლობაში მოიპოვებიან ჩამორჩენილი, ნაკლებად მცოდნე, ადვოკატის საქმიანობისათვის შეუფერებელი პირები და ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა ვიბრძოლოთ უღირსთა წინააღმდეგ, ადვოკატურის წევრთა იდეური და კულტურული დონის ასამაღლებლად.

# პირველი პირობები ანის სინთეზის დასრულების შესახებ

ნიკოლოზ კვციანი

ახალი სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის პირველი კარის ძირითადი დებულების მე-6 მუხლი ასე იწყება: „სასაზღვრო მსაჯულების მონაწილეობა და კოლექტიურიობა“ (გვ. 8. საზვასმა ყველგან ჩემია. — ნ. კ.);

აქ სასაზღვრო მსაჯულებისა და სსდომის თავმჯდომარის უფლებამოსილებასზეა ლაპარაკი. ისინი ყველა საკითხის გადაჭრაში თანასწორი უფლებებით სარგებლობენ. ასეთ თანასწორუფლებიანობას კი ეწოდება არა „კოლექტიურობა“, არამედ — კოლექტიულობა. რატომ? იმიტომ, რომ „კოლექტიურობა“ ნიშნავს არა კოლექტიულობას, არამედ კოლექტიულობის თანას, კოლექტიულობის შედეგს, კოლექტიულობის მსგავსს, რაც სხვადასხვა ცნებებია: ერთი ან არსი და მეორე კი — არსის სახეობა, არსის გვარობა, არსის მსგავსება.

აღნიშნულ მუხლში რადგან არსზეა ლაპარაკი, ე. ი. მოსამართლეთა თანასწორუფლებიანობაზე, ამიტომ მას ეწოდება კოლექტიულობა და კოდექსის პირველი კარის ძირითადი დებულების მე-6 მუხლშიც ასე უნდა იყოს მოხსენიებული.

43-ე მუხლში ვკითხულობთ: „შეიძლება პროცესში ჩაებან საკუთარი ინციტიატივით (გვ. 35); „ინციტიატივის“ ნაცვლად უნდა იყოს — თათსობით.

43-ე მუხლში ნათქვამია: „შეუძლიათ გაცნონ საქმის მასალებს, განაცხადონ აცილება, მისცენ ახსნა-განმარტება, წარადგინონ მტკიცებულებანი, მონაწილეობა მიიღონ მტკიცებულებათა გამოკვლევაში“ (გვ. 35); რატომ „მტკიცებულება“ და არა მტკიცება ან მტკიცებები?

აქ «доказывания» გაგებულა, როგორც „მტკიცება“, «доказательств» კი მტკიცებულება, რადგან «обязанность доказывания и представления доказательств» თარგმნილია როგორც მტკიცებისა და მტკიცებულება — თა წარდგენის მოვალეობა“ (მუხ. 52, გვ. 42); რაც არ არის სწორი, უნდა იყოს: „მტკიცებისა და მტკიცებათა წარდგენის მოვალეობა“.

გ. კვარაცხელიას აზრი, რომელიც „მტკიცებულობას“ უჭერს მხარს და მას მართებულად თვლის იმ მოსაზრებით, რომ „ჯერჯერობით უკეთესი ტერმინი ამ ცნების გამოსახატავად არა გვაქვსო“, მიუღებელია.

თვით გ. კვარაცხელია აღნიშნავს, რომ „მტკიცებულობა“ ტერმინი კი არა, აღწერილობითი ხასიათის განმარტებაა, რომ ამ ტერმინის წარმოქმნით „ერთგვარი უხერხულობა მაინც შეიძინევა“, რომ „მტკიცებულობა“ არ არის საკმაოდ მობილური ტერმინი, განსაკუთრებით მაშინ, როცა საჭირო ხდება მისი მრავლობით რიცხვში გამოყენება: მტკიცებულებებს, მტკიცებულებების, მტკიცებულებებმა, მტკიცებულებებით“, რომ ამ გამოთქმისათვის „გარკვეული კეთილხმოვანება საგაღღებულოა“.<sup>1</sup>

როდესაც არსებულ გამოთქმას სხვა ტერმინით ცვლიან, ეს ახალი არსებულზე უკეთესი უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ძველი ტერმინი ინარჩუნებს უპირატესობას და ძალაში რჩება.

უსერხულია ტერმინი „დასაბუთებულობის“ გამოყენებაც, რაც 198-ე მუხლშია წარმოდგენილი (გვ. 133) „გადაწყვეტილების კანონიერება და დასაბუთებულობა“.

ნუთუ ძნელია მიხვდნა იმისა, რომ „დასაბუთებულობას“ — დასაბუთება სჯობს?

73-ე მუხლში ვკითხულობთ: „ნიუთიერი მტკიცებულებების წარმდგენი ან მისი გამოთხოვის შესახებ შუამდგომლობის აღმძვრელი პირი მოვალეა მიუთითოს, სახელდობრ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე რა გარემოებანი შეიძლება დადგენილ იქნეს ამ მტკიცებულობით“.

სჯობდა აღნიშნული მუხლი ასე გადმოცემულიყო: „ნიუთიერი მტკიცებულების წარმდგენი ან მისი გამოთხოვის შესახებ შუამდგომლობის აღმძვრელი პირი მოვალეა მიუთითოს, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სახელდობრ რა გარემოებანი შეიძლება დადგენილ იქნას ამ მტკიცებულობით“.

192-ე მუხლის სათაურია: „სასამართლო საქმისათვის“, 193-ისა კი — „რეპლიკა“. თუ სიტყვა „კამათს“ აუცილებლად თან უნდა ახლდეს მეორე სიტყვა „სასამართლო“, რატომ „რეპლიკასაც“ არ უნდა ჰქონდეს ასეთი? და თუ „რეპლიკას“ არა სჭირდება, მაშინ „კამათიც“ თავისუფალი უნდა იყოს ამ მხრივ (იხ. გვ. 130, 131);

1 იხ. ურ. „საბჭოთა სამართალი“, 1965 წ. № 9 გვ. 86. „იურიდიული ტერმინოლოგიის გამო“;

ვფიქრობ სწორია „რეპლიკა“, რომელსაც „სასამართლო“ არ ახლავს, რაც თავისთავად იგულისხმება. ასევე უნდა იყოს „კამათიც“. ეს შენიშვნები ეხება ამ კოდექსის რუსულ ტექსტსაც (გვ. 112, 113):

72-ე მუხლი მეტად ბუნდოვანია, დაუზღვებელი და გაუგებარია. ამ მუხლში ვკითხვლობთ: „საქმეში არსებული დედანი საბუთები მათი წარმომდგენის თხოვნით შეიძლება დაუბრუნდეს მას სასამართლოს გადაწყვეტილებების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, მაგრამ საქმეში უნდა დარჩეს საბუთის მოსამართლის მიერ დამოწმებული პირი (გვ.52). აი ამ მუხლის მისაღები რედაქცია: „საქმეში არსებული დედანი შეიძლება დაუბრუნდეს მის წარმომადგენელს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის შემდეგ, მაგრამ საქმეში უნდა დარჩეს მოსამართლის მიერ დამოწმებული ასლი“.

ამრიგად, ექვსი სიტყვის გამოკლებით და ზოგიერთი გამოთქმის გამართვით შინაარსი დაიწმინდა და აზრი უფრო ნათელი გახდა. „გადაწყვეტილებების“ ნაცვლად დარჩა — გადაწყვეტილება. რადგან საქმის რამდენიმე ინსტანციაში ვაგლის მიუხედავად საბოლოო ძალაში უნდა შევიდეს ერთი და არა რამდენიმე გადაწყვეტილება.

88-ე მუხლში, რომელიც სასამართლოს ხარჯების გადახდისაგან განთავისუფლების უფლებას ეხება, ზედმეტა სიტყვები: „სახელმწიფო შემოსავლის სასარგებლოდ“, რადგან ამ მუხლის მიზანია თქმა არა იმისა, თუ სასამართლოს ხარჯები ვის სასარგებლოდ არის, არამედ — თუ ვინ თავის უფლებებამ ამ გადასახადისაგან.

ამიტომ ეს მუხლი უნდა დაიწყოს პირდაპირ ასე: „სასამართლოს ხარჯების გადახდისაგან თავისუფლებიან“ (გვ. 63).

120-ე მუხლში, რომელიც ეხება, მოპასუხის ადგილსამყოფელის საკითხს, სიტყვა „ცნობილი“ ზედმეტია. ვკითხვლობთ: „თუ მოპასუხის ფაქტური ადგილსამყოფელი ცნობილი არ არის, სასამართლო შეუდგება საქმის განსილვას მას შემდეგ, როცა დაუბრუნდება უწყება წარწერით, რომელიც ადასტურებს მის მიღებას სახელმმართველობისა ან მწრომელთა დეპუტატების სასოფლო ან სადაბო სამჭოს მიერ, მოპასუხის ცნობილი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით“ (გვ. 84).

„ცნობილის“ ნაცვლად უნდა იყოს „უკანასკნელი“ და ეს მუხლი უნდა თავდებოდეს ასე: „მოპასუხის უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით“.

რუსულ კოდექსში „ცნობილთან“ ერთად თუმცა არის სიტყვა „უკანასკნელიც“, მაგრამ „ცნობილი“ არც იქ არის საჭირო და ასე უნდა თავდებოდეს: „по последнему местожительству ответчика“ (გვ. 71).

55-ე მუხლში ნათქვამია: „სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი სასამართლო კანონიერ ძალაში შესული

განაჩენი სავალდებულოა სასამართლოსადმი“. რომელიც განიხილავს საქმეს იმ პირის მოქმედების სამოქალაქო სამართლებრივი შედეგების შესახებ, ვის მიმართაც გამოტანილია განაჩენი, მხოლოდ იმ საკითხებზე ჰქონდა თუ არა ადგილი ამ მოქმედებას და ჩაიდინა თუ არა იგი ამ პირმა“ (გვ. 44);

აქ ზედმეტია ცხრა სიტყვა: „სისხლის“, „სამართლის“, „საქმეზე“, „გამოტანილი“, „სასამართლოს“, „კანონიერ“, „ძალაში“, და „შესული“. რატომ? იმიტომ, რომ თუ განაჩენია ნახსენები, ცხადია, რომ სისხლის სამართლის საქმეზეა ლაპარაკი, რადგან სამოქალაქო საქმე განაჩენს არ იცნობს. სიტყვებსაც: „გამოტანილი“ და „კანონიერი“ ტყუილად უჭირავს ადგილი, რადგან არ არსებობს არც გამოუტანელი და არც უკანონოდ ძალაში შესული განაჩენი. განაჩენი თუ უკანონოა, იგი ძალაში შესულად არც ჩაითვლება, და თუ ძალაშია, იურიდიულად იგი კანონიერად ითვლება. არსებობს ან ძალაში შესული, ან გაუქმებული განაჩენი, და ამიტომ უნდა ვთქვათ ორში ერთი: „ძალაში შესული განაჩენი“ ან „კანონიერი განაჩენი“. ამიტომ აღნიშნული მუხლი უნდა დაიწყოს სიტყვებით. „ძალაში შესული განაჩენი სავალდებულოა სასამართლოსადმი“ და სხვა; ეს შენიშვნა ეხება ამავე კოდექსის რუსულ ტექსტსაც: «Вступивший в законную силу приговор суда по уголовному делу обязателен для суда» და სხვ. (გვ. 36), რაც უნდა იწყებოდეს ასე: «Вступивший в силу приговор обязателен для суда» და შემდეგ, როგორც ტექსტში. «Возвращение подлинных документов (მუხ. 72, გვ. 43) თარგმნილია როგორც „დედანი საბუთების დაბრუნება“ (იგივე მუხ. 52), რაც არ არის სწორი. აქ კანონმდებელი ლაპარაკობს არა ჩვეულებრივი საბუთების დაბრუნებაზე, არამედ საბუთის დედნის დაბრუნებაზე, და ამიტომ ყურადღება მისდამი უნდა იყოს გამახვილებული. „დედანი საბუთების დაბრუნებაში“ კი ეს არა ჩანს, რადგან მახვილი ეცემა „საბუთს“ და არა „დედანს“.

გარდა ამისა, თვით გამოთქმაც „დედანი საბუთები“ არ ვარგა, არაბუნებრივია და ყურს ეხამუშება. ამიტომ ეს აზრი ასე უნდა გამოითქვას: „დედნის დაბრუნება“, „დედნის დაბრუნება“ და სხვ. სიტყვა „საბუთის“ არ არის საჭირო, რადგან „დედანი“ შას უკვე გულისხმობს.

როდესაც ასლების დაბრუნება ვგუროს, არასოდეს არ ვამბობთ „ასლი საბუთების დაბრუნებას“, არამედ ვამბობთ სრულიად მარტივად — „ასლების დაბრუნება“, რაც უკვე ვასაგებია.

236-ე მუხლში თქმულია: „ოქმს ადგენს მდივანი თვით სასამართლოს სხდომაზე“ (გვ. 58). სიტყვა „თვით“ ზედმეტია. როდესაც ვამბობთ, „ოქმს ადგენს მდივანი სასამართლოს სხდომაზე“, ეს „თვით“ განა შიგ არ არის მოქცეული?

ზედმეტია იგი რუსული კოდექსისთვისაც: «Про-



токолы составляются секретарем в самом судебном заседании» (გვ. 136).

აბა წარმოთქვით ეს წინადადება სიტყვა «в самом»-ის გამოუყენებლად აზრი რა თავისუფლად გაიშალოს?

203-ე მუხლში ნათქვამია: „გადაწყვეტილება შედგება შესავალი, აღწერილობითი, სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილებისაგან“ (მუხ. 203, გვ. 136); რა ქართულია „გადაწყვეტილება შედგება შესავალი“? ან რა ტერმინია „სამოტივაციო“? უნდა იყოს: „შედგება შესავლისაგან, აღწერილობის, სამოტივო და სარეზოლუციო ნაწილებისაგან“.

რუსულ კოდექსში უფრო მოსახერხებელი ტერმინია ნახმარი «мотивированный» (გვ. 116);

214-ე მუხლი წარმოდგენილია ასე: „გადაწყვეტილების აღსრულების გადადება ან განაწილვა დადება“ (გვ. 143);

რუსულ კოდექსში „განაწილვადაბა“ მოცემულია, როგორც «рассрочка» (გვ. 122).

აქ ლაპარაკია მოსამართლის უფლებაზე მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით გადადოს გადაწყვეტილების აღსრულება.

ასეთი შემთხვევისათვის კარგი ტერმინია განჯადება.

შეოცე თავი ოქმის შედგენის საკითხს ეხება. აქ მუხ. 234-ე ასეა წარმოდგენილი: „ოქმის წარმოების სავალდებულობა“ (გვ. 157); ჯერ ერთი ოქმს არ აწარმოებენ, არამედ ადგენენ, ხდება ოქმის შედგენა და მეთრეფ „სავალდებულობა“ მეტად გაჭირვებული და თითოიდან გამოწოვილი ტერმინია. თანაც ძნელად წარმოსათქმელი, რისთვისაც საჭირო ხდება სიტყვის ბოლო ნაწილის გაგრძელებით თქმა. რა საჭიროა ეს, როცა შეიძლება სრულიად თავისუფლად გამოთქვათ: „ოქმის შედგენის აუცილებლობა“.

242-ე მუხლში ნათქვამია: „საქმეს ამომრჩეველთა სიაში უსწორობის შესახებ სასამართლო განიხილავს პროკურორის აუცილებელი მონაწილეობით“ (გვ. 163). ჯერ ერთი, რა ქართულია „სიაში უსწორობის შესახებ“. ან უნდა იყოს: განიხილავს საქმეს „სიის უსწორობის შესახებ“, ან „სიაში დაშვებულ უსწორობაზე“. გარდა ამისა, ზედმეტია სიტყვა „აუცილებელი“.

კანონმდებელი რომ ამბობს, საქმე განხილულ უნდა იქნას პროკურორის მონაწილეობითო, განა ეს თავისთავად არ ნიშნავს, რომ პროკურორის მონაწილეობა აუცილებელია?

პროკურორის დასწრების აუცილებლობა რომ საუკუოდ იყოს მიჩნეული, მაშინ ნათქვამი იქნებოდა: „სასურველთა სიაში გაირჩეს პროკურორის მონაწილეობით“, მაგრამ ნათქვამია პირდაპირ და მოჭრით: „განიხილავს პროკურორის მონაწილეობით“. მორჩა და გათავდა.

იგივე უნდა ითქვას 164-ე მუხლის შესახებ. „სასამართლო განიხილავს პროკურორის სავალდებულო მონაწილეობით“ (გვ. 180). აქ სიტყვა „სავალდებულო“ მართლაც არ არის სავალდებულო.

ტერმინი „ბრალეული პირი“ (მუხ. 142, გვ. 100) ყალბი და საჩოთიროა.

სიტყვა „ბრალეული“ ვერასოდეს ვერ დაიშვიდრებს ნიადაგს, რადგან იგი არ გამომდინარეობს ქართული ენის ბუნებიდან.

253-ე მუხლში ნახმარია ტერმინი „საწარმდგენელო“ ისეთი სიტყვაა, რომელიც თავისუფლად შეგვიძლია მივაკუთნოთ ენის გასატყე ძნელ სიტყვათა რიცხს, რომ მისი რამდენჯერმე ჩქარი წარმოთქმით აღამიანმა ენა გატყოს. რათ გვიანდა სიტყვების ასეთი ვარჯიში, როდესაც შეგვიძლია „საწარმდგენელო საბუთის“ ნაცვლად ვთქვათ „წარმომადგენლობის საბუთი“!

263-ე მუხლი ამბობს: „აგრეთვე გამოთქვით ხავეს სათანადო ორგანოებსო“. აქ ასო „ჰ“ ზედმეტია.

283-ე მუხლში ლაპარაკია იმაზე თუ მხარეს სად შეუძლია აღძრას საჩივარი, რომელ სასამართლოს მიმართოს. მისი შინაარსიც ასეა გადმოცემული: „განცხადება მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩანაწერთა უსწორობის დადგენის შესახებ შეტანილი უნდა იქნეს სასამართლოში განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით“, რაც კოდექსში „განსჯადობის“ ტერმინით არის წარმოდგენილი.

„განცხადების განსჯადობა და შინაარსი“ (მუხ. 283, გვ. 185); „განსჯადობა მოსარჩელის არჩევით“ (მუხ. 124, გვ. 86); „განსაკუთრებული განსჯადობა“ (მუხ. 125, გვ. 88); „ხელშეკრულებით განსჯადობა“ (მუხ. 126, გვ. 88); „ურთიერთდაკავშირებით“ რამდენიმე საქმის განსჯადობა“ (მუხ. 127, გვ. 89); ტერიტორიული განსჯადობა“. და სხვ.;

როგორც ვხედავთ, აქ კანონმდებელი ლაპარაკობს იმაზე, თუ რომელი საქმე სად უნდა იქნეს გარჩეული, რასაც ქართულ ენაზე ეწოდება ქვემდებარეობა. რა შუაშია აქ განსჯადობა“?; რის მიხედვით არის იგი შეთხზული?

„განსჯადობა“ შინაარსობრივადაც არ ვარგა. თუ მის საფუძვლად „განსჯა“ აღებული და აქედან ტერმინი „განსჯადობა“, უნდა შეგნიშნო, რომ აქ განსჯას სრულიად არა აქვს ადგილი, პირქით. აქ მხარე კი არ მსჯელობს იმაზე, თუ სად შეიტანოს სარჩელი, არამედ იგი ვალდებულია შეიტანოს იქ, სადაც კანონი მიუთითებს. აქ განსჯას ადგილი არა აქვს.

რუსულ კოდექსში ეს აზრი უფრო სწორად არის გადმოცემული: «подсудность» (გვ. 73);

როგორც ჩანს, „განსჯადობის“ ავტორი ამ ტერმინის უხერხულობას თვითონვე გრძნობს, როდესაც 220-ე მუხლში „განსჯადობას“ გაურბის და „ქვემდებარეობას“ უბრუნდება: „მხარეებსა და საქმეში სხვა მონაწილეებს, რომლებიც არ გამოცხადდნენ სასამართლო სხდომაზე, ეგზავნებათ სასამართლოს გადაწყვეტილებისა და განჩინების პირები საქმის წარმოების შეჩერების ან შეწყვეტის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის უწყებრივი დაქვემდებარებით გადაცემის შესახებ არაუგვიანეს სამი დღისა გადაწყვეტილების ან განჩინების გამოტანის დღიდან“ (გვ. 148);

თუ ავტორს „განსჯადობა“ უტყუარ ტერმინად მიაჩნდა, მაშინ ეთქვა: „საქმის უწყებრივი განსჯადობით გადაცემის შესახებ“.

„სასამართლო შებოჭილი არ არის საკასაციო საჩივრის ან პროტესტის მოსაზრებებით და ვალდებუ-

ლია საქმე შეამოწმოს სრული მოცულობით“ (გვ. 306-ე, გვ. 199);

„შებოჭილი“ სიტყვასიტყვითი თარგმანია რუსული „не связан“-ისა. უნდა იყოს შეზღუდული.

არ ვარგა აგრეთვე ტერმინი „გამოვითხავს“ (მუხ. 172, გვ. 119).

სასამართლოს თავმჯდომარე, რომელიც საქმის განხილვას შეუდგება, სამართალში მიცემულ ბრალდებულს ან სამოქალაქო საქმეში მონაწილე რომელიმე მხარეს კი არ გამოჰკითხავს, სურს თუ არა საქმის განხილვა ან უჭერს თუ არა მოსარჩლე მხარს თავის მოთხოვნებს, არამედ ეკითხება.

ასეა რუსულ კოდექსშიც: «затем председательствующий спрашивает» (გვ. 102).

კოდექსში კიდე მრავალი შეცდომაა, რომელთა აღნიშვნა შეუძლებელია. კოდექსის ახალი გამოცემის დროს იგი უნდა დაიხვეწოს.

# საჯარო სასჯედები გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში

## გ. ნაღარაიშვილი

XIV საუკუნის საკანონმდებლო ძეგლი — ბეჭასა და ალბულას სამართლის წიგნი — სიკვდილით დასჯის შესახებ პირდაპირ არაფერს არ გვეუბნება. ეს, რა თქმა უნდა, იმას როდი ნიშნავს, რომ იმდროინდელ საქართველოში სიკვდილით დასჯას არ მიმართავდნენ. ვიორგი III სიველიდან, აგრეთვე ნარატული წყაროების ჩვენების მიხედვით ჩვენ ვიცით, რომ XII-XIII საუკუნეების საქართველოში სიკვდილით სჯიდნენ ქურდ-რეციდივისტებს, შარაგზის ავაჯაკებს და სხვა. ცხადია, XIV საუკუნეშიც საქართველოში ხელი არ აუღიათ სიკვდილით დასჯაზე, როგორც სასჯელის ღონისძიებაზე. მონღოლთა ბატონობის ეპოქაში ქართულ სინამდვილეში საჯარო სასჯელები კვლავ საკმაოდ ხშირია. უამთაღმწერელი, მაგალითად ასახელებს კონკრეტულ შემთხვევებს, როდესაც დამნაშავეებს სჯიან თვალების ამოშანთვით, ხელების ან ფეხის მოჭრით. არის ცნობები, რომ მიმართავდნენ კასტრაციას, ჯოხით ცემას, ექსორიას და სხვა.

XIV საუკუნის ქართულ საკანონმდებლო ძეგლში ვხვდებით ასეთ გამოთქმებს: „რაცა კაცისაგან ავი, საზიანო მოიგონების, ყოველთა მტერობასა ემართლების“, „რა გინდა უყონ, ნუ ემდურვის“. უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთი განუსაზღვრელი სანქციის არსებობისას ხელისუფლებას და მართლმსაჯულების მექანიზმებს ადვილად შეეძლოთ სიკვდილით დასჯის გამოყენებაც. ბაგრატ კუროპალატის სამართლის წიგნის ფრაგმენტში ვკითხულობთ: „მეკობრისა და ზედა დამსხმელისა სისხლი არ არის“-ო, ანუ მეკობრისა და „ზედა დამსხმელის“ მოკვლისათვის მკვლეელი პასუხს არ ავებდა, ე. ი. იგი პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებად ითვლებოდა. ცხადია, რომ თუ მეკობრეს მართლმსაჯულება ხელთ ჩაიგდებდა, მას სიკვდილით დასჯა არ ასცდებოდა. გარდა ამისა, როგორც ზემოთ მოტანილი სამართლებრივი ნორმიდან

ჩანს, დამნაშავენი, თუნდაც რომ მოეკლათ თავდასხმისას, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა გამოირიცხული იყო. ბეჭა მანდატურთუხუცესის სამართლის წიგნის მე-12 მუხლში ვკითხულობთ: „ზედმხლდომილისა სისხლი და საგერზე არა არსო. და რომელსაცა დასხმოდეს, მისი სისხლი ორკეცია და გერშიცა იმავე წესითა“-ო, კათალიკოსთა კანონები (XVI ს.) პირდაპირ ითვალისწინებენ სიკვდილით დასჯას უკანონო განქორწინებისათვის.

ფეოდალურ საქართველოში სახელმწიფო ხასიათის სასჯელებიდან აღნიშვნის ღირსია აგრეთვე პატიმრობა. სუმბატ დავითისძის ცნობით ბაგრატ მესამემ დამნაშავეები „პატიმარ ყუნაცინესა თმოგვისასა, სადაც იხინი დიდხანს იმყოფებოდნენ“ (გარდაცვალებამდე). ანალოგიურ მაგალითებს ასახელებს აგრეთვე ავტორიც — „მატიანე ქართლისა“. როგორც ჩანს, შუა საუკუნეების საქართველოში ანსხვავდნენ დილეგს, საკანს და საპყრობილეს. დილეგში ჩვეულებრივ შეზღუდულ პატიმრებს ათავსებდნენ, საპყრობილეში კი პატიმრებს უფრო საპატიოდ ინახავდნენ. საბას განმარტებით, საპყრობილე ეს არის „სახლი ხსნილი უჯაჭვო“, ხოლო „საკანი არს საპყრობილისა ფსკერთ ქუეშე ბნელი საპყრობილე“.

უფრო იშვიათად, მაგრამ მაინც ხშირად მიმართავდნენ სიკვდილით დასჯასაც. ასე რომ საჯარო სასჯელებს საკმაოდ ხშირად უფარდებდნენ დამნაშავეებს.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საჯარო სასჯელების როლი მოცემული ფეოდალური ქვეყნის სასჯელთა სისტემაში იმდენად ქვეყნის კულტურული დონით არ განისაზღვრება,<sup>2</sup> რამდენადაც სახელმწიფო ხელისუფლების სიძლიერით. რიგი მკვლევარებია ვერ ხედავდნენ ქართულ სამართალში საჯარო სასჯელებს და ამის გამო აკეთებდნენ დასკვნას ქართული სამართლის პრიმი-

1 იხ. ქართული სამართლის ძეგლები. ტომი I, ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და აღქმისკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბილისი, 1963. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. გვ. 397. კათალიკოსის კანონების შედგენის დროის შესახებ იხ. იქვე. გვ. 603-605.

2 როგორც ამას ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობდა. იხ. ამის შესახებ წინამდებარე ნაშრომის ბოლოს.

ტიულობაზე, ამით კი მიმემ შეცდომას უშვებდნენ.

დავუბრუნდეთ საკითხს საქარო სასჯელების არსებობის შესახებ ფეოდალურ საქართველოში. კათალიკოსთა სამართალში ვკითხულობთ: „რომელმან უბრალოდ ცოლი დააგდოს, შეჩუენებულმცა არის წმიდათა მოციქულთაგან და სიკუდილითა განიპატიოს“. სიკვდილით დასჯას ზემოსხენებული საკანონმდებლო ძეგლი სხვა ადგილსაც ითვალისწინებს: „ვინცა ანუ დიდმან, ანუ თავადმან, ანუ აზნაურმან, ანუ გლეხმან, რძალი შეირთოს, შეჩვენებულიმც არის ღვთისაგან და მისთა წმინდათაგან და შვილთა კრებათა, წმიდათა მოციქულთაგან. კ ა ც ი ც ა და დ ე დ ა კ ა ც ი ც ა გ ა დ მ ა - გ ა მ ო ლ მ ა დ ა კ ი რ ო ნ და მ კ ი რ ა ვ ნ ი რ უ ე ნ გ ა ნ და ლ ო ც ვ ი ლ და კურთხეულნი იყონ“ (მუხლი 22)მ. როგორც ვხედავთ XVI საუკუნის საკანონმდებლო ძეგლი, სიკვდილით დასჯის სახეობად დაკირჯვას იხსენიებს. გარდა ცმცხლზე დაწვით სიკვდილით დასჯისა, საკანონმდებლო ძეგლი ჩამოხრჩობასაც აწესებს. კაცის გამყიდველი უნდა „ძელსა მიეცეს“ (მუხლი I) და ვინც ქრთამი აიღოს და არ ჩამოხრჩოს დამნაშავე, იგი შეჩვენებული უნდა იყოს „წმიდათ კრებულთაგან და კანონსამცა ქუეშე არიან წმიდათა მოციქულთასა“. სამართლის წიგნის მეორე მუხლში კი ვკითხულობთ: „ეკლესიის მკრეხელთათვის ესე განგუიწესებია: ვინც ეკლესია გატეხოს და ხატი განცარცოს, უკანონოდ ძელსა მიეცეს იგი კაცი“. დასასრულ, სამართლის წიგნის ერთ-ერთი მუხლის მიხედვით მეფის ღალატისათვის „სიკვდილით“ გაპატიუება დაწესებული. „აფხაზეთის საკათალიკოზო დიდი იადგარი“ (XVI ს.) საყდრის გატეხისა და გაძარცვისათვის ითვალისწინებს ჩამოხრჩობას. საკანონმდებლო ძეგლში ვკითხულობთ, რომ თუ დიდებულის, თავადის ან აზნაურის შმა ეკლესიას გაძარცვავს „...წამოდგეს იმა მეკობრისა ბატონი თორმეტითა მისითა სწორითა კაცითა და ოცდაოთხითა მისითა სწორითა ის მეკობრე. ექუსმან აზნაურმან და თორმეტმან გლეხმან ნაზნით ფიცოს, ექუსმან აზნაურმან და თორმეტმან გლეხმან უნაზნოდ ფიცოს უცოდინელობა მეკობრის ბატონისა. თუ ფიცოს, მეკობრისა ბატონსა არას ემართლების და გამტეხი მისითა მამულითა და განაყოფითა საყდარ-

სა მოახსენოს. და თუ ვერ დაიფიცოს, რასაცა მამულის მქონებელი იყოს, იგი საყდარსა მოახსენონ და მეკობრე და მეკობრისა ბატონი ძელს მისცენ...“<sup>4</sup>

უფრო ადრე XI-XIII საუკუნეების საქართველოში, როდესაც სახელმწიფო ხელისუფლება ძლიერი იყო, საქარო ხასიათის სასჯელებსაც ფართო სარბიელი ჰქონდათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ამ დროს ქართული სამართლის სასჯელთა სისტემაში იყენებდნენ სიკვდილით დასჯისა და ასოთღამაზიანებელ სასჯელებს. გიორგი III-ის დროს, 1170 წელს გამოცემული კანონის მიხედვით განმეორებითი ქურდობისათვის სიკვდილით დასჯაც კი იყო გათვალისწინებული. საკანონმდებლო ძეგლი ამბობს, რომ განმეორებითი პარვის ჩამდენი — გამოუსწორებელი დამნაშავე „ანუ ჩამოარჩონ ჩუენთა ჩენილთა, ანუ გაპატიუნ“-ონ. გაპატიუება აქ ასოთღამაზიანებელ სასჯელს ნიშნავს. მაშასადამე, ზემოსხენებული სიგელის მიხედვით ქართული სამართალი იცნობდა როგორც ჩამოხრჩობას ისე ასოთღამაზიანებელ სასჯელსაც. გარდა ამისა სიკვდილით სჯიდნენ მეფისა და სახელმწიფოს ღალატისათვის, მეფის პირადი — საქარო სიტყვიერი შეურაცხყოფისა და მეკობრეობისათვის.

სხეულებრივი (ასოთღამაზიანებელი და დამასხიჩრებელი) სასჯელებიდან გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში მიმართავდნენ დასაჭურისებას, ხელის, ფეხის, თითების, ენის მოჭრას და თვალების ამოწვას.

საქარო ხასიათის სასჯელებიდან გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში იცნობდნენ აგრეთვე ექსორიას. თამარის ისტორიკოსის ბასილი ევოსმოძღვრის ცნობით თამარ მეფემ ლიპარიტის ჩამომავალნი — კახაბერის შვილები, რომელთაც ანტონ ჭყონდიდელის ორი ძმა მოკლეს, ერთ ხანს დაპატიმრა, ხოლო შემდეგ „ექსორია ყუნა მაკედონიას საბერძნეთისასა“.

XI-XIII საუკუნეების საქართველოს სასჯელთა სისტემაში საქარო (სახელმწიფოებრივი) პრინციპებია გაბატონებული. რა თქმა უნდა, შურისძიება დიდი ხნის ამოკვეთილია და სის-

<sup>3</sup> ქართული სამართლის ძეგლები. ტ. 1, თბილისი. 1963. გვ. 397. სიკვდილით დასჯის აწესების კათალიკოსთა სამართალი მეფის ღალატისთვისაც (მუხლი 16) გვ. 395.: „ვისაც პატრონის მეფის ღალატი ვამოაჩნდეს... სიკვდილით განიპატიოს“.

<sup>4</sup> ს. კაკაბაძე, აფხაზეთის საკათალიკოზო დიდი იადგარი. საისტორიო მოამბე. წიგნი II, 1925, გვ. 183-184.

<sup>5</sup> საქართველოს სიძველენი, ტ. III, ე. თაყაიშვილის რედ. დამატება, გვ. 5-6.



ხლის დაურევების სისტემაც უკანა პლანზეა დაწეული. XI-XIII საუკუნეების საქართველოში, როდესაც ძლიერი სახელმწიფო ხელისუფლება არსებობდა, „სისხლი“ არ ყოფილა სასჯელის ძირითადი სახე. ამ დროს „სისხლის“ და სასჯელის ცნებაც იდენტურნი არ არიან. ამასთან „სისხლი“ ქონებრივი საზღაურის სახითაც მკვლელობისა და ჭრილობისათვის სასჯელს კი არ წარმოადგენდა, არამედ მხოლოდ მიყენებული ზარალის ქონებრივ ანაზღაურებას; „თვით დანაშაულებისათვის დამნაშავეს კანონით თავისი სასჯელი ჰქონდა დანიშნული, რომელიც უნდა აუცილებლივ მოეხადნა“ (ი. ჯავახიშვილი).

ვახტანგ ბატონიშვილის ცნობა გამოთქმული „ისტორიები აღწერა“-ში იმასთან დაკავშირებით, რომ მესამეჯერ ქურდობა-ავაჯაკობისათვის ძველ საქართველოში ფეხებს ჰკვეთდნენ ან თვალებს თხრიდნენ დამნაშავესო, — სწორი ჩანს. არქანჯელო ლამბერტის ცნობითაც XVII საუკუნის სამეგრელოში ქურდებს ფეხებს ჭრიდნენ. სწორია აგრეთვე ვახტანგ ბატონიშვილის ცნობა იმასთან დაკავშირებითაც, რომ „უკეთეს ვინმე იხადის მახვილი მსაჯულსა ზედა ანუ წარჩინებულთა გვამთა, მოკვეთიან ხელნი“.

არქანჯელო ლამბერტის და დონ ჯუზეპე ჯუდიჩეს ცნობებით სამეგრელოში XVII საუკუნეში ქურდობა საჯარო ხასიათის დარღვევად ითვლებოდა და დამნაშავეს ასოთდამაწიანებელი, დამასახიჩრებელი სასჯელით სჯიდნენ. ცნობილია, რომ ქურდობას საჯარო ხასიათის დანაშაულად თვით იმპერატორ იუსტინიანეს კანონმდებლობაც არ მიიჩნევდა. საკმარისი იყო ნაქურდალის დაბრუნება ან მისი ორმაგი ფასის გადახდა დარღვეული უფლების აღსადგენად და ქურდი ამით სასჯელმოსდილად ითვლებოდა. ბიზანტიურმა სამართალმა გაცილებით გვიან დაიწყო ქურდობისათვის საჯარო სასჯელების — კერძოდ ასოთდამაწიანებელი სასჯელების შეფარდება. ქართულ სამართალში XI-XII საუკუნეებში ქურდობისთვის საჯარო სასჯელებით სჯიდნენ. სწორედ აქედან უნდა მომდინარებოდეს ქართულ სამთავროებში ქურდების მიმართ სახელმწიფო სასჯელების გამოყენება. ბატონისა და მეფის შეურაცხყოფისათვის ძველ საქართველოში ენის მოჭრა იყო სასჯელად მიღებული.

არქანჯელო ლამბერტის ცნობით XVII საუკუნის სამეგრელოში ზოგიერთი მძიმე ხასიათის დანაშაულისათვის მთავარი სიკვდილით დასჯას მიმართავდა.

არქანჯელო ლამბერტი ამბობს: „მეტად გულ-

კეთილს მთავარს ჩვეულებად არა აქვს სიკვდილით დასჯა არცერთის დანაშაულობისათვის, რაც უნდა მძიმე იყოს იგი. თუ სათვალავში არ ჩავაგდებთ მისი ვეჯირის საქმეს, მხოლოდ ერთი შემთხვევისათვის აქვს მას დაწესებული სიკვდილით დასჯა, სახელდობრ ეკლესიის მკრეხელობისათვის, როცა ნივთებს მოიპარვენ, ან ეკლესიას გადაწვავენ. სხვა ყოველივე დანაშაულობა შეიძლება მთავარმა აპატიოს ფულის გადახდევინებით, ან ვისიმე მფარველობის გამო და რაც შეეხება მკრეხელობას, ამის ჩამდენი ვერც ფულით და ვერც თხოვნით ვერ შეაბრალებს თავს მთავარს და უსათუოდ უნდა დასჯილი იქნას სიკვდილით. ჩემსობას რამდენიმე ეკლესიაში მოიპარეს რამდენიმე ოქროს და ვერცხლის ხატი სხვა-და-სხვა ძვირფასი ქვებით შემკული და აგრეთვე ძვირფასი ნივთები, რომელიც იქ ინახებოდა“. როდესაც ავაჯაკები იპოვეს „თავები მოსჭრეს და ჩამოკიდეს იქვე, სადაც დანაშაულობა ჩაიდინეს“<sup>6</sup> შემდეგ ლამბერტი მოგვითხრობს, რომ ლევან დადიანმა აფხაზეთის მთავარი თავის მოკვეთით დასაჯა იმიტომ, რომ მისი სამეგრელოში გამოლაშქრების დროს ეკლესია დაიწვა. ავტორი წერს ამასთან დაკავშირებით: „მე ხომ დიდი ხანი დავრჩი სამეგრელოში და შემიძლიან დარწმუნებით ვთქვა, რომ თუ არა მკრეხელობისათვის, დადიანს არავისთვის არასოდეს სიცოცხლე არ მოუღებია“.

ხოლო აგრეთვე არ იქცევიან მისი სამთავროს დიდებულები და თავადები. მათ სრული უფლება აქვთ სიკვდილისა. ამიტომ სწირადაც სარგებლობენ ამ უფლებით და ბევრ კაცს უსპობენ სიცოცხლეს, როცა ბრაზს, სისასტიკეს და ბარბაროსობას მისცემენ თავს. მახსოვს, რომ ჩემს დროს ერთი მათგანი მცირე ეჭვმა, რომ მისმა ყმამ ცოლი მომიხიზლაო, ისე გააბრაზა, რომ იგი ყმა დააკვრევინა შამფურსავით გამოკრილ გრძელ სარზე და მერე დაანთებინა იქვე დიდი ცეცხლი და ატრიალებინა ისე, თითქოს წვადსა წვაგდნენო. აგრე უწყალოდ შესწვეს საწყალი ადამიანი. მეორესა ჰყვანდა ომში ნაშოვნნი ტყვე, რომელიც კარგად ემსახურებოდა მას, როგორც თერძი. კარგის კერვისათვის პატრონმა ასე დააჩილდოვა იგი: ცალი ფეხი მოსჭრა, რათა არ გამეკცეს თავის ქვეყანაშიო. მრავალნი სხვებიც ცოტა რამე მიზევისათვის ყმებს თავის ხელით თავსა სჭრიან ან სხვა რიგად უსპობენ სიცოცხლეს. ამათ საქმეში მთავარი არ ერევა და ამბობს, რომ ყმები მათია და შეუძლიანთ, როგორც უნდათ, ისე მოეპყრონ“<sup>7</sup>

6 არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა. იტალიურიდან თარგმნილი ალ. ჭყონიას.

ტფილისი, 1901, გვ. 80.

7 იქვე, გვ. 81.

არქანჯელო ლამბერტის მიერ მოწოდებული ცნობა ზოგადად სანდოდ სჩანს. ოფიციალურად მთავრის ნებართვით მხოლოდ მკრეხელობისათვის იყო სიკვდილით დასჯა დაწესებული, მაგრამ მებატონეები რიგ შემთხვევებში ყმების მიმართ სიკვდილ-სიცოცხლის უფლებას ინარჩუნებდნენ. ისიც შესაძლოა აქ დანაშაულებრივ ფაქტებთან გვქონდეს საქმე და არა უფლებასთან.

გვიანი შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთ სიგელში ნახსენებია სიკვდილით დასჯის ისეთი საშინელი სახე, როგორიცაა აღმანისათვის ტყავის გაძრობა. ამირაჯიბების გვაროვნობის სიგელში (1401—1415) იკითხება: „ოდეს ფალავანდისშვილის საქმეზედა მეფეთ მეფემა აღექსანდრემა შესუთა ალი, ორნი ძმანი პაპის ჩემისა დაიჭირეს და ტყავები დახსადეს და ბზით დატენეს აღინჯას“. 8 აღნიშნული სასჯელი მუსულმანური სამართლისთვისაა დამახასიათებელი და ქართულ სინამდვილეში მას არ ვხვდებით.

პატრილონ ჭუჭუბე ჭულიჩე მილანელი, რომელიც XVII საუკუნეში საქართველოს სამეფოსამთავროებში წლების მანძილზე მოღვაწეობდა, მოკვითხრობს, რომ სამეგრელოში მოღალატე ცოლს ცხვირის, ყურებისა და ენის წვერის მოჭრით სჯიანო. „ამ სასჯელს მიმართავენ ხოლმე, როდესაც ცოლი ქმრის ერთგულებას არ იცავს“<sup>9</sup> — ამბობს იგი. ამასვე აღასტურებს არქანჯელო ლამბერტიც.

ღონ ჭუჭუბე ჭულიჩე მილანელის ცნობით, რომელსაც არქანჯელო ლამბერტიც აღასტურებს, სამეგრელოში — „ქურდები სასამართლოს მიერ ისჯებიან. დამნაშავეს ქონებას ჩამოართმევენ, ცალი ხელით ხეზე ჩამოჭიდებენ, ხელ-ფეხს მოსჭრიან. მიუტევებელი ბოროტმოქმედების ჩადენისათვის, რომელიც სიკვდილით უნდა დასაჯოს, თვალებს თხრიან, ვინაიდან სიკვდილით დასჯა ცოლვად ითვლება. გამონაკლისს წარმოადგენს ეკლესიის გაქურდვა, რის გამოც ყველას სასიკვდილო განაჩენს გამოუტანენ ხოლმე“<sup>10</sup>.

მართალია, ვახტანგის სამართლის წიგნში, რომლის ძირითად წყაროს ჩვეულებითი სჯული წარმოადგენდა, ვერ ვხვდებით იმ ზომით საჯარო ხასიათის სასჯელებს, როგორც ეს მოხალოდნელი იყო, მაგრამ იურიდიული პრაქტი-

კის შესწავლა სულ სხვა სურათს გვაძლევს.

ცნობილია, რომ ვახტანგ მეექვსემ შექმნა მცველთა ჯარი, მიმართა რებრსიებს სახელმწიფო დამნაშავეთა წინააღმდეგ ძლიერდება საქარო სასჯელების გამოყენება. ურჩი თავადები მკაცრად დასაჯეს. პაპუნა ღიასამიძე და სხვები ჩამოახრჩვეს. მუხრანის მფლობელი ერეკლე დააბრმავეს, ხოლო ბაგრატ ციციშვილი, ფეშანგი ფალავანდისშვილი, ხერხეულიძე და სხვები მონად გაჰყიდეს. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით ბაქარმა „შეიპყრა მუხრანის ბატონი ერეკლე და აღმოხადნა თვალნი და მისცა მუხრანი ლევანის-ძესა პაპუნასა, კულადა მოაშთო პაპუნა ღიასამიძე, რომელი იყო მამფოთებელი ძმათა და სხვანი რომელნიმე ექსორიაჰყვეს და ესე ჰყო ბრძანებითა მამისათა“. თითონ ვახტანგ მეფემ „შეიპყრა ძე ქაშარბეგისა სომხითის მელიქი და დახვრიტა თოფითა, კვალად ბაგრატ ციციშვილი, ფეშანგი ფალავანდისშვილი, ჯამასხა ხერხეულიძე, რევაზის-შვილი პაპუნა ვეშაბიძე და პლატონ, ესენი იხსნა კათალიკოზ-მან სიყუდილისაგან და გაყიდეს ოსეთს თხებთა ზედა“<sup>11</sup>.

ვახტანგის სამართლის წიგნი საჯარო ხასიათის სასჯელებს ითვალისწინებს რიგი ისეთი მძიმე დანაშაულებისათვის, როგორიცაა სამშობლოს ღალატი და სხვა. რა თქმა უნდა, საჯარო საწყისების საფუძველზე ისჯებოდა პირადად მეფის და კათალიკოზის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულობანიც. ვახტანგის სჯულის 155-ე მუხლი აღგენდა: „საყდრის გატეხისა, ჯვარისა და ხატის დამტრევისა, ხელმწიფის საღაროს გატეხისა ჩვენ არა გვიტყვამს რა, როგორც ხელმწიფეს და კათალიკოზს ეპრიანებოდესთ, ისრე გარდაახდევინონ“. სასამართლო პრაქტიკის შესწავლით ირკვევა, რომ ხელმწიფე და კათალიკოზი მკაცრ საჯარო ხასიათის სასჯელებს იყენებდნენ. სამართლის წიგნის 82, 89, 96, 97, 220 და 259 მუხლები მეფეს დამნაშაულისთვის საჯარო სასჯელების შეფარდების საშუალებას აძლევენ. სამართლის წიგნით მეფემ ტყვის გაყიდვისთვის დამნაშავე „ნასადით“ უნდა დასაჯოს. ნასადი ასოთდამაზიანებელ სასჯელს ნიშნავდა.

აღ. ხანაშვილის სიტყვით იმერეთის სამეფოში (XVIII ს. დასასრულს და XIX ს. დასაწყისში) როდესაც ირჩეოდა გაძროცვის, მკვლელობის, ტყვეების გაყიდვის საქმეები, მაშინ მღვიან-

8 იხ. თ. ჟორდანი, ქრონიკები. წიგნი II, ტფ. 1897, გვ. 209.

9 ღონ ჭუჭუბე ჭულიჩე მილანელი. წერილები საქართველოზე. თარგმანი იტალიურიდან ბუჟან გიორგაძისა. თბილისი, 1964, გვ. 83.

10 იქვე, გვ. 88.

11 ვახუშტი. ცხოვრება ქართლისა. იხ. ქართლის ცხოვრება. ტომი II, სპბ. 1854, გვ. 79, 81.



ბეგები მოწმეებს მოიწვევდნენ და ქვეშაობების დასამტკიცებლად დამანაშავეებს თავს ამართლებინებდნენ ვახურბუღის რკინის, მდულარე წყლით და სმაღში გასვლით. „რადგანაც ვახტანგ მეფის კანონით კაცის მკვლელს დიდი ჯარიმა ედვა ფულად, ამიტომ სხვანაირად მიუწყოდნენ: 1) ვინც წინაღვე განზრახვით მოჰკლავდა კაცს, მას დასწვამდნენ, ან ცოცხალს დამარხავდნენ და მოკლულის სასარგებლოდ ფულსაც ახდევინებდნენ. 2) ვისაც გაეყიდა სამზე მომეტებული ტყვე, მას ორივე ხელ-ფეხს მოსჭრიდნენ; სამზე ნაკლებს გამოეიდავს — ან ხელს ან ფეხს მოსჭრიდნენ“<sup>12</sup>

ცნობილია, რომ ტყვეთა გაყიდვის საკითხი ჯერ კიდევ XVI საუკუნის შუა წლებში ბაგრატი იმერთა მეფემ გახალა მწვავე მსჯელობის საგნად და ღარბაჰის განჩინებით დაადგინა, რომ სიკვდილით დასჯებოდა ყველა, განურჩევლად სოციალური წარმოშობისა, ვინც ტყვეს გაყიდდა. ამასვე ადასტურებს სოლომონ პირველიც XVIII საუკუნეში. ერთ დროს ქართული სამართლის მიხედვით „საპატიყო“ ადგილს (მაგ. ეკლესიაში) ქურდობა უფრო სასტიკად ისჯებოდა, ვიდრე მაგ. „არასაპატიყო ადგილას პარცა“.

საპატიყო ადგილას ქურდობისათვის დამანაშავეს ორივე თვალს ამოსწვავდნენ. თუ ქურდობა „არასაპატიყო“ ადგილას იყო ჩადენილი, მაშინ დამანაშავეს მხოლოდ ხელ-ფეხის მოკვეთას უსჯიდნენ. ამ გარემოების გამოძახილია, ალბათ, ის ნორმა, რომელიც შემოგვინახა ბექასა და ალბუღას სამართლის წიგნის ბოლოს დართულმა კანონიკურმა სამართლის ფრაგმენტმა (მუხლი 167), სადაც ვკითხულობთ: „რომელმანცა კაცმან რა გინდა რა მოიპაროს და გამოჩინდეს, ორნივე თვალნი დაეწუნენ და ანუ ხელ-ფერხნი დაეჭრას“<sup>13</sup> ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, თუ დამანაშავეს „საპატიუოსა ადგილსა არა მოეპაროს“ — დამანაშავე შეიძლება გაიყიდოს, ხოლო ნაპარევი დაუკლებლივ პატრონს უნდა მიეცეს.

როგორც ვხედავთ, იმერეთის სამეფოშიც არსებობდა სიკვდილით დასჯის გარკვეული სახეები: ცეცხლში დაწვა და ცოცხლად დამარხვა. გარდა ამისა ისეთი კვალიფიციურებული დამანაშაინირებელი სასჯელი, როგორცაა ორივე ხელ-ფეხის მოჭრა. იმერეთის სამეფოში სახელმწი-

ფობრივი სასჯელები ხშირად გამოიყენებოდა, ეს სათანადო დოკუმენტებიდანაც ჩანს. თავთ მეფე სოლომონ II რუსეთის იმპერატორის სახელზე დაწერილ წერილში ითხოვს, რომ იმერეთის სამეფოში მას ეკუთვნოდეს სამართლის წარმოების უფლება და მიეცეს მას კანონი, რომლის ძალითაც სიკვდილით უნდა დაისაჯონ კაცის მკვლელები, ტყვეების გამყიდველები, ქურდები და ავაჯაკები. სოლომონ II ამას იმასთან დაკავშირებით ამბობს, რომ გენერალ ციცივილს მისთვის უთქვია: რუსეთში სიკვდილით დასჯა არ არსებობს<sup>14</sup>.

ვასტანგის სამართლის წიგნი ითვალისწინებს რა სხვადასხვა წოდების წარმომადგენელთა სისხლის ფასს, არაფერს არ ამბობს რიგ დიდმნიშვნელოვან სახელმწიფო ხასიათის დანაშაულობათა შესახებ. გარდა ამისა მეფის, კათალიკოსის და უფლისწულების სისხლის ფასის შესახებ კანონმდებელი დუმს. „მეფისა, კათალიკოსისა და უფლისწულისა არა დავგოწრია რაო“, ამბობს სამართლის წიგნის მმ-ე მუხლი. ხსენებულიან დაკავშირებით პროფ. ალ. ვაჩიშვილი წერდა: „საეთ შემთხვევაში უეჭველად მოქმედებდა სახელმწიფო ხასიათის სასჯელი; კანონმდებელი განზრახ არაფერს ამბობს ამგვარ დანაშაულთა იურიდიულ შედეგებზე; დუმილი კანონისა იმის მაჩვენებელია, რომ იგი პასუხისმგებლობის ჩვეულებრივად მიღებულ გზას — ქონებრივ საზღაურს — ამგვარ შემთხვევაში დაუშვებლად სცნობს<sup>15</sup>. ეს თვალსაზრისი სავსებით მართებულია, მხოლოდ ავტორს არ მოაქვს ხსენებული თვალსაზრისის დამადასტურებელი ზოგიერთი ცნობა, რომელიც ისტორიულ წყაროებში მოგვეპოვება. მაგალითად, ისტორიკოსი პაპუნა ორბელიანი მოგვითხრობს, რომ დაუყოვნებლივ დასაჯეს სიკვდილით კათალიკოსის მკვლეელი და სხვა.

ერეკლე II-ს წინააღმდეგ შეთქმულების აღმოჩენის შემდეგ სიკვდილით დასაჯეს რამდენიმე დამანაშავე. ერთ-ერთი შეთქმული 80 წლის მო უცი თაქთაქიშვილი თურმე ცეცხლზე დაწვეს<sup>16</sup>.

ისტორიკოს ომან მდივან-ბეგის სიტყვით ერეკლე II-ს მოწინააღმდეგე შეთქმულები სასტიკად დასაჯეს. „შეკრბენ ქართველნი და მოჰკვეთეს პაატას თავი და დაწვეს ცეცხლსა შინა

12 ალ. ხახანაშვილი. იმერეთის მეფე სოლომონ მეორე. ტფილისი, 1910, გვ. 81-82. აგრ. მ. ყიფიანი. მეფე სოლომონ მეორის შესახებ. ცისკარი. ტ. I, 1860.  
 13 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ი. დოლიძის რედ. თბილისი, 1963, გვ. 471.  
 14 Акты собранные Археографической комиссией. I. VI. док. № 48.  
 15 ალ. ვაჩიშვილი. ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან. ტ. 1. თბილისი, 1946, გვ. 26.  
 16 იხ. ალ. ამილახვარი. გეორგიანული ისტორია. მნათობი, № 8, 1939 წ. გვ. 147.

თაქთაქის-შვილი ელისბარ და დიმიტრი პატი-  
მარ ჰყვეს და შეურაცხვეს აღდგომითა მისი-  
თა კარაულსა ზედა და მოჰკვეთეს ძესა მისსა  
ალექსანდრეს ცხვირი და გლახასაც მოჰკვეთეს  
ენა“<sup>17</sup>.

როგორც ვხედავთ XVIII საუკუნის II ნახე-  
ვარში სიკვდილით დასჯის სახეებიდან როგორც  
სახელის ღონისძიებას მიმართავენ მოკვითასა  
და ცეცხლზე დაწვას. ეს უკანასკნელი უფრო  
კვალიფიცირებული სახე იყო. როგორც სასჯე-  
ლის ღონისძიება, კანონმდებლის აზრით იგი  
თავის მოკვეთაზე უფრო მძიმე და უფრო არა-  
საპატიო სასჯელია. ცეცხლზე დაწვა, როგორც  
სიკვდილით დასჯის სახეობა ქართულ სამარ-  
თალში ბერძნულიდან უნდა იყოს ნასესხები.  
ყოველ შემთხვევაში, ვახტანგის კრებულში მო-  
თავსებული ბერძნული სამართლის წიგნი მას  
საკმაოდ ხშირად იხსენიებს (მუხლი 30 და  
სხვა)<sup>18</sup>.

პაპუნა ორბელიანის ცნობით დიდი სასულიერო  
პირის მკვლელობისათვის სიკვდილით დასა-  
ჯეს დამნაშავე. ზოგჯერ ე. წ. „ხელთა მიცემაც“  
სიკვდილით დასჯის ნაწიციაც შეიძლება ყო-  
ფილიყო. ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედ-  
ვით (მუხლი 252) მოწამლვით კაცის მკვლელო-  
ბა ერთ-ერთი მეტად მძიმე დანაშაულია. დამნა-  
შავე ასეთ შემთხვევაში ორმაგ „სისხლს“ უს-  
დის დაზარალებულის ოჯახს და გარდა ამისა  
„ხელში ის მომწამლავი უნდა მიეცეს მოხის-  
ხარს“.

მოგზაური ტავერნიე (1635—1666 წწ.) მიუ-  
თითებს, რომ საქართველოში მკვლელობისათ-  
ვის დამნაშავეს სამართალი უნიშნავს სიკვდილს  
და ასეთი სასჯელის სისრულეში მოყვანა მოკ-  
ლულის ნათესავების ხელთ არის. სოლო იმათ  
შეუძლიანთ აპატიონ დამნაშავეს, უკეთოდ დამნა-  
შავე მიუყვანს მოკლულის ქირისუფალს სამოც  
ძროხას. რაც შეეხება ვალებს, აღნიშნავს მოგ-  
ზაური, — მევალებს შეუძლიან გაუყიდოს თავის  
მოვალეს ყოველივე ქონება, სანამ არ იზღავს  
იმ ფულს, რომელიც უსესხებია, და თუ მოვა-  
ლის ქონება არ აუფიდა, უფლება აქვს გაუყი-  
დოს მას ცოლ-შვილი, თუ ჰყავს, რასაკვირვე-  
ლია“<sup>19</sup>.

ტავერნიეს მიერ მოწოდებული ცნობა ამ შემ-  
თხვევაში არ შეიძლება სავსებით სანდოდ ჩით-  
ვალოს, მაგრამ მაინც იგი მხედველობაში მისა-  
ღებია და შეიძლება უფრო საქართველოში

მცხოვრებ მუსულმანებთან არსებული ჩვეულ-  
ბების ამსახველი იყოს.

ყოველ შემთხვევაში ირანში მცხოვრებ მუ-  
სულმანთა ჩვეულების მიხედვით, რომელიც ყუ-  
რანის დებულებებზე იყო დაფუძნებული,  
მკვლელი მოკლულის ნათესავებს გადაეცემოდა  
დასახველად. კახეთის აჯანყების შემდეგ, აჯან-  
ყების ხელმძღვანელები დაღუპულ ირანელთა  
ოჯახებს გადასცეს დასახველად. ამასთან დაკავ-  
შირებით ბერი ეგნატაშვილი წერს: „მშინ ჩო-  
ლოყაშვილი ბიძინა სუფრაჯი, შალვა და ელის-  
ბარ, ესენი მისცეს მკუდრის პატრონთა, ვი-  
თარცა წესი და ჩვეულება არს თათართა, რო-  
მელ მკუდრებს ხელში მისცემენ მოხისხარსა, და  
ყუფს სამართალი ჩვეულებისაებრ მათისა“<sup>20</sup>.

ქართული სამართალი მკვლელის გადაცემას  
მოკლულის ნათესავებისათვის მხოლოდ გამო-  
ნაკლისის სახით იცნობდა და აქ მუსულმანური  
სამართლის გავლენასთან კი არა გვაქვს საქმე,  
არამედ არქაული ადგილობრივი ჩვეულების  
გაღმონაშთთან. ბექა მანდატურთუხუცესის სა-  
მართლის წიგნის 36-ე მუხლის მიხედვით თუ  
„კაცი“ კაცს მოკლავს ისე, რომ ბოროტმოქმე-  
დის პატრონმა ეს არ იცოდა, მაშინ დამნაშავე  
დაზარალებულის ნათესავებს ხელთ მიეცემა  
(„და თუ მათი პატრონისაგან არა სცოდნია და  
გამოჩნდების ესე, თუ მათ კაცთა ვითა მათი  
პატრონი მამულითურთ მას გაუშატოვებულთა  
ხელთა მისცემს, რაცა უნდა უყოს, სისხლსა  
არას ემართლებინდა, ამაღ რომე იგი უბრა-  
ლოა“)<sup>21</sup>. კანონმდებლის მითითება — „რაცა  
უნდა უყოს“ გულისხმობს არამარტო დამნაშა-  
ვის მოხობას, არამედ მისი სიკვდილით დასჯის  
უფლებასაც.

გვიანი შუა საუკუნეების ქართული სამარ-  
თლის ძეგლებში ვხვდებით ისეთ საჯარო სას-  
ჯელებს როგორც არის — ხელის მოკვეთა,  
„დაშავება“, მამულისაგან გაძევება და სხვა.  
საერთოდ კი ქართული სამართლის რიგი ძეგლე-  
ბის მიხედვით დამასახიჩრებელი სასჯელების  
შეფარდება ხელმწიფისთვის მოხსენებით და მი-  
სი დასტურით უნდა მოხდეს.

ვახტანგის სამართლის წიგნის სუთიოდე მუხ-  
ლით გთვალისწინებულია დამასახიჩრებელი  
სასჯელები (მუხლები 220, 252 და სხვა). ეს  
სასჯელებია ფეხის მოკვეთა, ხელის მოკვეთა და  
სხვა.

1767 წელს ანტონ კათალიკოსმა ერეკლე


<sup>17</sup> ქართლის ცხოვრება. წიგნი II. სპ. 1854. დ. ჩუბინაშვილის რედ. გვ. 506.

<sup>18</sup> იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტის S ფონდი, ხელნაწერი № 3683.

<sup>19</sup> იხ. ტავერნიეს მოგზაურობიდან. მოამბე. 1898. № 6, გვ. 3.

<sup>20</sup> ბერი ეგნატაშვილი. ახალი ქართლის ცხოვრება. თბილისი. 1940, გვ. 206.

<sup>21</sup> იხ. ქართული სამართლის ძეგლები. ტ. I, გვ. 438.



II-ის ნებართვით შედგენილი განწესება-დარიგება, რომელსაც საკანონმდებლო ძეგლის მნიშვნელობა აქვს დაუბრუნებელი მღვდელთაგან.

სხენებულნი ძეგლის მიხედვით მკითხაობა-მისნობაში და სხვა ანალოგიურ დანაშაულისათვის ბრალდებულებს ჭერ საეკლესიო სასჯელი „ეპისკოპოსთა სამღვდელის მსჯავრით განაბათიება“ — ეკლესიაში არ შეუვება კურთხეული საფლავის აღკვეთა შეეფარდება და შემდგომ ამისა საერო სასჯელი თვით სიკვდილით დასჯამდეც კი. მათი მიმდევრები და „შემწყნარებელნი“ კი „სორციელად ჭარიმით“ განიბათიებებიან მას შემდეგ, რაც სულიერად დაისაჯენ. ამავე საკანონმდებლო ძეგლით ვინც ქრისტიანი კვირა დღეს არ იუქმებს, „მისი ნამოქმედი ცეცხლით უნდა დაწვან“, ხოლო დამანაშავეს, „თუ გლენი იყოს“, — ორმოცი ჯოხი უნდა დაჰკრან. თუ დამანაშავე „მაღალი ვინმე იყოს, მათს სიმაღლეს მეფეს მოახსენონ, და იმან საჯოს, ვითარ ჭერ არს“.

როგორც ცნობილია 1767 წელს კათალიკოსმა ანტონ I-მა ერეკლე მეორის ნებართვით გამოსცა 15 მუხლიანი ეპისტოლე, რომელსაც თან ერთვის მეფის შემდეგი ბრძანება: „ჩვენ, ირაკლი მეფემან, მპყრობელმან ქართლისა და კახეთისამან, ნება-ყოფლობითა სრულ ერთიანად ჩვენის ქვეყნების თავადთა, აზნაურთა, დიდ-ვაჭართა და გლენთათა; ღვთის მოწყალებით ამას შედა და გულდაჭერებულ ვართ, რომ ჩვენს ქვეყანა არც ყოფილა და არც არის ამისთანა ავნი და ღვთის განმარისხებელნი საქმენი, მაგრამ ჩვენ ხალხს ვაბრთხილებთ: თუ ვინმე ამისთანა საქმის მქნელი გამოჩნდეს — ან მომწამლველნი, ან კაცის შემკვრელნი, ან სიყუარულისა და სიძულვარისა წამლის მიმცემნი, ან ღვთის დიდად განმარისხებლისა და მიუტყვებელის ფინთისა და მურალისა და ცეცხლით საუკუნოდ მწველისა მამათავლობის მქნელნი, მამალნი ანუ ღელაღნი, ესენი უნდა ძალიანი და საანდალოს ჭაჭაებით დაიხრცენენ, და ეს განჩინება ყოველმა ეპისკოპოსმა თავის სამწყსოს საყდრებში თავის ხალხს წაუკითხონ და გააფრთხილონ“<sup>22</sup>.

XIII-XVII სს. საქართველოში, სახელმწიფო სასჯელები ცნობილია როგორც სასამართლო პრაქტიკის, ასევე საკანონმდებლო ძეგლების მიხედვითაც. მათსადამე, სისხლის სამართალში საჯაროობის პრინციპი არ ყოფილა უცნობი

ქართული სამართლისათვის. ქართული სამართლისათვის დამახასიათებელი იყო არამართო საჯარო ხელსუფლების სასარგებლოდ განკუთვნილი ჭარბი კომპოზიციების სისტემის შიგნით, არამედ წმინდა სახელმწიფოებრივი ხასიათის სასჯელებიც. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით რელიგიურად მოჩანს ერეკლე მეორის დროინდელ საკანონმდებლო ძეგლებში.

1767 წლის ბრძანებაში აღნიშნულია სასჯელის ისეთი სახეობანი, როგორიცაა სიკვდილით დასჯა, გლენისათვის „ორმოცი ჯოხის დაკვრა“, დარბევა. ცოტა უფრო გვიან, 1784 წელს შედგენილ „მორიგე ჭარის განჩინება“-ში, 28 როგორც სასჯელს, ვპოულობთ რუსულად წკეპლოში გატარებას. სასჯელის ეს სახეობა, რა თქმა უნდა, რუსული სინამდვილის გავლენით არის საქართველოში შემოდებული, ხოლო თვით რუსეთში დასავლეთ ევროპიდან იყო ნახსენები.

„მორიგე ჭარის განჩინების“ მიხედვით აზნაურს, რომელიც მორიგე ჭარში სამსახურს თავს არიდებდა, სასჯელის ღონისძიების სახით შეეფარდებოდა „ასი ფარემის გამორჩეული ჯოხის დაკვრა“.

უფრო ადრე, 1772 წლის, 28 აგვისტოს შედგენილ ერეკლე მეორის საინსტრუქციო წერილში შემოქართობის სადროშოსადმი ვკითხულობთ: „ვინც დააკლდეს მდედარს ასე გაღდაპხედს: თუ თავადის შვილი დააკლდეს საჭაკოდ წაართვან შემძლებელს ხუთი მინალთუნი, ღარიბს სამი მინალთუნი, თუ აზნაურიშვილი დააკლდეს, საჭაკოდ წაართვან ერთი საკლავი, ერთი კოკა ღვინო და ოცი ჯოხი დაჰკრან ბეჭებში“. იმავე დანაშაულისათვის გლენს ორმოც ჯოხს დაჰკრავდნენ „ბეჭებში“.

როგორც ვხედავთ, მეფის საინსტრუქციო წერილის მიხედვით ის პირი, ვინც მდედარს დააკლდებოდა ისჯებოდა როგორც ქონებრივი, ასევე სხეულმებრივი სასჯელით.

ერთი დოკუმენტის მიხედვით მეფე ერეკლე აფრთხილებს ამილანვარს სასტიკი ზომები მოკლოს პანიკიორებისა და ჭორიკანების წინააღმდეგ. „შენი სასარდლე თავადი და აზნაური შემოპკრიბე და ეს ჩვენნი წიგნი ისე წაუკითხე. ჩვენ ბელადნი ვართ და ვიცით, რომ ჭორიკანობა შეიქმნება, მაგრამ უბრალოს ჯოხს ნურავინ აწყვება თორემ ვინც უნდა იყოს ენას მოვსკრიბი.“<sup>24</sup>

ასე რომ ენისმოჭრა, როგორც სასჯელი მეფის

22 Ф. Жордания. Описание рукописей тифлисского церковного музея, т. I, стр. 315. 3. კარბელაშვილი. იერარქია საქართველოს ეკლესიისა, ტფ. 1900, გვ. 184.  
23 ი. ლორთქიფანიძე. საბუთები ერეკლე მეფის მორიგე ჭარის შესახებ. ერეკლე მეფის მორიგე ჭარის განჩინება. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. ტ. XIV. 1947 წ.  
24 იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი Hd საბ. №№ 13.714 და 13716.

მიერ სანქციონირებული იყო პანიკორებისათვის — ჭორის ამყოფებისა და გამავრცელებლებისათვის.

ერეკლეს „განჩინებაში“ მორიგე ჭარის შესახებ სასჯელის დონისძიებად ნახსენებია „სატუსადოში დაბმა“ ერთი თვით: ვახუშტი ბაგრატიონი ძველ საქართველოში ცნობილ საქარო ხასიათის სასჯელებს შორის ახსენებს „სიკვდილს“, გვემას, პატიმრობას, მამულისაგან გაძევებას, გარდახვეწას და სხვა. XIII-XIV საუკუნის წყაროებით და საკანონმდებლო ძეგლით ცნობილია საქარო ხასიათის სასჯელი „ლაშქართა შიგან არ შეშვება“, რაც ნიშნავს ლაშქარში სამსახურის აკრძალვას სამხედრო და რაინდობის უფლების ჩამორთმევას. ეკლესიის მიერ დაკრულვილ კაცს მეფე მამულს წართმევდა და „ლაშქართა შიგან არ შეშვებით“ სჯიდა. ეს უკანასკნელი შეეფარდება დღევანდელ მოქალაქეობრივ უფლებების ჩამორთმევას.

უფრო ადრეც გიორგი XI-ისა და ვახტანგ VI-ის მეფობის წლებში სამეფო ხელისუფლება ცდილობდა გაეფართოებინა საქარო საწყისების საფუძვლებზე დანაშაულობათა დევნა. ქართლის სამეფოში დაიწყო სახელმწიფოებრივი დანაშაულობის ჩამდენთა სასტიკი დევნა და ამასთან დაკავშირებით სისხლიც დაიღვრა. გიორგი XI-ის მეფობის დროს, XVII საუკუნის ოთხმოციან წლებში, ყენის სასარგებლოდ ჯანაყებისათვის, სახელმწიფო დალატისათვის თოფით იქნა მოკლული სომხიანის მელიქი. უფრო გვიან იგივე დანაშაულობისათვის მოლატე ქაშარბეგის შვილი მეფემ „დახვრიტა თოფითა“. პასუხი მოთხოვეს ძველი ფეოდალური წოდების ზოგიერთ წარმომადგენლებსაც. იმ პირთა შორის, რომელიც მართალია, არ დახოცეს, მაგრამ სასტიკი გამაწილებელი სასჯელებით დასაჯეს, ბევრი იყო გამოჩენილი გვარიშვილი. XVI-XVIII საუკუნეებში დასავლეთ საქართველოში ტყვეთა გაყიდვა ძალიან იყო ვავრცელებული. ეს დანაშაულებრივი მოქმედება, რომელიც ქვეყანას — ძირითად მწარმოებელს გლეხს აკლიდა და მას უცხო ქვეყანაში ჰყიდდა, დიდ საშიშროებას წარმოადგენდა ქვეყნისათვის. არის ცნობები, რომ ტყვეთა გაყიდვაში მხილებულ პირებს გურიაში ცოცხლად წვავენ<sup>25</sup>. სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ჩვენს ეროვნულ იურიდიულ ძეგლებში ბატონობს

ნობს ეგრეთწოდებული კომპოზიციების ანუ დაურგების სისტემა, ხლოო პრიცესუალური ხაზით — ორდაღები და თანაოფიცართა ინსტიტუტი, რაც, ცხადია, მოწმობს სამართლის განუვითარებლობას, მაგრამ ამავე დროს საკუთრივ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში გარკვევით ასახულია მოწესრიგებული სახელმწიფოებრივი ცხოვრების ტენდენცია, რომლის არსებობა უდავოა და რაც მტკიცდება სამართლის წიგნის 24-ე და 25-ე, განსაკუთრებით კი 178-ე მუხლებით, რომლებიც კატეგორიულად მიმართულია ყოველივე თვითნებობის წინააღმდეგ: „ქვეყანაში ამისი ყადაღა ხელმწიფისაგან უნდა იყოს და არი: რომე რაგინდა დიდი საქმე სისხლი და ვალი ემართოს, ერთი მეორეს ნურც მოსტაცებს, ნურც დახუთავს...“ ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ კანონმდებელს სავსებით შეგნებული აქვს სახელმწიფო, საქარო საწყისის ცხოვრებაში გატარების საჭიროება, მას ნათლად აქვს წარმოდგენილი თვითნებობის დაუშვებლობა და ისიც, რომ კერძო პირთა დავის გადაჭრა როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლის ურთიერთობათა სფეროში სახელმწიფო ხელისუფლების ფუნქციას უნდა შეადგენდეს და რომ მასვე ეკუთვნის სასჯელის შეფარდების უფლება. მაგრამ თავისთავად ცხადია, რომ იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკური ვითარების გამო, ამ სახლი სახელმწიფოებრივი იდეის განხორციელება მეტად ძნელ, უკეთ რომ თქვათ, შეუძლებელ საქმეს წარმოადგენდა<sup>26</sup>. ეს თვალსაზრისი, ქართული საკანონმდებლო ძეგლების და სხვა დოკუმენტების შუქზე უნდა გადაისინჯოს. ქართული ფეოდალური სამართალი გაცილებით მეტი ოდენობით იცნობდა საქარო ხასიათის სასჯელებს, ვიდრე ეს დღემდე მიაჩნდათ. რა თქმა უნდა, სავსებით მცდარია ქართული სამართლის მეკლევარების ფ. შილდაკისა და ი. კარსტის შესწავლება, რომელიც იტყობდნენ, რომ ქართული სამართლის კომპოზიციების სისტემა არ იცნობდა სისხლის სამართლის საქარო ხასიათის ჯარიმასაც კი და რომ სისხლის დაურვეებას მთლიანად კერძო საულაურის ხასიათი ჰქონდაო. პროფ. ა. ვაჩიშვილისა და პროფ. ი. დოლიძის ნაშრომებში ამ აზრის მცდარობა გარკვეულია და ჩვენც მასზე არ შევჩერდებით.

ჩვენი მხრით დავძენთ, რომ „სისხლის“, როგორც ქონებრივი სასჯელის განსაზღვრული ნაწილი, რომელიც ჯარიმის სახით ხელისუფლებ-

<sup>25</sup> Д. Бакрадзе, Археологическое путешествие по Гурии и Адчаре, СПб. 1878, стр. 343.

<sup>26</sup> ალ. ვაჩიშვილი, ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან. ტ. I. თბილისი, 1946, გვ. 67.



ბის წარმომადგენლებს ეძლეოდათ, ცნობილი იყო ქართული სამართლისათვის, ყოველ შემთხვევაში, ჩვენამდე მოღწეული დოკუმენტების სახით, XIII საუკუნეში მაინც.

მცდარია და სავსებით მიუღებელი ი. კარსტის<sup>27</sup> აზრი, რომ ქართული სისხლის სამართალი მისი არსებობის არც ერთ საფეხურზე არ ყოფილა აგებული საჯარო პრინციპზე ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. ქართულ სამართალში ი. კარსტი ხედავდა მხოლოდ საჯარო პრინციპის „ჩანასახებს“ და „დაწყებით ნაბიჯებს“. ზოგჯერ იგი დაპარაკობს ქართულ სამართალში საჯარო საწყისების „ძლიერ ჩანასახებზე“ ან მეტად სერიოზულ „დაწყებით ნაბიჯებზე“ და სხვა.

ასევე ამცირებდა საჯარო საწყისის მნიშვნელობას ქართულ სამართალში მკვლევარი ფელიქს ჰოლდაკი.<sup>28</sup> ამ უკანასკნელის აზრით, ქართულ სამართალში კომპოზიციების სისტემის გვერდით არსებობდა მხოლოდ ზოგიერთი, ისიც ნაწილობრივად ბუნდოვანი, დადგენილება, რომელშიაც საჯარო საწყისების სიცოცხლე გამოისახებოდა.

ი. კარსტის და ფ. ჰოლდაკის აზრების უსაფუძვლობა შემოთქმულის შემდეგ, ვფიქრობთ, სავსებით ნათელია.

მსოფლიო სამართლის ისტორიამ მრავალი მაგალითი იცის იმისა, რომ სოციალურ-ეკონომურად განვითარებულ ქვეყნებში შუა საუკუნეებში საჯარო (სახელმწიფოებრივი) სასჯელის გვერდით კომპოზიციებსაც იყენებდნენ. ასევე იყო საქართველოსა და სომხეთშიაც. ერთი დანაშაულისათვის დამნაშავე შეიძლება დასჯილიყო კომპლექსურად, შეფარდებოდა როგორც წმინდა სახელმწიფო ხასიათის სასჯელი, ასევე კომპოზიციაც. XV-XVIII საუკუნეების საქართველოში წინა საუკუნეებისაგან განსხვავებით რამდენადმე შემცირდა საჯარო სასჯელების როლი, „სისხლის“ როლი კი გაიზარდა სასჯელთა სისტემაში. ეს იყო შედეგი სახელმწიფო ხელისუფლების დასუსტებისა და სოციალურ-ეკონომიური რეგრესისა. მაგრამ გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში მაინც საკმაოდ დიდ როლს ასრულებდნენ საჯარო ხასიათის სასჯელები.

<sup>27</sup> I. Karst. Codes medievales de la Geogie. t. II<sup>a</sup>, livre premier, 1938, 83. 197.

<sup>28</sup> F. Huldack. Zwei Grundsteine zu einer grusinischen Staats- und Rechtsgeschichte, Leipzig, 1907, s. 247.

# პოპონუბანი

## იოსებ ბარათაშვილი

### ა. ბურთიკაშვილი



საზოგადოდ მე მხოლოდ თეატრალურ მოღვაწეთა პორტრეტებსა ვწერ და შეიძლება ამ პორტრეტის ავტორის ვინაობის გაგებისას, ზოგიერთმა იფიქროს უცხო როლში გვევლინებო. მაგრამ როცა მკითხველი შეიტყობს, რომ გამოჩენილი იურისტი ოსიკო ბარათაშვილი ხელოვნებასთანაც იყო მჭიდროდ დაკავშირებული, (იგი იყო ქართული დრამატული საზოგადოების წევრი, აკაკი წერეთლის თავმჯდომარეობისას მისი მოადგილე, შესანიშნავი დრამატული ტენორის პატრონი, რომელმაც ბრწყინვალედ შეასრულა ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში ლეონკავალოს „ჯამბაჯებში“ ტონოს მთავარი პარტია), შეიძლება აღარ შემომეღაოს და მაპატიოს ამ პორტრეტის ავტორობა. ამას თუ დაეუმატებთ, რომ ოსიკო ბარათაშვილის კოლეგა გახლდით და დიდი მეგობრობა მაკავშირებდა მასთან, მაშინ არავის გაუკვირდება, რომ მე უფლება მაქვს ხელი შევმართო კალამს და მოვუთხრო ახალგაზრდობას გამოჩენილი ქართველი

იურისტის მღვღვარებით აღსავსე, ლამაზი ცხოვრება. 13 წლის ბიჭი ვიყავი, როცა პირველად ოსიკო ბარათაშვილის სახელი გავიგონე.

1906 წლის 16 იანვარს ბარათაშვილის (ამჟამად ჯორჯიაშვილი) ქუჩაზე გასროლილი ყუმბარით სასიკვდილოდ იქნა დაჭრილი გენერალი გრიგოლ ნოვი. ტერორისტული აქტის ჩამდენი, ჩვენი უზენეული (ხარფუხელი), არსენა ჯორჯიაშვილი დააპატიმრეს. ხმა გამოვიდა, მალე სამხედრო სასამართლო გაასამართლებს არსენასო. იმ დროს უკვე სახელმწიფოებრივ ვეჭილ ოსიკო ბარათაშვილს თხოვეს არსენა ჯორჯიაშვილის დაცვა. დაცვამ მიზნად დაიხსია, როგორმე დაეხსნა სიკვდილის ბრწყალებიდან აღნავობით პატარა, მაგრამ სულით უდრევი არსენა.

წინასწარი გამოძიებისას, მიუხედავად არაადამიანური წამებისა, არსენა დანაშაულში ვერ გამოტყვეს. იმ დღისით, როცა ტერორისტული აქტი მოხდა, ჩემს მამიდაშვილს ალექსანდრე თითბერიძეს და მის თანაკლასელ დათა მეტრეველს ტერორისტული აქტის ადგილას ალექსანდროვის ბაღში (ამჟამად კომუნარების ბაღი) ენახათ არსენა მუხეშვიტის მთავაჭრე. არსენამ ბიჭები გააფრთხილა, წადით ახლავე სახლში, აქ პატარა თიერაცია უნდა ჩავატაროთ.

კვირა დღეა. აბულაძეების სახლის ბანზე ჩემი მამიდაშვილი ალექსანდრე თითბერიძე და დათა მეტრეველი რაღაცას ჩურჩულებდნენ. ცნობისმოყვარეობამ დამძლია და მივედი მათთან. უცბად შეწყვიტეს ლაპარაკი. პატარა ყოყმანის შემდეგ კი გამანდეს საიდუმლოება. თქვეს, რომ ამ ერთი საათის წინ ალექსანდროვის ბაღში არსენას შეხვდნენ მუხეშვიტის კალათით ხელში. არსენამ გაგაფრთხილა რაღაცა უნდა მოხდეს და აი ახლა ბანზე ველოდებით, რა მოხდებაო. ლოღინი დიდხანს არ გავრძელებულა. მთელი ქალაქი ყუმბარის ხმამ მოიცვა. შეკითხვაზე — რა იყო, სად გავარდა — ჩვენ ძმადნაფიცნი ვღუშდით. ხარფუხელები დატრიალდნენ. არსენა უნდა იხსნან. მასლობლებმა შეიტყვეს, რომ იმ დღით ტერორის ადგილზე ალექსანდრე თითბერიძემ და დათა მეტრეველმა არსენა ნახეს. გადაწყდა ვეჭილთან მიეყვანათ ეს ყრმები. შემუშავებული იქნა ასეთი გეგმა — ვითომდა როცა ყუმბარა გავარდა არსენა და ეს ბიჭები ქვემოთ ბაღში იყვნენ,



არსენა ვილაცას საათს ევაჭრებოდა, ამ დროს გავარდა ყუმბარა და შემინებული ბიჭები გაიქცნენ. ამ გზით უნდოდათ არსენას ალბის დადგენა.

არსენას მოწვევები — ეს ყმაწვილები ერის ამბობდნენ, საინჟინრო სამმართველოს გადამწერლები კი სულ სხვა, საწინააღმდეგო ჩვენებას იძლეოდნენ. დამსწრეთა გადმოცემით ოსიკო ბარათაშვილი მეტისმეტად გაბედულად და ბრწყინვალედ იცავდა არსენა ჯორჯიაშვილს. ოსიკო ბარათაშვილისადმი სიყვარული მით უფრო გაორკვედა, როცა შეიტყვეს გასამრჯელოს მიღებაზე მან კატეგორიული უარი განაცხადა — პირიქით ნაწყენიც დარჩა, რომ შეგადრეს ფულის მიცემა.

ოსიკო ბარათაშვილი ერთი პირველთაგანი იყო საქართველოში, რომელიც პოლიტიკურ პროცესებზე გამოდიოდა უფასოდ და პირიქით პატიმართა მახლობლებს მატერიალურადაც ეხმარებოდა.

პირველი რევოლუციის ნიშანდობლივი თვისება ის იყო, რომ მთელი მოსახლეობა ჩაება ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში. წარმოდგინეთ ბავშვებიც კი ეხმარებოდნენ რევოლუციონერებს და არალეგალურ კრებებს ყარაულობდნენ, რომ პოლიციელები მოულოდნელად არ დასხმოდნენ თავს კრებას. ხშირად ბიჭები პროკლამაციებსაც ფანტავდნენ ქუჩებში. ამიტომ საკვირველი არ არის, რომ თჯახში 14 წლის ბიჭმა ბევრი ისეთი რამ ვიცოდი, რის გაგებაც თითქმის ადრე იყო. თჯახში შევიტყვე, რომ ჩვენი საყვარელი ვეჟილი ოსიკო ბარათაშვილი სახელმწიფო სათათბიროს სხვა დეპუტატებთან ერთად პასუხისმგებია იყო მიცემული და 1907 წლის 12—18 დეკემბერს პეტერბურგის სასამართლო პალატის საგანგებო სხდომაზე გასამართლა. გავუთვინი აღნიშნავდნენ, რომ ბრალდებულმა ოსიკო ბარათაშვილმა ბრწყინვალე სიტყვა წარმოთქვა. მაშინ, რასაკვირველია, ბევრი არაფერი მესმოდა, ხოლო შემდეგ კი, როცა მე თვითონ მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი გახდი, გავეცანი ამ პროცესს და ოსიკო ბარათაშვილისადმი სიყვარული უფრო გამძლიერდა. რაში იყო საქმე? 1906 წლის 8 ივლისს მთავრობამ I-ლი სახელმწიფო სათათბირო დაითხოვა. მეორე დღესვე ვიბორგში 160 დეპუტატმა მოიყარა თავი და გამოთქმეს მოწოდება ხალხისადმი — მთავრობას გადასახლად ნუ მისცემთ, ჯარში ნუ წახვალთ (რეკრუტს ნუ გაიყვანთ) და სხვა. მთავრობამ პასუხისმგებია მისცა ვიბორგის მოწოდების ხელისმომწერნი, რომელთა შორის იყო თბილისის ოლქიდან არჩეული სახელმწიფო სათათბიროს I-ლი მოწვევის დეპუტატი იოსებ ალექსანდრეს ძე ბარათაშვილი, ანუ როგორც მაშინ ოფიციალურად უწოდებდნენ თავადი იოსებ ალექსანდრეს-ძე ბარათოვი. ბრალდებულს იცავდნენ ცნობილი ნაფიცი ვეჟილინი ნიკაის შემადგენლობით — მათ რიცხვში იყვნენ ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, გ. დ. სიდამონ-ერისთავი, დ. ჭიბაბიშვილი და ვარლამ გელოვანი.

მომყავს სტენოგრაფიული ანგარიშიდან ბრალდებულ იოსებ ბარათაშვილის სიტყვა მთლიანად.


თავადი ი. ა. ბარათოვი: ჩვენ წარგენილი გვაქვს ბრალდება ვიბორგის მოწოდების შინაარსისადმი. ამ მოწოდების შინაარსში ჩვენ არ ვხედავთ დანაშაულის რაიმე ნიშნებს. ჩვენ ვამბობთ, რომ ეს არის ბრძოლის საშუალება. და ეს ფრაზა, სიტყვა კი არ არის, არამედ საქმეა. წარმოდგინეთ, ბატონო მოსამართლენო და წოდებათა წარმომადგენლებო, საქართველოს ჩრდილოეთი და დასავლეთი ნაწილი. განა იქ გადასახლება იხდოდნენ ან რეკრუტს იძლეოდნენ. ეს არის ფაქტი, უდავო ფაქტი. მაგრამ რამ მიიყვანა მოსახლეობა ამ ფაქტამდე? აი სწორედ ეს იყო სახელმწიფო სათათბიროს მოწოდებაში. სახელმწიფო სათათბირომ საწესიკო გაუკეთა იმას, რაც სინამდვილეში იყო. მთელი მოსახლეობა მიიყვანა პასიურ წინააღმდეგობამდე იმ წესებზე ანუ უკეთ რომ ვთქვამთ იმ უწყობაზე, რაც სინამდვილეში იყო. და, აი როგორც ბრძოლის პირველი საფეხური, ეს პასიური წინააღმდეგობა იყო საჭირო და თუ თქვენ შეიხედავთ დატაკა, საბჭარ ქართველი გლეხის ქონში, დანახავთ, რომ ის გმირულად იტანს იმ საშინელ ფაქტს, როცა გლეხის ამ ქონიდან გააქვთ უკანასკნელი ქვაბი, ფალაფულასი, უკანასკნელი ხედატანსაცემლი... და როცა სახელმწიფო სათათბირომ გამოაქვეყნა თავისი მოწოდება, მან მხოლოდ დადასტურა ხალხის უფლება ხალხის შემეცნებაში. ბ-ნო მოსამართლენო და წოდებათა წარმომადგენლებო, ეს ბრძოლა გამოწვეული იყო იძულებით. მაგრამ ის სინამდვილე იყო და ჩვენ ხალხის წარმომადგენლებს არ შეგვეძლო ჩამოვჩენოდით ცხოვრებას. აი ამ მხრივ შევასრულეთ ჩვენი ვალი.

როდესაც შინ დაგბრუნდი არავინ მეკითხებოდა რატომ და რისთვის? მაშინ ეს ყველასთვის ცხადი იყო და კითხვებს რატომ და რისთვის იძლევიან მაშინ, როცა ჩემმა გაუგებარი. არა, ხალხის თვალში სულ სხვა რაღაც გამოკრთოდა, გამოკრთოდა იმედი, ელვარება სინათლე—ეს იყო რწმენა და იმედი იმისა, რომ რაღაც დიადი რამ უნდა მომხდარიყო. და ეს იმედი არ ჩამქრალა, ნამდვილი სინათლე ჯერ კიდევ წინ არის, ნათელი და სხივმო-სილი. რუსეთი ჩვენს წინ არის და ის გზა, რომე-რაც აირჩია პირველმა სახელმწიფო სათათბირომ, არაფერით არ არის შეზღუდული. ის კალაპოტი, რომლითაც მიიმართებოდა სახელმწიფო სათათბირო არის სუფთა და მთელის ანგარა წყალს.

ბატონო მოსამართლენო და წოდებათა წარმომადგენლებო... მე მოვედი აქ არა როგორც ბრალდებული, არამედ როგორც ბრალმდებელი და ამ მიმართულებით...

თავადი ი. ა. ბ. მე თქვენ მოგვით სიტყვა არა როგორც ბრალმდებელს, არამედ როგორც ბრალდებულს.

თავადი ბარათოვი: მე ვიმეორებ, ჩვენ მიზ-



ნად გვექონდა შეგვესრულებინა თვითეული ეროვნების სამართლიანი მოთხოვნები. აი, რატომ იყო ასე ერთსულოვანი სახელმწიფო სათათბირო. მისთვის მხოლოდ ერთი რამ არსებობდა: მთელი რუსეთის სიკეთე, რუსეთში შემავალი ყველა მოქალაქის კეთილდღეობა. და აი, 9, უკეთ რომ ვთქვათ, 8 ივლისს ეს სიკეთე მოსპობილ იქნა. მოსპობილ იქნა ის ჩვენი იდუმალი, სანატრელი ოცნებანი, იდეალები, რაზეც მუშაობდა და რისკენაც მისწრაფოდა მთელი რუსეთის ინტელიგენცია. ჩაკლეს ის, რაც ყველა ჩვენთაგანისათვის იყო ძვირფასი, მაგრამ ეს იყო დროებით... (სტენოგრაფიაში ფრაზა მთლიანად გამოტოვებულია და იგი წინწყლებით არის აღნიშნული. ა. ბ.). ჩვენ გვწამს, რომ ჩვენი ოცნებები, ჩვენი სურვილები განსორცხვლებულ იქნება და არც ერთ ხელოვნურ ძალას არ შეუძლიან ეს შეაჩეროს, არ შეიძლება სინათლის ჩაქრობა, იმიტომ რომ ის სინათლეა.

მე მივიღივარ აქედან როგორც ბრალდებული, მაგრამ მის მიმაჯებს ერთი აზრი, ერთი ნათელი რწმენა თან შესასებზე, რომ ჩვენი მხოლოდ დროებით გემორჩილებით, მხოლოდ დროებით უნდა ვადავიტანოთ ეს და ამ სკამებზე ისდებიან არა მარტო ბრალდებულები, არამედ ყველა მოქალაქენი, რომლებსაც დაერქმევათ რუსეთის იმპერიის მოქალაქეები.

თ ა ვ მ ჯ დ მ ა რ ე: დამცველთა შუამდგომლობის თანახმად, ვაცხადებ შესვენებას 15 წუთით. (შესვენების შემდეგ 4 საათსა და 55 წუთზე).

თ ა ვ მ ჯ დ მ ა რ ე: სდღობა განახლებულია.

თ ა ვ ა დ ი ბ ა რ ა თ ო ვ ი: მე ვთხოვლობ სიტყვას. ჩემს სიტყვაში ერთი შეცდომაა შეპარული, მე ვამბობდი რომ დადგება...

თ ა ვ მ ჯ დ მ ა რ ე: არა, მე თქვენთვის სიტყვა არ მომიცია, ეს უმეტესად რედაქციული შეცდომაა.

თ ა ვ ა დ ი ბ ა რ ა თ ო ვ ი: მე გთხოვთ შეასწოროთ. მე მინდოდა მეთქვა რომ დადგება დრო, როცა ჩვენ ყველა მოქალაქეებთან ერთად ვისდებით აქ, ამ სკამებზე და გავასამართლებთ ჩვენს მოძალადეებს.

ამით მთავრდება ბარათაშვილის სიტყვის სტენოგრაფია.

როგორც მკითხველმა დაინახა, სტენოგრაფიაში ბევრი ადგილი წერტილებით არის აღნიშნული. მაშასადამე გამოტოვებულია ფრაზები, მაგრამ როგორც არ უნდა დავმახინჯებინათ ბარათაშვილის სიტყვა იგი მაინც დიდ შთაბეჭდილებას ახდენს და ვიბორგის პროცესის მკვლევარნი და კომენტატორები მას დიდ ყურადღებას აქცევენ.

18 დეკემბერს საღამოს 10 საათსა და 25 წუთზე სასამართლომ გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც ყველა ბრალდებულს გარდა ახტამოვისა და დიანჩეოსის, რომელთაც წაყენებული ბრალდება არ დაუმტკიცდათ მიესაჯათ სამ-სამი თვით პატიმრობა. მეფის მთავრობამ ვერ გაბედა ბრალდებულთა მკაც-

რად დასჯა — რადგან პირველი რევოლუცია, მართალია, დამარცხდა, მაგრამ ქვეყანა მაინც მღელვარე ოკეანეს ემსგავსებოდა და დამყაყებულ ცარიზმს წააღვას უქადდა.

სასჯელის მოხდის შემდეგ, ოსიკო თბილისს დაუბრუნდა და თავის საქმიანობას შეუდგა, როგორც ვეკილი და საზოგადო მოღვაწე.

ქურნალისათვის განკუთვნილ წერილში შეუძლებელია დაწერილებით შევეხეთ ოსიკოს ბავშვობას, ყრმობას, დავაჯაკებებს, საზოგადო ასპარეზზე მოღვაწეობას. ამისათვის საჭიროა მონოგრაფია. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ბორჩალოს მაზრის, სოფელ ბორბალოს დიდი ფეოდალის და თავადაზნაურთა მარშალის ალექსანდრე ბარათაშვილის პირმშო ოსიკო, ყრმობიდანვე გამოეთიშა თავის კლასს და მშრომელთა ფერხულში ჩადგა. ბარათაშვილმა სწორედ ის სასწავლებელი დაამთავრა, სადაც მისი დიდი მოგარე ნიკოლოზ ბარათაშვილი სწავლობდა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იგი ჩამოდის თბილისში და ნაფიცი ვეკილის თანაშემწე ხდება. 1905 წლიდან იგი უკვე ნაფიცი ვეკილია და იმდენად სახელმძღვანელო, რომ მას საქართველოს ფარგლების გარეთაც იწვევენ, როგორც დამცველს.

ჯერ კიდევ მოწაფე ვიყავი, როცა გაზეთებში წავიკითხე იმ არაადამიანურ წამებაზე, რომელიც ეჭვიანობის ნიდაგზე მიაყენა ბაქთელმა ტაგიევმა თავის ნავთის წარმოების ერთ ინჟინერს. ამ ამბავმა აღაშფოთა მთელი რუსეთის საზოგადოებრიობის პროგრესული ნაწილი. სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულმა მილიონერმა ტაგიევმა პეტერბურგიდან გამოიწვია დამცველად სახელგანთქმული ნაფიცი ვეკილი ა. მაკლაკოვი. ყველა დაინტერესებული იყო მაკლაკოვის წინააღმდეგ დაზარალებულის მხრიდან სამოქალაქო მაძიებლად ვინ გამოვიდოდა და მალე გაზეთებმა გვამცნეს, მიწვეულია ამ პროცესზე ოსიკო ბარათაშვილი. გაზეთებიდანვე შევიტყვეთ, რომ ეს პროცესი გადაიქცა ორი ტიტანის ბრძოლად — ბარათაშვილის სახელი, როგორც ადვოკატისა მთელი რუსეთის იმპერიაში გავარდა.

როგორც ზემოთ ვგახსენეთ, 1905 წლიდან ოსიკო ბარათაშვილი უკვე ნაფიცი ვეკილია. მალე მან სახელი გაითქვა როგორც შესანიშნავმა ორატორმა, სიტყვის ჯადოქარმა. ბევრი ახლად კურსდამთავრებული ცდილობს მისი თანაშემწე გახდეს. ვინ ჩამოთვლის რამდენი ახალგაზრდისათვის გაუკაფია გზა ოსიკო ბარათაშვილს, საკმარისია დავასახელოთ ცნობილი ქართველი ადვოკატები შალვა მესხიშვილი, სამსონ დადიანი, ვანო ჯაფარიძე, შალვა ქართველიშვილი და სხვ. ბევრი ნაფიცი ვეკილი ფორმის გულისათვის იყვანდა თანაშემწეს და სრულიად არ ცდილობდა თანაშემწეს დახმარებოდა და ხელი გაემართა მატერიალურად. ოსიკო ამ მხრივ პირდაპირ სანიშნო იყო. ადვოკატურაში რომ ჩავეწერე პირველად, იქ შეგხვდი და გავიცანი პეტრე სარქისოვი. პეტრემ მიაბმო, დიდი გაქანების ადვო-



კატი მე არა ვარ და ცხოვრება ძლიერ გამიჭირდება, ბედად ოსიკო ბარათაშვილის თანაშემწე რომ არ ვყოფილიყავით. ოსიკო ბეერ საქმეს მძაღვედა და პონორანს მთლიანად მე ვიღებდით. მისი უანგარობა პირდაპირ ზღაპრულია, გადმომცემდა სარქისოვი. დიდძალი კლიენტები აწყდებოდნენ ოსიკო ბარათაშვილს. თბილისში მის დროს მუშაობდნენ ისეთი ნაფიცი ვეჟილები, როგორც იყვნენ მათე გრუზენბერგი, ისაი დოლუხანოვი, სანდრო ყანჩელი, ეგენი ტურკვეიჩი, მაგრამ კლიენტების სიმრავლის მხრივ ბარათაშვილს ვერაინ შეედრებოდა. ბორჩალოს მახრის მოსახლეობას ბარათაშვილის მეტი არაეინ სწამდათ. საღამოთობით მის სახლის წინ ბორჩალოელთა მთელი ჯგუფები იყრიდა თავს.

ოსიკოს უანგარობა პირდაპირ ხიბლავდა მის კლიენტებს. მისი კლიენტისთვის რომ გეტყვათ, რად ვინდა ბარათაშვილი, შენ საქმეს გრუზენბერგი, ტურკვეიჩი ან დოლუხანოვი დაიცავნო, უარის ნიშნად თავს გაიქნევა. კლიენტს ბარათაშვილი სწამდა და ვერ წარმოედგინა, თუ მას გაჭირვების დასტაქრად სხვა ვინმე მოველინებოდა.

ბარათაშვილის სიძლიერე როგორც ადვოკატისა იყო ის, რომ მან არ იცოდა პატარა და დიდი საქმის ვარჩევა, ისე როგორც ჭეშმარიტი მსახიობი არ არჩევს დიდ და პატარა როლს და ორივეს ერთნაირად მოწიწებით ეკიდება. შეუძლებელი იყო ბარათაშვილი პროცესზე გამოსულიყო უგულოდ, ცივად მხოლოდ მოვალეობის მოსახლეობად. არა და არა. რასაკვირველია ბარათაშვილი ყველა საქმეზე არ გამოდიოდა. ის მაგალითად, პირწავარდნილ რეაქციონერს, შავრაზმელს არ დაიცავდა და არ მოიშველიებდა იმ დებულებას, რომ ყველა საქმის დაცვა შეიძლებაო.

სამოქალაქო საქმეებს არ იღებდა. ცივილისტი არა ვარო და ვერ ვიკისრებ ისეთ საქმეს, რასაც განსაკუთრებული მომზადება სჭირდებაო. მასსოვს ერთხელ უმაღლეს სასამართლოს ტალანში შეგხვდი საყვარელ ოსიკოს, ისაი დოლუხანოვს და ჩემს განუყრელ მეგობარს ცივილისტ სერგო ენიკოლოპოვს.

სერგო ენიკოლოპოვი სისხლის სამართლის საქმეებს თითქმის არ იღებდა. ჩამოვარდა ლაპარაკი იმაზე თუ რომელი დარგი უფრო ადვილია, სამოქალაქო თუ სისხლის სამართლის. ზოგმა რა თქვა, ზოგმა რა. მეც გავკადნიერდი და გავიხსენე მოსკოვში სტუდენტობისას გავიწილი ერთი თქმა. კარაბჩევსკის შეეკითხნენ, რა განსხვავებაა კრიმინალისტსა და ცივილისტს შორისო? მას უპასუხნია: ცივილისტმა სუსტად იცის სისხლის სამართალი, ხლო კრიმინალისტმა ხეირიანად არც ერთი იცის და არც მეორეო. ატყდა სიცოლი. უნდა ვენახათ რა ჩაბჭირებით გულიანად იცინოდა საყვარელი ოსიკო. გახსენებისას ახლაც თვალწინ წარმომიდგება ოსიკოს მშვენივით საესე სახე. მაგრამ ზოგჯერ პროცესზე მის სახეზე თვალზე მომდგარი ცრემლიც დამინახავს. ერთხელ უმაღლეს სასამართლოში ოსიკო ვიღაც

მკვლელს იცავდა, რომელსაც სიკვდილით დასჯა მიუღოდა. პროცესს არ დაესწრებოდა მხოლოდ ოსიკოს სიტყვის ბოლოს მოგუსწარი და გაევიგონე მის მიერ წარმოთქმული ვფხვისა და მოყმის ლექსის ეს ადგილი:

სან იფიქრებდა, უდედლოდ  
გაზრდა ვინა თქვა შვილისა,  
იქნება ვფხვის დედაი  
ჩემზედ მწარედა სტირისა,  
წავიდე, მეც იქ მივიდე  
სამძიმარ უთხრა ჭირისა.

ესტრადიდან ხშირად მომისმენია ეს ლექსი, მაგრამ არასოდეს ცრემლი არ მომდგომია. ოსიკოს ბუნებრივმა, გულიდან ამონადენმა სიტყვებმა კი მთელი დარბაზი დაიპყრო. მის თვალებზე ცრემლი დავინახე იმიტომ, რომ ის ვანცდით ამზობდა ამ სიტყვებს და ჩვენც ცრემლი მოვგვგარა იმიტომ, რომ ვიცოდით — ცოცხალი ადამიანის ბედი წყდებოდა და ბრალდებულის დედაც ისევე იტანჯებოდა შვილის ბედით, როგორც მოკლულის დედა. ვანაჩენისათვის არ მომიცვლია. ოსიკოსგან შევიტყვე ბრალდებული სიკვდილს გადარჩაო.

არიან ადვოკატები, რომლებიც მთელ თავიანთ ძალას ინახავენ უკანასკნელი სიტყვისათვის. ოსიკო კი, დიწყებოდა თუ არა პროცესი პირდაპირ იწვოდა მართლმსაჯულების სამსხვერპლოზე. ეძებდა სიმართლეს. მას ჭეშმარიტების გამორკვევის იშვიათი ტექნიკა ჰქონდა. მართლ ნიჭი, ტემპერამენტი არ არის საკმარისი ადვოკატისათვის. საჭიროა იცოდეს ტექნიკა პროცესისა და ის სათანადოდ გამოიყენოს. ტემპერამენტი ამ ადვოკატისა ხომ დაუშრეტელი იყო.

მე არ ვიცი ოსიკო როგორ დაეფუფა იურიდიულ მეცნიერებას, ზეპირად იცოდა თუ არა ფილოსოფიის სამართლის ისტორია, ან კარგად თუ ჰქონდა შეთვისებული კანტის „წმინდა გონების კრიტიკა“, ან პეტრაჟიციისთან „ენციკლოპედიის სამართალში“ როგორი ნიშანი მიიღო. ეს არც მანტერესებს — ის ხომ იურიდიულ მეცნიერებას ამ ასწავლიდა უმაღლეს სასწავლებელში, მე ვიცი მხოლოდ რომ ოსიკო სიამაყით ატარებდა ადვოკატის სახელს და დიდ ტრიბუნას ღირსეულად იყენებდა. ამ ტრიბუნიდან გაისმოდა მართალი სიტყვა ადვოკატისა, სიტყვა გამოთბარი ადამიანისადმი სიყვარულით. ის მტკიცედ ასრულებდა დიდი მწერლის მაქსიმ გორკის პიესა „ფსკერის“ პერსონაჟის სატირის სიტყვებს: „ადამიანი — აი სიმართლე! რა არის ადამიანი?... მასშია დასაწყისი და დასაბამი. ყველაფერი ადამიანშია, ყოველივე ადამიანისათვის. არსებობს მხოლოდ ადამიანი, დანარჩენი ყოველივე მისი ხელებისა და გონების ნაშთქუედარია“.

ადამიანის სიყვარული — აი ოსიკო ბარათაშვილის მიერ განვლილი მღელვარებით საესე ცხოვრების გზა.

## იუსტიციის ვეზიანი



ჭარმაგმა, სიმპატიურმა მამაკაცმა სათვალე მოიხსნა, იგი ერთხანს დაფიქრებული იყო. შემდეგ ისევ სათვალე გაიკეთა და განცხადება, რომელსაც იგი ორიოდ წუთის წინ კითხულობდა წითელი ფანქრით ააჭრელა, ერთხელ კიდევ გადაიკითხა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— ფრიად საყურადღებო მოტივები. ნ. დ. ხიშბას სისხლის სამართლის საქმე უნდა გამოვითხოვოთ და განცხადებაში მოყვანილი მოტივების მიხედვით შევამოწმოთ საქმეში არსებული მასალები.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს საჩივრებისა და მისაღები განყოფილების უფროსი ა. მახარაძე ერთი კვი-

რის შემდეგ გულდასმით ეცნობოდა ნ. დ. ხიშბას სისხლის სამართლის საქმეს.

ზედამხედველობის წესით საჩივარში მოყვანილი მოტივები გაზიარებულ იქნა. ნ. დ. ხიშბას მკვლელობა ჩადენილი ქონდა მძიმე შეურაცხყოფისა და ძლიერი სულიერი აღევლების ნიადაგზე. ა. მახარაძემ აღნიშნული საქმის შესახებ მოახსენა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ხელმძღვანელობას და მალე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში შეტანილ იქნა პროტესტი. პრეზიდიუმის დადგენილებით ნ. დ. ხიშბას სასჯელის უმაღლესი ზომა-დახვრეტა შეეცვალა სასჯელის სხვა ღონისძიებით.

ეს ერთი მაგალითი ა. მახარაძის მუშაობის პრაქტიკიდან იმიტომ მოვიყვანეთ, რომ მკითხველს წარმოადგენა ჰქონდეს, თუ როგორი ყურადღება, დაკვირვება და სიფრთხილე, — დიას, სიფრთხილუა საჭირო თვითეული საჩივრის გადაწყვეტისათვის. სწორედ ასეთია ჩვენი იუსტიციის ვეტერანი ამბროსი მახარაძე, რომელსაც ამ ცოტახნის წინათ შეუსრულდა დაბადების 60 წლისთავი.

საინტერესო ცხოვრების გზა განვლო ა. მახარაძემ. 18 წლის ჭაბუკი უკვე ჩოხატაურის რაიონში კომკავშირის თემკომის მდივნად აირჩიეს, შემდეგ საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის რეკომენდაციით გაგზავნილ იქნა საქართველოს სსრ სახელმწიფო და საგაჭრო პროფკავშირის განკარგულებაში, შემდეგ კვლავ სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

1937 წელს ა. მახარაძე სამუშაოდ გადაყავთ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს იურიდიულ განყოფილებაში ჯერ კონსულტანტად, შემდეგ კი იურიდიული განყოფილების გამგედ, მონაწილეობდა საკავშირო და საქართველოს სსრ მთავრობის კანონთა და განკარგულებათა

კრებულების მომზადებასა და გამოცემაში. იყო საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის შემმუშავებელი სარედაქციო კოლეგიის წევრი. 1945 წელს სამუშაოდ გადადის საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროში ჯერ რევიზორად, შემდეგ სასამართლო ორგანოების სამმართველოს უფროსის მოადგილედ, კადრების განყოფილების უფროსად, 1956 წლიდან ა. მახარაძე მუშაობს საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოში.

შრომით საქმიანობას ა. მახარაძე ყოველთვის კარგად უხამებს საზოგადოებრივ საქმიანობას. იგი წლების მანძილზე მუშაობს ადგილკომის თავმჯდომარედ, არის საქართველოს სსრ პროფკავშირების, სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის მასიურ-საწარმოო განყოფილების გამგე საზოგადოებრივ საწყისებზე.

ჩუმსა და უპრეტენზიო შრომას უკვალოდ არ ჩაუვლია. ა. მახარაძე დაჯილდოებულია მედლებით, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით, საკავშირო და საქართველოს სსრ პროფსაბჭოს საპატიო სიგელებით.

ამს. ა. მახარაძეს სშირად ნახავთ ახალგაზრდა იურისტებთან. იგი მათ ხალისით უზიარებს თავის მდიდარ გამოცდილებას, აძლევს პრაქტიკულ რჩევა-დარიგებას, ესმარება იურისტის რთული პროფესიის დაუფლებაში.

წინ კიდევ საინტერესო და მრავალფეროვანი გზაა. ამ გზაზე ამაყად მიაბიჯებს დავლმოსილი ადამიანი ა. მახარაძე.

**ზ. მესხიანი**,

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი

## 36 წელი პროკურაჟუის ოკუპაციებში



საგამომძიებლო საპროკურორო მუშაობის 36 წელი შეუსრულდა ქალაქ ქუთაისის პროკურორის მთადგილეს, იუსტიციის უფროს მრჩეველს მიხეილ ვასილის ძე ცქიფურიშვილს.

1929 წელს მ. ვ. ცქიფურიშვილმა წარჩინებით დაამთავრა ქ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალ-გეონომიური ფაკულტეტი. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ რვა თვის განმავლობაში იგი მუშაობდა სტაჟიორად ქუთაისის ოლქის პროკურატურაში. 1930 წლის ნოემბრის თვეში მ. ვ. ცქიფურიშვილი დაინიშნა მახარაძის რაიონის

პროკურატურის გამომძიებლად, სადაც იმუშავა რვა წლის განმავლობაში, 1938 წლიდან 1947 წლამდე იყო მახარაძის რაიონის პროკურორი. იგი დაუღალავი ენერგიით, წარმატებით ასრულებდა პროკურორის ფუნქციებს და გამომძიებლებსაც ესმარებოდა საქმეთა გამოძიებაში, ზრუნავდა მათ დახელოვნებაზე. 1947-1949 წლებში მ. ვ. ცქიფურიშვილი ქალაქ ქუთაისის პროკურორია, ხოლო 1949-51 წლებში აჭარის ასსრ პროკურორი. 1951-53 წლებში იგი მუშაობდა ქუთაისის ოლქის პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების უფროსად. ქუთაისის ოლქის ლიკვიდაციის შემდეგ 1953 წლიდან დღემდე ცქიფურიშვილი ქალაქ ქუთაისის პროკურორის მთადგილეა.

ამს. მ. ვ. ცქიფურიშვილი საქმის კარგი მცოდნე, ერთგული და დაუღალავი მუშაკია, ყველა უბანზე მისი საპროკურორო მუშაობისა ჩანს საქმის ღრმა ცოდნა, მაღალი კულტურა.

მ. ვ. ცქიფურიშვილი დღესაც ჩვეული ენერგიითა და სიყვარულით უანგაროდ ემსახურება საპროკურორო საქმიანობას. პარტიამ და მთავრობამ დიდად დააფასა მ. ვ. ცქიფურიშვილის ენერგიული მუშაობა საბჭოთა პროკურატურის ორგანოებში და დააჯილდოვა იგი ლენინის, საპატიო ნიშნის ორდენებითა და მედლებით. მიღებული აქვს სსრ კავშირის გენერალური პროკურორის და საქართველოს რესპუბლიკის პროკურორის მრავალი ჯილდო და მადლობა.

**ბ. ჩიჩელავილი,**

ქალაქ ქუთაისის პროკურორის თანაშემწე.

## გვკვდილობა ზღვისსიკა ქაღაქში

მილიციის მორიგეში ყურბილი აიღო — გვიშველეთ, გვიშველეთ — ყვიროდა ვიღაც ხმაშადა და სათქმელს ბოლომდე ვერ ამბობდა, ბოლოს როგორც იქნა დანაშვიდა და მილიციის მორიგეს გააგებინა — ქალი მოკლეს ჩვენს სახლში, საშინელება მოხდა, გვიშველეთ, დაგვიხმარეთ.

— სად ცხოვრობთ, ვინ არის მოკლული და თქვენ თვითონ ვინ ხართ? — შევიტონხა მორიგე და მონაცემების ჩასაწერად მოეწადა.

— სანაპირო ქუჩა, სახლი № 21, მოკლულია მარიამ ივანიძე, კბილის ექიმის, მე კი მეზობელი ვარ, დილით შევიველი სამურაბე ტაშტს გამოვართმევ. მეთქი, სომ იცით ესლა ყველა ადუღებს მურაბას...

— მის ბოლო სიტყვებს მორიგე აღარ უსმენდა.

თვითმეტყე წუთის შემდეგ პროკურატურის მორიგე გამოძიებელი, სასამართლო ექიმი-ექსპერტი, ექსპერტი-კრიმინალისტი და მილიციის ოპერატიული მუშაკები შემთხვევის ადგილზე იყვნენ.

გამომძიებელმა ივანიძეების ბინის კარი შეაღო, თვალწინ საშინელი სურათი წარმოუდგა — იატაკზე თავგანჯიხილი ქალის გვამი ედო, იგი სისხლში ცურავდა.

სასამართლო ექიმი-ექსპერტი გვამთან მივიდა, სიკვდილის ფაქტი დადასტურა, დროც განსაზღვრა — დაახლოებით 10 საათი იქნება გასული, თავზე არსებულ დაზიანებებზე კი პირდაპირ მიუთითა — ბლაგვი იარაღით არის მიყენებული.

ექსპერტმა-კრიმინალისტმა სათანადო წესების დაცვით შემთხვევის ადგილის და გვამის ფოტოგრაფირება მოახდინა, რის შემდეგ გამოძიებელმა, თანმხლებ პირებთან და თანამოწმებთან ერთად, შემთხვევის ადგილის დეტალური დათვალიერება დაიწყო.

გამომძიებელმა, გვამის გარეგან დათვალიერებას და დაზიანებათა აღწერას რომ მორჩა, განკარგულება გასცა — გვამი მორგში გადაეტანათ. ყოველ კუნჭულს და ყოველ საგანს დეტალურად ათვალიერებდა გამომძიებელი. მისი ყურადღება იატაკზე დაგდებულმა ჩაქურჩმა მიიპყრო, რომელიც გაზეთის ნახევრი იყო გახვეული და სისხლის ლაქებით დასერილი. მარიამ ივანიძის მეზობლების დაკითხვით ჩაქურჩი მათ არ გვეთენოდათ, არც მარიამის უნდა იყოსო განმარტეს, თუმცაღა ამის შესახებ უფრო ზუსტ პასუხს მარიამის ქალიშვილი მოგცემთ — მეზობელ რაიონშია წასული და საცაა ჩამოვო.

მაგიდაზე წყლის დოქი და ჭიქა იდგა. საფერფლეში პაპიროსი „რეკორდი“-ს მოწეული ნამწვავი ედო. ექსპერტმა-კრიმინალისტმა ყოველი მათგანი გულდასმით გასინჯა — წყლის ჭიქაზე აღმინანის ხელის თითების ანაბეჭდები აღმოჩნდა.

შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას საქმისათვის საგულისხმო რაიმე სხვა კვალი ან ნივთმტკიცება ვერ იქნა აღმოჩენილი.

დათვალიერების შედეგები გამომძიებელმა ოქმით გააფორმა. გაზეთში გახვეული ჩაქურჩი, პაპიროსის ნამწვავი და წყლის ჭიქა სათანადოდ შეფუთული ექსპერტმა თან წამოიღო, როგორც ნივთმტკიცება.


შემთხვევის ადგილის დათვალიერების პროცესში, გამომძიებლის მითითებით მილიციის ოპერატიული მუშაკები შეგროვილ ხალხში ტრიალებდნენ, გარემოს ათვალიერებდნენ, მეზობელ ეზოებშიც შევიდნენ. მეზობლებს ესაუბრებოდნენ — ეგებ ისეთი რამე გავი-

გოთ ან ვინათო დამნაშავეის დაიბნაში რომ დაგვეხმარებაო. სამწუხაროდ, საგულისხმო ვერაფერი ნახეს — არაფერი გაგვივია, არაფერი გვინახავსო, — ამბობდნენ მეზობლები.

გამომძიებელმა ივანიძის ბინა ქალიშვილის მოსვლამდე მეზობლებსა და ასობლებს ჩააბანა, ასობლებს სადამოსთვის პროკურატურაში მისვლა სთხოვა და თანაც დაუბარა — ივანიძის ქალიშვილი, როგორც კი ჩამოვა, დაუყოვნებლივ შემატყობინეთო.


იმავე საღამოს გამომძიებელი მეზობლებს ჰკითხავდა, ყოველმა მათგანმა თითქმის ერთი და იგივე ჩვენება მისცა — მარიამმა დილით ქალიშვილი მეზობელ რაიონში გაისტუმრა, თვითონ კი სამსახურში წავიდა, სახლში ნ საათზე დაბრუნდა, საღამოს ეზომიც გამოვიდა, გვესაუბრა, დაახლოებით 10 საათზე ბინაში შევიდა და აღარ გამოსულიო. მხოლოდ ერთმა მეზობელმა, პენსიონერმა უდაგომა გიორგი კიკნაძემ მისცა საინტერესო ჩვენება გამომძიებელს:

— დილით სათვჯაოდ ვაპირებდი წასვლას. ასე ღამის 11 საათი იქნებოდა ეზოში გამოვიდი. სათვჯნაო მოწყობილობას წესრიგში მოვიყვანე მეთქი. უცაბეხნაური მომესმა, ვიღაცა ეზოდან გავიდა და ჭიშკარი მიავახუსხა, — ვინ უნდა იყოს — ვიფიქრე და მზე-



რა მისკენ გადავტანე, უცნობმა ასანთი აანთო, პაპიროსს მოუკიდა, სინათლეზე ვიყანი, ნამდვილად ის იყო, ვიყანი, არ შემშლია.

— ვინ ის?



— გურამი, ჩვენი პორტის მექანიკოსი, მარიამის ქალიშვილი ლილა მისწონს და ივანიძეებთან ხშირად დადას.

— არ გეშლებათ?  
— არა, როგორ შემეშლება ნამდვილად ის იყო, გურამს სანაძე.

მეორე დღეს გამოძიებელი დიდიდანვე მივიდა ივანიძეების ბინაში, მარიამის ქალიშვილი უკვე ჩამოსულიყო, კუთხეში იჯდა და უხმოდ ტირიდა. გამოძიებელმა ბოდიში მოუხადა და მეორე ოთახში გაიხმო, მათ შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

— ხომ ვერ მეტყვიეთ რა არის წადებული სახლიდან?

— მხოლოდ ფული 500 მანეთი, ოქროს ობლიგაციები ათი ცალი ოცმანეთიანი, აგრეთვე ღიდას ბეჭედი და საათი, სხვა არაფერი.

— ვისზე გაქვთ ეჭვი, თქვენის აზრით ვის შეეძლო ეს ჩაედინა, როგორც ირვევია თქვენი ბინაში ძალით არავინ შესულა, ალბათ საცნობი იყო დღიამ კარი რომ გაუღო, ძალით რომ შესულიყო ხმაურს რომელიმე გესობელი გაიგებდა.

— აბა რა გითხრათ, ეჭვი არავისზე მაქვს, მე მინც შენთან იცნე უცნობა, თორემ ჩვენი ოჯახის ნაცნობი ამ საბინელებას არ ჩაიღებდა.

წამოსვლისას გამოძიებელმა გურამს სანაძეზეც ჩამოუღო სიტყვა, როგორი კაცია თუ იცნობთ.

ლელია ოდნავ მიიღუმა, როგორ არ ვიცნობ, არ არის უწყისი კაცი, ჩვენთან დადის, გასაქმდა არ მაძლევს, მაგრამ მე რომ თანაგრძნობით არ ვბასუხობ, ბრალდება ხლმე, ძალზე ფიცხი ხასიათი აქვს.

გამომძიებელმა შემოსვლის ადგილზე აღმოჩენილი ჩაქუჩი უჩვენა ლელიას, მან დაკვირვებით დაათვალიერა და უკან დაუბრუნა — ჩვენ არ გვეუბრუნებოდ.

მათი საუბარი ამით დამთავრდა.

იმავე საღამოს გურამს სანაძე გამოძიებლის კაბინეტში იჯდა. გამოძიებელმა საუბარი სხვა თემაზე დაუწყო — პორტის მუშაკებზე ანონიმური წერილი შემოვიდა და ზოგი რამ მინდა დავაუხუტო.

საუბრის დროს ბორჯომის ბოთლი გასწანა, ჭიქა გაავსო და სანაძეს მიაწოდა, მეორე ჭიქა თვითონ გაივსო და ტურქეთთან მიიტანა, სანაძეს თვალს არ ამოორებდა.

მისულმა ჭიქა აიღო, ერთხანს ხელში ეჭირა ბორჯომს გაში გაუფიქვსო, ბოლოს დაღადა და მაგიდაზე დადგა.

საუბრის დანასრულს გამოძიებელმა პაპირისი მოსთხოვა. გურამმა ჯიბიდან „რეკორდის“ კოლოფი ამოიღო და მიაწოდა.

— ის არის, იქაც ხომ „რეკორდი“ იყო, — გაიფიქრა გამოძიებელმა და გურამს სახეში შეხვდა.

სანაძემ ჯიბიდან ასანთი ამოიღო, გამოძიებელს მიაწოდა, მეორე თვითონაც მოუკვდა პაპიროსს და წვეა დაიწყო.

გამომძიებელი განგებ აჭიანურებდა საუბრის დამთავრებას, უნდოდა სანაძეს თამბაქოს წვეა დაემთავრებინა და ნამწვავი დარჩენოდა.

დღითი დარე გამოძიებელი კრიმინალისტურ ლაბორატორიაში მივიდა, თან გურამ სანაძის მოწვეული პაპიროსის ნამწვავი და ის ჭიქა მიიტანა, თომილითაც გურამმა ბორჯომი დღისა და ცხელია რაობის თითის ანაბეჭდები დასტოვა. მოუთმენლად ელოდა ექსპერტის დასკვნას, იმ დღეს ვერაფერი გააკეთა. დღის ბოლოს დასკვნა მიიღო, გული გამსაღებით უკვამდა, სანამ ბოლომდე ჩაიკითხავდა — მარიამ ივანიძის ბინიდან ამოღებულ წყლის ჭიქაზე არსებული თითის ანაბეჭდები დატყვევულია გურამ სანაძის ხელის თითებით, ასევე მას ეკუთვნის კბილების კვალს პაპიროსის ნამწვავზე — ეწერა დასკვნაში.

დღესვე დაიჭირ მგ არამზადსა, — წამოიყვირა

და რაიონის პროკურორთან შევიდა, რათა გურამ სანაძის ბინის ჩხრეკა და შემდგომ დაკავება შეეთანხმებინა.

სანაძის ბინის ჩხრეკამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო, საქმისათვის სასარგებლო ვერაფერი იხსნა. როდესაც გამოძიებელმა გურამ სანაძეს ექსპერტების დასკვნები და გიორგი კიკნაძის ჩვენება გააცნო, ეს უკანასკნელი ძალზე აღშფოთდა — როგორ მიბედავთ ადამიანის მოკვლას, როგორი მებრალბეთო.

— კი, მაგრამ თქვენი თითების ანაბეჭდებით როგორ აღმოჩნდა წყლის ჭიქაზე, ან პაპიროსის ნამწვავზე თქვენი კბილების კვალს რაღა უნდოდა?

— ეს იმიტომ, რომ იმ საღამოს ივანიძეებთან ვიყავი, ლელიას ვნახე მეტი. არ დამხვდა, მარიამს ვესაუბრე და ასე 11 საათი იქნებოდა, უკან წამოვედი. იქ პაპიროსიც მოვიყი და წარაღვი დავლიე, ასეთი ეჭვი როგორ აღგებრათ, მაყამი დღესაცაივით მიყვარდა, მის სიძობას ვაპირებდი და სასიკვდილოდ როგორ ვაგომეტყობო.

გამომძიებელი გაოგნებული იჯდა, წაბრძანდით, თუ საჭირო იქნება დაგიძახებთ — უთხრა სანაძეს ისე, რომ მისთვის არც კი შეუსხვდავს. ფანჯარასთან მივიდა და ფიქრებს მიუცა. ეჭვი აღარ ეპარებოდა იმაში, რომ სანაძე მკვლელი არ იყო.

მეორე დღეს შემოსვლის ადგილიდან ამოღებული ჩაქუჩი გურამ სანაძის ოჯახის წევრებს და მესობლებს წარუდგინა — ასეთი ჩაქუჩი ჩვენ არ გვექონიათ — იყო მათი პასუხი.

გამომძიებელი პროკურორთან შევიდა, — ივანიძის საქმე სხვას გადააწერეთ, ისე ვარ დაბნეული, აღარ ვიცი რა გაგაკეთოთ — შეეხვეწა პროკურორს.

პროკურორი ადგილიდან წამოდგა. გამოძიებელთან მივიდა, მხარზე ხელი დაადო და ღიმილით უთხრა — დამწვრიდი, მიდი დაჯდეთ და ყველაფერი ავწონ-დავწონოთ, ერთხელ კიდევ გადავსინჯოთ მასალები, საქმეს სხვას ვერ გადავცემ, რადგან შენზე კარგად ამ მკვლელობას ვერაფერ გასწინს და გამოძიებსო. მოილაპარაკეს, რომ სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ მარტონი დასხვდებოდნენ და ყველა წვრილიმანს გულდამხობი გასინჯავდნენ.

დღის ბოლოს გამოძიებელი პროკურორს ამ უკნაური მკვლელობის ყველა დეტალს დაწვრილებით აცნობდა.

— შენ ამბობ, რომ ჩაქუჩი ამ გაწეთში იყო გახვეული? — შეეკითხა პროკურორი და გაწეთის ნახევის დათვალიერება დაიწყო.

— თითის ანაბეჭდები ვერ ნახეთ არა?  
— დიას, ვერ ვნახე, დიდხანს სინჯავდა ექსპერტი, მაგრამ ვერ აღმოაჩინა.

აქ მდონი რაღაც ჩანაწერია, ჩაილაპარაკა პროკურორმა და გამაღებელი შუშა მოიშარჯვა — გაწეთის ნახევის კუთხეში ციფრი „9“ ეწერა დაწვრილი, რომელიც არც თუ ისე მკვეთრად იყო გამოსახული. ცხრიანის შემდეგ რამდენიმე შტრიხი მოჩანდა, რომელიც რაიმე კონკრეტულ ასოს ან ციფრს არ გამოხატავდა.

გამომძიებელი დარცხვნივთ უყურებდა გაწეთის ნახევის. ეს როგორ მომივიდა, ჩანაწერი რომ ვერ ვნახე.

ჩემის აზრით, ეს ციფრი სახლის ნომერს ნიშნავს, ნახევე გაწეთის სათაური არ არის გამოსატყული, სწორედ ის ადგილი მოუხვეიათ, ასე, რომ პირველ რიგში უნდა გავიგოთ რომელი გაწეთის ნახევაა, შემდეგ კი ის სახლიც ვაივოთ, შეიძლება ვინმე ხელმომწერს ეკუთვნის და ეს ციფრი დანაშაულის განსწამი დაგვეხმაროსო — დასკვნა პროკურორმა.

ორი დღე იჯდა გამოძიებელი ქალაქის ბიბლიოთეკაში, ბეგრს ვაწვლა და ბოლოს დადგინა — გაწეთის ნახევა, რაშიც ჩაქუჩი იყო გახვეული, გა-



ზეთ „ტრუდის“ 1966 წლის 5 მარტის ნომრის ნაწილს წარმოადგენდა.

საღამოს გამომძიებელი პროკურორთან ერთად სა-  
დაქმნელ ვეგმას ადგენდა. მათ გადაწყვიტეს გუ-  
სინჯათ ქალაქში ყოველი № 9 სახლი და გაეგოთ ამ  
სახლებში ვინ იწერდა „ტრუდს“. ასეთ სას-  
ლებში სუთი ოჯახი აღმოჩნდა. გამომძიებელი ამ  
ოჯახების ყველა წევრის დეტალურ შესწავლას შეუ-  
დგა. თითქმის საექვთ არავინ იყო. ის იყო გაიფიქრა  
ამ საქმიდან არაფერი გამოვიდოდა, რომ შრომის ქურდის  
№ 9 სახლის რწმუნებულებიდან ერთი საგულისხმო  
ცნობა მიიღო — ფარესაშვილების ოჯახში უმცროხი  
ვაჟი არ მომწონს, ესლახან გამოვიდა პატიმრობიდან,  
მუშაობის დაწყების ნაცვლად დღეებს უსაქმურად და-  
დის და ლოთობსო.

ხვალ კვირაა, გაველი შრომის ქურაზე, № 9 სახ-  
ლთან მივალ, ვნახოთ, ეგებ ვინმე ნაცნობი ვნახო და  
ახალი რამე შეიტყო — გაიფიქრა გამომძიებელმა  
და დილით იმ სახლისკენ მიმავალ გზას დაადგა.

სახლი ერთსართულიანი აღმოჩნდა, პატარა ეზოთი,  
მის წინ გრძელ სკამზე მოხუცი კაცი იჯდა და გა-  
ზევის კითხვობდა. გამოველაპარაკებო — იფიქრა  
გამომძიებელმა და ახლოს მივიდა.

— ასანთი ხომ არა გაქვო, ძია კაცო — შევეითხა.

მოხუცმა კითხვას თავი ანება, დაბრძანდით ესლავე  
გამოგიტანოთ — უთხრა და ეზოში შევიდა. რამდენ-  
იმე წუთში მოხუცი დაბრუნდა, ასანთი გამოუტანა,  
მოუკიდა და ლაპარაკი გაუბა.

ეზოდან ახალგაზრდა გამოვიდა, ღიღინებდა, პე-  
რანგი გაეღვდა, ხელში მანქანის გასაღებს ატარა-  
ლებდა, მოხუცს მიუახლოვდა, მხარზე ხელით შეეხო  
და უთხრა:

— ბაბუ, მე დამავიანდება და დედას უთხარი არ  
მელოდოსო.

მოხუცს ყურადღება არ მიუქცევია, ზურგი შეაქცია  
და ხელს ჩაიჭინა.

— თქვენი შვილიშვილია? — შევეითხა გამომძიე-  
ბელი.

— ნეტავ არ იყოს, უსაქმურია, ლოთი, სიცოცხლე  
გაგვიშპარა.

— რა ქვია?  
— ირაკლი.

გამომძიებელმა საუბარი სხვა თემაზე გადაიტანა.

— დიდი ხანია აქ ცხოვრობო?

— ორი წელი იქნება, ადრე სანაპიროს ქურაზე  
ვცხოვრობდი, პატარა ბინა გვქონდა.

— სანაპიროს? — კინალამ შეყვირა გამომძიებე-  
ლმა და თვალები გაუფართოვდა.

— დიას, სანაპიროს № 21 სახლში.

გამომძიებელმა თავს ძალა დაატანა, ადღეგება არ  
შემატყოსო და სხვათა შორის ჰკითხა:

— იმ სახლში მგონი ქალი მოკლეს, კბილის ექიმი,  
ხომ არ იცნობდი?

— როგორ არ ვიცნობდი, ახლო მეზობლები ვიყა-  
ვით, იმ სამინილო დღის შემდეგ ჭკუსაზე აღარ ვართ  
ჩვენი ოჯახის წევრები, ნათესავივით გვიყვარდა მა-  
რიაში, მისი ქალიშვილი ჩემი შვილიშვილის ტოლი  
იყო, მეგობრობდნენ, მასთან ხშირად დადიოდნენ.

— რომელი შვილიშვილი, წუდან რომ ჩავგვიარა?

— დიას ის, ირაკლიმ ისე განიცადა არც პანაშვი-  
ლზე წამოვიდა და არც დასაფლავებაზე, ის დღეები  
არეული დადიოდა.

გამომძიებელი მოხუცს დაემშვიდობა. მოუთმენლად

ელოდა გათენებას, რათა პროკურორთან მისულიყო  
და ყველაფერი მოეთხრო.

მეორე დღეს პროკურორთან შეთანხმებით გადა-  
წყვიტა ფარესაშვილების ბინა გაეჩხრიკა, თან ჩაქუ-  
რიც წაიღო ამოსაცნობად.

საღამო ხანს იყო ჩხრიკაზე რომ მივიდა, მეზობ-  
ლებს სთხოვა შემოსულიყვნენ, ყველა სახლში დასვდა,  
ირაკლი ტანტზე გაშლართულიყო, ეძინა.

მთვრალი თუა, — გაიფიქრა გამომძიებელმა და  
ირაკლის ბაბუს ძველი ნაცნობივით ხელი ჩამოართვა,  
შეკრებილთ მისვლის მიზანი გააცნო, დადგინებდა  
წაუკითხა და საქმეს შეუდგა.

ბაბუა ირაკლისთან მივიდა, მუკლუგუნი გაპკრა და  
ფეხზე წამოაყენა, თან ჩუმად უთხრა გამომძიებელი  
მოვიდაო.

— ეს ჩაქური თქვენი ხომ არ არის, — შევეითხა  
მოსუცს გამომძიებელი და ჩაქური მიაწოდა.

— ჩვენია, ამ ცოტა ხნის წინ დავკარგე, ტარზე  
ნიშანიც კი აქვს, თქვენთან საიდან მოხვდა, — ლულ-  
ლულდება მოხუცი და ჩაქურს ხელს არ უშვებდა.  
ირაკლი კედელს მივერა, კანკალდება.

გამომძიებელი ყველა ნივთს დეტალურად სინჯა-  
და, კუნჭული არ დარჩა დაუთვალიერებელი, კარა-  
დიდან რუხი ფერის პიჯაკი გამოიღო, დეტალურად  
გასინჯა.

— ეს პიჯაკი შენია? — შევეითხა ირაკლის.

— ჩემია.

— სისხლის ლაქები დარჩენილა ზედ, ალბათ  
კარგად ვერ გამორეხე, ცხვირიდან თუ წაესკდა სისხ-  
ლი, თუმცა ამას გამოვარკვევთ — შენი სისხლია  
თუ სხვისი.

ირაკლი ხმას არ იღებდა.

ნუთუ სულ დახარჯა ფული და ობლიგაციებიც  
გადაახურდა? ბეჭედს და საათს გაყიდა, — ფიქ-  
რობდა გამომძიებელი და ფარესაშვილების ბინის  
ჩხრიკვას ვანატრობდა. გერაფერს მიაგნო.

მერე გადაწყვიტა ერთი მეთოდი ემხარა, ეგებ რაი-  
მე გამოვიდესო, ოთახში გათვალეულ ნივთებს ცალ-  
ცალკე უახლოვდებოდა და თან ირაკლის სახეზე აკვი-  
რდებოდა, შუამჩნია, რომ ტელევიზორთან მიახლოე-  
ბისას ირაკლის სახეზე ადღეგება ეტყობოდა, სხვა  
ნივთებს დაემშვიდებოდა უყურებდა. ტელევიზორში ხომ  
არა აქვს დამალული რამეო, გაიფიქრა. ჯიბიდან და-  
ნა ამოიღო და ტელევიზორის უკანა მხარე მოხსნა —  
ქალღმადმი გვეხვეული ოქროს ბეჭედი და საათი გუ-  
თხეში იწყო.

ირაკლი ფარესაშვილი დააპატიმრეს. ბიოლოგიურ-  
მა გამოკვლევამ ისიც დაადასტურა, რომ მის პიჯაკზე  
არსებული სისხლის ლაქები განსხვავდებოდა მისი  
სისხლისაგან, მარია ივანიძის სისხლს კი ემთხვეოდა  
ჯგუფის მინეღვით.

გამომძიებთი შვეროვილ მასალებს რომ გავცნო, ამ  
მხეცადქცეულმა აღამინამ აღიარა დანაშაული. მოუ-  
ყვა გამომძიებელს, როგორ შევიდა მარიათან ბინაში-  
ღამის ორმეულ საათზე — ნასამი ვარ, აქ დაეძინე-  
ნებო და როცა მარიაში უკან შემბრუნდა ლოგინის  
დასაგებად, თავში ჩაქური ჩაარტყა, ფული, ობლიგა-  
ციები, ბეჭედი და საათი წამოიღო და თითქმის არა-  
ფერი მომხდარათ სახლში მივიდა და მშვიდად დაი-  
ძინა.

სასამართლომ დამნაშავე კანონის მთელი სისასტი-  
კით დასაჯა.

ოთარ მგელაძე.

# საქართველო

მ ო თ ხ რ ო ბ ა \*

— რას ემყარება თქვენი ეს დასკვნა? — შეეკითხა ბალანჩივაძე.

— ჭადარასათვის დაჭრილი მეტად ძვირფასია. მისი გადარჩენისათვის არც საყუთარი სისხლის ვადებას მოერიდა და არც ხიფათს. ჩავარდნის რისკით უცნობ სახლში შევიდა.

— ბალანჩივაძემ დიმილი შეხედა მინდელს, შემდეგ სავარძლიდან წამოდგა.

შენი მოსაზრება სწორად მიმაჩნია ლევან. ორივე ვარიანტი საყურადღებოა და გეგმის შედგენისას უთუოდ ორივე უნდა გავითვალისწინოთ. კიტოვანი უჭველად მოგონილი გვაჩნია. ჩანს დღევანდელ ესტე არ იცის.

ბალანჩივაძემ ერთხელ კიდევ გადაათვალიერა დღევანდის ჩვენება.

— სადა ჰყავს ბავშვი ამჟამად დღევანდის? — შეეკითხა მინდელს.

— მორიგეობის დროს დასთან ტოვებს და მხოლოდ მეორე დღეს მიჰყავს სახლში.

— ეს კარგია, ბავშვი საქმეს გაართულებდა. ბანდიტებისაგან ყველაფერია მოსალოდნელი.

— რა თქმა უნდა, მითუმეტეს დღევანდის სტუმარი საკმაოდ გამოცდილი ბოროტმოქმედი ჩანს — ჩაურთო ხომერიკმა.

რამდენიმე ხანს ყველა დუმდა.

— დღევანდის დაკითხვამ — დაიწყო მანდელმა — კიდევ უფრო მტიცივ გახდა დანაშაულის ჩატკის შემკვრელი რგოლი. ჩვენ ვიცით, რომ დანაშაულებს — მხედველობაში მყავს ჭადარა და კიტოვანი-საკუთარი მანქანა არა ყავთ. გრძელის ჩვენებით დადასტურებულა, რომ ის, ორმა ბოროტმოქმედმა წაიყვანა რომელთაგან ერთი მანქანას მართავდა. დღევანდელ დადასტურებს, რომ ექიმის მოსაყვანად ორნი წავიდნენ. მოტაცებული ექიმი მეორე დამეს ისე მანქანით წაიყვანეს. შალითაზე აღმოჩენილი სისხლი ლაბორატორიის დასკვნით არა მარტო გვუფის მიხედვით დამთხვა ტყუილია ბინაში ფანჯარასთან აღმოჩენილი სისხლის მცირე გუბეს, არამედ ტიპიურობითაც. გრძელიმ უყოყმანოდ ამოიცნო მანქანა, ხოლო დღევანდის ჩვენებამ ცხადყო, რომ კიტოვანი და დავით ქავერაძე ერთმანეთს იცნობენ. ამდენი ფაქ-

ტების შემთხვევით დამთხვევა მხოლოდ თეორიულად არის შესაძლებელი. ამიტომ სრული საფუძველი გვაქვს ვფიქროთ, რომ თუცა ქავერაძე კატეგორიულად უარყოფს დანაშაულის ჩადენას, ის ბანდის ერთ-ერთი წევრთაგანია და მისი ვერსია მანქანის თხოვების შესახებ მოგონილია.

— შენი მოსაზრება ძირითადად მისაღები და მოსაწონი, მაგრამ ის რაც თეორიულად დასაშვებია, პრაქტიკულად არ არის გამორიცხული — ჩაურთო ხომერიკმა.

შე მხოლოდ ვართუდს გამოვთქვამ ქავერაძის დანაშაულში მონაწილეობის შესახებ — თქვა მინდელმა.

კაბინეტში კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა.

— საჭიროა დღევანდის და ქავერაძის საკითხი გადაწყვიტოთ — დაარღვია სიჩუმე მინდელმა.

ხომერიკმა პაპიროსი საფერფლეში ჩასრისა, შემდეგ დღევანდის ჩვენება აიღო და კიდევ ერთხელ გულდასმით გადაათვალიერა. ის ადგილები, სადაც ქავერაძეზე იყო ლაბარაკი რამდენჯერმე ხამაძლა ჩაიკითხა.

მინდელი დუმილით ელოდა პროკურორის გადაწყვეტილებას.

ხომერიკი კი არ ჩქარობდა, ქავერაძის ჩვენებას გაეცნო, საერთო ფაქტები ერთმანეთს შეედარა.

ასე გავიდა რამდენიმე წუთი.

ბოლოს ხომერიკმა კითხვა დაამთავრა და ქაღალდები გვერდზე გადადო:

— ქავერაძე პატიმრობაში უნდა ავიყვანოთ — დაიწყო მან მძიმედ. შეკრებილი მასალები მართლაც მტიცივდ ამხელეს მას... რაც შეეხება დღევანდის, ვფიქრობ ლევანს სწორი აზრი შეექმნა მის შესახებ, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას რომ მან გამოძიებელს სრული სიმართლე უჩვენა. ასეთ აღმამიან ნდობა უნდა გამოვეცხადოთ, მხარი დავუჭიროთ... გავესაუბროთ კიდევ ერთხელ, ზოგიერთი დეტალები დავაზუსტოთ. თუ ინტუიცია არ გვღალატობს და დღევანდელ გულწრფელა, ეს ძალზე გაადვილებს ოპერაციის ჩატარებას. შე ერთი გეგმა დამებადა.

\* გაგრძელება. დასაწყისი იხ. ყურნალი „საბჭოთა სამართალი“ 1966 წ. № 3, 4, 5, 6



რომლის შესრულებაში დევძეს მცირე როლი ექნება დათმობილი, მაგრამ ამაზე შემდეგ...

— მიგზხედი ვიორჯი რა გეგმაცაა — გაილიმა პოლკოვნიკმა და თითი ზარის დილაკს დააჭირა.

სერჯანტი დევძეს შემოუძღვა.

— დაბრძანდით, მიიწვია ბალანჩივაძემ და სავარძელზე მიუთითა.

ნატალია უხმოდ ჩამოჯდა, დაბნეულად შეხედა კაბინეტში მყოფთ.

ზომერიკმა დავკირვებით შეათვალღერა ქალა, მის სახეზე შიში და დიდი სტლიერი ტანჯვა ამოიკითხა.

— თქვენი გვარი დევძეა, არა? — დაარღვია სიჩუმე ბალანჩივაძემ.

— დიას, დევძე, ნატალია დევძე — მიუგო ქალმა შემკრთალი ხმით.

პოლკოვნიკმა წუთით იყუჩა, დაჟინებით დააცქერდა მის პირდაპირ მჯდომ ქალს და შემდეგ მტკიცე ხმით დაიწყო:

— ჩვენ წავიკითხეთ თქვენი ჩვენება და გვჯერა, რომ ის სრულ სიმართლეს შეიცავს, მაგრამ გვინდა გავივით, გიფიქრიათ თუ არა ოდესმე, რომ თქვენი სტუმარი ის არ არის ვინც თქვენ გგონიათ? გიფიქრიათ თუ არა, რომ თქვენ თავშესაფარი მიეცით საშიშ ბოროტმოქმედს?

დევძე შეკრთა.

ბოროტმოქმედს? — ძლივს ამოილულღულა მან.

— დიას, ბოროტმოქმედს! ბანდიტს, მკვლელს, — განმარტა პოლკოვნიკმა.

დევძე გაფითრდა და კანკალი აუვარდა:

— ვახტანგი?.. როგორ შეიძლება, ვერაფრით ვერ დავიჯერებ, ასეთი თავაზიანი, ასეთი კეთილი და მკვლელი? — ჩაიჩურჩულა მან.

— დიას, ვახტანგი, ვახტანგ კიტოვანი! ან უფრო სწორად ის — ვინც თქვენ ამ სახელით გაგეცნოთ — ბანდიტი და მკვლელი! — დაუდასტურა ხომერიკმა.

დევძე მთელი სხეულით აცახცახდა.

— დამშვიდდით — პოლკოვნიკმა წყლიანი ჭიქა მიაწოდა.

დამშვიდდით — და მომისმინეთ.

დევძემ ჭიქა ჩამოართვა, ძლივს მიიტანა პირთან, მოსვა, მაგრამ ცახცახი ვერ შეიკავა. ციებიანივით აკანკალებდა და უაზრო თვალებით დაჟინებით მისჩერებოდა ერთ წერტილს. ხელში შერჩენილ ჭიქიდან კი წყალი წვეთწვეთობით ეღვრებოდა მუხლებზე.

— მინდელმა ჭიქა ჩამოართვა, სიბრალოლით შეხედა.

— დამშვიდდით, ნუ დელავთ.

ქალი გამოერკვა, სწრაფად იბრუნა პირი პოლკოვნიკისაკენ, რამდენიმე წამს უყურა, შემდეგ

უეცრად მაგიდაზე დაემხო, სახე ხელში ჩარგო და ტირილი აუვარდა.

— დედა, დედა.. ვაიმე შვილო! — ამოგმინა საწყალობლად.

რამდენიმე წუთს კაბინეტში მხოლოდ ქალის გულსაკლავი ქვითინი ისმოდა.

ბალანჩივაძე წამოდგა, მტირალს მიუხლოვდა.

— მისმინეთ, დევძე, გეყოფათ ტირილი — მიმართა ქალს და ფრთხილად მოკიდა მკვლავზე ხელი.

დევძემ თავი ასწია, ცრემლით სავსე თვალებზე პოლკოვნიკს მიაპყრო.

— დამშვიდდით, ჩვენ გვჯერა, რომ შეცდომაში ხართ შეყვანილი. ბოროტად გამოიყენეს თქვენი გრძობა, სტუმართმოყვარეობა, მაგრამ ფაქტია, რომ მკვლევები თქვენს სახლში არიან შეხიზნული და...

— ვიცი, უკვე დავრწმუნდი, როგორც გინდათ ისე დამსაჯეთ, ყველაფერზე თანახმა ვარ — შეაწუვეტინა დევძემ.

— ხოლო რომ დაგვეხმაროთ ამის თანახმა არა ხართ? — რბილად შეეკითხა ხომერიკი.

ქალი თითქოს დამუნჯდა, ეჭვით შეხედა ხომერიკს, შემდეგ მომღიმარ მინდელზე გადაიტანა მზერა.

— რას იტყვიან? — ღომილით შეეკათხა ბალანჩივაძემ.

— მე.. მე დაგვეხმაროთ? — ამოილულღულა ბოლოს.

დევძე ღუმდა, შემდეგ მის თვალებში სიხარულმა იფეთქა, მტკიცედ წამოდგა სავარძლიდან.

მიბრძანეთ, რა უნდა გვაკეთო, მე თუმცა სუსტი, ცხოვრებისაგან გათლილი ქალი ვარ, მაგრამ მშობარა არასოდეს ვყოფილვარ, შევძლებ რაც უნდა დამავალთ. ოღონდ ეს ლაქა მომამოვრეთ.

— კეთილი, — გაიღიმა პოლკოვნიკმა. — საშიში არაფერია. თქვენგან ძალიან ცოტა რამ გეპირდება, დანარჩენს ჩვენ თვითონ მოვაგვარებთ, ახლა საავადმყოფოში წადით, არავისთან წამოგცდეთ სად იყავით. თავის დროზე მოგაკითხავთ — დაამთავრა მან და შემოსულ სერჯანტს უბრძანა დევძე გაეცილებინა.

პოლკოვნიკი ახალგაზრდული შემართებით წამოდგა სავარძლიდან.

— მეგობრებო, — თქვა მან მხარულად — მთელი კვირის დაჩაბული შრომა და უძილო ღამეები მთავრდება ხეალ, უკიდურეს შემთხვევაში ზეგ საღამოს, დამნაშავეებს ავიყვანთ, ახლა კი წავიდეთ ძიძიუტის მივაკითხოთ.

— წავიდეთ, მასთან ბევრი რამ გვაქვს სალაპარაკო — წარმოთქვა მინდელმა და საქაღალდე აიღო.

კაბინეტში სინათლე ჩაქრა.

## თავი VII

ოპერატიული თათბირი დასასრულს უახლოვდებოდა. გეგმა, რომელიც ხომერეკმა, ბალანჩივაძემ და მინდელმა შეიმუშავეს მიღებული იქნა, ახლა მხოლოდ დეტალებს აზუსტებდნენ.

სპეციალურად შექმნილ ორ დამოუკიდებელ ოპერატიულ ჯგუფს და მის თითოეულ წევრს დაწვრილებით ინსტრუქტაჟი მიეცათ, ყველამ ზუსტად იცოდეს რა უნდა გაეკეთებინა, გათვალისწინებული იქნა ყველა წვრილმანი.

ოპერმუშავეები დაძაბული ყურადღებით უსმენდნენ ბალანჩივაძეს, რომელიც უკანასკნელ მითითებებს აძლევდა ოპერაციაში მონაწილე ოფიცრებს.

— წყალტუბოს ჯგუფს ამხანაგი ძიძიგური ხელმძღვანელობს, ქუთაისისას კი ბურდული. თუმცა ბანდიტები შეიარაღებული და თავზე ხელაღებული არამზადები არიან, მაგრამ ჩვენ ისინი აუცილებლად ცოცხალი უნდა შევიპყროთ, იარაღი მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში შევიძლით გამოიყენოთ. საქმეს ართულებს ის გარემოება, რომ ხოტოველის თვალთვალმა საჭირო შედეგი ვერ გამოიღო. ცნობილია, რომ მან სასტუმროს 407 ნომერში ინახულა ბასაკოვა, იგივე ტანია და ფული გადასცა მას. მაგრამ სხვას არავის შეხვედრია და საერთოდ არც რაიმე საეჭვო საუბარი ჰქონია. ქაევარაძე კვლავ დუმს და მტკიცედ ადგას ვერსიას მანქანის უცნობისთვის თხოვნების შესახებ. ჩიკვაიძის მკვლელობაც ჯერ-ჯერობით ბურჟუსით არის მოცული. დანა, რომელიც მკვლელობა ჩიკვაიძეს მკერდში ჩასცა, მოწმობის ჩვენებით მოკლულს ეკუთვნოდა, იგივე დადასტურა ანზორის დედა და დეიდა. ჩვენ ეჭვი არ გვებარება, რომ ჩიკვაიძის მკვლელობა ტყემლიაძის მკვლელობის გავრცელებაა, ამიტომ დამნაშავეთა ცოცხლად შეპყრობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

ხოტოველი დღეს საღამოს 9 საათზე კვლავ უნდა შეხვდეს ბასაკოვას, გამორიცხული არ არის, რომ 407 ნომერში სხვებიც იქნებიან. სწორედ ამის გამო წყალტუბოს ოპერატიული ჯგუფის გეგმა შედარებით ზოგადია. ამ ჯგუფს ვაცილებით რთულ პირობებში მოუხდება ოპერაციის ჩატარება. ამხანაგი მინდელი ამ ჯგუფთან იქნება. ის ცალკე გაგაცნობთ ზოგიერთ მოსაზრებას.

ბალანჩივაძემ საათს დახედა.

— თქვენს განკარგულებაში საათი და 20 წუთია. თუ შეკითხვები არა გაქვთ ამით დაკავშირებით და ოპერაციისათვის მოვემზადით.

ოფიცრები ზედმეტი ხმაურის გარეშე წამოიშალნენ.

კაბინეტში ბალანჩივაძე, ხომერეკი, მინდელი და ძიძიგური დარჩნენ.

— სწორედ დროზე ჩამოხვედით ამხანაგო

6. საბჭოთა სამართალი № 1.

სერგო, ოპერაციას ჩამოუსწართ და დაელოდებოდით, თუ ყველაფერი კარგად დამთავრდა, „ჭაღარას“ პირადად გაეცნობით და ცნობებსაც მისი პიროვნების შესახებ უშუალოდ მისგან მიიღებთ.

— გამოგოცხლებით, რომ ჭაღარას პიროვნებაში და ამ ორმა უცნაურმა მკვლევლობამ ყველანი ააღვლა სამმართველოში. ჭაღარას ნიშნები სრულებით არ უდგება ჩვენთან რეგისტრირებულ ქურდ რეციდივისტებს. ასეთები ხომ ახლა თითზე ჩამოათვლელებილა დარჩნენ, ზოგი გამოუსწორდა, შრომას დაუბრუნდა, მცირე ნაწილი კი საიმედოდ არის იზოლირებული. მინისტრმა მიბრძანა, სპეციალური მოხსენებითი ბარათი წარვუდგინო ამ საკითხზე, ბევრს ვფიქრობ. ზოგჯერ ვეჭვობ კიდევ, რომ ევ თქვენი ჭაღარა ქართველი არ არის.

ლაპარაკში ხომერეკი ჩაერია. — ჩვენს ხელთ არსებული ცნობებით, თქვა მან, ჭაღარა უსათუოდ ქართველია. ექიმ გრძელიძეს არაერთხელ ვესაუბრეთ ჭაღარას ეროვნების შესახებ, დაწვრილებით გამოგვითხეთ ყოველივე. იგი კატეგორიულად ამტკიცებს, რომ ჭაღარა დარბაისლური, უჩაქცენტო ქართულით ლაპარაკის. გარეგანი ნიშნებითაც ქართველია.

— ერთი სიტყვით, ქართველია თუ არა ქართველი უდავოა, რომ მას საქართველოში არ „უმიღვანა“ თორემ რაღაც გვეცოდინებოდა მასზე — უბასუხა ძიძიგურმა.

კაბინეტში ახალგაზრდა კაპიტანი შემოვიდა.

— ამხანაგო პოლბოლოცნიკო, ოპერატიული ჯგუფი მზად არის, უბასუხა ძიძიგურს.

— ახლავ, ახლავ — უბასუხა პოლბოლოცნიკმა.

— აბა, წაიდე თ ლევან, მიმართა მან ღიმილით მინდელს და მხარზე გადახვია ხელი.

ხომერეკი და ბალანჩივაძე წამოდგნენ და კარებამდე მიაცილეს ორთავე.

ღამის 9 საათია. ყინავს.

აუსხიანი ქარი თოვლს ნემსებივით აყრის სახეში შეგვიანებულ მგზავრს.

სამო, ზაფხულობით მწვანედ შემოსილი კოპწია კურორტი წყალტუბო ახლა თეთრ სამოსელშია ჩაფლული. სამხრეთისათვის უჩვეულო სიცივეს დამსვენებლებთან ერთად ადგილობრივი მკვიდრნიც დაუშინებია.

დაცარიელებული ქუჩებში მხოლოდ ქარი დაეხეტება და უილაჯო ბრაზით აწყევება თეთრად გაპენტოლ ხეებს.

ასეთი ზამთარი რა ხანია არ სწევია სამკურნალო წყლებით განთქმულ კურორტს.

სასტუმროს მთავარი შესასვლელი... ხშირად იღება მისი მიმე კარი. ზოგი გამოდის, უფრო მეტი სასტუმროს ნომრებისკენ მიეშურება.

9 საათი და 15 წუთია.



სასტუმროსთან ტაქსი გაჩერდა. წინა მარჯვენა კარებიდან მაღალი, პალტოში შეფუთული კეპიანი მამაკაცი გადმოვიდა და სწრაფი ნაბიჯით აიბრინა კიბის საფეხურები.

უცნობს კიბე არ აეთავებინა, რომ სასტუმროს მეორე მანქანაც მოაღდა.

იქიდან ორნი გადმოვიდნენ. რუხპალტოიანი სასტუმროში შევიდა. შავ პალტოში ჩაცმული შესასვლელთან შეჩერდა, მარჯვენა ხელზე თათმანი გაიხადა და აუჩქარებლად გააბოლა პაპიროსი.

სასტუმროს მთავარ ადმინისტრატორის სარკმელთან რივი დგას, ახალგაზრდა ადმინისტრატორი მარჯვედ მუშაობს, შეუწყვეტილ მოწყარუნე ტელეფონს პასუხობს. წამსვლელ — მოსვლელს აფორმებს, თან ავტომატივით იმეორებს: ადგილები არ არის.

კეპიანმა სწრაფად აუარა გვერდი სარკმელთან შეგროვილ ხალხს და მეორე სართულის კიბეებს შეუღდა.

რუხპალტოიანი დინჯი ნაბიჯით ჩაუდგა კვალში. მეორე სართულზე ოდნავ შეისვენა. პაპიროსი ამოიღო და ასანთი გაჰკრა. ვიღაც კოსტუმიანი ახალგაზრდა მიუახლოვდა, თავზიანად სთხოვა ასანთი, პალტოიანმა ანთებული წვირი გაუწოდა, ოდნავ დაუქნია თავი.

ახალგაზრდამ მაღლობა გადაუხადა და თითქმის სირბილით შეჰყუდა მესამე სართულის კიბეებს.

რუხპალტოიანი ცოტა ხანს იდგა, შემდეგ აუჩქარებლივ მობრუნდა და ისევ ვესტიბიულში ჩამოვიდა. პალტო და ქუდი გარდერობში ჩააბარა, თმა ვადათიარცხნა და უზრუნველო კაცის ივრით განაპირა სავარკელში მოიკალათა.

ოცი წუთის შემდეგ ვესტიბიულში ისევ გამოჩნდა კეპიანი და ჩქარი ნაბიჯით მიაშურა კარებს, გარეთ გასულმა მიმოიხედა, შესასვლელთან არავინ ჩანდა: ვიღაც ხანშიშესული მანდილოსანი ნელა, სვენებ-სვენებით ამოდიოდა კიბეზე.

კეპიანს აღარ დაუხანებია, მარდად ჩაიბრინა საფეხურები, მომლოდინე მანქანის წინა კარები გაღო და სწრაფად ჩაჯდა მანქანაში, მარცხნივ ჩაუხვია და თვალს მიეფარა.

იმავე წამს კარებში კოსტუმიანმა ახალგაზრდამ გამოიხედა, შავპალტოიანი აღარსად იყო. ახალგაზრდამ გაიღიმა. სასტუმროში შებრუნდა და დირექტორის კაბინეტს მიაშურა. შესვლისთანავე კარები მჭიდროდ მიხურა. კაბინეტში სამი პირი იმყოფებოდა.

— ამბავი? — შეეკითხა ერთ-ერთი მათგანი.

— ყველაფერი რიგზეა. ხოტოველი აიყვანეს, მიუგო მან და ფართოდ გაიღიმა.

— კეთილი, მთავარი წინა გვაქვს. 407 ჯერ თავისუფალია, ბასაკოვა ნომერში ზის ალბათ, სტუმრებს ელოდება.. მამ ასე, არ აგერიოთ.

თუ ტანიას სტუმრები ეწვია, პირველი შე შევდივარ როგორც სართულის მორიგე, ჯუღელი კარებთან დგება, დანარჩენები კი ოთახის შესასვლელთან, გასაგებია?

— გასაგებია, ამხანაგო პოდოლოკოვნიკო — ყველას მაგივრად უპასუხა ჯუღელმა.

კაბინეტის კარი უეცრად გაიღო. სამოქალაქო ტანსაცმელი ჩაცმული ქერა ჩაფსკენილი ახალგაზრდა თითქმის სირბილით შემოვიარდა.

— რა მოხდა? — ფეხზე წამოიჭრა ძიძიგური.

— ბასაკოვა სადღაც მიდის. ნომერი დაკეტა და გასაღები სართულის გამგეს ჩააბარა.

ყველანი წამოიშლნენ.

ძიძიგური შემოსულს მიუბრუნდა. — ბასაკოვამ პალტო ჩაიცვა?

— არ ვიცი, მას გელოვანი და სურგულაძე გაჰყენენ.

— კარგი, თქვენ აქ დარჩით, ჩვენთან ჯუღელი წამოვა, ძიძიგური ნელა გაემართა კარისაკენ, მაგრამ გაწვდილი ხელი ჰაერში დარჩა, კარები სურგულაძემ შემოაღო.

— ამხანაგო სერგო, ბასაკოვა რესტორანში შევიდა..

— მარტო?

— დიას, მარტო, მაგრამ იქ ვიღაც წარმოსადეგი მამაკაცი დახვდა. მათ შესასვლელიდან მარჯვნივ პირველი რიგის მესამე მაგიდა უკავიათ, გელოვანიც რესტორანშია.

— ძალიან კარგი, ჩვენც წავიდეთ. შემუშავებული გეგმა ჯერ-ჯერობით ძალაში რჩება. აზნოლავა 407-ს არ მოშორდეს, შემდეგ ვნახოთ, წავიდეთ ლევან — წარმოითქვა ძიძიგურმა და პირველი გავიდა კაბინეტიდან.


რესტორანი ხალხით იყო გაჭედილი, მაგრამ თავისუფალი მაგიდა მაინც იშოვეს.

ორ ჯგუფად გაყოფილი ოპერატიული მუშაკები ერთმანეთისაგან მოშორებით დასხდნენ. ძიძიგური და მინდელი გელოვანის მაგიდასთან მოთავსდნენ და რესტორანი შეათვალიერეს.

მარჯვნივ, პირველ რიგში — მესამე მაგიდა ამ უცნობ მამაკაცს ქონდა დაკავებული, შემოვიდა თუ არა ბასაკოვამ პირდაპირ იქ მიაშურა, ჩანს ელოდებოდნენ — ჩუმად თავაუღებლივ ჩაილაპარაკა გაზეთის კითხვით გართულმა გელოვანმა.

ბასაკოვასკენ ზურგით მჯდარი მინდელი მოპირდაპირე კედელში ჩასულ ვეებერთელა სარკეში ინტერესით ათვალიერებდა ქალ-ვაყს.

ბასაკოვა 28-30 წლისა იქნებოდა. თეთრ ყიჩმაც სახეს დიდრონი ცისფერი თვალები და წვრილი შავი წარბები უმშვენებდნენ. ჯიშინ კისერს გველივით შემოხვეოდა შავი მძივების სამაგიე რკალი. მოვლილი ხელების ნაზ თლილ თითებზე ბეჭდები უბრწყინავდნენ, უკანასკნელ მოღაზე გაკრებილი ქერა თმის კულულები ოქროს ბუღულივით ჩამოღვრიდა გადატყეცილ



შუბლზე. ხანგამოშვებით პეპელას ფრთებივით აფახუნებდა გრძელ ხშირ წამწამებს და ისე შესტკეროდა მის თანხლებ ვაჟს, თითქოს ამოდენა ვაჟკაცის თვლით ჩაყლაპვას აპირებდა.

მამაკაცი 35-37 წლისა იქნებოდა. მაღალსა და წარმოსადევს შავი, საფეთქლებთან შევერცხლილი ხეჭუჭუა თმები უხვ კულულებად ეყარა ფართო შუბლზე. დიდრონ, მუქ წაბლისფერ თვალებს რკალივით მოხრილი, ერთმანეთზე ოდნავ გადაბმული შავი წარბები ამშვენებდნენ. მოკლედ შეკრებილი წაბლისფერი უღვაშები ლა. ზაოს ჩატებდა მის ვაჟკაცურ, ოდნავ მოგრძობს ნეს. ლაღად იჯდა, ჰალს ალერსიანი ღიმილით შეჰყურებდა და წყნარი ხმით ესაუბრებოდა.

ორკესტრი ნაზ მელოდიას ასრულებდა. კუთხის მაგიდასთან ახალგაზრდებს მოეკალათებინათ, უკვე საკმარად შეზარხოშებულნი ხმამაღლა იცინოდნენ და გამუდმებით აბოლებდნენ თამბაქოს.

ოფიციატები მარდად დადიოდნენ მაგადებს შორის, დაუღალავად ემსახურებოდნენ კლიენტებს.

მაგდას დაბალი, მელოტი ოფიციატი მიუახლოვდა, სქელ მუყაოს ყდაში ჩასმული მენიუ თავაზიანად ძიძიგურს გაუწოდა და ფანქარ-მომარჯვებულმა ყურადღებით დაიწყო ლოდინს. ძიძიგურმა ლუდი და მსუბუქი ვახშამი დაუკვეთა.

მინდელი კვლავ სარკეს მისჩერებოდა, დაინებდით სინჯავდა იშვიათი წყვილის ორგულს, გელოვანი ვაზეთს ჩასტკეროდა თავაუღებლივ, ხოლო ძიძიგური რესტორნის მუდმივი სტუმრის უზრუნველი ივრით ათვალისებდა დარბაზში მყოფთ.

მინდელმა საათს დახედა. შემდეგ ისევ სარკეზე გადაიტანა მზერა.

— ბასკაკოვს კვალერი ნახევარი საათის მოსული მაინც უნდა იყოს — ჩაულაპარაკა ძიძიგურს და სარკეზე ანიშნა, სადაც ბროლის ვრაფინში კონიაკის ნარჩენი, ხოლო სუფთა თევზზე წაჩუქურთმევი ბროლის მალაღფეხიანი ჭიქა ჩაჩაღა.

ძიძიგური მიხვდა, თავი დაუქანა. უცნობი წყვილის მაგიდას ოფიციატი მიუახლოვდა, მარჯვედ შემოახვია ქათქათა ხელსახოცი შამპანურის ბოთლს და მარდი მოძრაობით აართვა საცობი.

გასმა სუსტი ჭახანი. ყოჩაღმა ოფიციატმა ოდნავ დახარა გახსნილი ბოთლი და ბროლის ჭიქებში იჩქეფა ქარვისფერმა შუშხუნა ღვინომ. ძიძიგურმა ლუდი მოსვა, და ბოთლი მინდელის ჭიქაში ჩააბირქვევა.

— ხომ არ ვცდებით? — ჩაილაპარაკა მან.  
— არა მგონია — უბასუხა მოგვიანებით მინდელმა და შემდეგ დაუმატა — რესტორნის და-

კეტვამდე ჯერ ბევრი დროა, ველოდოთ. ლამაზი წყვილი მშვიდად შეექცეოდა ვახშამს.

ოფიციატმა ბროლის ვაზით ყურძენი, ვაშლი და ფორთოხალი მიართვა.

მამაკაცმა ფორთოხალი აიღო, რაღაც უთხრა ქალს, შემდეგ დანას წაეტანა, ფტქენა დაიწყო. ტანიამ ღიმილით შეანათა დიდრონი ცისფერი თვალკები.

მინდელი მზერად გადაიქცა. მამაკაცის მარცხენა ხელის ნეკზე მსხვილი ოქროს რგოლი კიაფობდა. თითების ელევანტური მოძრაობით ნელ-ნელა გავტქენა ხილი და ლებნებად დახლეჩილი ქალს მიაწვოდა.

უეცრად მინდელი წამოდგა.  
— გავიდეთ, გელოვანი დარჩეს — ჩაულაპარაკა ვაკვირვებულ ძიძიგურს და გასასვლელისაკენ დაიძრა.

ვიღრე კარებამდე მივიდოდნენ მინდელმა ჯიბიდან პაპიროსი ამოიღო და ასანთს დაუწყო ძიზნა. შეჩერდა, მიმოიხედა და მტკიცე ნაბიჯით წავიდა ბასკაკოვს მაგიდისაკენ. ძიძიგური არ შეჩერებულა. უკან მოუხედავად გავიდა რესტორნიდან.

გამომძიებელი დინჯი, აუჩქარებელი ნაბიჯით მიეახლა ტანიასთან მყოფ კაცს.

— ბოდიშს ვიხდი. თუ შეიძლება მომაკიდებინეთ მიმართა ქართულად.

— Что вы сказали?  
— Прошу прощения, позвольте прикурить.

— Пожалуйста, извольте. — უბასუხა უცნობმა ღიმილით და ნაჩუქურთმევი სანთია გააჩხაკუნა. სუსტად იფეთქა ცისფერმა ალმა.

მინდელმა პაპიროსს მოუყიდა, თავაზიანად გადაუხადა მადლობა და აუჩქარებლივ გაბრუნდა. ვესტიბიულში გაკვირვებული ძიძიგური დახვდა.

— შენ რა მისი სახის ნახვა გაინტერესებდა? — შეეკითხა მოუთმენლად.

— არა, — გაიღიმა მინდელმა — მხოლოდ ხელებს, — ხელებს? — უფრო განცვიფრდა ძიძიგური.

— ჰო, ხელებს, მაგრამ ამაზე შემდეგ. სიტუაცია შეიცვალა, მე მგონი არც 407-ში, არც რესტორანში მეტი არავინ მოვა ტანიასთან. ახლა სწრაფი მოქმედება საჭირო. ბასკაკოვა და მისი კვალერი უნდა დავაკავოთ, მაგრამ ისე რომ ისინი ვერაფერს მიხვდნენ და დრომდე დაზარალებულად მიაჩნდეთ თავი.

ძიძიგურმა გაკვირვებით შეხედა.  
— არაფერი მესმის... ჩვენ ჭალარას ვეძებთ, ეგ კი რაღაც არ შემინიშნავს, რომ წვერს ატარებდეს.

მინდელმა თბილად გაუღიმა.  
— თქვენ ყველა დეტალი არ იცით სერგო,



წვერი... კი წვერის მოშორება ძნელი არ არის, ჭალარა წვერის მოპარსვასაც შეძლებს თუ საჭიროა.

— მოპარსვას?

— გერაფერი გავიგე, მაინც რას აბირებთ?

— ახლავე ყველაფერს აგისხნით, წაეიდეთ. მინდელმა მკლავში ხელი გაუყარა ძიძიფურს და ორივენი დირექტორის კაბინეტისაკენ გაემართნენ...

...ათიღვე წუთის შემდეგ რესტორანში ლეიტენანტი ჯუღელი შევიდა. ცალკე მჯდომ გელოვანს გვერდი აუარა და ობერტიული ჯგუფის მაგიდას მიუჭდა.

სულ მალე მაგიდაზე კონიაკები და ხილი გაჰნდა.

მეინახებმა ხმას აუწიეს, ხმამაღალი სიცილი და ოხუნჯობა დაიწყეს.

— აქ მოდი, — დაუძახა შემთვრალმა ჯუღელმა ოფიცინანტს.

ოფიცინანტმა სწრაფად მოიბრინა.

— რას გვიბრძანებთ?

ეს 5 მანეთიანი ორკესტრს მიეცა, უთხარი ჩარლსტონი დაუქრან.

— ახლავე ბატონო.—

ოფიცინანტი სწრაფი ნაბიჯით მიუახლოვდა შემადლებულ ესტრადას, ახალგაზრდა მუსიკოსს ფული გაუწოდა და ჯუღელზე ანიშნა.

მუსიკოსმა გაიღიმა, დამკვრელებს გადახედა და...

დარბაზი მოღურმა საცეკვაო მუსიკის პანგესმა აავსო.

წყვილები საცეკვაოდ გამოვიდნენ.

ჯუღელი წამოდგა, დაბარბაცდა, მაგრამ დროზე მოეჭიდა მაგიდას, გვერდზე მჯდომმა ამხანაგმაც შეაშველა ხელი.

არაფერია,— იყვია მან, შემდეგ მაგიდას მოშორდა და მთვრალი კაცის დამახასიათებელი არეული ნაბიჯით ბასკაკოვას მიეჭრა.

მამაკაცს ზედაც არ შეხედა, ქალს კი ლოთის დიმილით გაუღიმა.

— გთხოვთ. — ამოიხრიალა მან და თავხედურად წააცვო ხელი ნახევრად შიშველ მკლავზე.


ბასკაკოვა შეკრთა და შეშინებულნი შველის თვალები კავალერს მიაპყრო. მთვრალის უხეშმა მოქმედებამ წამით წაართვა მეტყველების უნარი.

მამაკაცს რისხვით აენთო თვალები, სკამიდან შეკუმშული ზამბარასავით წამოხტა. მთვრალი ერთი ხელის მოქნევით მოაშორა ქალს, შემდეგ თავხედურ მკაცრად შეხედა თვალებში.

— Уходи пока не поздно — გამოსცრა კბილებში ბრაზიანად და ისე მძლავრად ჰკრა ხელი, რომ ჯუღელი შურდულვით მიაწყდა მოპირდაპირე მაგიდას.

იმავე წამს ჯუღელის ხელში ბოთლმა გაიყვია, მაგრამ უცნობი ჩანს ამას ელოდა და ვი-

რე მთვრალი ხელს მოიქნევდა მძლავრი ხელით მაჯაში წვდა და მარწუხივით მოუჭირა, ბოთლი ხელიდან გაავადებინა და მეორე ხელით ღონივრად გაჰკრა.



მთვრალმა სახეში დამაზნებელი მუშტი აირიდა, ბეჭი მიუშვირა, მაგრამ დარტყმა იმდენად ძლიერი იყო თავი ვერ შეიკავა და წაიქცა.

ატყდა წვილ-კვილი.

მუსიკა შეწყდა. დარბაზში ქალების კივილი და მამაკაცთა ღრიანცელი ისმოდა მხოლოდ.

გალახულის ამხანაგები უცნობ მამაკაცზე მიიწევდნენ, მაგრამ გამშველებლები აკავებდნენ, ყველაზე მეტს გელოვანი ხმაურობდა.

უცნობი მამაკაცი კი იდგა, ქორული მზერა წაქცეულსათვის მიეპყრო და მშვიდად ელოდა ახალ შემოტევას.

ყვირილსა და ჩხუბში არავის გაუგია თუ როდის განდნენ დარბაზში მილიციის მუშაკები. ისინი პირველ რიგში მთვრალს მივარდნენ, რომელიც უკვე წამომდგარიყო და ისევ ჩხუბს აპირებდა.

— დაწყნარდით მოქალაქე, შეწყვიტეთ ხულიგნობა! — შესძახეს მკაცრად და ვიღრე მთვრალი გონს მოვიდოდა ორივე ხელი გაუკავეს.

— დააბატიმრეთ ეგ ხულიგანი!

— შეიპყარით მხეცი! —

— წყნარად ამხანაგებო, გაგვაგებინეთ რა მოხდა?

— ვინ არიან დაზარალებულნი? — იკითხა განყოფილების უფროსმა გაიორმა ხარაბაქემ.

— აი ეს ორი მოქალაქე — ხელით ანიშნეს მას.

— ბასკაკოვა და უცნობი მამაკაცი ნელი ნაბიჯით მიუახლოვდნენ მაიორს. ხარაბაქემ დაკვირვებით შეათვალიერა უნაკლოდ შეკერილ კოსტუმში ჩამჭდარი ელეგანტური მამაკაცი და შემინებული მომხიზველელი ქალი.

— დაბრძახდით, აქტს გაეფორმებთ, — განუმარტმა მათ რუსულ ენაზე და ჯიბიდან ავტოკალამი ამოიღო.

\* \* \*

— ვაბათიოთ, ერთხმად თქვეს ორივემ.

— როგორ თუ აბათიებთ! — გაისმა უკმაყოფილო ხმები.

დამშვიდდით ამხანაგო, ხულოვანს არაფერს ვაბათიებთ, ახლავე მილიციაში მივებრძანებთ. ხმაური საჭირო არ არის — დაწამოშინა აღელვებულნი ხალხი ხარაბაქემ.

— მილიციაში მიმებრძანებთ? აი ამ მოძრაობული მეტიჩარასათვის? გამიშვით! — გაიწია მთვრალმა და შეეცადა ხელიდან გასხლტომოდა მილიციელებს.

— წყნარად მოქალაქევე, გეყოფათ ხულოვნობა — შეუტიეს მილიციელებმა.

მთვრალი ძალისძალით გაიყვანეს, თუმცა ილაჩნობდა და კვლავ უშედეგოდ ცდილობდა ხელიდან გასხლტომოდა მილიციელებს.

წესრიგი აღდგენილი იქნა.

— ბოდიშს ვისდით, მაგრამ ცოტა ხნით მილიციის განყოფილებაში უნდა წამობრძანდეთ, თქვენი ასხნა-განმარტება საჭირო — მიმართა ხარაბაქემ ბასკაკოვას და მასთან მყოფ მამაკაცს.

— არ შეიძლება ამ ვალდებულებიდან გაგვანთავისუფლოთ? გამოგიტყდებით არავითარი სურვილი არა მაქვს ამ ყინვაში სიარულისა, ვახშამიც არ დავვიმთავრებია — შეეპასუხა მამაკაცი.

ძალიან ეწუხებარ, მაგრამ ეს აუცილებელია, სულ რაღაც 30 წუთს წაგართმევთ. მანქანით წაგიყვანთ, აქტსაც იქ გაეფორმებთ, — თავაზიანად განმარტა მაიორმა.

— რა გაეწყობა, წავიდეთ — უხალისოდ დათანხმდა მამაკაცი და ანგარიში მოითხოვა.

— მეც თქვენთან ერთად წამოვალ, მე კარგად დავინახე როგორ მოგეჭრათ მთვრალი ხულოვანი — ჩაერია გელოვანი და უცნობ ქალვავას თავი დაუქრა.

ხალხი ნელ-ნელა დაწყნარდა და დაკარიელვებულ მაგიდებს დაუბრუნდა.

დაზარალებულნი და გელოვანი ხარაბაქეს გაყვნენ.

\* \* \*

ლამის 12 საათია.

სძინავს ვეება, თეთრ ზეწარში გახვეულ ქალაქს. მხოლოდ აქ-იქ ციმციმებს შუქი.

რა ხანია მიწყდა ქუჩებში ფეხის ხმა. კანტიკუნტად თუ გამოჩნდება ჩქარი ნაბიჯით მიმავალი შეგვიანებული მგზავრი.

იშვიათად თითო — ოროლა მანქანა ჩაიქროლებს.

სიმშვიდეა № სახლთან.

ნახევარი საათის წინ ლუდის ბარიც დაიკეტა და ახლა კარებთან ქურქში გახვეული დარაჯი მიეცილა თოფით ხელში.

მეორე სართელის ორი ფანჯარა ელექტრონის შუქითაა განათლებული.

ბურღულის ჭგუფი ერთ საათზე მეტია ამ ფანჯრებს შესცქერის.

იშვიათად გამვლელისათვისაც შეუმჩნეველია მათი სამალავი.

დგანან, იცდიან და დაჟინებით შესცქერიან უანჯრებს.

უეცრად განაპირა ფანჯარას ჩრდილი დაეკა. ყინვისაგან შეჭირბლულ მინას თვალბდაჭყეტილი ტიკინა აეკრა.



აეკრა და იქვე დარჩა. თურაშაულ ლოყებიანი შუბლით ფანჯარას მიყრდნობილი სულელურად უღიმის ზამთრის სუსხიან დამეს.

სიბნელეში მიმალული ლანდები ამოძრავდნენ. საითათოდ შეიკრიბნენ მყუდრო ეზოში ხეთნი.



ფრთხილად, უხმაუროდ შეუყვანენ მეორე სართულის კიბეს. წინ ბურღული მიდის, სხე-  
ბი ფენდაფენ მიჰყვებიან.

უკანასკნელ საფეხურზე შეჩერდნენ.

— ყველაფერი რიგზეა, — ჩაიჩურჩულა წყნარი ხმით ბურღულმა — შესასვლელი კარ-  
ბი ღიაა.

რიგრიგობით, სრულიად უხმაუროდ შელ-  
გდნენ დერეფანში. დაჭერებულ კაცის ნაბი-  
ჯით პირდაპირ წავიდნენ, შემდეგ მარჯვნივ  
გაუხვევეს.

ოთახში შესასვლელი კარიც ღია დახვდათ.  
პირველი ბურღული შევიდა. მას სამნი შეყ-  
ვნენ, მეოთხე გარეთ დარჩა, კედელს აეკრა,  
ღამის შუქზე ავად აელვარა მტკიცე მარჯვენა-  
ში დაბღუჯული რევოლვერის ლულა.

ნატალია დევიძე სრულ სიჩუმეში შეხვდა მი-  
სულთ, ის მათ ელოდა.

შესულნი ოთახის სიღრმეში მიიმალნენ.

სიჩუმეს არღვევდა მხოლოდ ელექტრო ღუ-  
მელზე მოშვებინ ჩაიდან. ბურღულმა ხელი  
აიქნია, რაღაც ანიშნა დევიძეს და მეორე ოთახში  
გამავალ დაკეტილ კარებს აეკრა.

დევიძე ნელა წამოდგა, დაკეტილ კარებზე  
ფრთხილად დააკაკუნა ორჯერ, შემდეგ ცოტა  
შეჟოვებობით ერთხელ.

— ჩაი მზად არის ვახტანგ, — გასძახა წყნა-  
რად.

— ახლავე, — მოისმა ოთახიდან.

ნატალიამ კარზე დადებულ ბოქლომს გასა-  
ღები მთარგო, გადაატრიალა და ბოქლომითურთ  
კარებს მოშორდა.

— კარები ფრთხილად გაიღო და კუთხეში  
კედელს აკრული ბურღული დაფარა.

ოთახში საშუალო ტანის მამაკაცი ფრთხი-  
ლი ნაბიჯით შემოვიდა, ნელა მიექცა კარები.  
იმავე წამს საფეთქელში ცივი ლითონი მიე-  
ბჯინა.

— ხმა, კრინტი, თორემ გაგათავე — მოესმა  
ჩუმში, მაგრამ მუქარით სავსე მტკიცე ხმა.

მამაკაცმა ინსტიქტურად ჯიბისაკენ წაიღო  
ხელი. მაგრამ სამბოში დახელოვნებულმა ბუ-  
რღულმა, ელვისებური მოძრაობით ამოუტრია-  
ლა მარჯვენა. მეორემ ზურგიდან შემოხვია ხე-  
ლები და თავდაღმა დაადგო ტახტზე. შეპყრობი-  
ლი გონს მოვიდა, გაიბრძოლა, თვალბში ველუ-  
რი შიში ჩაედვარა და ვიღრე პირში ხელსა-  
ხოცს ჩასტენდნენ, იხელთა, სახე აარიდა და  
მხეცივით იბღავლა.

— გაგვიდა ამ ძუქნამ, თავს უშველეთ!!

ბურღულმა გამეტებით დაჰკრა თავში რევი-  
ლვერის ტარი, მაგრამ უკვე გვიან იყო...

მეხვივით იჭეპა მეორე ოთახიდან რევოლვე-  
რმა და მიკეტილ კარებიდან გამოვარდნილი

ტყვია ტახტიდან მოშორებით კედელში გაიჭედა,  
შემდეგ კედელს მეორეჯერ დაიჭედა და ტახტის  
გვერდზე მდგარი ბუფეტის კარადა შეანგრა.  
საწყალობლად დაიწვრიალა დამსხვრეულმა  
ბროლმა.

ობერმუშაკებმა სროლით უბასუსეს.

ბურღულმა, ტახტზე უგონოდ მიგდებული  
ვახტანგი დაითრია და სწრაფად შეუყარა ხელ-  
ბორკილი. იმავე წამს ჩრდილელი კარებს ეცა  
და ფენისკვრით შელევწა.

— ობერმუშაკები ოთახში შეცვივდნენ.

— დაგვენბდით, სახლი ვარშემორტყმუ-  
ლია! — იგრავინუა ჩრდილელმა და ვეფხვივით  
დაახტა საწოლზე მჯდომ სილუეტს.

გვერდითი ფანჯრიდან კედელს ერთხელ იჭეპა  
და რაფაზე მდგომი ქუჩაში გადახტა.

ჩრდილელმა მარჯვენა გვერდში ძლიერი დარ-  
ტყმა იგრძნო, ელვამ დაჰკრა და ზამზარასავით  
დაკვიშული მკლავები, რომლითაც ტახტზე წაქ-  
ცეული სილუეტი ეჭირა დაუდუნდა, წამიც და  
ვაცევიოლი მათრახებევით ჩამოუცვივდა.

ტახტზე წაქცეულს სიხარულით მხეცური  
იღუმალი ღმუილი აღმოხდა, ბალიშიდან ბებუ-  
თი დააძრო და ის იყო მკერდში უნდა ჩაეცა  
დაჭრილისათვის, რომ თავში საშინელი ძალით  
რაღაც მოხვდა და გონდაკარგული ხურჯინევით  
გადაეკიდა საწოლს.

— ბორკილი დაადეთ — დაიღრიალა ბურ-  
ღულმა, შემდეგ ღია ფანჯარას ეცა და თავგა-  
მეტებით გადაეშვა. რბილად დაეცა, წამსვე წა-  
მოხტა და თოვლში მოგორავე სილუეტს მიუ-  
ახლოვდა.

ერთ ბურთად შეკრული ლეიტენანტი კვარა-  
ცხელია და ფანჯრიდან გადმომხტარი ბანდიტი  
სამკვედრო სასიცოცხლოდ ებრძოდნენ ერთმა-  
ნეთს, თმებს აგლეჯდნენ უწყალოდ ცემდნენ,  
თოვლით პირს უტენდნენ.

ბურღულმა დრო შეაჩრია და სწორედ იმ  
წამს, როდესაც ბანდიტი ზემოდან მოექცა  
ლეიტენანტს, რევოლვერი სიბრტყით დაჰკრა  
საფეთქელში და უგონოდ მიადგო.

გახეთქილი თავიდან სისხლმა იჩქეფა, წით-  
ლად შედგება სპეტაკი თოვლი.

ბურღულმა გონებადაკარგულ ბანდიტს ხელ-  
ბორკილი დაადო.

გათოკე, უბრძანა უკვე ფეხზე წამომდგარ  
კვარაცხელიას, შემდეგ თოვლში ჩავარდნილი  
ბანდიტის რევოლვერი პალტოს ჯიბეში ჩაიღო  
და დევიძის სახლს მიაშურა.

ჩრდილელი ფრთხილად გადასვენეს. სანიტრებმა, ჯალამბარი ასწიეს და ნელა დაიძრნენ გასასვლელისაკენ.

ბურღული ექიმს გაჰყვა.

გარეთ გამოსულმა მიმოიხედა, მეზობელ სახლებში შუქი აენტოთ. სროლის ხმაზე გაღვიძებული ხალხი ბელურბევით შესეოდა ფანჯრებს.

ქუჩაში მძიმე დახურული მანქანა გაჩერდა. კაბინიდან ახალგაზრდა ლეიტენანტი გადმოხტა და სწრაფი ნაბიჯით შეჰყვა საფეხურებს. შუა კიბეზე გაჩერდა, სანიტრები გაატარა.

— მოგვიკვლეს ვინმე? — შეეკითხა ბურღულს შემფოთებით.

— არა, მძიმედ დასჭრეს ჩრდილელი — ნაღვლიანად უბასუხა ბურღულმა და ოთახში შებრუნდა.

ლეიტენანტი ფეხდაფეხ შეჰყვა.

— ბანდიტები საითაოდ ჩასხეს მანქანაში. — ოპერმუშაკებიც დახურულ ძარაში მოთავსდნენ.

— სამმართველოსაკენ, — უბრძანა მძღოლს კაბინაში შესულმა ბურღულმა.

— მძღოლმა ძრავა ჩართო და მანქანა ნელა დაიძრა ვიწრო ჩიხიდან. ღამის 2 საათი სრულდებოდა.

### თავი VIII

მეორე დღეს ამინდი შეიცვალა.

ზამთრისათვის უჩვეულო მზიანი დილა გათენდა.

ღამენათვე მინდელს მხოლოდ 10 საათზე გაეღვიძა. სწრაფად წამოდგა საწოლიდან. „მინც არ გამაღვიძა“, გაიფიქრა წყენით და თვალით მეუღლეს დაუწყო ძებნა.

ბინაში არავინ იყო. საწოლთან ტუმბოზე რვეულის ფურცელს მოჰკრა თვალი.

„უსუსუზმოდ არ წახვიდე, ჩაი მზადაა“ წაიკითხა მინდელმა და გაიღიმა, შემდეგ სააბაზანო ოთახში გავიდა, წვერი გაიბარსა. დილის ვარჯიშითა და ცივი მასაჟით განხალისებულმა მადლიანად ისალუზა.

სულ ორი საათიც არ სძინებია, მაგრამ ესეც საკმარისი აღმოჩნდა გააკეთებული ორგანიზმისათვის.

სულ მალე, წვეგაპარსული და ენერგიით სავსე გამომძიმებელი მილიციის სამმართველოში იჯდა და შეპყრობილ დამნაშევეთა დაკითხვის გავმას აზუსტებდა.

თითქმის ერთი საათი იმუშავა, შემდეგ კალამი გვერდზე გადასდო, ჩაფიქრდა: გონებაში წინაღობით ჩატარებული ოპერაცია აღადგინა, ჯუღელის მიერ რესტორანში ატეხილი სკანდალი მოაგონდა, გაეღიმა, თვალწინ წარმოუდგა ახალგაზრდა ლეიტენანტი, რომელიც ძლიერ

განიცილიდა რესტორანში ჩადენილ „ხულოგნურ საქციელს“.

„ტუტუცი, ნადირი და კიდევ ვინ იცის რა არ მიწოდეს“ უყვებოდა მილიციის განყოფილებაში მინდელსა და ძიძიგურს ჯუღელი.

მინდელს ხმამაღლა გაეცინა.

შემდეგ ბასაკაოვა და მისი თანმხლები მამაკაცები დაუდგა თვალწინ.

ჩარგივეი... მათე ალექსის ძე ჩარგივეი... ვითომ ჩარგივეია? დაუსვა თავისთავს კითხვა და თითონვე უბასუხა: ვნახავთ... გამოვარკვევთ.

დიდი მონღოლებით და სრული სეროიზულობით შეადგინეს აქტი, დაჰკითხეს დაზარალებულები.

ჩარგივემა, მოკლედ, ღირსებით გადასცა მომხდარი ფაქტი და დინჯად მოაწერა ხელი ჩვენებას. შემდეგ წამოდგა, სასტუმროში წასვლა იჩქარა. ვერც კი მიხვდა, რომ ჯუღელის ხულოგნობა მისი განყოფილებაში მიყვანის საბაბით იყო მხოლოდ.

აღშფოთდა, პროტესტი განაცხადა და ცხარედ შეედავა განყოფილების უფროსს, მაგრამ ყოველივე ეს ნატიფი ზრდილობითა და დიდი ღირსებით გამოთქვა.

კუთხეში მჯდარი მინდელი ინტერესით უსმენდა.

მილიციის განყოფილების უფროსს უკანონოდ დაკავებული ზრდილი და განათლებული მამაკაცი ელაპარაკებოდა და ცხარე პროტესტს გამოსთქვამდა პიროვნების ხელშეუხლებლობის კონსტიტუციური უფლების დარღვევის გამო.

— „ვინ არის ბასაკაოვა? — ეს რა მათი საქმეა, ჩვენს ქვეყანაში ადამიანი თავისუფალია და არავის არა აქვს უფლება განმარტება მოსთხოვოს რატომ მეგობრობს ქალი მამაკაცთან, ან პირიქით, სად გაიცნო, არც ეს არის დანაშაული. რა უნდა მისგან მილიციის მუშაკებს? ნუთუ ასეთი პატივით ხვდებიან ისინი ყველა არა ქართველ დამსვენებლებს?

თუ ასეა, მილიციის მუშაკები თუ ამდენ უფლებას აძლევენ თავს და კანონის დარღვევასაც არ ერიდებიან, იგი, ჩარგივეი მინც მონახავს ადგილს, ძვირად დაუსვამს თავხედობას გათამამებულ მაიორს, მანამდე კი ხმასაც არ ამოიღებს.

მინდელს ერთი სიტყვაც არ გამოპარვია ჩარგივეის ნალაპარაკებიდან.

(გაგრძელება იქნება)

## საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი

20 დეკემბერს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მორიგი პლენუმი, რომელმაც მოისმინა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის გ. ყ. იოსავას მოხსენება: „სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1963 წლის 23 ოქტომბრის № 16 დადგენილების — ზიანის ანაზღაურების სარჩელთა გამო სასამართლო პრაქტიკის შესახებ — შესრულების მიმდინარეობა“.

რესპუბლიკის სასამართლო ორგანოები, — აღნიშნა მომხსენებელმა, — ძირითადად სწორად წყვეტენ დავებს ამ კატეგორიის საქმეებზე. მაგრამ არის იმის შემთხვევებიც, როდესაც სასამართლოები უშვებენ შეცდომებს. ძირითადად შეცდომები იმაში გამოიხატება, რომ სასამართლოები ზუსტად არ იცავენ იურიდიულ ტერმინოლოგიას; ეს განსაკუთრებით შეინიშნება ზიანის მიყენებით წარმოშობილ დავებზე გამოტანილ დადგენილებებში. ტერმინის არასწორად გამოყენება დაუსაბუთებელსა და კანონსაწინააღმდეგოს ხდის გადაწყვეტილებასა და განჩინებას. სასამართლო ორგანოები ზიანის შერეული პასუხისმგებლობის წესით ანაზღაურებისას დაზარალებულის ბრალს განსაზღვრავენ პროცენტებში, რაც არასწორია.

მომხსენებელმა ხაზი გაუსვა, რომ მოპასუხისათვის პასუხისმგებლობის დასაკისრებლად საჭიროა დადგინდეს ბრალი არა მარტო ქმედობის მიმართ, არამედ შედეგის მიმართაც. საჭიროა სასამართლოებმა საწარმოთა აღმონისტრაციებთან და პროფკავშირულ კომიტეტებთან ერთად გაარკვიონ ზიანის მიყენებით წარმოშობილ ვალდებულებათა პრინციპული საკითხები. კერძო განჩინებები გამოტანილი უნდა იქნას იმ ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მიმართ, რომლებიც უგულვებელყოფენ ტექნიკური წესების დაცვას. ვსდებით ზიანის მიყენების საფუძვლით ორგანიზაციისათვის თანხების გადახდებიანებს ისეთ პირობებში, როდესაც დაზარალებული — მოსარჩელე მოხუცებულობის პენსიაზეა გადასული. ასეთ ვითარებაში სარჩელის დაკმაყოფილება ეწინააღმდეგება კანონს.

შემდგომ აშხ. გ. ყ. იოსავა ვრცლად ჩერდება იმ ღონისძიებებზე, რომლებიც უნდა განხორციელდეს ზემოთ ჩამოთვლილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

დადგენილების პროექტის ირველივ თავისი მოსაზრება გამოთქვა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრმა თ. გერსამიამ. მან ილაპარაკა იმ სიმწელებზე, რაც ხელს უშლის სახალხო სასამართლოს გამოიტანოს სრულყოფილი გადაწყვეტილება ამ კატეგორიის საქმეებზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი გ. დევედარიანი შეეხო დადგენილები პროექტის იმ ადგილს, სადაც ლაპარაკია ბრალის განსაზღვრის საკითხზე და ჩამოაყალიბა თავისი შეხედულება დადგენილების პროექტის მე-7 მუხლის მიმართ.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი ალ. დუღუნიშვილი შეჩერდა პლენუმის დადგენილების პროექტის მე-3 მუხლზე, სადაც ლაპარაკია, რომ სასამართლომ პირის ბრალი უნდა დაადგინოს არა მხოლოდ ქმედობის მიმართ, არამედ მოცემული შედეგის მიმართაც.

საქართველოს სსრ პროფსაბჭოს იურიდიული ბიუროს გამგე ნ. წერეთელი შეეხო ბრალის პროცენტებში განსაზღვრის საკითხს, აღნიშნა, რომ ამის შესახებ არსებობს საკავშირო ნორმატიული აქტები, რითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ. შერეული პასუხისმგებლობის დაკისრების დროს, სასამართლოებმა პროცენტებში უნდა გამოხატონ არა ბრალი, არამედ მიყენებული ზიანის ის ნაწილი, რომლის ანაზღაურებაც მოპასუხეს ეკისრება.

აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ ს. მაკარაძემ პლენუმს ვაცნო თუ როგორ წარმოებს აჭარის ასს რესპუბლიკის სასამართლოებში ზიანის ანაზღაურების სარჩელთა განხილვა.

შეეხო რა პლენუმის დადგენილების პროექტს აშხ. ს. მაკარაძემ კრიტიკულად განიხილა მე-15 და მე-17 პუნქტები.

საქართველოს სსრ პროკურორმა პ. ე. ბერძენიშვილმა აღნიშნა, რომ 1966 წლის პირველ კვარტალში საქართველოს სსრ პროკურატურამ განზოგადების მიზნით შეისწავლა ამ კატეგორიის 365 საქმე. შედგენილ იქნა მიმოხილვა, მომზადდა წარდგინება, რაც რეაგირებისათვის გადაეხავენა სათანადო ორგანოებს.

აშხ. პ. ე. ბერძენიშვილი შეეხო პლენუმის დადგენილების მე-4 მუხლს, რომლის მიხედვით დაზარალებულის ბრალეულის საკითხის გარკვევისათვის მნიშვნელობა არა აქვს მის სამ-

სახურებრივ და სხვაგვარ დახასიათების წარმოდგენას. ამხ. პ. ე. ბერძენიშვილი აყენებს წინადადებას შესწორდეს პლენუმის დადგენილების პროექტის დასაათურება.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრებმა ნ. ბადაგაძემ, ო. გველესიანმა, ა. ფალავანდიშვილმა.

ვრცელი შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ვ. ი. მაისურაძე.

პლენუმზე წარმოდგენილი დადგენილების პროექტი საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოსთან არსებულ სამეცნიერო-საკონსულტანტო საბჭოზე იქნა განხილული. გამოთქვა მთელი რიგი საყურადღებო შენიშვნები და შესწორებანი, რაც გაზიარებულ იქნა.

ამხ. ვ. ი. მაისურაძე ეხება რა სასამართლოს მიერ ვალაწყვეტილების გამოტანისას ბრალის ფორმის სწორად განსაზღვრის მნიშვნელობას, აღნიშნავს, რომ ვალაწყვეტილებაში ისეთი ტერმინების ხმარება, როგორცაა „ოდნავი ბრალი“, „მცირედი ბრალი“, „გარკვეული უყურადღებობა“ და სხვა გაუგებარს ხდის დაზარალებულის ბრალის სახელდობრ რომელი ფორმაა დადგენილი სასამართლოს მიერ, განზრახვა, უხეში გაუფრთხილებლობა თუ მარტივი გაუფრთხილებლობა, ამას კი არსებითი მნიშვნელობა აქვს ზიანის შერეული პასუხისმგებლობის წესით ანაზღაურებისათვის.

შემდეგ ამხ. ვ. მაისურაძე ჩერდება იმ საკითხზე, თუ როგორ უდგებიან სასამართლოები საქმეთა განხილვას, სადაც ლაპარაკია მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანი-

სათვის პასუხისმგებლობის წესებზე, რაც ვრცელდება საწარმოს მუშაკზე. ამის შედეგად საწარმოს ბრალის გარეშე აკისრებენ პასუხისმგებლობას მუშაკისათვის ზიანის მიყენებისას, იმ მოტივით, რომ ეს საწარმო მომეტებული საფრთხის წყაროა.

დეტალურად განიხილა რა პროექტი ამხ. ვ. ი. მაისურაძემ აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტის შესავალი ნაწილი მოითხოვს გადაამუშავებას, ასევე შესწორებას მოითხოვს პროექტის მე-4,6 და 17 მუხლები, ხოლო მე-10 მუხლი მთლიანად ამოღებულ უნდა იქნას.

პლენუმის დადგენილების პროექტი გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით მიღებულ იქნა ერთხმად.

შემდეგ პლენუმმა განიხილა სსრ კავშირის გენერალური პროკუროროს, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარისა და საქართველოს სსრ პროკურორის პროტესტები სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეებზე.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ პროკურორი პ. ე. ბერძენიშვილი.

პლენუმს ესწრებოდნენ საქართველოს სსრ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე ზ. მ. რატიანი და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი გ. ვაბუნია.



# საქართველოს სსრ პარლამენტის კვლევის გეგმობის სსრ

1966 წლის 29 დეკემბერს ჩატარდა რესპუბლიკის პროკურატურის კოლეგიის გაფართოებული სხდომა, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს: საქართველოს სსრ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების/განყოფილების გამგე ზ. რატიანმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ა. ინაურმა, სსრ კავშირის გენერალური პროკურორის თანაშემწე ნ. შანიავსკიმ, საქართველოს სსრ უშიშროების სასამართლოს თავმჯდომარე ვ. მისურაძემ, საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრმა ე. შევარდნაძემ, სსრ კავშირის პროკურატურის სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვაზე ზედამხედველობის განყოფილების პროკურორმა ვ. იოსელიანმა და სხვ.

კოლეგიამ განიხილა „სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 23 ივნისის დადგენილების — „დანაშაულობასთან ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ შესრულების მიმდინარეობა საქართველოს სსრ პროკურატურის ორგანოებში“. ამ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა სსრ კავშირის გენერალური პროკურორის თანაშემწე ნ. შანიავსკი.

კოლეგიაზე აღინიშნა, რომ ამ ორგანოების, აგრეთვე სსრ კავშირის გენერალური პროკურორის 1966 წლის 30 ივლისის № 75 ბრძანების შესასრულებლად საქართველოს სსრ რესპუბლიკის პროკურატურამ შეიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომელსაც ყოველდღიურად ატარებს ცხოვრებაში.

რესპუბლიკის პროკურატურა სადირექტივო ორგანოებში შევიდა მთელი რიგი პრინციპიული წარდგინებებით.

პროკურატურამ გააძლიერა ზედამხედველობა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ადმინისტრაციის მიერ კანონიერების განხორციელებაზე. დიდი ყურადღება ეთმობა თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან განთავისუფლებულ პირთა შრომით საქმიანობას. რესპუბლიკის მი-

ლიციის ორგანოებმა განახორციელეს ღონისძიებანი თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან განთავისუფლებულ პირებზე ადმინისტრაციული ზედამხედველობის დასაწესებლად.

გაიზარდა სისხლის სამართლის საქმეთა განხილვაში პროკურორთა მონაწილეობა და გაუმჯობესდა სასამართლო პროცესში სახელმწიფო ბრალმდებელთა მხარდაჭერის ხარისხი. რესპუბლიკის პროკურატურის ხელმძღვანელობა მონაწილეობს სასამართლო პროცესზე განსაკუთრებით საშიშ დანაშაულთა განხილვაში. განყოფილების პროკურორები უზრუნველყოფენ დაკვლების მიცემას თითქმის ყველა საქმეზე, რომელიც საკასაციო წესით იხილება.

რესპუბლიკის პროკურატურა სისტემატურად ამოწმებს ქალაქებისა და რაიონების პროკურატურების მუშაობას, ეხმარება მათ ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში. სსრ კავშირის გენერალური პროკურორის 1966 წლის № 75 ბრძანების შესასრულებლად რესპუბლიკის პროკურატურის მუშაკები იყენენ 42 რაიონში.

რესპუბლიკის პროკურატურა ყოველგვარ ზომებს იღებს პროკურორებისა და გამოძიებლების კვალიფიკაციის ასამაღლებლად. სისტემატურად ტარდება სამეცნიერო-პრაქტიკული სემინარები გამოძიებლებისათვის. რესპუბლიკის პროკურატურის ხელმძღვანელობა დიდ ყურადღებას უთმობს საატესტაციო მუშაობის ორგანიზაციის საკითხებს.

ამასთან ერთად კოლეგიაზე ითქვა იმ ნაკლოვანებებზე, რასაც ადგილი აქვს პროკურატურის ორგანოების მუშაობაში. კოლეგიის გადაწყვეტილება ზოგჯერ არაკონკრეტულია. კოლეგიაზე არ განხილულა საკითხი როგორაა დაყენებული დანაშაულთან ბრძოლის მუშაობის ორგანიზაცია რაიონებში.

ნაკლოვანებებია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოებში გამოძიებაზე ზედამხედველობის განხორციელებაში. ადგილი აქვს მოქალაქეთა უსაფუძვლოდ დაკავებისა და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ფაქტებს. ხშირად სასამართლოს გადასცემენ ისეთ პირებს დასასჯელად, რომლებმაც ჩაიდინეს

მცირე მნიშვნელობის დანაშაული და რომელთა მიმართაც შეიძლება განხორციელებულიყო საზოგადოებრივი ზედამხედველობის ღონისძიებანი.

საქართველოს სსრ პროკურატურის კოლეგიის სხდომებზე არაერთხელ ითქვა ვარდაბნის რაიონის პროკურატურის არადამაკმაყოფილებელი მუშაობის შესახებ. ეს აღნიშნული იყო გენერალური პროკურორის 1965 წლის 23 იანვრის № 8 ბრძანებაშიც. მიუხედავად ამისა რაიონის პროკურორმა ნ. აბესაძემ არ გააკეთა სათანადო დასკვნები, არ განახორციელა სათანადო ღონისძიებანი პროკურატურის მუშაობის გასაუმჯობესებლად, სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებაზე ზედამხედველობა შესუსტებულია, კადრებთან მუშაობა ჩაშლილია.

1966 წლის 30 ივნისს რესპუბლიკის კოლეგიის სხდომაზე მოსმენილი იქნა გორის რაიონის პროკურორის ა. შაყულაშვილის ანგარიში დანაშაულთან ბრძოლის ღონისძიებების შესახებ. აღნიშნა მთელი რიგი არსებითი ნაკლოვანებანი, მაგრამ პროკურორი ა. შაყულაშვილის მიერ არ იქნა მიღებული ღონისძიებანი მათი აღმოფხვრისათვის.

კოლეგიაზე აზრი გამოთქვეს: ნ. გიორგობიანი, შ. კიკაბიძემ, ვ. პრავდინმა, ნ. აბესაძემ, ა. შაყულაშვილმა, გ. თოდრიამ, პ. ბერძენიშვილმა.

მიღებულ საკითხზე კოლეგიამ შეიმუშავა სათანადო ღონისძიებანი.

**მ. ზიგაშვილი.**

## იურიკონსულტო საბჭოს სსრკში წარმოება

საქართველოს იურიკონსულტო რესპუბლიკურმა საბჭომ შემოიღო თავისი სხდომების მოწყობა უშუალოდ დიდ საწარმოებში.

გამსვლელი სხდომები გაიმართა მიმდინარე წლის ოქტომბერში გორის ბამბეულის კომბინატში და ნოემბრის დასაწყისში ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში.

განხილულ იქნა საკითხი იურიდიული სამსახურის მდგომარეობისა საწარმოებში.

საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს საწარმოთა სამეკრებოს უფროსებმა და წარმოებათა ხელმძღვანელებმა.

ქარხნის ეკონომიკის განმტკიცებისათვის ქუთაისის ავტოქარხანაში არანაყოფიერი ხარჯების წინააღმდეგ ბრძოლაში და ქარხნის იურიდიული ბიუროს მონაწილეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ქარხნის დირექტორის მოადგილემ, ქარხნის მთავარმა ეკონომისტმა ანხ. ძეგისაშვილმა. საავტომობილო ქარხნის მუშა-მოსამსახურენი, რომელნიც იურიკონსულტო რესპუბლიკური საბჭოს გამსვლელ სხდომას ესწრებოდნენ, დიდი ინტერესით შეხვდნენ საბჭოს მიერ ჩატარებულ ამ ღონისძიებას.

სხდომებში მონაწილეობა მიიღო საქართვე-

ლოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარმა არბიტრმა ანხ.

ე. ბ. ტაკიძემ.

სხდომების დამთავრებისას, იურიკონსულტო რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ, რესპუბლიკის დამსახურებულმა იურისტმა ანხ.

ნ. ი. წერეთელმა, საწარმოთა იურიდიული სამსახურის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობის აღსანიშნავად, იურიკონსულტო რესპუბლიკური საბჭოს სახელით სამახსოვრო ადრესები გადასცა: გორის ბამბეულის კომბინატის იურიდიული ჯგუფის უფროსს ანხ. გ. რიკრიკაძეს, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის იურიდიული სამსახურის ჯგუფის უფროსს ანხ. გ. ონიანს, ქუთაისის ელექტრომექანიკურის ქარხნის იურიკონსულტს (იურიკონსულტო საბჭოს ქუთაისის ფილიალის თავმჯდომარეს) ანხ. ნ. ხიდაშელს, ვანის დამზადების კანტორის იურიკონსულტს ანხ. ა. ვაბუნიას და ქუთაისის მაუდის ფაბრიკის იურიკონსულტს ანხ. ნ. საყვარელიძეს.

### 3. თარხნისფილი,

იურიკონსულტო საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს წევრი.

## კითხვის გამსვლელი სხდომა ჭიათურაში

მიმდინარე წლის 10 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრამ მოაწყო გამსვლელი სხდომა ჭიათურაში.

წაკითხული იქნა მოხსენებები შემდეგ თემებზე:

1. „საბჭოთა საქორწინო და საოჯახო სამართლის აქტუალური საკითხები“ (პროფ. ს. ჯორბენაძე);

2. „სოციალისტური მრეწველობის ახლებურად მართვის სამართლებრივი საკითხები“ (დოც. ნ. წირამელი);

3. „შრომის კანონმდებლობის ზოგიერთი ახალი საკითხი“ (დოც. ს. ჯაპარიძე).

4. „სასოფლო-სამეურნეო არტელის ახალი წესდების მომზადებისა და საკოლმეურნეო კომლის უფლებრივი მდგომარეობის შესახებ“ — (დოც. ნ. ლომსაძე);

5. „დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის

სხვა დაზიანებით მიყენებული ზარალის ანაზღაურების ახალი წესები“ (ბ. ბახტაძე);

სალხმრავალმა აუდიტორიამ მოხსენებები დიდი ინტერესით მოისმინა, შემოსულ იქნა მრავალი შეკითხვა, რასაც მომხსენებლებმა გასცეს ამომწურავი პასუხები.

გარდა ამისა სამოქალაქო სამართლის კათედრის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სახელმწიფო არბიტრაჟთან არსებული იურიკონსულტო რესპუბლიკური საბჭოს გამსვლელ სხდომაში, რომელიც შედგა ჭიათურის მარგანეცის ტრესტში და რომელზეც ტრესტის და მალაროთა სამმართველოების პასუხისმგებელ მუშაკებთან ერთად განხილული იქნა ჭიათურის მარგანეცის ტრესტის იურიდიული სამსახურის მდგომარეობა.

დოც. ნ. ლორთქიფანიძე.



# ბიბლიოგრაფია

ქურონალ „საბჭოთა საბარტალში“ 1966 წელს გამოქვეყნებული  
მასალევის საკივბელი

## მოწინავე და სარედაქციო წერილები

- სახალხო მოსამართლეთა არჩევნების შედეგები № 1 გვ. 3—4
- საბჭოთა მართლმსაჯულების ლენინური პრინციპები № 2 გვ. 3—12
- სკკპ 22-ე ყრილობა და სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცების ამოცანები № 3 გვ. 3—10
- სოციალისტური დემოკრატიის ზეიმი № 3 გვ. 15—21
- ცნეღასი და თვითეულის საქმე № 4 გვ. 3—6
- 10 ნოემბერი — საბჭოთა მილიციის დღე № 6 გვ. 3—5
- საქართველოს პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება № 5 გვ. 3—4

## სახელმწიფოსა და საბარტლის თეორია, ისტორია, აღმინისტრაციული, სამრსა-ჟორისო საბარტალი

- აბაშმაძე ვ. ყუთლუ არსლანის პოლიტიკური იდეოლოგია № 6 გვ. 34—41
- აბესაძე ა. სახელმწიფო შინასაუწყებო კონტროლის როლი მოქალაქეთა უფლებების დაცვის საქმეში № 6 გვ. 5—13
- მენაბდე ა. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოს აქტები № 1 გვ. 4—10
- ლორია ვ. აღმინისტრაციული პროცესის ზოგიერთი საკითხის შესახებ № 5 გვ. 13—20
- პაპიძე შ. სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საწყისების შესამების შესახებ საბჭოების მოღვაწეობაში № 2 გვ. 12—15
- ფარქოსაძე ვ. საბჭოთა ფედერაციის საერთო ნიშნები და ძირითადი თავისებურებანი № 5 გვ. 4—13
- ღუტკარაძე ი. საქართველოს სსრ სახელმწიფო წყობილების ზოგიერთი თავისებურება 1921—37 წლებში № 4 გვ. 9—17
- ფხალაძე ბ. სამართალშეიქტობა და მოქალაქეთა უფლებრივი მდგომარეობა № 6 გვ. 11—19

## სისხლის საბარტალი, პროცესი, კრიმინალისტიკა

- გაბიანი ა. სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის შეფარდების ზოგიერთი საკითხი № 1 გვ. 10—18

გაბიანი ა. დანაშაულის ჩამდენი ალკოპოლიკებისა და ნარკომანების იძულებითი მკურნალობის შესახებ № 4 გვ. 24—31

გაჯიევი ნ. პირობითი მსჯავრის გამიჯვნა მოსაზღვრე ინსტიტუტებისაგან № 4 გვ. 31—41

გელოვანი ა. სხეულის განზრახ მიმე დაზიანების სწორი გაგებისათვის № 1 გვ. 26—37

ავფხვაძე მ. სასჯელის არსი და მიზნები № 3 გვ. 21—30

მგელაძე ო. კრიმინალისტიკური ექსპერტიზა შემთხვევის ადგილზე № 4 გვ. 57—60

მოხესიანი გ. საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში მტკიცების მოვალეობის შესახებ № 2 გვ. 38—45

ნადირაძე გ. საეალტო ოპერაციების წესების ღარღვევა და ვალუტით სპეკულაცია მიმე სახელმწიფო დანაშაულია № 3 გვ. 30—37

ჟორდანიია ი. სახის წარუხოცელი დამახინჯების, როგორც სხეულის მიმე კატეგორიის დაზიანების სწორი კვალიფიკაციისათვის № 4 გვ. 41—52

სტრემოვსკი ს. წინასწარი გამოძიების ღროს ზრალდების უფლების უზრუნველყოფის შესახებ № 1 გვ. 18—26


ფაფიაშვილი შ. მექრთამეობის ფაქტზე შემოსული სიგნალების შემოწმება და სისხლის სამართლის საქმის აღძვრის ზოგიერთი საკითხი № 3 გვ. 37—42

შავგულიძე თ. საზოგადოებრივი საშიშროების გამოძიებველ გარემოებათა საკანონმდებლო რეგლამენტაციის შესახებ № 4 გვ. 17—24

შანიძე ვ. სხეულის მიმე დაზიანების სწორი გაგებისათვის № 5 გვ. 35—44

წერეთელი თ. ფინალური თეორია ბურჟუაზიულ სისხლის სამართალში და მისი კრიტიკა № 2 გვ. 25—38

ხორვატი ტ. სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის ზოგიერთი სიახლე უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში № 5 გვ. 58—68



**სამოქალაქო სამართალი, კრიმინი, არბიტრაჟი**

**ბახტაძე გ.** მცირეწლოვანის მიერ მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის საფუძველი № 5 გვ. 20—29

**გაგნიძე დ.** სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალონების მენაბრე მოქალაქეთა უფლებები № 6 გვ. 19—26

**ლორთქიფანიძე ნ.** შეგებებული სარჩელი საქართველოს სსრ ახალი სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით № 1 გვ. 37—48

**ნეიძე ე.** მუშაკის სამუშაოდან გადაყვანა და დათხოვნა № 2 გვ. 45—52

**შენგელია რ.** სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს საფინანსო უფლებების შესახებ № 3 გვ. 42—53

**ჩიკვაშვილი შ.** სასამართლო პრაქტიკა საბინაო სამშენებლო კოოპერატივის წევრობასთან დაკავშირებით № 4 გვ. 52—57

**ჩორგოლაშვილი დ.** წინასახელშეკრულებო დევების განხილვა არბიტრაჟში № 3 გვ. 53—59

**აღმინისტრაციული ორგანოების მუშაობის პრაქტიკა, ადვოკატურა**

**კომახიძე მ.** ცვლილებანი და დამატებანი საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის დებულებაში № 5 გვ. 29—35

**კეკელია ვ.** ადვოკატის ავტორიტეტის საკითხისათვის № 5 გვ. 49—58

**მოღებაძე თ.** სანოტარო მოქმედების ზოგიერთი საკითხი № 2 გვ. 52—56

**ჟღენტო ა.** თანმიმდევრულად და ორგანიზებულად ვებძოლოთ ხელეგნობას № 4 გვ. 65—70

**პაიჭაძე აკ.** სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცებისათვის № 6 გვ. 30—34

**ტაკიძე ა.** არც ერთი დამრღვევი გამოუვლინებელი და დაუსჯელი № 4 გვ. 60—65

**ცირაშუა გ.** პროკურორის ინიციატივით აღძრული სარჩელები № 6 გვ. 26—30.

**კორტრამები, ნარკვევები, ინტარვიუ, სასამართლო ჟრონიკა, მხატვრული ნაწარმოებები**

**გლოვანი აკ.** ქედანის ტრაგედია № 1 გვ. 54—61

**გვეტაძე შ.** ნაპრალი № 3 გვ. 66—79; № 4 გვ. 80—93, № 5 გვ. 76—88 № 6 გვ. 69—78.

**ვაყელიშვილი მ.** საქართველოში მოღვაწე პირველი ადვოკატი ქალები № 2 გვ. 77—83

**ისაკაძე ლ.** პროფ. რ. ო. ხალფინა თბილისში № 2 გვ. 83—85

**ისაკაძე ლ.** იცნობდეთ: ლავოდების რაიონის პროკურორი № 3 გვ. 83—86

**ისაკაძე ლ.** შეუმჩნევლად ყოფნის სურვილი

აქვს მუდამ № 5 გვ. 72—76  
**ნანობაშვილი დ.** დიდი ცხოვრების გზაზე № 4 გვ. 93—96

**ქანტურია ლ.** მოწოდება № 3 გვ. 79—83

**ქანტურია ლ.** სასამართლო რეპორტიორის ნაწარები № 4 გვ. 75—80

**ჭობენაძე ს.** გერცელ ბაზოვი იურისტი № 1 გვ. 61—64;

გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე (პ. გუგუშვილის დაბადების 60 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 40 წლისთავისათვის) № 1 გვ. 88—90

ქართველ იურისტთა სტუმარი № 3 გვ. 86—89

**რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისათვის**

**აბაშიძე ვ.** უფლებრივი თანასწორობის საკითხი „ვეფხისტყაოსანში“ № 2 გვ. 67—77

**ნადარეიშვილი გ.** შოთა რუსთაველის პოლიტიკური შეხედულების საკითხისათვის № 3 გვ. 59—66

**სურგულაძე ი.** ვეპილობის ინსტიტუტის შესახებ „ვეფხისტყაოსანში“ № 5 გვ. 68—72

**ზამელაშვილი რ.** იურიდიული ტერმინები „ვეფხისტყაოსანში“ № 4 გვ. 70—75

**სხვადასხვა**

**კვარაცხელია გ.** კანონის ენის შესახებ № 1 გვ. 48—54

**კვარაცხელია გ.** კანონის ენის შესახებ № 2 გვ. 56—67.

**წერეთელი ნ.** ერთი მოუფიქრებელი წერილის გამო № 1 გვ. 90—91

**მოკონფანა**

**გოკიელი ფ.** პროფესორი ლუარსაბ ანდრონიკაშვილი № 6 გვ. 62—69

**კლდიაშვილი ს.** პროფესორი გიორგი ნანეიშვილი № 6 გვ. 59—62

**კრიტიკა და ბიბლიოგრაფია**

**გამყრელიძე ო.** პასუხისმგებლობა დანაშაულთა ერთობლობისათვის № 6 გვ. 84—89

**დევდარიანი გ.** საინტერესო გამოკვლევა № 1 გვ. 76—77.

**მაყაშვილი ვ.** უგრესელიძე მ. უნგრელი კრიმინალისტის მნიშვნელოვანი გამოკვლევა № 6 გვ. 79—84

**სურგულაძე ი.** ქართული სამართლის ისტორიის შესანიშნავი ძეგლი № 1 გვ. 64—70

**შავჯულიძე თ.** მონოგრაფია მექრთამეობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ № 1 გვ. 70—76

### ოფიციალური მასალა

ცვლილებანი შრომის კანონმდებლობაში № 1 გვ. 83—85

დებულება საქართველოს სსრ სასამართლოს მოსამართლეთა დისციპლინალური პასუხისმგებლობის შესახებ № 1 გვ. 83—85

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1966 წლის 25 მარტის დადგენილება № 4 — რესპუბლიკის სასამართლოების მიერ პირობითი მსჯავრის გამოყენების პრაქტიკის შესახებ № 6 გვ. 44—46

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1966 წლის 15 ივნისის დადგენილება № 6 — თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ პირთათვის შრომა-გასწორების კოლონიის სახეების განსაზღვრის წესის თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1961 წლის 19 ივნისის № 4 დადგენილების (მასში პლენუმის 1962 წლის 3 ივლისის № 1 და 1966 წლის 14 მარტის № 10 დადგენილებებით შეტანილი ცვლილებებით), 1962 წლის 31 ივლისის № 10 დადგენილების და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1963 წლის 5 მარტის № 2 დადგენი-

ლების შესრულების მიმდინარეობის შესახებ № 6 გვ. 47—51

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1966 წლის 15 ივნისის დადგენილება № 7 — სახალხო სასამართლოების მიერ ზოგიერთი პროცესუალური დოკუმენტების შედგენის კულტურისა და მათი იურიდიული დასაბუთების შესახებ № 6 გვ. 52—55

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1966 წლის 20 დეკემბერი დადგენილება № 8 — „ზიანის ანაზღაურების სარჩელთა გამო სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1963 წლის 23 ოქტომბრის № 16 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე № 6 გვ. 56—58

არბიტრაჟის პრაქტიკა № 1 გვ. 80—83, № 2 გვ. 91—94

მოკლე ცნობები № 1 გვ. 95—96, № 3 გვ. 95—96,

მეჩინის ორგანოების პრაქტიკა № 1 გვ. 77—80, № 2 გვ. 88—91

ინფორმაცია № 1 გვ. 91—94, № 3 გვ. 89—95, № 5 გვ. 88—96, № 6 გვ. 89—95.

სასამართლო პრაქტიკა № 2 გვ. 94—96

## ნეკროლოგი

წ. ნ. ნარიმანოვი



გარდაიცვალა საქართველოს პროფსაბჭოს ძველი მუშაკი, პერსონალური პენსიონერი, საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი ზაქარია ნიკოლოზის ძე ნარიმანოვი.

წ. ნ. ნარიმანოვი დაიბადა 1891 წლის 20 დეკემბერს ქალაქ თბილისში. ვაჟთა მესამე გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც 1918 წელს დაამთავრა. ამ წლებში აქტიურად მო-

ნაწილეობდა სტუდენტურ მოძრაობაში, რის გამოც უნდარმერამ „პოლიტიკურად არასაიმედოდ“ მიიჩნია.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ თბილისს უბრუნდება და მუშაობას იწყებს ადვოკატად.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მუშაობას იწყებს იურისკონსულტად. მალე გადაყვანილ იქნა საქართველოს პროფსაბჭოში, 1922 წლის 15 მარტიდან იურიდიული ბიუროს გამგეა.

ამ დროიდან დაწყებული წ. ნ. ნარიმანოვი დიდ მუშაობას ეწევა კანონებისა და ნორმატიული აქტების შემუშავებისა და შედგენის საქმეში. ცამეტამდე მეცნიერულ-პოპულარული წიგნის შედგენაში იღებდა მონაწილეობას. მათ შორის მნიშვნელოვანია: „შრომითი დისციპლინა და სამუშაო დრო“, „მუშა-მოსამსახურეთა ქონებრივი პასუხისმგებლობა“, „საბჭოთა საქართველოს საბინაო კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვა“ და სხვ.

წ. ნ. ნარიმანოვი ცნობილია პედაგოგიური მუშაობითაც. კითხულობდა ლექციებს შრომის სამართალში, სოციალურ დაზღვევაზე და სხვ.

დაჯილდოებული იყო მედლით „1941-45 წლებში დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის“.

წ. ნ. ნარიმანოვი დიდი პატივისცემით სარგებლობდა საქართველოს პროფსაბჭოს მუშაკთა და ქართველ იურისტთა შორის. მისი ხსოვნა დიდხანს დარჩება აღზრდილებისა და ამხანაგების გულში.

ამხანაგების ჯგუფი

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ რედაქციასთან ერთად აცხადებს კონკურსს ადვოკატურის შესახებ საუკეთესო ნაშრომისათვის.

კონკურსზე შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ჩანახატები გამოჩენილ სასამართლო მოღვაწეებზე, ნარკვევები საქართველოს სსრ ადვოკატურის ისტორიიდან.

კონკურსზე წარმოდგენილი ჩანახატები არ უნდა აღემატებოდეს ორ ინტერვალთ გადაბეჭდილ 10 გვერდს, სხვა ნაშრომები ერთ ნაბეჭდ თაბახს.

კონკურსის მასალები უნდა გამოიგზავნოს ორ ცალად გადაბეჭდილი, დევიზით. ცალკე დახურულ კონვერტში იმავე დევიზით ნაჩვენები უნდა იყოს ავტორის გვარი, სახელი და მამის სახელი, საქმიანობა, მისამართი.

ნაშრომები წარმოდგენილი უნდა იქნეს 1967 წლის პირველ სექტემბრამდე, ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ რედაქციაში (ქ. თბილისი, ათარბეგოვის ქ. № 32).

კონკურსში გამარჯვებულ ავტორებს მიენიჭებათ შემდეგი პრემიები:

ერთი პირველი პრემია — 200 მანეთი  
ორი მეორე პრემია — 100 მანეთი  
ორი მესამე პრემია — 50 მანეთი

შედეგები გამოცხადდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ ნომერში.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია მიიღოს ყველა მსურველმა.

საპარტიზალოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი,  
ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ რედაქცია.

ფაილი 50 333.

ფ 10/82



ინდექსი 76185

# СОВЕТСКОЕ ПРАВО № 1

(На грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР  
и Юридической комиссии при Совете Министров  
Грузинской ССР